

“କଣ୍ଠରୂପୀଙ୍କୁରେ ଶ୍ଵେତ ପ୍ରାୟମିଳା, ଶ୍ଵେତରେତୁମା”

ଅ. ୧୩୫୬୦୯.

ବ୍ୟାକିଲାଙ୍କାବ୍ୟାକିଲାଙ୍କା

ସପାକଶାତି

ଗୁହନ୍ତୁମ୍ଭମା ନୃତ୍ୟମଧ୍ୟବନ୍ଦିନୀ. ମାନ୍ଦିନୀ

ଅନ୍ତର୍ଜାଲାଶୀଳ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ

ଅନ୍ତର୍ଜାଲାଶୀଳ ୧୯୨୨

ՀՅԱՅՐԵՑՅՈՒՌ ԿՐԱՍԵՐՈՒՆ ՀՅՈՒՅՑՅՈՒՄ ԽՈՐՎՈՒՄ
ՏԱՐԵԿ-ՏԱՅԱԿՈՒՆ ԽԱՐՄԱՆ ՃԹԱՊԹՅՈՒՆՆԱ.

ՍՄԻԲՅԱԺՅՈՒՅՑ:

1. „Экономическая Жизнь Кавказа“.
1921 г. №№ 1—4.
1922 г. №№ 1—4.
2. „Кавказский Рабочий“
1921 г. №№ 1—2.
1922 г. №№ 1, 2, 3, 4, 5, 6—7, 8—9, 10, 11, 12.
- „Известия Закрайкома РКП“.
1923 г. №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8—9.
4. „Труженица Закавказья“ № 1. (на русском, грузинском, армянском и тюркском языках).

ԸՆԴՅՈՒՅՑ ԾԱ ԳՐՈՒՅԻՒՅՑ:

- Н. Троцкий. Между империализмом и революцией.
Н. Бухарин. Теория исторического материализма.
Юст. Анатолийская печать.
Батурий. Очерк истории социал-демократии в России.
Н. Ленин (Вл. Ульянов). Империализм, как новый этап капитализма.
Бодянов. Краткий курс экономической науки.
А. Степанян. Что такое артель и что она дает крестьянке и работнице?
Քաջազնության պատմությունը առողջության վեհականությունը.
- I серия. Экономическая политика.

Выпуск 1. Сборник материалов и статей по продов. вопросу и кооперации.

Выпуск 2. Новая экономическая политика.

Выпуск 3. Сборник статей по вопросу о новой экономической политике.

Выпуск 4. Сборник статей по финансенному вопросу.

Выпуск 5. Сборник статей по профсоюзной и тому движению.

Выпуск 6. Постановление ЦК РКП о профсоюзах.

Выпуск 7. Работница и профсоюзная под движение.

II серия. Сельско-хозяйственная политика.

Выпуск 1. Вооруженный земельный съезд.

III серия. Вопросы партийной жизни.

Выпуссы 1. Большое внимание партии.

Выпуск 2. Коммунистический Интернационал.

Выпуссы 3. Первый Закавказский Союз Комм. Организаций (стенография отч.).

„პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ა. 635909.

კრისტენი ისტორია

9433

ცარსაბი



გამოცემა რუს. კომუნისტ. პარტიის

აგიორ-კავკასიონ საოლქო კომიტეტის

თვილის 1922 წ.



ଲୋକ ପାତାର ମୁଦ୍ରଣ

ნინასიცუვარგა.

ამ წიგნის ხელში ამღებს უნებლიერთ უნდა დაებადოს კითხვა: უმჯობესი არ იქნებოდა ოომელიმე ცნობილი ავტორის გადმოთარებრნა? ჩეენი პასუხი ესეთია: ამ სათაურის წიგნები რა რიგ ვრცელნიც უნდა იყვნენ ისინი ძალიან ნაკლებ აღვილს უთმობენ ისეთი პაშია ქვეყნების ისტორიას, როგორიც არიან საქართველო, სომხეთი ან აზერბეიჯანი. იქ მთელი ყურადღება საკუთრივ აღმოსავლეთს აქვს მიქცეული. ჩვენ კი პირიქით ამ ქვეყნების წარსული გვაინტერესებდა და მათ არშიათ ვნებარობდით აღმოსავლეთის ისტორიას. ეს პირველი ცდა სუსტი და უფერულია რასაკვირველია, მაგრამ მეთოდი სწორ-უტყუცრათ მიგვაჩნია. საქართველოს ან მისი მეზობლების ისტორია ფუნქციონალურადაა დამოკიდებული აღმოსავლეთის ისტორიასთან. ყოველი მოვლენა აქაური ისტორიისა ქრისტიანობა იქნება ეს, მწერ-ლობის შემოღება, სოციალური მოძრაობა; პოლიტიკური აღმოჩება თუ დაქვეითება უსათუოო სცდება აღვილობრივ ფარგლებს. ფესვები დასახელებული ქვეყნების გარეთ სპარსეთში, პიზანტია რსმალეთში, რუსეთში უნდა ვეძიოთ. შეუძლებელია მაშასადამე რომელიმე ამ მოვლენის აღწერა ჩვენში, თუ ამავე დროს მისი სათავე და წყარო არ გვექნება თვალწინ. ქართული ისტორიოგრაფია კი ხშირათ ადგა ამ მცდარ გზას. ზედმეტი იქნება მაგალითათ ვახუშტის ქრონიკოგიის სისწორ-უსწორობაზე ლაპარაკი, როგორც კაწინა-აზიის ისტორიის შესაფერ ხანას გადავავლებთ თვალს. თუ ეს წიგნი ოდნავ მაინც შეუწყობს ხელს დასახელებული მეთოდის გან-მტკიცებას ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება.

ა. ხვანიძე

I.

ანამენიანების ხანა.

შირეარსი: ერანის საზღვრები. არიული და არა არიული ტომები ერანში. წინანდელი საშობლო არიელებისა. მედია და მისი საზღვრები. მედელები და სპასელები. დეილე აერთებს მედურ სამთავროებს. სპასელის დაპერთხა ფრამიტეს მიერ. კიაკსარი და ასურეთი. სკვითები. კიაკსარი ამხობს მათ ძალას, იპერთხობს ასურეთს; აღწევს ჭალისს. ღიდია და მედია. კიაკსარის მემკვიდრეები. სპასელის საზღვრები. გვარტომიული წერტილება. სპასელის მეფეები. გარეთის დიდი. კირსი და ასტრიაგი. კირსი იპერთხობს მთელს სამეცის. კირსი, სტმები და ჭართველები. კთალეცია სპასელის წინააღმდეგ. ბრძოლა ლილიელებთან. ლილის დაპურთხა. ბერძნები ახალშენები. ბაბილონის დაპურთხა. ოუდელების განთავისუფლება. კირსის მონარქია საზღვრები. ლილიელი ანბანი. გამბიზე და ბარდი. ეგვიპტის დაპურთხა. გაუმატა აჯანუება და კამბიზეს სიკვდილი. დარიოზის ჟეთქმულება. აჯანუები მთელს სმეცოში დარიაზი სტლებს უველა მოწინააღმდეგეთ. სასელმწიფო რეზომები. დმინისტროა, გზები, ვაჭრთხა, ფინანსები დარიოზის ლაშქრთხა საშრეო რესეტში. ბერძნები ახალშენების აჯანუება. მილეთის დაცევა. მარდონის ლაშქრთხა საბერძნების წინააღმდეგ. მარათონის ბრძოლა. აჯანუება ეგვიპტეში. დარიოზი, როგორც მეფე. მისი შინაური პოლიტიკა. ქსერქსე. აჯანუების დაცხონის ეგვიპტეში. ბაბილონში ლაშქრთხა საბერძნების წინააღმდეგ. ჯარის რაოდენობა. ქართველების მონაწილეობა ლაშქრთხაში. მათი მეთაურები, შეიარაღება. ათენის ადება. ფლორის დამარცხება საფაშანოან და მისი შედეგი. შარდონი რეება. იძლევა პლატისთან.

ქსერქსეს სიკვდილი. ფუფუნება ქსერქსეს დონის. არტაქსერქსე მხარე გრძელი. ჰისტასტე ედავება ტახტის. ლიბიის მთავარი ინარზი იშერთბის მგვიზტეს. ათენისტების მაშველი ესპალა. შეგაბიზე ამორჩილებს მგვიზტეს. შინაური მდგრძალებელი სახელმწიფოში. ქსერქსე მეორე. 45 დღის მეოდება. სოგდიანე. ოსთისი. სატრაპების აჯანებები. ეგვიპტე. სპარსელების პოლიტიკა სტარმსეოში. მეოდე არტაქსერქსე მე-II-ე და კირსი. ათიათასის ლაშქრობა. სპარტას თმი სპარსეთთან. ანტალებილას ზავი. ფარნაცზის ლაშქრობა ეგვიზტის წინააღმდეგ. შინაგანი განსხვწილება მთელს სამეცოში. ოსთისი (არტაქსერქსე III). ივინიკის და ეგვიზტის დამორჩილება. სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენა. დარიოზ მე-III-ე. მაკედონელთა ლაშქრობა.

ერანს ოღმოსავლით ინდოეთი საზღვრავს, დასავლით ზა-
გროსის მთები, სამხრით სპარსეთის ზღვა. ჩრდილოეთით იგი
თურანის მდაბლობს უერთდება.

ამ ქვეყნის ისტორიის მაწარმოებელნი იმ დროს, რომელ-
ზედაც გვექნება ლაპარაკი მედელები და სპარსელები იყვნენ.
ესენი ისევე როგორც მათი ახლო მონათესავე ჰირკანელები,
არეიელები, გედროზიელები, არახოზიელები, ხვარიზმელნი,
პაკტნი, ბაკტრიელები და სხვ. ე. წ. არიულს ანუ ინდო-
ევროპიულ მოდგმას ეკუთვნიან. თავის თავს ესენი არიელებს
უწოდებდენ, თავის სამშობლოს კი ერანს, რაიცა არიანას
(არიელთ ქვეყანას) უდრის.

დასახელებული ტომების გვერდით ცხოვრობდენ: კადუს-
ნი (ანუ გელნი) კასპი, ტაპურნი, ამარდნი და სხვ. ესენი არა-
ფრით არ ენათესავებოდენ ერანელებს. უკანასკნელნი მათ
„ანარიაკებს“ ანუ არაარიელებს უწოდებდენ. „არაარიელები“
იყვნენ აგრეთვე ერანის უძველესი შავკანიანი ბინადარნი; ისე-
ვე როგორც ელამელები, კოსეელები და სხვა ტომები, რო-
მელთაც ჩვენ წინა წიგნში შევხვდით ერანის ტერრიტორიაზე.
მათმა დაუძლეურებამ ასურელებთან ბრძოლაში, ძალიან გაუ-
ადვილა მედელებს და სპარსელებს, ერანში გაბატონება.

თავდაპირველი სამშობლო სპარსელებისა ისევე როგორც
სხვა ინდოევროპიულ ტომებისა ცენტრალური აზია იყო. აქე-
დან განვდეს მათ კასპის და არალის ზღვების შუა აღგილები,
და შეესიენ დასავლეთ აზიას.

ერანულ ტომებთაგან ყველაზე უწინ მედელებმა შეჰქმნეს
ძლიერი სახელმწიფო. მათ სამშობლოს ძველთაგანვე ორ ნა-
წილათ ჰყოფდენ: დიდ და პატარა მედიათ. უკანასკნელი ატრო-
პატენეს ანუ აღირბეფანს უდრის.

მედიას დასავლით ზაგროსის მთები. საზღვრავენ; აღმო-
სავლით პართია და ჰირკანია; სამხრით სპარსეთი (Persis)
ჩრდილოეთით კი კასპის ზღვა. მედიას ნაწილებთაგან ჩვენ
ვიცნობთ მხოლოდ კამბადენეს, ნიზაიას, რაგას და საგართიას.

შედელები ნაკლებ განსხვავდებოდენ სხვა დანარჩენი ერა-
ნელებისაგან.

როგორცა ვსოქვით ესენი სხვებსავით არიელებს უწოდებ-
დენ თავს, მათი ენა თითქმის იგივე იყო რაც სპარსელებისა,
ბაკტრელებისა და სოგდელებისა.

მედელთ სამეფოს დაარსებას ჰეროდოტეს ფრაორტეს
შვილს დეიოკეს მიაწერს. ასურული წარწერების მიხედვით მე-
დია რამდენიმე პატარა სამთავროთ იყო დაყოფილი. ზოგი
მათგანი ასურეთს ემორჩილებოდა და ხარჯს უხთიდა. დეიოკემ
როგორცა სხანს ბოლო მოუღო ამ დაქუცმაცებას და ერთ
სახელმწიფოში მოუყარა თავი ყველა სამთავროებს. მისმა
შეილმა ფრაორტება სპარსეთიც დაიპყრო და მით თვალსაჩი-
ნოთ გააძლიერა თავისი სამეფო. ამის შემდეგ მან ასურეთის
დაპყრობაც განიზრახა (625 წელს). ფრაორტემ ვერ შესძლო
ამ აზრის განხორციელება, მაგრამ მისმა მემკვიდრემ კიაკარმა
კიდევ უფრო გულმოდგინეთ ჩასჭიდა მას ხელი. იგი შეიჭრა
თავის ჯარით ასურეთში და შემოარტყა ალყა ნინევიას. მაგ-
რამ ამ დროს დაატყდა სწორეთ წინააზიის თავს ის ინოვარი-
ერი, რომელსაც ასურული წარწერები აშენდა უწოდებენ,
ჰეროდოტე კი სკვითებს. თავის თავათ ცხადია ამ შემოსევას
შემდეგ მედიელებს ასურეთისთვის აღარ სცალოდათ.

სკვითთა მძლავრობა მეტათ ხანმოკლე აღმოჩნდა. კიაკ-
სარმა მაღლე განდევნა ისინი და ხელახლა მიიტანა იერიში ასუ-
რეთის სატახტო ქალაქზე. ამ ხელათ იგი ქალდეველებთან იყო
შეკავშირებული. სამაგიეროთ ასურელები სკვითებს დაუმე-
გობრდენ, მედელებმა ხელახლა შემოარტყეს ალყა ნინევიას.
ამავე დროს ქალდეველები მესოპოტამიაში შეიჭრენ. ამბობენ
თითქოს სკვითებმა სცალეს ნინევიას ხსნა, მაგრამ ვერ შეს-

ძლეს. 696. წელს კიაკსარმა აიღო ეს ქალაქი და მით სამუდამოთ დასცა ასურეთი. მისი ტერრიტორია როგორც წინათაც ვთქვით მედელებმა და ქალდეველებმა გაიყვეს. მთავარი ნაწილი მედიას ერგო რასაკვირველია. შემდეგში უკანასკნელი სომხეთს და კაპპალოკიასაც იპყრობს და ჰალისს აღწევს. აქ მას მეორე ახალგაზღდა სამეფო ელობება წინ—ლიდია, რომელმაც როგორც დავინახეთ მოსპო ამასობაში ქიმერიელთ ბატონობა და თვით მოისურვა მცირე აზიაში გაბატონება. ქიშპობა ბრძოლით გათავდა, რომელიც 28 მაისს 585 წელს მოხთა.

ჰეროდოტეს სიტყვით ბრძოლა გაღუწყვეტელი დარჩა, რადგან შეჯახების დროს მზის დაბნელება მოხთა, რომელიც ორივე მხარემ ღვთის წყრომათ მიიღო. ღმერთმა იცის რამდენათ მართალია ეს ცნობა. ყოველ შემთხვევაში მოპირდაპირენი დაზიადებ და ჰალისი დაიღვეს საზღვრათ. უნდა ვიფიქროთ რომ მზის დაბნელების გარდა ბაბილონელებმაც ძალიან შეუწყვეს ხელი ზავს, რადგან ისინი ძალიან უფრთხოდენ მედიის უზომოთ გაძლიერებას.

კიაკსარის მექვიდრის შესახებ მხოლოთ ზღაპრული ცნობები მოგვეპოება. მას გამოჰვლიჯა კიროს დიდმა ტახტი და მედელების მაგიერ სპარსელები გააბატონა სახელმწიფოში.

სპარსეთი, როგორც პროვინცია დღევანდელ ფარსისტანს უდრის. ჩრდილოეთით მას მეცია საზღვრავს, სამხრით ზღვა (სპარსეთისა) აღმოსავლით (ქირმანი) ყარამანია და დასავლეთით მდინარე ოროატისი (ტაბი).

სპარსელებს ისევე, როგორც სხვა ერანელებს ამ დროს გვარტომური წყობილება ჰქონდათ. ჰეროდოტე მთელს ერს ათ ტომათ ჰყოფს. ზოგი ამ ტომთაგანი მიწათ მოქმედებას მისდევდა, ზოგი კი მესაქონლეობას. რამდენათ ძლიერი იყო ტომი, იმდენათ დიდი იყო მისი გავლენა. დასახელებულ ხანაში ყველაზე ძლიერი პასარგადი ტომი იყო. ამ ტომს ახემენიანთ გვარი წინამძღვრობდა. ტომის სულ ჰატარა ერთეულს—

ოჯახი (ანუ სპარსულათ იმამა წარმოადგენდა, შემდეგ მოჰყვებოდა კლანი (Vic), შემდეგ—გვარი (Zantu) და შემდეგ მხარე (Daghu). ამისდაგვარათ არსებობდა უფლება მამასახლისისა, კლანის უფროსისა, გვარის უფროსისა და მხარის უფროსისა.

მედელთა ძლიერების დროს სპარსელები მათი მორჩილნი იყვნენ, მაგრამ მათ მაინც საკუთარი მეფეები ჰყავდათ. მეექსე საუკუნის დამლევს სპარსეთის მეფეთ ჰახამანის შვილი ჩაისპი (თეისპე) იხსენიება. მას კურუ და კამბუზია მისღევენ. უკანასკნელის ადგილი. 558 წელს კიროს დიდმა დაიჭირა. იმის შესახებ თუ როგორ დასცა კიროსმა მედელთ ჰეგემონია ბერძნული მწერლები ზღაპრულ ცნობებს გადმოგვცემენ. მთხე უფრო საყურადღებო ერთი სიპარაში ნაპონი წარწერაა, რომელიც შემდეგს გადმოგვცემს: ანუანის (სუზიანის) მეფე კიროსმა დასთრგუნა თავისი მტრები. მეფე ისტუვეგუ (ასტიაგი), რომელიც თავისიანებმავე მისცეს მას ხელშა, მან ტყვეთ ჩაიგდო. მისი სალარო, რომელიც მას აგანიტანუაში (ეკბატანაში) ჰქონდა დაგროვილი მან თავის ხაზინას მიჰმატა. უნდა ვითიქროთ, რომ ასტიაგის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც ბევრი შრომა დასჭირდებოდა კიროსს, სანამ იგი მედიას და ყველა მის პროვინციებს ჩაიგდებდა ხელში. დაპყრობილ ერთა შორის იუსტის აზრით სომხები, იბერები, ალბანელები, მაკრანები და სხვა ქართველი ტომებიც იმყოფებოდენ. მოსე ხორენელი გვარწმუნებს, რომ სომხეთის მეფე ტიგრან პირველი კიროსის მოკავშირე იყო ასტიაგთან ბრძოლის დროს, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია.

მეზობელი სახელმწიფოები მაშინვე მიხვთენ რა საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის კიროსის მონარქია და კავშირი. შეჰკრეს მის წინააღმდეგ. კავშირში ბაბილონის და ლილიის გარდა ევვიპტე და სპარტაც იღებდენ მონაწილეობას. ლილიელებმა არ მოუკადეს სანამ კიროსი თვით დაეცემოდა მათ თავზე, გადალახდეს საზღვარი და აიღეს ციხე პტერია. შემდეგ

ისინი მოკავშირეებს უნდა შეერთებოდენ, მაგრამ კიროსმა აღარ დააცალა მათ ამდენი და დაესხა თავს ლიდიელებს. პირველი ბრძოლა გადუწყვეტელი დარჩა. ლიდიის მეფე კრეზმა იფიქრა ამით საჭმე გათავდაო (დროებით მაინც) და თავის სატახტო ქალაქ სარდეში დაბრუნდა. მაგრამ კიროსმა კიდევ უფრო დიდ ძალას მოუყარა, როგორც სჩანს, თავი, გაჰყა უკან კრეზს, შემოარტყა ალყა სარდეს და რამდენიმე ხნის შემდეგ აიღო. დატყვევებულ კრეზს მან ცალკე ქალაქი მიუსაჯა სამყოფათ ეკბატანის ახლო. ლიდიელები მალე აუჯანყდენ სპარსელებს და სკადეს მათი ულელის მოშორება, მაგრამ კიროსის სარდლებმა აღრე დააცხრეს აჯანყება და დაამთავრეს ამ ქვეყნის დაპყრობა. არც ბერძენ-კოლონისტებს ეპიტავათ სპარსელების ბატონობა. ზოგიერთმა ახალშენებმა, რომელიც წინათ ლიდიელებს ემორჩილებოდენ, სხვა ქვეყნებში გადასახლება არჩიეს სპარსელების დამორჩილებას, ზოგმა იარაღით სკადა თავის დაცვა. დაპყრობილ ახალშენებში სპარსელები ტირანებს აბარებდენ გამგეობას. ისინი უმთავრეს ყურადღებას ბაჟის აკრეფას აქცევდენ, შინაგან საქმეებში კი თითქმის სრულიათ არ ერეოდენ. ლიდიის დაპყრობის შემდეგ ჯერი ბაბილონზე მიდგა. ერთი წარწერა, რომელიც რაულინსონმა იღმოაჩინა 1875 წელს გვაუწყებს, რომ კიროსი სუზიანიდან დაეცა თავს ბიბილონს. მეფე ნაბონიდი გაეგება მას წინ, მაგრამ სპარსელებმა დაამარცხეს იგი დღევანდელ აბუ-შავრაინთან და შემდეგ სიპარაც აიღეს. ნოემბერში (538 წელს) სპარსელებმა თვით ბაბილონსაც მოულეს ბოლო. მეფე ნაბონიდი დატყვევებულ იქნა და მალე გარდაიცვალა. ბაბილონის გამგეთ კიროსმა თავის შვილი კამბიზე დანიშნა. ორი წლის შემდეგ კიროსმა თავისუფლება მიანიჭა ნებუკადრეზარისგან დატყვევებულ იუდელთ. მხოლოთ მცირე ნაწილმა ისარგებლა ნებართვით და დაბრუნდა სამშობლოში. მათმა მოქმედებამ განსაკვითრებელი შედეგები გამოიღო როგორც ებრაელთათვის. ისე მთელ კაცობრიობისთვისაც:

ბაბილონისგან დაშოკიდებული ქვეყნები თავის ნებით დამორჩილდენ სპარსელებს უნაყოფო სისხლის ღვრის თავიდან ასაკილებლათ, ამ გვარათ კიროსის მონარქია უზარმაშარი სივრცისა შეიქნა. საღამდი უწევდენ მისი საზღვრები აღმოსავლეთით არ ვიცია, მაგრამ აღვილი საფიქრელია, რომ კიროსი ყველა იმ ქვეყნებსა ფლიბდა, რომელნიც შემდეგ დარიოზის წარწერაში იხსენებიან¹). ბერძნული მწერლობის გადმოცემით ბოლო დროს კიროსმა ჩრდილოეთ ირანში მცხოვრებ ნომადების წინააღმდეგ გაიღა შქრა. ამ ნომადებს ზოგი მასსაგეტებს უწოდებს, ზოგი დაჰებს, ზოგი კი დერბო კებს. მათის მტკიცებით კიროსი დაიჭრა ამ ბრძოლაში და გარდაიცვალა (529 წელს). ჰეროდოტე და კსენოფონტე სამაგალითო მეფეთ სახავენ კიროსს. რამდენათ შეეფერებოდა. ნამდვილი კიროსი მათგან დასახულს ძნელი საოქმელია. კიროსის დროს ეკუთვნის აღმათ მწერლობის შემოტება სპარსეთუ ში. საწერი ნიშნები სპარსელებმა ბაბილონელებისაგან ისესხეს, და ასოებათ გადააკეთეს ისინი. (ბაბილონელები კი აშ)

1) თუ ეს ასეა მაშინ საქართველო ისევე, როგორც სომხეთი კიროსის დროსვე უნდა მოჰყოლოდენ სპარსელთ ულელსა და ზედგავლენის ქვეშ, რომელმაც აქედან არაბების შემოსევამდე გასტანა ჩვენში. სომხეთი რომ კიროსის ხელში უნდა ყოფილიყოს ამას დარის წარწერა გვიმტკიცებს. ვინ დაიპყრო ან როდის (თუ არ კიროსში) ეს ქვეყანა, რომლის დაცხრობა ასე უძნელდება დარიოზს?

თუ სომხეთი კიროსის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ საქართველოც მის ხელში უნდა ყოფილიყო. წინააზიას არასოდეს. მოსწრებია ძლიერი მბრძანებელი, რომელსაც სომხეთი ან მცირე აზია პყრობოდეს და საქართველოსათვის კი არ გაეწოდოს ხელი. არშაკუნიანები, რომაელები, სასანიანები, არაბები ყველა საქართველოსაკენ მიიშვენ ზემოთ დასახელებულ ქვეყნების დაპყრობის შემდეგ. რომელი სამეფო არ ინატრებს კავკასიონის დიდებულ ქედს როგორც ბუნებრივ საზღვარს. რომელი მთავრობა ვერ მიხვდებოდა კავკასიონის კარების მნიშვნელობას. რა უნდა დასდგომოდა მაშასადამე წინ კიროსის მონარქიას, რომლის სული და გული ომი და ქვეყანათა დაპყრობა იყო.

ნიშნებს ან სიტუაციების, ან მარცვლების მაგიერათ ხმარობდენ).

ამ გვარათ შეიძინეს სპარსელებმა ვე ასო, რომელთა შემწეობითაც გაცილებით უფრო ადვილი იყო აზრების გამოხატვა ვიდრე იღეოგრამებით. რომელიმე ასოს შესაძნათ სპარსელები ასე იქცეოდენ: ისინი ბაბილონურათ წაიკითხავდენ ხოლმე ნიშანს (ასო-სიტყვას) გადათარგმნიდენ მას სპარსულათ და რა ასოთიც იწყებოდა სპარსული სიტყვა იმ ასოს აღმნიშნავათ დასდებდენ ხოლმე ნასესხებ ნიშანს.. მაგალითათ იდეოგრამა, რომელსაც ბაბილონელები „სა-ა-თ“ კითხულობდენ სპარსულში ასო „ა-ს“ უდრიდა, რატე ბაბილონური სიტყვას „სა-ა-ს. (ბატონობა) სპარსულათ მთარგმნელი სიტყვა“ „აჰურა“ — ასო „ა“-თი იწყება.

კიროსი პასარგადეში იქმნა დასაფლავებული, რომლის აშენებას მასვე მიაწერენ. მისი ადგილი ტახტზე მისმა შეილმა კამბიზემ დაიჭირა. დარიოზის წარწერა გვიყვება, რომ კამბიზემ ტახტზე ასვლისას მოჰკლა თავისი ძმა სმერდისი ანუ ბარდია. რა იყო ამის მიზეზი არ ვიცით, რადგან ამ მეფის შესახებ ცნობები ნაკლებ მოვვებოება.

კამბიზეს დროს ეგვიპტესაც უნდა ეგრძნო სპარსეთის რისხვა, მით უფრო, რომ იგი თავის დროს მის წინააღმდეგ მიმართულ კავშირში იღებდა მონაწილეობას. კამბიზემ გადასწყვიტა ორი მხრივ მიეტანა იერიში ეგვიპტეზე: ზღვით და ხმელეთით. ფლოტი მან ფინაკიელებს, კიპრელებს და მცირე აზიელ ბერძნებს შეადგენია. ამავე დროს არაბებს ბრძანება ჰეროდიათ გაცემული, რომ უდაბნოში ჯარს წყალი არ დაჰკლებოდა. ამაზ-მეფე (II) აღარ მოსწრებია ამ უბედურობას. მისმა მემკვიდრემ პსამიტიქ III პელუზიუბთან გადუღლობა გზა სპარსელებს, მაგრამ რა შეეძლო ექმნა ამ პატარა ქვეყანას, როდესაც მთელი აზია იყო მის საზღვრებზე მოზღვავებული. დამარცხებული მეუე მემფისში გაიქცა და იქ გამაგრდა. კამბიზემ მოციქულები გაუვზავნა მას და დამორჩილება ურჩია, მაგრამ გამწარებულმა ეგვიპტელებმა ჩაქოლეს მოციქულები, ამის შემ-

დეგ კამბიზე თვით გაემართა მუმფისისაკენ, აიღო იგი და თი-
თო მოკლულ სპარსელს ათი ეგვიპტელი წააკლა თავზე. პსა-
მიტიხს იგი მოწყალეთ მოეპყრო. მას სურდა ეგვიპტის გამგე-
ობაც მისთვის ჩაებარებია, მაგრამ პსამიტიხი შეთქმულობაში
ჩაერია და სიკვდილით იქმნა დასჯილი.

ეგვიპტის გამგეთ ამის შემდეგ არიანდე იქმნა დადგენი-
ლი. ოოგორ ეპყრობოდა კამბიზე ეგვიპტელებს ძნელი სათ-
ქმელია. ბერძნები ისე აგვიწერენ საქმეს, თითქოს სპარსელების
უდელი ფუტანელი ყოფილიყოს ეგვიპტისთვის. ერთი ადგილო-
ბრივი წარწერა კი პირიქით დიდის ქებით იხსენიებს კამბიზეს
მმართველობას. უნდა ვითიქტოთ, რომ ეს მართლაც ასე იყო.
ზემოთაც დაცინახეთ, რომ სპარსელები სრულიათ არ ავიწრო-
ებდენ თავის ქვეშევრდომ მცირე აზიელ ბერძნებს. კამბიზე:
არ დაკმაყოფილდა ეგვიპტეს და ეთიოპიასაც ეწვია. ოოგორ-
ცა სჩანს ზოგი ზანგთა ტომიც კი ემორჩილებოდა მას, კამ-
ბიზეს კართაგოს დაპყრობაც სურდა, მაგრამ ფინიკიელი ზღვა-
ოსნები ძალიან მტრულათ შეჰვდენ ამ დაპირებას, და იგი
იძულებული შეიქმნა მიეტოვებია ეს აზრი.

კამბიზეს ეგვიპტეში ყოფნის დროს სპარსეთში მოგვმა
გაუმატამ ბარდიათ (რომელიც როგორცა ვსთქვით კამბიზეს
ტახტზე ასვლის დროს იქმნა მოკლული) გამოაცხადა თავი და
ჩაიგდო ტახტი ხელში 522 წელს. კამბიზეს როგორცა
სჩანს ნაკლებათ სწყალობდენ თავის ქვეშევრდომები, სხვაფრივ
ძნელი ასახსნელია ეს ცვლილება. მეთე საჩქაროთ გამოეშუ-
რა ეგვიპტიდან, მაგრამ სანუგეშოთ ვერ სცნო მდგომარეობა
ალბათ და ეკბატანაში თავი მოიკლა. კამბიზე უკანასკნელი
წარმომადგენელი იყო კიროსის ჩამომავლობისა. მათი შესწყდა
მაშასადამე სამეფო გვარეულობა. გადარჩა მხოლოთ ერთი
შტო, ოომელიც ჰახამანისიდან მომდინარეობდა აგრეთვე. ამ
შტოს ეკუთვნოდენ ჰისტასპე და მისი შვილი დარიოზი. უკა-
ნასკნელის წარწერა გვაუშევებს, რომ ტყუილა სმერდიზი შე-
ურაცხოფდა სპარსულ ეკლესიებს. როგორცა სჩანს შედიელთ

რწმენა რამოჟენიმეთ განსხვავდებოდა სპარსელების რწმენისა-
გან, (თუმცა ორივე ზორისატრიიანები იყვნენ) სხვაფრივ გაუ-
გებარი იქნება ეს ცნობა. დარიოზმა ისარგებლა ხალხის უკ-
მაყოფილებით და შვიდ სხვა წარჩინებულთან ერთათ შეთქმუ-
ლება მოახდინა უზურპატორის წინააღმდეგ. შეთქმულთ ჩაიგ-
დეს ხელში ტყუილა სმერდიზი, მოჰკლეს იგი და დარიოზი
გამოაცხადეს მეფეთ (521 წ.). საუბედუროთ ამ რევოლუც-
ციას მედელების აჯანყება მოჰკვა, რომელთაც არ უნდოდათ
სპარსელებისთვის დაეთმოთ გავლენა. აჯანყების ცეცხლი მა-
ლე მთელს სახელმწიფოს მოედო. ყველა დაპყრობილმა ერებმა
მოინდომეს სპარსელების ურდოსგან განთავისუფლება. ახალ-
გაზრდა მონარქია მეტათ დიდ განსაცდელში იყო. ბეჭისტა-
ნის წარწერა 19 დიდ ბრძოლას ჩამოგვითვლის, რომელიც
დარიოზმა გადიხადა სანამ იგი საქმეს მოაგვარებდა. 521 წელს ვე
მედიას სუზიანა მიჰკვა, სადაც აჯანყებას ათრინა ხელმძღვანე-
ლობდა. დარიოზმა სძლიი მას და აწამა, მაგრამ ამავე დროს
ბაბილონში ნატინ ტაბელმა ნებუკადრეზარის შვილათ გამო-
აცხადა თავი. 6 დღის გამწარებული ბრძოლის შემდეგ სპარ-
სელებმა სძლიეს მას ტიგროსის ახლო, შემოარტყეს ალყა ბა-
ბილონს, აიღეს იგი და ეს უზურპატორიც აწამეს. მაგრამ სუ-
ზიანა ხელახლა აჯანყდა ვიღაც მარტიას წინამძღლოლობით,
რომელიც იმანით ირქმევდა თავს. საბეჭნიეროთ ხალხმა მალე
მიატოვა იგი, ასე რომ დარიოზს დიდი სისხლის ღვრა. არ
დასჭივრებია ამ ახალ აჯანყების დასაცხრობათ. მედიაში ამ დროს
ფრავარტი განაგებდა საქმეს, რომელიც კიაქსარის შვილათ
აცხადებდა თავს. დარიშ სარდალი ვიდარნა გაგზავნა მის წი-
ნააღმდეგ მაგრამ მან ვერა დააკლო რა უზურპატორს და იძუ-
ლებული შეიქნა მაშველი ჯარის მოლოდინში თავის ბანაკში
გამაგრებულიყო.

ამავე დროს აჯანყებული სომხების წინააღმდეგ დადარჩი
შოქმედებდა თავის ჯარით, მაგრამ ვერც ამას წაუვიდა საქმე
კარგათ. სომხებმა სძლიეს მას და ძალიან შეავიწროეს. მიუხე-

დავათ ამისა მათ მაინც ვერ შესძლეს მისი სომხეთიდან გამო-
დენა. დარიოზი იძულებული შეიქნა სარდალი ვაჰუმიზა მიე-
შველებია მისთვის, მაგრამ ვერც მან შესცვალა მდგომარეობა;
პირიქით სომხები ორჯერ დაეცენ მას თავს და ისიც ძალიან
შეავიწროეს. ასე რომ ვაჰუმიზაც იძულებული შეიქნა ბანაკში
გამაგრებულიყო და ეცადა სანამ ახალი ჯარი მიეშველებოდა
მას. ამ აჯანყებათაგან ყველაზე საშიშარი ბაბილონისა იყო.
მისი დაცტრობის შემდეგ დარიოზი თავის ჯარით ვიდარნას სა-
შველათ გაემართა. სძლიი ფრაგარტის, დაიჭირა იგი და დაამა-
ხინჯა (ცხვირი და ყურები დააჭრა). შემდეგ იგი თავის მამას
ჰისტასპესკენ გაეშურა და აქაც დააცხრო (პართა) აჯანყება.
ამის შემდეგ დარიოზი სომხეთისკენ ფირქრობდა გალაშქრებას.
მაგრამ, ამ დროს სპარსეთში ახალი სმერდიზი გამოტყვდა. სა-
ბეღნიეროთ სარდალშა არტავარდიამ მაღლე მოულო მას ბოლო.
შემდეგ როგორცა სჩანს სომხეთში და სხვა პროვინციებშიაც
მოაგვარა დარიოზმა საჭმე.

ამ არეულობის დროს ეგვიპტეში კამპიზესგან დაყენებუ-
ლი არიანდე სრულიათ დამოუკიდებელი გახდა და ფულის
ჭრაც კი იწყო თავის სახელით. სამეფოს დაწყნარების შემდეგ
დარიოზი გაემგზავრია იქეთვენ, დაიჭირა არიანდე და აწამა. მე-
ფის ეგვიპტეში ყოფნის დროს სომხეთი ხელახლა აჯანყდა.
ვიღაც არახამ ნებუკადრეზარათ გამოაცხადა აქ თავი, მაგრამ
სარდალშა ვინდავრანამ დაიჭირა იგი და ჯვარს აცეა. ეგვიპ-
ტეში დარიოზი დიდის თავაზიანობით ეპყრობოდა ადგილო-
ბრივ მცხოვრებთ. მან აუგო აქ ლმერთ ამონს ტაძარი, დაა-
მთავრა აგრეთვე ის არხი, რომელიც თავის დროზე ნექომ დაი-
წყო ნილოსის ზღვასთან შესაერთობლათ. ამ არხმა ძალიან შეუ-
წყო ხელი ეგვიპტეს და ინდოეთის შუა ვაჭრობას. იგი ტრაია-
ნეს დროსაც კი ვარგოდა სახმარათ. შემდეგ არაბებმა ხელახლა
აღადგინეს იგი.

დარიოზის ეგვიპტეში ყოფნის დროს მოუკვდათ ეგვიპტე-

ლებს აპისი¹⁾). მეფემ დიდი თანხა დასდო მის ჯილდოთ, ვინც
ახალ აპისს აღმოაჩენდა ეგვიპტეში.

დარიოზმა თვითონ გამოსცადა ოამდენათ იყო მისი უზარ-
მაზარი სამეფო მჭიდრო ორგანიზაციას, მოკლებული. ამიტომ
მან ვადასწყვიტა ძირითადი ცვლილებები მოეხდინა მართვა გამ-
გეობაში. მთელი სახელმწიფო მან ოამდენიმე ნაწილათ დაჰყო,
რომელთაც სათავეში სატრაპები ჩაუდგნენ. (ხშატრაპეან —
დაახლოებით ჩვენს ერისთავს უდრის = Landesherrschere). ბეჭისტანის წარწერა 23 სატრაპიას ჩამოგვათლის, ჰერდოტე
კი, რომელიც ორტაკსერქსეს სიებით სარგებლობდა, მხოლოთ
ოცს. სატრაპები ჩვეულებრივ მეფის მახლობელთაგან ირჩეო-
დენ. მათ ებარათ ადგილობრივი სამხედრო-ძალები, ამასთანა-
ვე მართვა-გამგეობა და ბაჟის აკრეფა. ამ გვარათ სატრაპი
თითქმის განუსაზღვრელი მეფე იყო თავის სატრაპიაში²⁾. და-
რიოზს კარგათ ესმოდა ეს. ამიტომ მან ამ გვარათ შეზღუდა
მათი ძალა. მან ჩამოაშორა მათ გავლენას ციხეები და დიდი
ქალაქები, რომელთა გამგეები სრულიათ დამოუკიდებელნი
იყვნენ მისგან. მან შეჰქმნა ცალკე მეთვალყურეთა ჯგუფი,
რომელნიც ჩუმათ ზვერავდენ სატრაპების მოქმედებას და შემ-
დეგ მეფეს გადასცემდენ ყველაფერს. დრო გამოშვებით მეფის
მიერ არჩეული მოხელე ჯარით ეწვეოდა ხოლმე სატრაპს და
ანგარიშსა სთხოვდა მას. გარდა ამისა ყოველ სატრაპს გადა-
წყვეტილი თანხა უნდა ეძლია ხაზინისათვის წლიურათ. ამ თან-
ხებიდან სამეფოს 14 ათასი ტალანტი (320 მილიონამდე მანე-
თი) შემოსდიოდა წლიურათ.

მეტათ მნიშვნელოვანი იყვნენ დარიოზის ფინანსიური რე-
ფორმებიც. აქნამდი სახელმწიფოში სხვა და სხვანაირი ფული
ტრიალებდა. მათ შორის დამოუკიდებულება არ იყო კანონით

¹⁾ ხარი, რომელსაც განსაკუთრებული ნიშნები უნდა ჰქონოდა
და რომელიც ღმერთი პტაჭს განხორციელებათ ითვლებოდა.

²⁾ მით უფრო, რომ ზოგიერთ მათგანს მაგალ. პონტოში და სომ-
ხეთში უფლება მამიდან შვილზე გადადიოდა.

განშარტებული, და ეს დიდ უწესრიგობას იწვევდა ვაჭრობაში. დარიოზმა აღკვეთა ეს უწესოება. მან თვით იწყო ფულის ჭრა და ერთი მთლიანი სისტემა გააბატონა მთელ სახელმწიფოში. უდიდესი ზომას ამ სისტემაში ტალანტი წარმოადგენდა, რომელიც ორნაირი იყო — დიდი და პატარა; პირველი დაახლოებით $121\frac{1}{2}$ გირვანქას = უტრიდა, მეორე კი $60\frac{2}{3}$ -ს. ტალანტის $\frac{1}{6}$ -ს მინა წარმოადგენდა, რომელიც თავის მხრივ 60 შეკელათ იყოფოდა. ფული ზოგი ოქროსი იყო, (როგორც მაგალითათ დარეიკონი), ზოგი კი ვერცხლისა. ფულებზე ჩვეულებრივ შემდეგი გამოხატულებანი იხმარებოდენ: შეფე, (რომელიც შუბით და ჯილითაა აღჭურვილი) ხომალდი, ეტლი (შემცული) და ქალაქი. დარიოზი მეტათ მოწადინებული იყო ვაჭრობა-მრეწველობა განევითარებია თავის სამეფოში. ძალიან სასარგებლო უნდა ყოფილიყო ამ მიზნის განსახორციელებლათ სახელმწიფო გზების გაყვანა. ერთი მათგანი (უმთავრესი) სუზიდან იწყებოდა, შემდეგ გადივლიდა არბელას, დიარბაკირს, კომანას და სარდეს აღწევდა. მეორე გზა ისსოსიდან ერზინგიანამდე მიღიოდა და შემდეგ საქართველოსკენ აჰყვებოდა. ბიავარ გზაზე 111-ი საფოსტო სადგური ითვლებოდა. სადგური ამასთანავე ჩაფარხანას წარმოადგენდა; საღაც შიკრიკებს მუდამ მზათ ჰყავდათ შეკაზმული ცხენები ოფიციალური ბრძანებების ჩქარა გადასაცემათ.

ვაჭრული მოსაზრებითვე ხელმძღვანელობდა დარიოზი, როდესაც მან სკილაქსის ექსპედიცია მოაწყო არაბეთის გა-მოსაკლევათ.

თავის მეფობის ბოლო დრო დარიოზმა ლაშქრობებში გაატარა. პირველ ყოვლისა მან მოისურვა სამხრეთ რუსეთში მცხოვრები სკვითების დამორჩილება. რისთვის დასჭირდა ეს სპარსეთის მეფეს არ ვიცით. შესაძლოა სკვითები თავის მოულოდნელი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდენ სპარსეთის განაპირა პროვინციებს. სანამ ლაშქრობას მოაწყობდა მეფემ შავი ზღვის ნაპირების გამოკვლევა დაავალა თავის მეზღვაურებს,

515 წელს მან გადაიარა თავის ჯარით ბოსფორი და გაემართა ჩრდილოეთისკენ. დუნაის ნაპირებზე, ამ დროს გეტები ცხოვრობდენ. დარიოზმა დაიპყრო ისინი და გადიარა დუნაი. ოთვორუ ჰეროდოტეს მოწმობიდან სჩანს იგი ფიქრობდა ჩრდილოეთ კავკასიაში მისულიყო და დაჩიალის ხეობით დაბრუნებულიყო სპარსეთში. მაგრავ არც მას და არც მის თანამედროვეთ არ ჰქონდათ წარმოდგენა სამხრეთ-რუსეთის სივრცის შესახებ, სადაც ამ დროს ნომადები დახეტიალობდენ თავის ჯოგებით. ამ უკანასკნელების და მორჩილება შეუძლებელი იყო, რადგან ესენი ერთ დღეს აქ იყვნენ თავის სარჩო-საბადებელით და მეორე დღეს სულ სხვაგან.

ლაშქრობამ უნაყოფოთ ჩაიარა და მხოლოთ სახელი გაუფუჭა სპარსეთის ძლიერებას; მეტადრე მცირე აზიელი ბერძნების თვალში, რომელთაც 500 წელს იარაღით სუადეს სპარსეთის უღლის მოშორება. აჯანყებაში კიპრიდან მოყოლებული ბოსფორამდე ყველა ახალშენებმა მიიღეს. მონაშილეობა. მათს ძალას ფლოტი წარმოადგენდა, მაგრამ მასაც სძლიერ სპარსელებმა კუნძულ დიადეს ახლო. 495 წელს მათ აიღეს და დააქციეს მილეტი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა აჯანყებაში. შემდეგ ასეთივე ბედი ეწვია სხვა აჯანყებულ ქალაქებსაც. გამარჯვებულმა სპარსელებმა აღარ მოისურვეს ამით დაქმაყოფილება. მარდონი შეეცადა ფრაკიაში და მაკედონიაშიაც მოეკიდებია ფეხი. შემდეგ მან საბერძნეთზედაც გაილაშქრა, მაგრამ ათოსის ახლო ქარიშხალმა დაამსხვრია მისი ფლოტი დი ცდამ ტყულა ჩაიარა. ორი წლის შემდეგ 490 წ. სპარსელებმა ხელ-ახლა მოაწყვეს ლაშქრობა და გადავიდენ ატტიკაში, მაგრამ მარათონის ველზე ათენელებმა სძლიერ სპარსელებს და მით თავის ვაჟკაცობით და სისხლით გამოისყიდეს თავისუფლება. ამ ზედი ზედმა დამარცხებებმა ძალიან გაუტეხეს სახელი სპარსეთს. შის აღსაღენათ დარიოზმა გადასწყვიტა უსათუოთ დაეპყრო საბერძნეთი და ენერგიულათ შეუდგა მზადებას. მისდა საუბედუროთ ამ დროს ეგვიპტეში

აჯანყება მოხდა და სპარსეთის საბერძნეთისთვის აღარა სცხელოდა. ამასობაში მას სიკვდილმაც უწია, (485 წელს) ასე რომ იგი ეგვიპტის დიმშვიდებასაც კი ვერ მოესწოო. იმ გვარათ საბერძნეთში ლაშქრობა ჯერ-ჯერობით გვერდზე დარჩა.

ერანს ძვირათ მოსწრებია ისეთი დიდებული შეფე როგორც დარიოზი. იგი ხშირათ დესპოტურათ სასტიკი იყო თავის მცრავების წინააღმდეგ, მაგრამ არც სულგრძელობა იყო მისთვის უცხო რამ, არც ერთ მეფეს არ მიუძლოდა ისეთი დიდი ღვაწლი სპარსეთისადმი, როგორც მას. უცხო ტომის ქვეშევრდომთ წინააღმდეგ იგი მეტათ აზრიან პოლიტიკას აწარმოებდა. ლმობიერათ ეპყრობოდა მათ რწმენას. ენებს კი (ელამურს სუზურს) ისეთივე უფლებები ჰქონდათ მის სამეფოში, როგორც თვით სპარსულს.

დარიოზის ადგილი ტახტზე მისმა შვილმა კსერკსემ (სპარსულათ ხშაიარშა) დაიჭირა (485—65). პირველი მისი ზრუნვა ეგვიპტის აჯანყების დატრობა იყო. მისმა ჯარმა მალე დაამარცხა აჯანყებულთა მეთაური ხაშაბო და აღადგინა წესიერება, რის შემდეგ ეგვიპტის გამგეთ შეფის ძვა ახემენე იქმნა დანიშნული, რომელმაც სასტიკი რეუიმი შემოიღო აქ. ეგვიპტელებს ბაბილონელებმაც წახედეს, აჯანყდნენ და მოჰკლეს სატრაპი ზოპირი, მაგრამ მისმა შვილმა მეგაბიზემ მალე დაამზო აჯანყება. სახელმწიფოს დაწყნარების შემდეგ კსერკსე ენერგიულათ შეუდგა საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობის მოწყობას. ჯარების თავმოსაყარ ადგილათ სარდე იქმნა არჩეული. აქედან დაიძრა იგი 480 წელს და ხომალდებისგან შემდგარი ორ ხიდის შემწეობით გადაიარა ჰელლესპონტი. ჯარის რაოდენობას ჰეროდოტე 5 მილიონათ აღრიცხავს. თერმოპილეს წარწერა 5 მილლ. კტეზიასი 800 ათასათ, თავის თავათ ცხადია ყველა ეს ცნობები მეტის მეტათ გადაჭარბებულნი არიან. პატრიოტულის გოძნობით გატაცებული ბერძნული მწერლები ცდილობდნენ რაც შეიძლება სახელოვანათ გამოეყვანათ თავის გმირული წარსული. ეს აუ-

კოლი გასავებია, მაგრამ სისულით ვთქვებითია, რატომ იმურ-
ჩებენ დღესაც ახეთვე უძრაო მტკიცების ისეთი სცენისალისტე-
ბი, როგორც იუსტი და ნოლედეკი, რომელიც ერთ მილო-
ნათვე რაცხენ ქსერქსეს ჯარის. ერთი მოლობი ჯარი არა თუ
ქსერქსეს თვით ჩინგიზხანისაც, კი არ გამოუყვანია ბრძოლის
ველზე. ახეთი დიდი ჯარის დაგროვდა, დაძერი და სურსათით
უზრუნველყოფა ლაშქრობის დროს, მხოლოდ ტეხნიკურათ
განვითარებულს დღვევინდელ სახელმწიფოს შექძლია, სპარსე-
თი კი მოკლებული იყო ამ საშეღებების. დელბრიუკი სა-
მართლიანათ დასკვნის, რომ ქსერქსეს ჯარი 60 ათასზე მეტი
(45—55-მდე) არ უნდა ყოფილოყო.

ლაშქრობაში კავკასიური რაზმებიც იღებდენ მონაშილე-
ობას. ჟერმდოტეს მოწმობით სომხებს და ფრიგიელებს არტო-
ნდე სარდლობდა. ესენი ტყავისგან მოწნეულ-მუზარადებით, ვი-
წრო ფარებით და შებებით იყვნენ შეიარაღებულნი. მესხებს
და ტიბარენებს დარიოზის შეიღო არომატიდ წინამდლვრობდა
გაერთინებს და მოზინოკებს — არტიკატე, კოლხებს და მარებს —
ფარანდატე; სისირებს და აღაროდიებს-მასისტე. ქართველი
ტომები ასე იყვნენ თურმე მეიარაღებულნი; მესხები, ტიბარე-
ნები, პაკრინები და მოზინოკები ატარებდენ სელისგან ნაქსოვ
საცავებს, მუზარადს, პატარა ფარებს და გრძელ შებებს კოლ-
ხები და სასპირები — ხის მუზარაღებს, ტყავის ფარებს, მოკლ
შებებს და ხმლებს. რეინის მუზარაღებით მხოლოდ სპარსელი
ქვეით ჯარი იყო აღჭურვილი. სპარსელებმა გაარღვიეს თერ-
მოპილეს კარები, ჩაგვენ ატტიკაში და არებს ათენი, მაგრამ
ჰერძნებმა დაამარტეს სპარსელი ფლოტი და ამის შემდეგ
ჯარიც იმულებული შეიქ. ა უკან დახხოა (უფლოტოთ შეუძ-
ლებელი იყო. ჯარის უზრუნველყოფა სურსათით). ქსერქსე
უკან დაბრუნდა და ოქსალიაში მარდინი დასტოვა ჯარის ნაწილით
შედევში ომის ვანსახელებლათ. 479 ჩელი ბერძენი შეერთე-
ბულმა ძალებმა სძლიერს სპარსელები შრატეს ახლო და მით
სამუდამოო განუკროლს. მათ კლიმატის დაპყრობის მიზანი

მაღვე მათ ფრაკიიდან და მაკედონიიდანაც გამოდენეს ესტ-
ნი და მცირე აზიელ მოძმეულებაც გაუწოდეს ხელი. რამდენო-
მე წლის შემდეგ ქსერქსე სასახლის რევოლუციის მსხვერპლი
შეიქნა. გვარდიის უფროსი არტაბანი და საჭურისი მითრა-
დატე შეითქვნენ და გამოასალმეს მეფე სიცოცხლეს.

ქსერქსეს დროს ფუფუნებამ როგორც ამბობენ უმაღლეს
წერტილს მიაღწია. თავის თავათ ცხატია იგი უველაზე უფრო
სასახლეში იყო განვითარებული. მეფის სამკაულები 12 ათასი
ტალანტი ღირდა. სასახლეში ჭამასმას განსაკუთრებული ყუ-
რადლება ჰქონდა მიქცეული. განთქმული მზარეულები ისეთვე
დიდ ჯილდოს იღებდენ როგორც სახელმწიფოს უდიდესი მო-
ლვაწენი. ყოველი პროვინცია ვალდებული იყო თავის საუკე-
თესო ხილი ეგზავნა მეფის სლფრისთვის. სპარსელებმა შემო-
ლეს ტკბილეულობის (დესსერტის) ხმარება საჭმელის შემდეგ
სხვათა შორის ჭამის წინ და მის შემდეგ ხელის დაბანას წესი
მოითხოვდა.

არტაბანს თვითონ უნდოდა გამეფებულიყო, ამიტომ მან
ქსერქსეს მისი უფროსი შვილი დარიოზიც მიაყოლა თან, მაგ-
რამ მეორე შვილმა არტაქსერქსე — მხარგრძელმა (ლონგიმანი
— დარგარდასტა) თვითონ გამოათხვეა იგი სიცოცხლეს და დაჯ-
და ტახტზე. ეს მისმა უფროსმა ძმამ ჰისტასპერ არ იჩინავა და
წაედავა მის ტახტს, მაგრამ არტაქსერქსემ არჯერ სძლია მას
და შეინარჩუნა ტახტი. ამ არეულობების დროს ლიბიის მთა-
ვარმა ინაროზმა ააჯანყა ევვიპტე, მოპკლა ახემენე და მოელი
პროვინცია იგდო ხელში. მოუხედავათ ამისა მას არ ჰქონდა
თავის იმედი და ამიტომ ათენელებს შესთხოვა შველა, რო-
მელთაც მართლა მიახმარეს მას ესკადრა. სპარსელებმა ცხარე
პროტესტი განაცხადეს ამაზე, მაგრამ აქედან რასაკვირველია
არა გამოვიდა რა. ამის შემდეგ სპარსელებმა სირიის სატრაპი-
მეგაბიზეს გამოუწყეს ჯარი და ფლოტი და დაავალეს ეგვიპ-
ტის დაცხობა. მეგაბიზემ მართლაც კარგათ წილვანა საჭმე.
455 წელს მან მოსპო ათენელთ ესკადრა, სძლია ეგვიპტელებ-

საც, დაიჭირა ინარობი და ჯვარს აცეა იგი. ამ გამარჯვებამ ისეთი გავლენა იქმნია ბერძნებზე, რომ ისინი სპარსეთის სასარგებლო ზავზედაც კი დათანმხდენ, რომელიც 449 წელს იქმნა შეკრული, როგორ ჩაიარა არტაქსერქსეს მეფობის დანარჩენბა დრომ, ამის შესახებ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოება. ყოველ შემთხვევაში ის, რასაც კტეზიასი გვიყვება ამ საგნის შესახებ გვიმტკიცებს, რომ შინაგანი მდგომარეობა სახელმწიფოში მეტათ ორჭოფი იყო და ხშირათ ირლვეოდა აჯანყებებისაგან. განსაკუთრებით საშიშარი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის სატრაპის მეგაბიზეს აჯანყება. არტაქსერქსე ძალით ვერას გახთა რა მის წინააღმდეგ და იძულებული შეიქნა მორიგების გზას დასდგომოდა.

მოუხედავათ ყველა ამ უბედურობისა არტაქსერქსემ მაინც გამოავარგა ქსერქსეს დროს აწერილი ფინანსიური მდგომარეობა.

ამ მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტი მისმა შეიღმა ქსერქსე მეორემ დაიჭირა, მაგრამ 45 დღის მეფობის შემდეგ იგი თავის ნახევარ ძმის სოგდიანებს მსხვერპლი შეიქნა. უკანასკნელს თავის მხრივ მესამე ძმა, ოხოსი წაედავა ტახტს. 423 წელს ოხოსმა სძლია ძმას და დარიოზ მეორის სახელით თვით იპყრა სკიპტრა, მაგრამ არც მას ჰქონია მოსვენება. სირიაში მას არსიტე (ძმა) აუჯანყდა, ლიდიაში კი სატრაპი პისსუთენე. არსიტე, რომელსაც თავისმავე ჯარმა უღალატა, მალე ჩაუვარდა მეფეს ხელში. სამაგიეროთ პისსუთენეს ვერა, მოუხერხა რა მთავრობამ, სანამ იგი მეფის ერთგულმა სატრაპშა ტისსაფერნბა არ მოაკვლევია ვერაგულათ. მაგრამ მისმა შეიღმა ამორგოსმა, რომელმაც შემდეგ ათენელებიც მიიშველა, ენერგიულათ განაგრძო ბრძოლა. ამ აწერილობის დროს ეგვიპტემაც იხელთა დრო და ხელისხლა გადიგდო სპარსელების უღელი. სახელმწიფო იმდენათ დაქვეითებული იყო, რომ მან ვეღარ შესძლო ამ ფრიად მნიშვნელოვანი პროვინციის უკან დაბრუნება. ბერძნების წინააღმდეგ სპარსეთი ამ დროს შულლის პოლიტიკას

აშარმოებდა. მათთვის ჯერჯერობით ათენელები უფრო საში-
შარნი იყვნენ (თავის ფლოტით), ამიტომ ესენი სპარტის უკერ-
დენ მხარს. მათის დახმარებით დასცა მეფე ლიზანდრემ ათენს
უკინასენ ელო ლაშვარი. (ათენის აღება სპარტელების მიერ 40 წ-
წელს).

ამ წელსვე გარდაიცვალი დარიოს მეორე. მისი ადგილი
არსაკემ იგივე ორტაქსერქს შე-II-მ დაიკირა. უძუროსი შეილი
დარიოზისა კიროსი ამ დროს მცირე აზიაში იყო. მამის სიკვდი-
ლის გაგებისას ესეც ეცადა ტახტის ხელში ჩაგდებას; მაგრამ
მისი ცდა დაგვიანებული აღმოჩნდა. ორტაკ-
სერქს შეორე—მნემონი) დაატყვევა იგი, მაგრამ დედოფალმა;
პარისატისმა იმდენი ქნა, რომ გაანთვისუფლებია იგის კირო-
სი ხელახლი დაბრუნდა მცირე აზიაში რა მოფიქრებულიათ შე-
უდგა. ნიადაგის შხადებას თავის ძმის ტახტიდან ჩამოსაგდებათ.
ამისათვის პირველ ყოვლისა ჯარი იყო საკირო. სხვა და სხვა-
მიზეზების მოდებით მან ცამეტი ათასამდე დაქირავებულ ბერ-
ძენს მოუკარა თავი, რომელნიც ამ დროს საუკეთესო ჯარს.
წარმოადგენდენ და ბეჭრათ სჯობდენ სპარსელებს. ლიდიის ხა-
ტუას ტისაფერნებს არ გამოჰვარვია კიროსის ხაზზაღისი. მან
დროზე შეატყობინა მეფეს, რა სათრობებს უმზადებდა მას უმ-
ცროსი მხა. 401 წელს კიროსი თავისი ჯარით დაიძნა სარ-
დედან და შემდეგ დაეშვა ბაბილონისაკენ.

ბერძენებს კლიარხე, პროქსენე და შენონი წინამდლვრობ-
დენ. კუნაესასთან არტაქსერქს გამოეგება მხას თავის უზარ-
მაზარი. ლაშქრით, მაგრამ ბერძნების გუნდი შევარდენიეთ
იფრენდა ხოლმე სპარსელების რაზებს საღაც კი წააწყდებო-
და მათ. ეკვს გარეშეა, კიროსი ნააღრევათ გამოათხვებდა
ტახტს ორტაქსერქს, მაგრამ მისდა საუბედუროთ ერთი შე-
ჯახების დროს იგი დაიკრა და მოკვდა. ბერძენთ ლაშქრი
ჭირში ჩალა გამოვლებული დარჩა. კლიარხემ შესთავაზა; ბერ-
ძენების სახელით ტახტი ზოგ წარჩინებულ სპარსელს, მაგრამ
ამათა. მეტი გზა არ იყო, ამ პატარა გუნდს ხმლით უნდა გა-

ეკატერინე გვია და დაბრუნებულიყო სამშობლოში. ბოლოს სპარ-
სულებმა ლალატით წინამძღვრებიც დაუხერცეს მათ, მაგრამ მიუ-
ხვდავათ ამისა ქსენაფონტეს და სხვების წინამძღოლობით მათ
დააღწიეს თავი სპარსელებს, ავიდენ სომხეთში, გადაითავს ქარ-
თვა. ტომების-მაკრონების, კოლხების და შოზინოვების აღგოლე-
ბი და შიაღწიეს ტრაპიზონს. ამ საკუირველმა ლაშქრობამ მოელ
ჭეფანას ცხადათ დაანახვა, რომ სპარსეთი, როგორც სამხედრო
ძალა ჩირათაც აღარ ღირდა. ამ დროს კიროს სხვათა შორის
სპარსულ უწყობდა ხელს. ამის სპარსულთ კოროსის მოადგი-
ლე ტისაფვრნე ძალათ შეუდგა მცირე აზიელი ბერძნების და-
პყრობას, როგორთა მფარველათ ამ დროს სპარტა ითვლებოდა,
როგორც უპირველესი სახელმწიფო საბერძნეთში. ტისაფვრნის
პოლიტიკის სპარტასთან ომი უნდა მოჰყოლოდა, მაშასადამე, და
მოჰყედა კიდევ: დასაწყისში ორივე სახელმწიფოს ზაბუნათ მიჰ-
ყედა საჭმე. შხოლოთ მას შემდეგ, რაც სპარტის შეფე ავტი-
ლაემ იკისრა ჯარის წინამძღოლობა (396 წელს) სპარტელებმა
რამდენიმეჯერ დაამარცხეს სპარსელები. უკანასკნელები მალე
მიხვდენ, რომ მათზე უკუთ ბერძნები შესძლებდნენ სპარტელებ-
თან ბრძოლას (საბერძნეთშივე) და წააქეზეს ყველა ის სახელმ-
წიფონი, როგორთაც მოყინჭებული პქონდათ სპარტელების
ბატონობა საბერძნეთში (თებელები, ათენელები). ეს საშუალე-
ბა შეტათ ნაყოფიერი აღმოჩნდა და სპარტელები მალე დიდ
განისაკლელში ჩავირდენ. ამავე დროს ათენელმა კონინმა, რო-
მელიც სპარსეთს ემსახურებოდა, სასტიკათ დაამარცხა სპარტის.
ფლოტი წილოსის ახლო და მით ბოლო მოულო მის ათის
წლის ზღვაზე ბატონობას. სპარტამ საჩქაროთ გამოიწერა აგუ-
ზილია სპარსეთიდან, მაგრამ ვერც მან და მისმა ჯარმა გამო-
ვარგეს საჭმე, და ომი; გ. წ. ანტალკიდის ზავით გათავდა
(387). ზავი მეტით სასარგელო აღმოჩნდა სპარსეთისთვის და
მეტათ საზირალო შეტელი საბერძნეთისთვის. სპარსეთს ხელა-
ლი ეძლეულია მცირე აზიის ნაპირები. გარდა ამისა ავტონომიის
სახელით მთელი საბერძნეთი ურიცხვ პაწი სამეფოებათ ჭუკ-

შაცდებოდა, რომელნიც ვერას გზით ვეღარ ასცდებოდენ სპარ-
სეთის ზედგავლენას. ოვით სპარტაც კი სპარსეთისგან დამოკი-
დებული უნდა ყოფილოყო ფაქტიურათ ამ ზავის შემდეგ—
ამ ოვალსაჩინო ნაყოფს ვერას დროს ვერ მიაღწევდა შინაგა-
ნათ განხრწილი სპარსეთი, რომ ივით ბერძნების პარტიკულა
რიზმს არ შეეწყო მისთვის ხელი. საბერძნეთის გარდა სპარსე-
ლებს ყველგან უხეიროთ მისდიოდათ საქმე. კიბრის აჯანყება-
მაგალითათ მათ დიდი გაჭივრების შემდეგ დააცხრეს. კადუ-
სიელთ წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობა სულ სასირცხოთ
გათავდა. უკანასკნელთ ჩამოწყვერის მოხერხებულ ადგილის სპარ-
სელი ჯარი და გაწყეტას უპირებდენ მას, მაგრამ სპარსე-
ლებმა ფულით გამოისყიდეს თავი.

ყველა ამ მარცხებთან ერთათ სპარსელებს ეგვიპტესთანაც
უხთებოდათ ბრძოლა, რომლის წინამძღრობა მათ დაბოლოს.
სატრაპეს ფარნაოზს ჩაბარეს. უკანასკნელს მუდამ კინ კლაობა-
ჰერინდა ბერძენია რაზმის უფროს იფიკრატესთან, ასე რომ არც
ამ ლაშქრობიდან გამოვიდა რამ. ლვითის წინაშე ეგვიპტის მეფე
ნეგრანებიც კარგათ მომზადებული დახვდა მათ. სახელმწიფოს
შინაგანში გახრწყნილებამ არტაქს II დროს უკიდურეს ხა-
რისხს მიაღწია. სატრაპები სრულიათ დამოუკიდებელნი გახორენ,
ისინი არა თუ ურთიერთ შორის ჰერაცდენ კავშირს ცენტრა-
ლური ძალის წინააღმდეგ, გარეშე მტრებსაც. კი უწვდიდენ
ხოლმე ხელს. სახელმწიფოს აღარ ჰერინდა ძალა ჩვეულებრივი
გზით შებრძოლებოდა მათ და ათასნაირ ვერაგულ საშვალებას
ხმარობდა საშიშარი. სატრაპის პირადათ ხელში ჩასაგდებათ,
მაგრამ მის ადგილს, რასაკვრველია, მალე სხვა იჭერდა. არტაქსერ-
კსეს სიკვდილის შემდეგ ტახტი მის შვილს ოთხს ერგო. ეს
ენერგიული კაცი იყო, რომელიც თავის მიზნის ასასრულებ-
ლათ არავითარი სისაძაგლის წინ არ დაიხევდა უკან. პირველ
ყოვლისა იგი იმას უფროხოდა ტახტს არავინ. შესცილებოდა—
ამის თავიდან ასაცილებლათ მან დააჭერია ყველა თავის ძები,
ნახევარ ძმები და სიცოცხლეს გამოასალმა ისინი. აჯანყებული

სატრაპიებს მის დროს ფრიგია და მიზია მიემატენ და შემდევ კიპრი, ფინიკია და იუდეაც მიჰყვენ, უკანასკნელთ სხვათა შორის ეგვიპტეც უწყობდა ხელს. ოხოსი იგივე არტაკსერქსე III საუკირველის ენერგიით შეუდგა სახელმწიფოს აღდგენის საქმეს.

პირველ ყოვლისა იგი ფინიკიის წინააღმდევ გაემართა ჯარით, რომლის საუკეთესო ნაწილს 10 ათასი დაქირავებული ბერძენი წარმოადგენდა. სიღონის აღყა დიდი ხანი არ გაგრძელებულია. მის მეფე ტენიეს მაღა უსუსტა გამბედაობამ და მან გადასცა ქალაქი სპარსელების. ამ ვამარჯვებამ სხვა აჯანყებული პროვინციების ბელილბალიც გადასწყვიტა. უკელამ დამორჩილება არჩია ბრძოლის.

არტაკსერქსე III ახლა ეგვიპტეს მიუბრუნდა. ბერძნებმა აქაც დიდი სამსახური გაუწიეს სპარსელების, განსაკუთრებით, როდოსეულმა სარდალმა მენტორმა, რომელიც წინათ ეგვიპტის მეფეს ემსახურებოდა. 344 წელს ეს ქვეყანა უკვე სპარსელების ხელში იყო, რომელთაც სასტიკათ მოანანებიეს მას ძელი ცალვები.

ამ გვარათ არტაკსერქსემ III ხელისა აღადგინა სახელმწიფოს მთლიანობა და დაადგინა მასში (დროებით მაინც) მყუდროება.

საბერძნეთში იგი უნდო თვალით უყურებდა ახალგაზდა მაკედონიის გაძლიერებას. იგი გრძნობდა რა საფრთხეს წარმოადგენდა ფილიაქს სამეფო სპარსეთისთვის და საშუალებას არ ზოგავდა მისი მტრების დასახმარებლათ. სპარსეთის საუბედუროთ ეს ენერგიული მეფე მაშინ მოაკლდა მას, როცა იგი უკელაზე საჭირო იყო მისთვის. 338 წელს იგი მოწამლულ იქმნა ბაგოაზის მიერ. უკანასკნელმა ჯერ მეფის წული არსე დასვა ტახტზე, მაგრამ ურჩობა დაატყო მას და ისიც მოჰკლა. ამის შემდეგ მან ტახტი არტაკსერქსე მეორის ძინისწულის შეიღლს კოდომანს, იგივე დარიოზ III უბოძა, რომელიც წინათ სომხეთის სატრაპიათ იყო. თავის თავათ ცხადია, კოდომანშა პირველივე შემოხვევით ისარგებლა თავიდან მოცილებია თავ-

ხედი დოდებული. იმ დროს, როდენაც სპარსეთი ამ არაუკულ-
ბებით იყო მოცული, მაკედონის მეფე ფილიპე ზმალია ლეისდა
მის წინაღმდევ. მეფე არსებ დროს მისი გაწყობილი რაზმები,
რომელთაც წინ პატმენიონი უძლოდა, პირველით გაჩნდენ
მცირე აზიაში (336 წელს) და დაიწყეს სპარსელებთან ძლევა-
მოსილი ბრძოლა. მაგრამ ამისთვის ფილიპე მოკლეს. აღექ-
სანდრეს ტიხეზე ასკლის დონის აჯანყება მოჰყვა. პატმე-
ნიონი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ბრძოლა და სამშობ-
ლოში დაბრუნებულიყო. დასვლენ მცირე აზის სატრაპია
მემნონში, რომელიც თავის გარდაცვალებულ ძმის შენტორის
გამოენაცვლა ამ თანამდებობაში. ხელისხმა დაუბრუნა ამის
შემდევ სპარსეთს მაკედონელთაგან წართმეული ადგრლები.
მაგრამ სპარსეთს დიდი ხანი არ მოუსვენია. მაკედონელები
მაღლ მოევლინენ მას აღექსანდრეს წინამდლოლობით და სავ-
სებით მოულეს ბოლო ამ სახელმწიფოს გაწყველებულ სიკუ-
ცხლის.

ს უ ა რ მ ვ ა მ :

- 1) Fr. Spiegel
Eranische Alterthumskunde Band I.
- 2) F. Justi Herrschaft der Achemeniden.
- 3) Th. Nöldeke
Geschichte des medischen u. achemenid. Reiches.
- 4) F. Justi Geschichte der orient. Völker in Alterthum.
- 5) Fr. Spiegel Eran.
- 6) Herodotus Musen.

პრეზიდენტის ხანა.

აღმასრულდეს დამჭვირის და საშუალოს დამსახურის საქართველოში.

შინაარსი: აღმასრულდეს გადაღის დარღვეულის სრუტეს. აღგიღობილი სატრანსპორტო გერ აფასებებს საფინანსებს. მიმღება გრანიტის საძირკებთან. მითრადატე ხეილ მორჩილდება მსს. კუპედოვის სიციაში არის გარბის. საბიქტა ამ ძველების მშრომელი. მიმღება ასხლისთვის. უკლებები ამ მრავლის. აღმასრულდეს სირაში, ფინანსებისა და მგზის უტემი. გაგამედის მრავლი. აღმასრულდეს შემოუყველის სპარსეთის სახელმწიფოს. აღმასრულდეს დაფასების. აღმასრულდეს სიკვდალი. სახელმწიფოს შეთვალეულებულ შერდობა. ახალი განსაზღვების პროცესის მისა; მითრის, ხეორტოლებებისა და თრონტების სომხეთში. კუპენების კაპიტალების. ბრძოლა დადობების შორის. სკელეპოლოვანები და სტრიკონები კაპიტალების. 306 წელი ახტიგონე მუზეთ თაქმების იაგები. სხვა დადობები ბაზები. მსს. კადლიცია ახტიგონეს წინააღმდეგ. არიანათ კაპიტალების შემდეგ სომხეთში, მითრადატე პაფლავთანის. კამპანების შემდეგ კადლიციარებულები კამპანების პატარა სახელმწიფოების არსებობის. ამთი გამგების შეფერები ირქმების თავის. რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში. ქართლის ცხოვრების როგორც წერთ. ქართლის ცხოვრების და ქართლის მოტევების ცხოვრები. აღმასრულდეს შემდეგ პალიტიკულ მდგრადებას საქართველოში ისეთი უნდა გამოიყენოთ, როგორც აღირიგებაში და სომხეთში. ამის დაუპირავაში, როდის შემდევ შეფერები ერქმება თავის ქართლის სატრანსპორტო აღმასრულდება. სატრანსპორტო აღმასრულდება სატრანსპორტო აღმასრულდება.

სელეცკის სამუშაო და შართელები.

სელეცკის აცხება, მასი ამჟამ, ახტიგონე. შინაგანი შეგრძნებას, ბატონის ჩამომართება. პატარების გადასახელება. მათი ტემპი სომხოცია და ჩამომართება. ფურუკლები და მარცხება. არსკა შეფერების აღმასრულდება. მას ამჟამ, ახტიგონე.

აცხადებს თვეს. სელენე-ძაღლინიკე და შირი უნდა მო მდგრადულია
მარჩები ჰქონდება ანდრაგარის და იურიონის შირი სატაბიას. ბრძო-
ლის წესი პარეგიას. სელენე და ტარიდატე. სელენე III. ანტო-
ნი და დადი, მოღონის აფასება. პაროულები. ანტონი იურიონის ადირ-
ბეგანის. პაროულების დამსრცების. ომი ასტრიონისთან. ომი რო-
მა სელებთან და ანტონის საფვდილი. სელენე IV. ანტონი IV. ან-
ტონი V. შედივი აზონებები. რომის დამღვრმატია. შიროდატეს
მფულია. დიმიტრი. ალექსანდრე ფერონიტორი. დიმიტრი II. რივო. რი-
მართადატე იურიონის მედის, სომხეთის, სერბანების. დიმიტრის და-
შენობა მითოდატეს წინადაღები. სახელმწიფო წელიაღება პართაში.
ურაატე II. თუსარელები ბაკრიაში. ანტონი VII და ურაატე II.
ბეგი საბოლოოთ მართლდებან ერანში. ფრაატე და სკვითები. არ-
ტანი I. მითოდატე II. შირი ჩატევა სომხეთის სმექებში. რახტე
ტიგრანის ამლევს, კამთომუკედ აგილებს იძერებს და ადირბეგ-
ნებების. ურთიერთობა რომოს. შინაგანი სისტემე ასაღი სასეფლი-
ს. ტიგრანი უკან ამრუსებს უკედავების, შემდეგ იურიონის მესონო-
ბიმის, ადირბეგებს, ადირბეგანის, შედის. სომხეთი ტიგრანის დროს.
მარგები და მარგებრავები (პატიანებები). ფრაატე. სელენე რუსების
პამბეისთან. ტიგრანი კუ და ტიგრან სე. პომპეის ჩატევა საქმე-
ში. პომპეი აბურამი. ჩისოფეის დასტირდოთ რომაელებს იძერის
დაშერობა. არტაგის დამსრცების და ზაფი რომაელებთან. ალბანის
დაშერობა. პომპეი და ფრაატე. რომისის დაშენობა. რომიდებ
ურ იმპერიების გამარჯვებით. დაბიენ პართაში. პაროულები იუ-
რიონის ფინიკის და პალესტინის. ბასირ ასწორების რომაელების საჭ-
მეს. ფრაატე IV. კტეზიონი რეზიდენციათ ჩდება. კანიდი კრასის
იძერხილებს იძერთ შევე ფარნეაზეს. ანტონის დაშენობა, შირი
ცხენისთან ჭარი იძერებისაგან და პეტებისაგან შესდგება. დაშე-
რობის ბოლო. სომხეთის შევებს დაღატეს ამრალებს ანტონი. კავში-
რი ანტონის და ადირბეგანის შევის არტაგასდეგის შორის. ტიგრანებ
პართაში. ფრაატე ბრუნდება სკვითების შემწოდით. ტიგრანები-
რომში. გვგესტოს განდარგვების ეფექტიდას და შეირკ სომხეთის
შესახებ. სელენესადი გამდება ფრაატის. ფრაატეს. მდგრამარება

სომხეთში. ორდენი II. პართეფები რომაელების მიმართავენ. არტა-
ბანე და კონცე. არტაბანე იყვალის სომხეთს. ტიბერის ბრძანებით
ასეთ შევე ესევა სომხეთის. ფარსმანი ამარცხებს პართეფების და თა-
ვის ძმის სვამის ტახტზე. ტირიდატე. არტაბანი ბრუნვებია, სცნობს
მითრადატე იბერიელს სომხეთის შეფერ. გარდანი და გორგორი.
მითრად. განთავისეფელები. მეჭერდატე. კონცე II. კოდადაზე I.
ფარსმანის ბლანები სომხეთის წინააღმდეგ. რადამისტე ვერაგობით
იგდებს სომხეთის ტახტს სედში. კოდადაზი ითვლის სომხეთს.
ამი რომაელებთან. კორიბული და ფარსმან იბერიელი აღვილად
სძლევებს პართეფების. კორსელის წურომა. ფარსმანი არბეგს მარჯე-
ბის ქაუქანს. შოდაბარებები. ისევ ამი. შეთანხმება. ტირიდატე
შიდის რომში. დარგბანდის კარი. ალანები-ალანები. შათა ძლიერება
ა. ასთა შემოსევა. შცხეთის ციხე. ბაგრე II. სოსორო-ტრამაჩეს
ამი პართებთან. კართველი ტომების ელჩები. პარტამანიატე. ადრია-
ნეს მშვიდობანი ბოლიტია. ფარსმან II უდების დარაღის კარს
ასების. ადრიანე იბარების ძმი. ფარსმანი მიდის დაბოლოს. რკმს.
როგორ დახვთენ ძმის რომაელები. კოდადაზე III. იმპერატორთ შე-
ხვედრა. ამი. პრიცეს და ქსის ამარცხებები პართელების. კოდადაზე IV.
სეპტემბერი სევერის დაშტონის. კოდადაზე V. ხაციონალური შო-
რიანის სტანცეთში. არტაბანი და ძმი ამი კარაკალისთან. ზაფი მა-
კრინთან. არდაშირი და არტაბანი.

ალექსანდრეს ლაშვილობა და სამეცნოს დაფუძნება საქართველოში.

334 წელს ალექსანდრემ 35 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით გადაიარა ჰელლებონტი (დარღანელის სრუტე) და შევსია დასავლეთ მცირე აზიას. აღვილობრივმა სატრაპებმა ვეზრა დაიფასეს საფრთხე და საკუთარის ძალით მოიწრობეს. მისი თავიდან აცილება. ალექსანდრემ მაღლ მოანანებია მათ შეცდომა. მდინარე გრანიკათან მან სასტუკათ დაამარცხა ისინი 334 წელს და მით მოელი ტავროსის გადმოლმა მცირე აზია. იგლო ხელში: მან საქართვის მოაწყო მმართველობა ლიდიაში, კარიაში, ფრიგიაში და შევიდა პაფლიგონიში. აქაუჩი სატრაპი მითრადატე (არიობარზანეს შეიღი) ნებით დამორჩილდა. მას. ამიტომ ალექსანდრემ დაუტოვა მას თავისი სატრაპია. შემდეგ მაკედონელები კაპადოკიას შეესივნენ, ომელიც ამ დროს (360 წლიდან) ორ სატრაპიათ დყოფილია (პონტოსის და ტავროსის კაპადოკია). სატრაპე არიარათემ არ მოისურვა მითრადატეს. მაგალითის წაბაძვა და გაიქცა. ალექსანდრეს არ სტალოდა კუადა სანამ მისი ჯარი ფაქტიურათ დაიფლობდა ამ ჭვეყანას. იგი მისიშრაფოდა რაც შეიძლება ჩარა შეჯახებოდა სპარსელების მთავარ ძალის. მან ჩაბარა ეს ჭვეყანა საბიქტის და თვითონ კილიკიისაკენ გაეშურა. კოდომანი (იგივე დარიოზ მესამე) გამოევება მას ისსოსთან თავის უზარმაზარი ჯარით, მაგრამ დამრცხდა (333 წელს). ამ გამარჯვების მეტათ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. სპარსელებს აღარ ძალ ედვათ შეეკავებიათ ალექსანდრეს ჯარი, ასე რომ, მას ხელშეუშლელათ შეეძლო სირიას, ფინიკიას და ეგვიპტეს დაპირობონებოდა. ამ საქმეს ორი წელიშადი მოანიომდეს მაკედონელებიმ. ამასობაში დარიოზმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და ხელახლა გადასწყვიტა კუადა ბედი ბრძოლის ველზე. ეს სამკედრო სასიურცხლო ბრძოლა 331 წლის დამლევს მოხთა გავეგმელისთვის. ალექსანდრემ ხე-

ლომელი სტრი სპარსელებს. ამ პრიმოლის შემდეგ სპარსეთის ძალა განადგურებული იყო, მაგრამ ოლექსანდრეს სურდი და აფრიკურათ დავისლო მოელი სამეფო და აბისიანავე მისი საზღვრების გაეპარებია. იგი გაძლიერ იმიტომ ლამარტინმულ მეფეს უკან და გაიარა შეცდია, ხორასხნი, აშუდარის ლიტი და შეციდა ბაქტრიაში. ოდგილობრივმა სატრაპმა შესომ უღრღლიადა დარიოზს დაატყვევა, შემდეგ ოლექსანდრეს მიახლოებისას მან სიკუპნლესაც გამოისალმა იგი. ეს უგუნდური იმას ფიქრობდა მის მაკიერ თვითონ ჩაედო ტახტი ხელში, ვაგრამ თვითონ ჩაუვარდა მაღაქ ალექსანდრეს ხელში და სარჩევდ იქმნა ჩამოკმული. ჰაქტრის შემდეგ ალექსანდრემ სოფლიანაც ინახულია და შემდეგ სირდარიამდე მიაღწია. იგი ამ დროს სპარსეთის კანონიერ მეფეთ სოელიდა თავს და ბარბაროსული სისხტიერი გაუმობოდა მათ, ვინც მას თავისი ნებით არ დამორჩილდებოდა. ღიადორის სიტყვით ჰაქტრი სოფლიანაში 120 ათასამეტდ ჭაურ გამოა ამ აშირებული რწმენის შსხვერტლი.

აქედან ოლექსანდრე ინდოეთს შეესია და იქც განავრმნო თავისი ძლევამოსილი წინსცლა, სანამ ჯარი არ აუჯინდდა და მით საზღვარი არ დაუდო მის უქნებას. ინდოეთიდან უკან დაბრუნდა გელიოზიაზე (პელუჯისტანზე) მოუხარ ალექსანდრეს აქ მას უწყლობის და სხვა გაკიცრებისაგან ვთელი ჯარის $\frac{3}{4}$, გაუწყდა. დანარჩენის ჯარით მან როგორც იქნა გიარა ყარაბანია და მიაღწია დამოღლის სუჟის: ამ როგორ მაჟერონელებმა არა თუ დაიპყრეს სპარსეთი, არამედ მოელ მის საზღვრებსაც ჭაშმოუარეს.

ალექსანდრეს საგმრო საქმეთ სოუკუნეთი განმავლობაში განცვიფრებით მისჩერებულია ისტორია და გუნდრუეს უკმეცდა. ბოლო დროს მისი სახელი გასუნდა. მოშზენი სამართლიანით აყენებდა ცეზარს პასზე მაღლა. გაცილებით მკაცრათ სჯის მას გუტშმიდი.

ალექსანდრე დიდებული ჭაური იყო, სარდალიც მაგრამ, არც ას ჭრდა დავიკიშით ჩვენ ჭისთან ჭჭონდა მას საქმე. დანამ-

დეილებით შეიძლება ითქვას, რომ ვინც უნდა ყოფილიყო მის აღილას მაკედონიის წინამძღვრათ, სულერთია, იგი დიდს სახელს მოიპოებდა სპარსელებთან ბრძოლაში. სულ სხვაა. მისი მისწრაფება დასავლეთის და ომოსავლეთის შედუღების შესახებ. ბევრი დღესაც მოწიწებით იხსენიებს მაკედონელი გმირის ამ დაწყებულებას. მაგრამ სწორეთ ეს მისი მისწრაფება უნდა ჩინთვალოს ყმაწვილურ უცნებათ. სპარსეთის განადგურება აღვილი იყო მაკედონიისთვის. მაგრამ მისი შენარჩუნება კი ძნელი. ალექსანდრე კი გულისწინდით ფიქრობდა არა თუ მის ხელში ჩაჭერას, არამედ მის დასავლეთთან ორგანიულათ დაკავშირდებასაც კი. ბედმა ააცილა მას თავიდან თავის უცნებების გაქარწყლება თავის თვალითვე ენახა. კარგ დროს დაბადებული იყი, კარგ დროსვე მოკვდა. მის შემდეგ მეფეთ მისი შერყეული ნახევარი ძმა: იქნა არჩეული, ფაქტიურათ კი სახელმწიფო ძალა: პერდიკას ხელში უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოს ცალკე პროვინციებთაგან პერდიკამ დაუმტკიცა ანტიბატრეს მაკედონიის და საბერძნეთის გამგეობა, ხოლო საკუთრივ მეფის ინტერესების დასაცველათ მან კრატერე ამოუყენა მას გვერდით. ქვემო ფრაკიაშიც უცვლელი დარჩა აგრეთვე ანტიგონეს მმართველობა, ეგვიპტეს გამგეობა მან პტოლემეს მიანდო, ფრაკიისა—ლიზიმანეს, ზემოფრიგიისა—ლეონატას, კაპპადოკიისა ევმენეს. წვრილ სატრაპიათაგან სომხეთი პერდიკამ ნეოპტოლემეს აკუთვნა. ალექსანდრემ ეს ქვეყანა 331 წელს მითრინეს ჩააბარა, მაგრამ მან ვერ შესძლო, როგორც სჩანს, მთელი სომხეთის დამორჩილება. უნდა ვიტიქროთ რომ ვერც სომხეთის ახალ გამგემ მოიკიდა მთელს სომხეთში ფეხი, რადგან დიოდორე 316 წელსაც ორონტეს იხსენიებს სომხეთის გამგეთ. ეს ორონტე კოდომანის, დროსვე იყო სომხეთში სატრაპიათ და უკანასკნელათ გავგამელას ბრძოლაშიაც იღებდა აღვილობრივ ცხენოსან ჯართან ერთათ მონაწილეობას.

სხვათა შორის ევმენეს ხვედრილ კაპპადოკიაშიც მისი ძველი სატრაპი არიარათ განაგებდა ამ დროს საქმეებს, ასე. რომ

ვერც ალექსანდრესგან აქ დაყენებულ საბიქტას წასკვია საქმე
ხეირიანათ. ევმენეს დანიშვნას არაფური აზრი არ ჰქონდა, სანამ
არიარათ გამოდენილი არ იყო თავის ძველ საბუღრიდან. პერდიკამ თვათ გაილაშქრა ამიტომ მის წინააღმდეგ, დამხმ მისი
ძალა და ფაქტიურათ გააბატონა ევმენე კაპსულოკიაში.

დიადოხებს შორის მალე უკმაყოფილება ჩამოვარდა. პერ-
დიკამ გადასწყვიტა იარალით ხელში დაეცვა სახელმწიფოს
მთლიანობა და გაილაშქრა პტოლემეს წინააღმდეგ, მაგრამ
გზაზე ჯარი აჯანყდა და მოკვლი იყო. ამ ვეარათ აშკარა შეიქნა
რომ ალექსანდრეს მონარქიის მთლიანობის დაცვა შეუძლებე-
ლი იყო. ევმენემ მაინც განაგრძო ბრძოლა და გასაოცარი
სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა მის დროს. მიუხედავად ამისა მისი
მდგომარეობა უნუგეში იყო. ანტიგონემ სძლია მას დაბოლოს.
ამ ომების დროს ზემო კაპსულოკის და საერთოთ ევმენეს მთელ
სამფლობელოს კარის სატრაპის ასანდრეს სარდალი ასკლე-
პიონიორე იპყრობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტიგონემ სძლია
ევმენეს და გაბატონდა წინა აზიაში უნდა ვიფიქროთ ეს ად-
გილებიც მის ხელში მოექცენ. ანტიგონეს ძალა აუტანელი
შეიქნა სხვა დიადოხებისთვის და 315 წელს მათ (პტოლემები,
კასსანდრემ, სელევკემ და ლიზიმარემ) კავშირი შევკრეს მის-
წინააღმდეგ. ამ ომიდან არა გამოვიდა რა და 311 წელს დია-
დოხები ხელახლა დაზავდენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ
ფიქრობდა ზავის პირობების შესრულებას. ამან ხელიახლი ომი
გამოიწვია, რომლის დროსაც ანტიგონე ახალ და ახალ ქვეყ-
ნებს იძენდა და კიდევ უფრო ძლიერდებოდა. მას აზრათა
ჰქონდა ალექსანდრეს მთელი მონარქია ჩაეგდო ხელში. 306
წელს მან დაამარცხა პტოლემეს ფლოტი და მით თვალსაჩინოთ
გააფართოვა თავის ზედგავლენის სფერო. ანტიგონე უკვე დარ-
წმუნებული იყო, რომ მისი ვარსკვლავი აღარ უღალატებდა
მას და ამ გამარჯვების შემდეგ მეფეთ გამოაცხადა თავი. ამას
სხვა დიადოხებმა მიბაძეს და იმათაც შეფეხათ ირქვეს. თავი.
კასსანდრემ—საბერძნეთში, სელევკემ—ბაბილონში, პტოლემებმ

— ეფვიპტეში, ლიზიბახეში — ფრაკიაში. ასე დაასრულა თვეის დღენი ალექსანდრეს ფანტასტიურმა მონარქიაშ. ანტიგონე თუმცა ხელახლა ფიქრობდა მის აღდგენას, მაგრამ ეს შეეძლობებელი აღმოჩნდა.

გართალია მას საქმე კარგათ მისდიოდა; გართალია. მის შეიღს დიმიტრის პევრი აღარა უკლდა-რა, რომ სიცეიბით მოე-სპო კასანდრეს სსენება მაკედონიაში, მაგრამ სწორეთ ამან დააფრთხო სხვა დიადოხები. ესენი ხელახლა შეკავშირდენ ანტიგონეს წინააღმდევ. სელევკემ და ლიზიბახემ გადასწყვიტეს ყოველი ღონისძიება ეხმარათ კასანდრეს სახსნელათ. გართ-ლაც მათ ისეთი სისწრაფით შიოტანეს იერიში ანტიგონეზე, რომ თავდაცვის კითხვა სამკვდრო სასიცოცხლო მნიშვნელობისა შეიქმნა მისთვის. ასეთ შეგობარეობაში მყოფშა მან მისწერა დიმიტრის მიენებებით თავი საბერძნეთისთვის და საჩქაროთ მოშევლებოდა მას.

ამ ობების ღრმას მოკავშირდებს ახალი უნებლივოთ მა-ჰველი აღმოუჩნდათ. ეს კაპპადოკიის ძევლი მმართველის (არი-არათეს) შვილი არიარათ იყო. მას შემდეგ რაც პერდიკაშ დაამარცხა და მოჰკვდა გამა, მისი, თვი იძულებული შეიქმნა-სომხეთში გაჭკულიყო და უქური მთავრის არდოატესთვის შეეფარებო თავი. (ეს არდოატე დროისების, აზრით იგვევ-ორონტე უნდა იყოს). ანტიგონეს და მოკავშირეთა შორის ომის ღრმას არიარათე შეიქმნა არდოატეს დახმარებით, მამისეულ სა-ბრძანებელში, მოჰკვდა (ანტიგონეს?). სარდალი ამინთა და თვით დაეპატრონა. ქვეყანას. დიადოხების კალიკიისთვის ამ გზით ივი, როგორც ვსთქვით, უნებლივოთი მოკავშირე აღმოჩნდა. ასეთივე მოკავშირე იყო გათოვის პაფლავონეული შიორიადატე, მაგრამ ივი ანტიგონეს ჩაუვარდა ხელში და დაიღუპა. სრუ-ლიათ არ ერეოდა ამ ომებში აღირბეფანი, რომელიც 323 წელს პერდიკაშ ატრიპატეს აკუთვნა.

გადამწყვეტი ბრძოლა ანტიგონეს და მის მოწინააღმდე-ვებს შორის 331 წელს მოხდა. ისხოსთან (ფრიგიაში). მო-

კავშირეებში სძლიერ მას და ამ გვარათ ერთის დაკუცხით მოსპეციალის ძალა. დიმიტრი დროშე მიეშველა მამას, მაგრამ მან ვერ შესცევალი ბედის გადაწყვეტილება. ანტიგონეს სამეცნ სელევკებ და ლიზიმახებ დაიყვეს. თუმცა პტოლემე და კასსან-დრეუ მოკავშირენი იყვნენ, მაგრამ მათ არაფერი რვებიათ, რადგან დიდი როლი არ უთამაშნიათ ამ გამარჯვებაში. ამ გვარათ ალექსანდრეს მონარქიის ნაჩვევებზე დაბოლოს რობი სამეცნო აღმოცენდა: ევფიმი (პტოლემესი), საბრძნეთი (კასსანდრესი), ფრაკია (ლიზიმახესი) და სირია ანუ უფრო სწორეთ წინააზია (სელევკესი).

ამ დიდ სამეცნოების ვერდეზე, როგორც დავინახეთ, პატარა, ფაქტიურათ დამოუკიდებელი საბრძნებლონიც ასევემობდენ. (პაფლონია-პონტი, აღისტეფანი, სომხეთი, კაპადოკია). ისოსთან გამარჯვების შემდეგ მოკავშირეებში კანონიერათ სკენეს მათი არსებობა და თავის შერიცაც დაუმტკიცეს ბატონობა: მითრადაც მესამეს, (ანტიგონესგან მოკლული მითრადაცეს შვილს?) ატროპატეს, არდოატეს და არიარათეს. ზოგიერთმა ამათგანმა წახედა თავის დროშე ანტიგონეს მაგალითს და მეფეთ ირქვა თავი. თუ კინმედა იყო უხარისხოთ დარჩენილი ის იპსოსის ბრძოლის შემდეგ ირქმევდა თავს მეფეთ.

მეცნიერული განწყობილების გარდა ჭასახელებული მთავრებისაღმი სელევკე და ლიზიმახე პოლიტიკური მოსახრეებებითაც ხელმძღვანელობდენ, როდესაც ისინი აკანონებდენ ჟემოსენებული პატარა სამეცნოების არსებობას. ორი ძლიერი სამეცნოსთვის მუდამაა ხელსაყრელი თავიანთ შორის პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჭრა. სულ ერთია ეს სამეცნონი მაინც ვერ აცდებოდენ მათ ზეგავლენას.

რა ხოებოდა ამ დროს საქართველოში ამის შესახებ დასავლეთის ძევლი მწერლები საუბედუროთ არავითარ ცნობებს არ გვაძლევენ. ასე რომ ერთათ ერთ წყაროს ქართლის ცხოვრებადა დაგვრჩნია. ამ წყაროს შინაური და გარეული უცელა უნდოს თვალით უყურებს. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი მარ- „სარა. ისტ.“.

თლაც მეტათ ორქოფია. ეჭვს გარეშეა, რომ იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს ქართლის ცხოვრების წინა ნაწილი (სხვა და სხვა რედაქტირებიც, რომ არ მივიღოთ მხედველობაში) მე-7 საუკუნის შემდეგ შედგენილი უნდა იყოს და. ისიც ივლაც უვიცის ხელით. ამით აიხსნება ის უაზრო ცნობები, რომელთაც აქ ხშირათ ვხვდებით წინა საუკუნეების შესახებ. ამისდა მიხედვით ზოგს სრულიათ უვარების ისტორიულ წყაროთ მიაჩნია ეს ქრონიკა, მაგრამ ეს შეძლებარი აზრია. ქართლის ცხოვრების სინხრონიზმები გვიმტკიცებულია, რომ ზოგ უაზრო ცნობასთან ერთათ აქ მეტათ მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობებიც მოიპოვებიან. ეჭვს გარეშეა, რომ მის ავტორს ისეთი წყარო ან წყაროები ჰქონებია ხელთ, რომელნიც ჩვენ დღეს აღარ მოგვეპოვებიან. ამით მაინცა იგი ყურადღების ღირს.

ქართლის ცხოვრება და ქართლის მოქცევა საქართველო, ში სამეფოს დაარსებას ალექსანდრეს შემოსევას (საქართველოში) უკავშირებენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ალექსანდრე არც ყოფილა საქართველოში და არც შეიძლება, რომ ყოფილიყოს, მიუხედავათ ამისა მის ლაშქრობასთან ჩვენში სამეფოს დაარსების დაკავშირება, როგორც დავინახავთ მაინც ლოლიკურია. ქართლის ცხოვრება ამბობს, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ალექსანდრემ აქ ვიღაც იარედოსის შვილი აზო დასტოვა ქვეყნის გამგეთო. ქართლის მოქცევა ამავ აზოს არან ქართლის შეფის შვილათ და საქართველოს პირველ შეფეთ იხსენიებს. ჩვენ საბუთი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მასში, რომ აზო და ფარნავაზი ისტორიული პიროვნებანი არიან. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება მას ჩვენ დავეკითხებით, მაშ ნურც იმას დაიჯერებთ, რომ ფარნავაზის შემდეგი მეფეები არტავი, ფარნსმანი, საფრმაგი, და ასფაგური ისტორიული. პირები არიან, თუმცა ზოგ მათგანს პლუტარხი იცნობს, ზოგს პლინი, ზოგს ამგიანი და ზოგს კასსი. გარდა ამისა არც ფარნავაზია უკანთათვის უცნობი, მას ფაუსტ ბიზანტიელი და მარ აბაზიც იცნობენ და იცნობენ, როგორც დინასტიის დამაარსებელს.

მივიღოთ ყველა ეს მხედველობაში და ვიკითხოთ ვინ იყვნენ აზო და ფარნავაზი? ან რა დროს შეიძლება მეფეებათ გამოეცხადებიათ მათ თავი საქართველოში. ჩვენ განგებ განვიხილეთ ზემოთ საქართველოს მეზობელი ქვეყნების ბედ-ილბალი. რომ ანალოგით მაინც შეგვეძლოს რაიმეს დასკვნა ზემოხსენებული კითხვების შესახებ. საქართველო ისევე, როგორც სომხეთი, ადირბეჭანი, კაპპადოკია და სხ. სპარსეთის უკანასკნელ დღემდე სპარსეთის სატრაპიებში შედოოდა. ამიტომ აშკარაა, რომ მისი ბედი ალექსანდრეს ლაშქრობის შემდეგ დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც მისი მეზობელ-ქვეყნებისა. თუ ადერბეჭანმა, სომხეთმა, პონტომ და კაპპადოკიამ შეძლეს დაბოლოს თავის ძველი სატრაპების შენარჩუნება? თუ ამ უკანასკნელებმა შესაძლოთ სცნეს შესაფერ დროს თავი მეფეებათ გამოეცხადებიათ? ჩვენ უფლება გვაქვს ვითიქროთ, რომ ესევე უნდა მომზადოთ საქართველოშიც. ზემო სომხეთისთვის და ადირბეჭანისთვის თუ ვერ მიიცალეს. ომებში ჩაბმულმა დიადოხებმა, საქართველოსთვის ხომ სულ ვერ მიიცლიდენ. მაშასადამე აქაც უნდა შერჩენილიყვნენ სატრაპები. მაშასადამე რომელიმე მათგანსაც შეეძლო თავის მეზობლებივით შესაფერ დროს თავი მეფეთ გამოეცხადებია. ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს სატრაპი (რომელმაც თავი ქართლის მეფეთ გამოაცხადა) აზო იყო, მაგრამ ქართლის მოქცევა და ქართლის ცხოვრება თავივე უცხოელათ სოფიან მას. ჩვენ შეგვეძლო გვერდი აგვეარა ამ ფაქტისთვის, მაგრამ როგორც დავინახეთ ფაუსტ ბიზანტიელი და მარ აბაზიც ფარნავაზიანებათ იცნობენ ძველ ქართველ მეფეთა გვარეულობას და არა აზონიანებათ. უნდა ვითიქროთ, რომ აზო მართლაც უცხოელი იყო ფარნავაზის. სამშობლოსთვის. ქართლის მოქცევა არან-ქართლის შეფის იარედოსის შვილათ იცნობს მას. არანს ძველათ მტკვრის და არაქსის შუა ქვეყანას უწოდებდენ. რატომ უწოდებს ამ ქვეყანას ქართლის მოქცევა-ქართლს, ეს ადვილი ასახსნელი იქნება თუ სტრაბონის აქნამდი უყურადღებოდ მიტოვებულ ერთ ადგილს.

მივიღებთ მხედველობაში, რომელიც იპერის ძველ საზღვრაო არაქს დასდებს.

მაშასადამე ჩვენ ვიცით, რომ აზო უცხოელია და ამას-თხილე არანის მეფის იარედოსის შეიღი. რომ არანი, თუნდაც ამ არეულ დროს, ცალკე სამეფოს წარმოადგენდა — ეს ძნელი დასაშვებია. უმჯობესია ვიფიქროთ, რომ დასახალებულ დროს იგი რომელიმე შეზობელი ქვეყნის მთავრის ხელში იყო (ან სომხეთისა, ან აღირბეჭანისა), უფრო ადვილათ ვისალები პირველი აზრია. გაშასადამე აზო სომხეთის სატრაპის შეიღილი უნდა იყოს. შესაძლო სახელი იარედოსაც რაიმე კავშირი ჰქონდეს არდოატეს ან ორონტესთან. მაგრამ რატომდა უწოდებდა ამ შემთხვევაში მემატიანეაზოს სომხეთის მეფის შევიტ არანის-მეფის შეიღის? იმიტომ, რომ სომხეთის ნაწილი მაკედონელებისაგან დაყენებული სატრაპების (მითრინე აღექსანდრეს დროს, ნეოპტოლემე — პერდიკის დროს) ხელში იყო, ნაწილი კი და ისიც შესაძლო ძალიან პატარი ორონტეს (ანუ აზდოატეს) ხელში. ადვილი ასახსნელია იგრეთვე, რომ სამხრეთ სომხეთიდან მაკედონიელების მიერ ვამოძევებული ორონტე ჩრდილოეთი ეცდებოდა თავის ძალის ვაფართოებს და სწორეთ ეს მიიყვანდა მის შეიღილს აზოს ჭიქეთაში. აზოს ვამევე-ფებას ქართლში ვახუშტის ქრონოლოგიის ვიმდევარნი 324 წელს დასდებენ. ეს შეუძლებელია. ამ დროს წინა აზიაში, როგორც დაეინახეთ, არც ერთი სამეფო არ არსებობდა. პირველმა დიადოხმა (ანტიგონემ) 306 წელს ირქვა თავი მეფეთ მას გიპკვენ შემდეგ სხვა დიადოხები და პატარი მთავრებიც. მაშასადამე რა დროსაც. უნდა მოეკიდებია აზოს ფეხი ქართლში, იგი 306 წელზე ადრე ვერ ირქმევდა თავს მეფეთ.

თუ აზო უცხოელია სამიგიეროთ ფარნაგაზია ქართული მემატიანესათვის შინაური, მიუხედავათ იმის წმინდა სპარსული სახელისა. ამისდა მიხედვით, ჩემის აზრით, სწორეთ ფარნაგაზი უნდა ჩავთვალოთ იმ სატრაპის შეიღილათ, ან ახლობლათ, რომელიც მაკედონელთა ლაშქრობის დროს განაგებდა ქართლს. შესაძლოა

თვით სამარა იყო ეს სატრაპი. თუ ეს ასეა ცხადია ფარნაგაზი
უზურპატორათ ჩასთვლიდა აზოს და ეცდებოდა მის გაშევებას.
ეჭვს გარეშეა ხალხის სიმპატიებიც მის მხარეზე იქნებოდენ.
სელევკესთვისაც, ომლას დროსაც ეს ცვლილება უნდა მომხდა-
რიყო, ხელსაყრელი იქნებოდა იგი, რადგან მას უძლური სომ-
ხეთი ურჩევნოდა გვერდით ძლიერ სომხეთს.

სელევკიანთ სამეფო და პართელები

ახემენიანთ მონარქიის უმთავრესი ნაწილი (312—280) სე-
ლევკეს მიერ დაარსებულ სახელმწიფოში შედიოდა. სელევკეს
ალექსანდრეს მთელი მონარქიის აღდგენას ოცნებობდა, მეტად-
რე ლიზიმახეს სამეფოს დაცემის შემდეგ, მაგრამ მას ისევე
ტყუილა ჩაუარა ნატვრამ, როგორც თავის დროზე ანტიგონეს.
შევათა შორის არც შორე აღმოსავლეთს აშორებდა იგი თვალს.
პაქტრიკის დაპყობის შემდეგ მან ინდაეთზეც გაილაშქრა,
მაგრამ მისი ომი ჩანდრაგოპტასთან, მორიგებით გათავდა. სე-
ლევკე რაც შეეძლო ცდილობდა თავის სამეფოში ელლინუ-
რი (ბერძნული) ფივილიზაცია გაევრცელებია. სიკვდილის წინ
იგი ფიქრობდა კასპიის და აზოვის ზღვები შეერთებია არხით.

სელევკეს მისი შვილი ანტიოქე მოჰყვა ტახტზე. (280-261)
არც მას დაუკლია ცდა რომ ბერძნული კულტურა დაენერგა
სამეფოში, მაგრამ სინამდვილე მეფეთა სურვილზე ძლიერი აღ-
მოჩნდა. არც მას და არც მამა მისს გარევნობის შეტი არა შეუ-
ვლიათ რა ააემენიანთ ძველ საბრძანებლოში.

ძირითადი ჭირი (მოუწყობლობა), რომელმაც თავის დროს
ძირი გაუთხარა ძველ სპარსეთს, სელევკიანთ სამეფოსაც და-
ჩიმდა. ცენტრალური ძალის შესუსტებისას ეხლა, ისევე რო-
ვორც არტაქსერქესტის დროს, ყოველი მხარე განზე იწევდა და
განცალკევებას ლამობდა. ანტიოქე მეორეს (თეოსის) დროს
პაქტრია შორდება უკვე სელევკიანთ მონარქიას. სახელმწიფოს
აღარ ძალუძს უკან დაიბრუნოს იგი. ამ თავის თავით ფრიათ
შეიმუშავებონ მოვლენას მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი

შოვლენა მოჰყენა. მის შემდეგ რაც ბაკტრია ცალკე სამეფოთ გადაიქცა მეზობლათ მოხეტიალე ნომედებმა-პარნებმა ველარ შესძლეს აქ ძველებურათ, თავისიფლათ თარეშობა და იძულებული შეიქნენ პართიისკენ გადასახლებულიყვნენ. ამ ტომს, რომელსაც ორი ძმა (არშაჟი და ტირიდატე) წინამძღვრობდა, ზოგი ერანელებათ სთვლის, ზოგი თურანელებათ. მეორე აჩრი უფრო სწორე უნდა იყოს. მათი ძველი სამშობლო არალის ზღვის ახლო უნდა ვეძიოთ. რომაული მწერლობის მოწმობით მათი ენა, ერთის მხრივ, სკვითურს (თურანულს?) წააგავდა, მეორეს მხრივ მედიურს. პართიის (ასტრანენეს) სატრაპის ფერეკლეს ჭკუაში არ დაუჯდა პარნების მეზობლობა და ვაილაშქრა მათ წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. ამ გამარჯვების შემდეგ არშაჟმა მეფეთ გამოაცხადა თავი 248/7 წელს. (ეს ცნობები სტრაბონს და არტიონეს ეკუთვნიან. სხვა ავტორები კიდევ სხვანაირათ აგვიწერენ ამბავს.)

ახალ სამეფოს ძალიან კარგი დარი დაუდგა. სელევკე მეორე კალინიკეს (246-226) დროს, ეგვიპტის მეფე პტოლემე ეცერებეტემ საშინელი დღე დააყენა სელევკიანთ სამეფოს. მის უიღბლო მეფეს ამასთანავე თავის ძმა ანტიოქე პიერაკსთანაც უხთებოდა ბრძოლა. პარნებმა ისარგებლეს ამ მოხერხებულ დროთი, შეესინ ტირიდატეს წინამძღვრობით პართიის, მოპკლეს ადგილობრივი სატრაპი ანდრიაგორა და დაეპატრონენ მთელ მხარეს. პარნების შთავარ ძალის ცხენოსანი ჯარი წარმოადგენდა.

მათი ბრძოლის ყაიდა, რომელსაც არა ერთხელ დაუდუპავს რომაელები ესეთი იყო. თავდასხმის შემდეგ ესენი უცებ დამთხხალებივით გაიფანტებოდენ და გაიტუუებდენ ხოლმე უკან მტერს, რომელსაც შემდეგ გარს შემოერტყმოდენ და სწყვეტდენ. ამ გამარჯვების შემდეგ ტირიდატემ, რომელმაც სხვათა შორის არშაჟათვე იწოდა თავი, პირკანიასაც გაუწოდა ხელი და მასაც წააგლიჯა ნაწილი. ამასობაში სელევკე მეორემ მოაგვარა როგორც იქნა სახელმწიფოს საქმეები (მოიკი-

ლა თავიდან ძმა, მოურიგდა პტოლემეს) და გადასწყვიტა ან-
გარიში გაესწორებია ტირიდატესთან. სხვათა შორის მან ბაქ-
ტრიის მეფე დიოდიოდტეც გადიბირა თავის მხარეს. ტირიდატე
მიხვდა ო საშინელი დღე მოელოდა მას და გაქცევა არჩია.
მაგრამ მისდა საბედნიეროთ დიოდიტე მოკვდა. მისმა შვილმა
დიოდიტე მეორემ კი სრულიათ შესცვალა მამის პოლიტიკა
და პირიქით ტირიდატესთან შეკრა კავშირი. ამ ორი მეფის
შეერთებულმა ძალამ მოიგერია სელევკე. უკანასკნელს მაღლე
სხვა სავაგლახო საქმეებიც გამოუტყვრენ და პარნები და ბაქ-
ტრიიელები მოსვენებულნი დარჩენ. იუსტინეს სიტყვით პარნებმა
დღესასწაულათ დასდვეს ის დღე, როდესაც მათ სელევკე შე-
ორეს სძლიეს (მოიგერიეს). ტირიდატემ კარგათ იცოდა, რომ
სელევკინები შემდეგშიაც ეცდებოდენ მისი სამეფოს მოსპობას.
ამიტომ იგი ენერგიულად შეუდგა ჯარის მოწყობას და სახლ-
კრების მაგრებას.

37 წლის მეფობის შემდეგ ტირიდატე გარდაიცვალა
(221/10 წ-ს). პართიის ტახტი მისმა შვილმა არშაკ მეორემ დაი-
კირა (იგვე არტაბანე I ?). ამავე დროს სიჩიაში სელევკე შე-
ორეს მისი შვილი სელევკე მესამე მოპყვა, რომელმაც სულ
3 წ. იცეფა (226-დან 223-მდე). მის შემდეგ ტახტზე ანტიოქე III
დიდი ავიდა. მეციის სატრაპის მილონის აჯანყებამ დიდს განსაც-
დელში ჩაგდო, ამ დროს ისედაც დასუსტებული, სამეფო. პართე-
ლებმა ხელობლა ისარგებლეს მეზობელ სამეფოს გაჭირებით და
ზაგროსამდე (მოები) გააფართოეს თავისი საბრძანებელი. ანტიოქემ
სძლია როგორც იქნა მილონს, მოაგვარა შინაური საქმეები
და შემდეგ აღირბეუანის წინააღმდეგ გაიღაშქრა. ეს სამეფო,
როგორც სჩანს, სომხეთსაცა ჰულობდა ამ დროს, რადგან პო-
ლიენის მოწმობით პონტოში მცხოვრები ქართველი ტომები
აღირბეუანის მოსაზღვრენი იყვნენ. ანტიოქემ სძლია აღირბე-
უანის მეფე არტაბაზს და აიძულა იგი ხელსიყრელი ზავი
შეეკრა მასთან. ენერგიულმა მეფემ მოაწესრიგა საქმეები ზემო
სატრაპიებში და შემდეგ გადასწყვიტა პართელებსაც გასწორე-

ბოდა. 219 წელს იგი დაიძრა მეტიდან 100 ათასი კაცისგან შემდგარი ქვეითი ჯარით და 20 ათასი ცხვნოსნით და შეესია პართელთ საბრძანებელს. უკანასკნელებმა ვერ გაძელეს მასთან შებმა და უკან დახევა არჩიეს. გზა და გზა პართელები აფუჭებდენ კემს, რომ საქმე გაეძნელებიათ მცრისტვის. ამ უკან-უკან ხვევაში მათ პირკანის მიაღწიოს. რასაკვირველია ანტიოქეც მიჰყეა მათ ამ ქვეყანაში თავის ჯარით. აյ პართელები შეჩერდენ და გადასწყვიტეს გამკლავებოდენ მტერს. ბრძოლის ველზე პართელებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, მაგრამ მარც დამარცხდენ და იძულებული. შეიქნენ სირინ+ კაში შეხიზულიყვნენ. ანტიოქემ ილყა შემოარტყა ამ სი- მაგრეს და რამდენიმე ხნის შემდეგ აიღო იგი: არშაქ მორი- გების მეტი სხვა გზა აღარ დარჩა. ანტიოქემ დაუტოვა მას თავის საბრძანებელი მხოლოთ იმ პირობით, რომ იგი მის მორ- ჩილათ გამოაცხადებდა თავს. არშაქი იძულებული იყო დათან- ხებულიყო. პართიის დამორჩილების შემდეგ ანტიოქემ ბაქ- ტრიის წინააღმდეგ გაილაშქრა, სადაც დიოდორე მეორეს უზურპატორი ევტიდემე მოჰყვა. უკანასკნელი ჰერიორუდთან (მდინარე) ფიქრობდა შეეკავებია ანტიოქე, მაგრამ დამარცხდა და იძულებული შეიქნა სატახტო ქალაქ ბაკურიაში შეხიზუ- ლიყო. ანტიოქემ ილყა შემოარტყა მას და სცადა მისი აღება, მაგრამ ეს ძნელი აღმოჩნდა და იგი იძულებული შეიქნა მო- რჩიგების გზას. დასდგომოდა. მოლაპარაკება ზავით გათავდა, რომელიც ომის დროს ურთიერთის დახმარებას ავალებდა ორი- ვე სამეფოს. ანტიოქემ დაუმტკიცა ახალ მოქავშირეს მეფის ხარისხი, მიათხოვა მის შეილს დიმიტრის თავისი ქალი და დაბ- რუნდა უკან. ქაბულში გავლისას მან ინდოელ მეფე სუბგაპა- ბენასთანაც განიხახლა კაშირი. ანტიოქე დიდის დროს ბედმა თითქოს ხელიხლა გაულიმა სელევკიანთ. სამეფოს, მაგრამ დიდი ხნით არა. თავისუდა საუმცირებლოთ ეს მეფე რომაელებთან ჩაე- ბა ომში და როგორც უველამ იყოს სასტიკათ დამარცხდა. ამ ომის დროს ორი მისი სარტალი არტაქსე და ზარიადრე სომ-

ხეთს დაეპატრონენ და ჯერ ანტიოქეს ნებართვით, შემდეგ კი
მის დაუკითხავათ განაგებდენ მას. 1) ზარიიდრე სომხეთის იმ ნა-
წილსა ფლობდა, რომელსაც იბერია, კოლხიდა, მედია და კაპ-
პადოკია საზღვრავენ, არტაქსე კი დანიშნენს:

რომაელებისგან დაკისრებული კონტრიბუციით დატვირ-
თულმა ანტიოქემ 187 წელს სუზიანაში ერთი მდიდარი სა-
ლოცავის გაცარცვა მოინდომა. ამაზე ადგილობრივი მცხოვ-
რებნი აჯანყდენ, დაესხენ თავს მეფეს და მის ამაღლას და გა-
სწყვიტეს ისინი. ანტიოქეს მომყოლმა მეფემ სელევკე მე-IV
ფილოფატორმა სულ 2 წელიწიდი იმეფა. მის შემდეგ ტახტზე
ანტიოქე მე-IV-ე ეპიფანე ავიდა. ამ ენერგიულმა მეფემ სძლია
დასავლეთ სომხეთის მთავარს არტაქსეს, დაატყვევა იგი და
წაართვა მას საბრძანებელი. იგი შეეპრობლა განცალკევებულ
სპარსეთსაც და ისიც უკან დაიბრუნა. საუბედუროთ ეს ნი-
კიერი მეფეც თავისგან გამოწვეულ აჯანყების დროს დაიღუ-
პა. მისი მემკვიდრე ანტიოქე მე-IV-ე ეპატორი დიმიტრი სო-
ტერმა ჩამოაგდო ტახტიდან. ამ მეფის დროს აჯანყებებისგან
მოსვენება აღარ ჰქონდა ისედაც დასუსტებულ სამეფოს. სხვა-
თა შორის რომის დიპლომატიაც „საიօქადულო“ როლსა თა-
მა შობდა ამ აჯანყებების დროს. აჯანყებულს მედიის სატრაპი
რომის სენატმა მეფის ლირსება უძღვნა. საბედნიეროთ დიმიტრის
კიდევ შესწევდა ძალა რომ მილონის ბეჭი ერკუნებია მისთვის.

აჯანყებულ სატრაპებზე უფრო საშიშარნი ამ გაკიცრებულ
დროს პართელები აღმოჩნდენ სელევკეს მემკვიდრეებისთვის.

არშაკ მეორის სიკულილის შემდეგ პართიის ტახტი პრია-
პატის (191 — 176) ერგო. მის დროს წააგლიჯეს პართელებმა,
როგორც სჩანს, მედიის კომისენე და ხარაგენე. მისმა მემკვი-
დრემ ფრაატე პირველმა მარებიც დაიმორჩილია და პარაქში
გადაასახლა ისინი. ფრაატე დაახლოვებით 171 წელს მოკვდა.

1) აბულ-ფარაჯის (ბარ-ჰებრეს) სიტუაცით სომხეთი პტოლემე
ფილადელფის დროს ჩამოაცილდა სალევკიანთ სამეფოს და იქნა არ-
შაკუაუნიანთ მეფეების გამგეობის ქვეშ არსებობა.

შემცვიდრეობა მან შეიღების მაგიერ თავის ძმას მითრადატეს გადასცა. სწორეთ ამ მეფემ მიანიჭა პაროიას დილი სამეფოს ხასიათი და სამუდამოთ განამტკიცა ირანში მისი ბატანობა.

ღვთის წინაშე დროც ძალიან უწყობდა ხელს ამ მეფეს. ბატრია ამ დროს არეულობით იყო მოცული. ვითრადატემ ისარგებლა ამით; შეესია ამ ქვეყანას და წააგლიჯა. მას თრი სატრაპია. კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის სელევკიანთ სამეფოს მდგომარეობა. აქ ოოვორცა ვთქვით ომაჟელები მოსვენებას არ აძლევდენ მეფე დამიტრის, დაბოლოს მათ კოლიცია მოაწყეს. მის წინააღმდეგ დიმიტრი შეებრძოლა მამგრამ დაიღუპა. მის ადგილას მოკავშირეებმა ვიღაც მაწანწალა დასვეს ტახტზე, ომელიც ალექსანდრე ფეოდატორს უწოდებდა თავს. ეს ეგვიპტის მეფე პტოლემე ფილომეტორმა არ იჩინავა და დიმიტრის შეიღს წაექმაგა (147 წელს). უკანას კნელმა დაამარცხა ალექსანდრე და თვით ავიდა ტახტზე, დიმიტრი შეორე ნიკატორის სახელით. მაგრამ ვერც მან შესძლო ასე უცეფ მყუდროების ალდგენა სამეფოში. მას ვიღაც დიოდორტე აუჯანყდა, ომელიც ჯერ ალექსანდრეს შეიღს. უკერდა მხარს. მისი სიკვდილის შემდეგ კი თვითონ ირქვა მეფე ტიფოთ თავი და იწყო დიმიტრისთან ბრძოლა.

შითრადატე უკეთეს დროს ვერც კი ინატრებდა სელევკიანებთან საბრძოლველათ. იგი შეესია ამ არეულობის დროს მათ საბრძანებლოს და სრულიათ გაუჭირვებლათ იგდო ხელში მედია, აქედან იგი ოოვორცა სჩანს სომხეთშიაც ვაზავიდა და ეს ქვეყანაც დაიმორჩილა. მეფეთ აქ მან თავისი ძმა ვალარშაკა დასვა. ამ ახალგაზდა სამეფოს ბედის ამ დროს ძალიან არ დაჰყეფდა. მაგრამ მითრადატე არც ამით დაკმაყოფილდა: დაპყრობილ ქვეყნებს მან შემდეგ სუზიანა და სპარსეთიც მიუმატა. ახალ დაპყრობილ ქვეყნების გამგეთ მან ვიღაც შაჟაზი დანიშნა და თვით პირეანიაში დაბრუნდა¹⁾. სპარსეთის და სუზიანის

¹⁾ აქედან იგი ბაქტრიას შეესია და მოელი სამეცნ დაიპყრო ქაბულის და ინდოეთის იმ ნაწილის გარდა, ომელიც ბაქტრიელთ ხელში იყო.

დაბყრობა სახიფათო აღმოჩნდა ბაბილონის თვისაც (პროვინ-
ციის თვის). საქმის კარგი მიმდინარეობით გათანამებული პარ-
თელები ბაბილონისაც შეესიერ, სძლიერ ადგილობრივ სატრაპს
და თვით სელევკიაც კი იგდეს ხელთ (სატახტო ქალაქი). ად-
გილობრივმა მცხოვრებლებმა შეტაღრე ბერძნებმა და მაკედო-
ნელებმა, რომელთაც არაფრათ ეპიტნავათ სპარსელების ბატო-
ნობა შეჰვედრეს დიმიტრის გვიხსენი ამ ბარბაროსების ხელი-
დანო. დიმიტრიმ, რომელსაც ამ დროს თავის მოდავე ტიფრ
მოშორებული ჰყავდა თავიდან, ისმინა მათი მუდარა და 140
წელს გაილაშვრა მითრადატეს წინააღმდეგ. სპარსელები და
სუზიანელები იაშინვე მის მხარეს გადავიდენ, ბაკტრელებმაც
აღუთქვეს მას დახმარება. თავდაპირველით დიმიტრის საქმე ძა-
ლიან კარგათ მიღიოდა. მან რამდენიმე ჯერ სძლია ზედიზედ
პართელებს, მაგრამ დაბოლოს დამარცხდა და ტყვეობაც კი ჩაუ-
ვარდა. ხელში მტრებს. დიმიტრის დამარცხებამ მისი მოკავში-
რების ბედიც გადასწყვიტა. ესენი მალე ჩაუვარდენ ისევ პარ-
თელებს ხელში. მითრადატე ამ გვარათ თავის მეფობის ბოლო-
ნანებში მთელი ერანის მპყრობელი იყო.

პართელთ სამეფოს შინაგანი წყობილება ძალიან მოგვავო-
ნებს ძველს სპარსულს წყობილებას. სამეფო ისევე, როგორც
ახემენიანთა დროს სატრაპიებათ იყო დაყოფილი. მითრადატეს
დროს 18 სატრაპია ითვლებოდა სახელმწიფოში: 1) მესოპოტა-
მია და ბაბილონი, 2) აპოლონიატის, 3) ხალონიტის, 4) კა-
რინა, 5) კამბალენე, 6) ზემო მედია, 7) ქვემო მედია, 8)
ხოარენე, 9) კომისენე, 10) ჰირკანია, 11) ასტაიენე, 12) პარ-
თიენე, 13) აბაუარტიკენე, 14) მარგიანა, 15) არეია, 16) ანა-
უების ქვეყანა, 17) ზარანგიანე, 18) არახოზია. სატრაპებთა-
გან ყველაზე მნიშვნელოვანათ სუზის და სპარსეთის სატრაპები
ითვლებოდენ: ამათ თავის მხრითაც საკუთარი სატრაპები ჰყავ-
დათ. სომხეთსა და აღირბეჭანს ¹⁾ საკუთარი მეფეები ჰყავდათ,
(არ შაკუნიანთ გვარისა უფრო ხშირათ) რომელნიც პართიის
¹⁾ და როგორც სჩანს იბერიასაც.

ბრძანებელს ემორჩილებოდენ ოსაკვირველია¹⁾). სახელმწიფოში უდიდეს როლს თავიდან მოატარობა და სამღვდელოება (მოვები) თამაშობდენ. დანარჩენ მცხოვრებთა უმრავლესობა მონებს წარმოადგენდა. მითრადატე ლრმა. მოხუცებული იყო, როდესაც ის გარდაიცალა და ფრატე II-ს დაუთმო აღვილი (138 წელს).

ამ მეფის დროს შემოქსენ ბაკტრიას როგორცა სჩან თუხარელები და დაიპყრეს ივი. ჩინური წყაროებიდან სჩანს, რომ თუხარელებს ნებით არ მიუტოვებიათ ძველი სამშობლო. მათ ჰიუნგ-ნუ (ჰუნნები) დაესხენ თავს, დაამარცხეს და დასძრეს თავის ადგილებიდან. თუხარელთ ბაკტრიაში შესევა მაშასადამე დიდი ხალხთა ყრის ხანის დასაწყისით. ფრატე შეებრძოლა თუხარელებს და მარგიანა წაართვა მათ. იგი კიდევ განაგრძო ბრა აღმამათ ბრძოლის, მაგრამ ამასობაში სხვა მტერიც გამოუტყვრა მას. ეს მტერი ანტიოქე VII ეპიფანე იყო. მას შემდეგ ჩაც ამ ნიკიერმა შეფეხ ცოტა არ იყოს გამოავარგა თასვის სამეცნის. აწერილი საქმეები, მან იწყო მზადება პართელებთან საოპრათ. ლიმიტრი ჯერ ისევ ტყვეთა. ჰყავდათ სპარსელებს, და ანტიოქემ მისი განთავისუფლების სურვილი მოიდგა საბაბათ და გამოუტარდა ომი პართელებს. 130 წელს იგი დოდი და კარგათ გაწვრთნილი ჯარით შეესია სელევკიანთ ძველ პროვინციებს. ადგილობრივი მცხოვრებნი ყველგან სიხარულით ეგებებოდენ მას. ზაბის ახლო მან დაამარცხა პართელთ სარდალი ინდატე. კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო გამარჯვების შემდეგ მან დაბოლოს ბაბილონიც კი ჩაიგდო ხელში. პართელთ ძლიერების სახელი შეიტყა. პროვინციები თან და თან ზურგს აქცევდენ მათ და ანტიოქეს. მხარეს გადადიოდენ. პართელები შეძრწუნდენ. ფრატემ ზავის პირობებზე იწყო ლაპარაკი, მაგრამ ანტიოქემ პართიის გარდა ყველა პროვინციების დაბრუნება და ხარჯი მოსთხოვა მას. იმაზე პართელები

1) შემდეგში ამათ გარდა კიდევ შემდევი ვასალური სახელმწიფო ფონი იხსენიებიან: ბაკტრია ლეპონთა ანუ ლეპონთა სამეფო ჩრდილო კავკასიაში და ალბანია (იხ. Langlois bei Agatkang. C. H.-H. A. I. 109).

ვერას ვწით ვერ დათანხმდებოდენ. ომი ვაგრძელდა, მაგრამ ამ ხელით მან სულ სხევანაირი მსკოლელობა მიიღო. ანტიოქეს ჯარი, რომელიც სხვა და სხვა აღგილებში იყო გაფანტული, მეტის მეტათ თავსხვდათ ექცეოდა აღგილობრივ მცხოვრებლებს. ამ ვარემოქაშ ღიღი უკმაყოფილება დაბადა რასაცირკელია. მე-
ღიღელები საიდუმლოთ მოუწივდენ პართელებს და დანიშნულ
დროს თავს დაესხენ ყველა ბანაკებს ერთ დროულათ. ანტიო-
ქე გაშურა უახლოეს ბანაკის საშველით, მაგრამ გზაზე პართ-
ელებს წააშეკრდა, რომელთა ჯარი გაცილებით რიცხვ-მრავალი
იყო ანტიოქესაზე. მიუხედავათ იმისა, რომ მეფე თავგანწირუ-
ლის ვაჟკაცობით იბრძოდა, პართელები მიინც გამარჯვებულნი-
დარჩენ, ანტიოქეს გასაქცევი გზაც კი აღარ დარჩა. მტრის ხე-
ლში ჩაერთნას მან კლდეზე გადავარდნა არჩია. ეს საბეჭის-
წერო ბრძოლა 129 წელს მოხვა. მის შემდეგ სელევკიანთა
ვზე საუკუნოდ ჩაესვენ უფასესულში, პართელებს. ამის შემ-
დეგ ვეღარავინ შეეცილებოდა ერან ში ბატონობას. ანტიოქეს
დაღუპუას კილიკის, იუდეის და ფინეკის განდგომა მოჰყვა-
აშასთანავე რომაელები და ეგვიპტელებიც სარგებლობდენ შე-
მოხვევით და სამარისკენ მიეზიდებოდენ ამ ბედეკრულ სამეფოს.

65 წელს სირია მართლაც რომის პრევინციად გადაიკცა.

ლვის წინაშე არც ფრაატეს დასდვომია კარგი დღე ამ მოუ-
ლობნელ გამარჯვების შემდეგ. ანტიოქეს ძლევა-მოსილ წინ-
სულის დროს ფრაატემ მეზობელ სკიოთებს შესთხვა დახმარება-
სკიოთებმა დააგროვეს ჯარი და მართლა შემოვიდენ ერანს,
მაგრამ ამასთაში ანტიოქე დამარცხებული იქმნა მათ დაუხმა-
რებლათ. ფრაატემ განუცხადა მათ აღარ მჭირიხაროთ და აღარც
აღთქმული ჯილდო მისუა მათ. ამაზე სკიოთები კარცვა-რბე-
ჭის მოჰყვენ. ფრაატე გაემართა მათ წინააღმდეგ მაგრამ დამარ-
ცხდა. ამბობენ მის ჯარში დამარცხებულ ანტიოქეს რაზმებიც
(დატყვევებულნი) იღებდენ მონაშილეობას. ბრძოლის დროს
ესენი სკიოთების მხარეს გადავიდენ და ამიტომ დამარცხდა ფრაა-
ტე, რომელიც თვითაც მოკლული იქნა. გამარჯვებულებმა მოკლი

სამეფო დაარბიეს და შემდეგ თითქოს დაბრუნდენ თავის სამ-
შობლოში, მაგრამ ჩელი დასაჯერებელია, რომ მათ ასე უბ-
რალოდ მიენებებით პართიისთვის თავი. უნდა ვითქმიროთ, რომ
მათ ჩამოავრეს პართელოთ სამეფოს ზოგიერთი პროვინცია.
(შეიძლება სახელი საკასტანი=საკთა ანუ სკვირთა ქვეყანა სწო-
რეთ ამაზე მივითოთებდეს) და დახარკეს ფრაატეს მიმყოლა
მეფე არტაბან პირველი. (ფრაატეს ძმა).

სკვირთა მძლავრობამ ცუდი შედეგები გამოიღო სახელმწი-
ფოსთვის. რაკი ცენტრალური ძალა მეტის მეტად დასუსტე-
ბული იყო. სახელმწიფოს აღარც შიგნილან ჰქონდა მოსვენება
და აღარც გარედან. არტაბანს წამდაუწუმ უხდებოდა ტახტის
მოდავეებთან ბრძოლა, რომელთა შორის სარდალი ევჰემერიც
იხსენიება. გარდა ამისა თუხარელებმაც ეხლა მოიცალეს პარ-
თიისთვის და შეესინ მას შესამეთ. მათ ამოძრავებულ ხალხთა
ახალი ტალღა მიაწყდა. არტაბანი I გაეგება მათ, მაგრამ და-
მარტხდა და თევითაც მოიკლა. მისი აღგილი მითრადატე მეოთ-
ე დიდმა დაიჭირა (123 წლის ახლო ხანებში). ეს მეფე თა-
ვის წინაპრებზე ბედნიერი აღმოჩნდა. დაწვრილებითი ცნობე-
ბი არ მოვვებოება მის შესახებ თუ როგორ დააბოლავა მან
თუხარელებთან ოში ყრველ შემთხვევაში შემდეგი გვაჩვენებს,
რომ მითრადატე მეორის შემდეგ ეს ხალხი აღარაა წინანდე-
ბურათ საშიში პართიისთვის. შემდეგ მითრადატე სხვაგანაც
შეუდგა ძველ საზღვრების აღ ღვენას და, როგორც სჩანს, მან
ყველგან მიაპწია. საწადელს. თავის მეფობის ბოლო ხანებში
იგი სომხეთის შინაურ საჭმებშიაც ჩაირია. ექვედარშაკი (იუს-
ტის სიტყვით) არშაკი და არტაშესი (ივივე არტავასდი?) მოჰ-
ყნენ. 94 წელს მითრადატემ ჩამოაგდო ტახტიდან არტავასდი
და მის ადგილას მისი უმცროსი ძმა ტიგრანი გაამეფა, რომე-
ლიც მძევლათ ჰყავდა მას. ტიგრანმა სამაკიეროთ 70 ხელ-
ბის დათმობა. აღუთქვა მითრადატეს. ეს ადგილება აღირბდე-
ჟანელებს და იბერებს ჰქონდათ ტიგრანის წინაპრებისგან წართ-
მეული. რაკი სომხეთი არსად არ ესაზღვრებოდა. პართიის

მითრადატე იბერებს და აღირჩევან ელემენტე უბრუნებდა ამ აღ-
ვილებს.

ამ დროსვე უნდა ეკუთნოდეს ალბანის სამეფოს დაარ-
სება მითრადატეს მიერ.

ხელსაყრელი ალმოჩნდა ამ მეცისთვის კომისგენერალი დედო-
ფალ ლაოდიკესთან ომიც. მითრადატეს დროს დაწყო პარ-
თიისა და რომის შორის ურთიერთობა. მისმა ელჩმა რომბაზემ
მისი დავალებით შესთხოვა სულლას, რომ მას რომის ერის და
სენატის კეთილგანწყობილება მოვპოვებია პართელებისთვის.

მიუხედავათ ყველა ამისა უნდა ვიფიქროთ რომ მითრა-
დატეს დროსვე იჩინა თავი სახელმწიფოს შინაგანმა განხრწნი-
ლებამ, რომელმაც მისი მემკვიდრეების დროს შეტათ დააქვეი-
თა ეს სამეფო, არტაპან მეორის დროს ამ უბედურებამ კადევ
იმატა. სომხეთის მეფე ტიგრან მეორე დიდმა ისარვებლა ამით
და დაიბრუნა ყველა ის ადგილები, რომელნიც მან თავის
დროზე მითრადატეს დაუთმო. მემდევ იგი იძყრობს ადირბე-
ჭანს, ესევა ე. წ. დიდ მედიას და სასტიკაო თოხრებს მას.
შემდეგ მისი ჯარები სირიასაც ნახულობენ. პართელები არა თუ
ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ მას, იძულებულნი
არიან ადიაბენე და მესოპოტამიაც კი დაუთმონ მას. სომხე-
თი ამ გვარათ პართიის ადგილს, იჰერს, როგორც პირველ ხა-
რისხივანი სამეფო. ტიგრანის გავლენა ამ დროს თვით იუ-
დიამდე უწევდა. თავის თავს იგი მეფეთ მეფეს უწოდებდა.
უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქცევა არ იყო უბრალო თავნებო-
ბაზე დამყარებული. მან აიძულა იღებათ არტაპან II-ე დაეთ-
მო მისთვის ეს სახელი. (სწორეთ პართელი მეფეები ატარებდ-
ნენ მეფეთ მეფეების სახელს). საზღვრების გასამაგრებლით
ტიგრანმა ე. წ. „მარკები“ (საპატიახშონი) დაბარსა, რომელთა
რიცხვი ხუთი იყო. (გუგარაქი, ალცრნიკი, ნორსირაკანი, არ-
კასტანი, და მასკოთქი). ამ მარკებს ე. წ. ბდეშხები (ქართულათ
პატიახში) ანუ ევროპიულის თერმინოლოგიით მარკერაფები
განაგებდებოდა.

73 წელს ტიგრანი ჯერ კიდევ განაგრძობს პართელების ხარჯზე თვის ძლიერების ზრდას. მისი მოწინააღმდევე ამ დროს მეტე სანარჩუქა. უკანასკნელი 80 წლისა, იყო, როდესაც ის სკვითების ქვეყნიდან დაბრუნდა და მაღით გამოვგლივა ტახტი თვის წინაშორებელს. მისი სიკედილის შემდევ გვირგვინი მის შეიღს ფრაატე მესამეს ერვა. ტიგრანი ამ დროს რომაელებთან იყო უკვე ომში ჩიბშული თვის სიც შიორიადატ პონტელის სახარებელოთ. ამიტომ 69 წელს მან და მითოადატებ სოხოვეს ფრაატეს მხარი დაეჭირა მათთვის ამ ომში. პართელები ისე გამწარებულნი იყვნენ ტიგრანზე, რომ ფრაატემ უურიც არ აოხოვა ამ წინადადებას. სამაგიეროთ პინ ლუკულს განუცხადა თანხმობა კავშირზე, მაგრამ დაბოლოს მაინც ისევ ნეიტრალობა არჩია. პომპეიმ ისევ განახელი მოლაპარაკება მასთან და დაბოლოს დაიყოლია კიდევ ფრაატე. პართელები დახმარებას აღუთქამდენ რომაელებს და სამაგიეროთ მათი შემწეობით იბრუნებდნენ უკელი. იმ პროვინციებს, რომელნიც ტიგრანმა წაართვა მათ. ომის საბაბათ პართელებმა შემდეგი მოიცვეს.

ტიგრანს თვის შეიღი (ტიგრანივე) აუჯანყდა, რომელიც პართის გაიქცა. ფრაატემ მიათხოვა მას თავისი ქალი და შემდევ მისი სომხეთში გამეფება მოისურდა. 66 წელს იგი შეესია სომხეთს, მააღწია მის სატახტო ქალიქ არტაქსატამდე, (რომელიც დღვენდელი ერევნის ახლო იყო გაშენებული), და ალყა შემთარტყა მას. მოხუცი ტიგრანი იძულებული შეიქნა მოქმედი გახიზულიყო. ფრაატემ დაუტოვა თვის სიცეს საკმაო ჯარი ალყის გასაგრძობათ და თვითონ სამშობლოში დაბრუნდა. მოხუცი ტიგრანი ამასობაში თავს დაესხა თავის შეიღს. და სასტკიკათ დაამარცხა იგი. უკანასკნელი ამ ხელით პომპეისთან გაიქცა, რომელიც სწორეთ ამ დროს ტიგრანისკენ მიიღო შექმებოდა. ტიგრანი ამ დროს კარგათ იცნობდა რომ პართელოთ ძალის და ამიტომ ომს დამორჩილება არჩია. პომპეიმ წაართვა ტიგრანს სირია, ფინიკია, კილიკია და გალატია; და-

ნარჩენი პროვინციები კი დაუტოვა მას. ტიგრან ბატონიშვილი სრულიათ არ მოეღლოდა, რომ საქმე ასე დატრიალდებოდა. იგი ფიქრობდა პომპეი მამახემს დაქმარცხებს და მის აღვილას ტახტს მე ჩამაბარებსო. პომპეიმ კი მხოლოთ სოფენე დაგორ-გიენე მიაკუთხნა მას. ბატონიშვილს კუთხაში არ დაუჯდა ეს და თავხედობა დაიწყო, რისტვისაც სიკვდილით იქმნა დასჯი-ლი? (თუ რომს ტყვეთ წაყვანილი). ზოგი ამბობს კიდევ, რომ პომპეიმ შერიგების შემდეგ მამას დაუბრუნა თავისი ურჩი შვი-ლით. არც ის დააყრიდა რასაკვირველია მას ხეირს¹⁾). ფრაატე, რომელმაც ამასობაში დაიფლო ხელ შეკრულობაში მოხსენებუ-ლი პროვინციები, გამოექმადა თავის სიძეს და საჩივრით მიმართა პომპეის, მაგრამ თავხედ რომაელს აღარაფერში სკი-რატდა პართელთ მეფის სამსახური. ამიტომ პასუხათ მან ხელ-შეკრულობაში მოხსენებული პროვინციის გორდიენტს დაცლა მოსთხოვდა მას. შემდეგ მან პასუხსაც იღარ მოუკუადა და ძა-ლით გამორეკა პართელები, როგორც გორდიენტან, ისე მე-

1) 66/65 წლ. ზამთარი პომპეიმ სომხეთს დაჰყო. შემდეგ მან გა-დასწყვიტა იბერიისა და ალბანიის დამორჩილება. არ უნდა ვიფიქ-როთ, რომ მას ალექსანდრე მაკედონელივით განდიდების სურვილი შეირეკებოდა შორეულ ქვეყნებისკენ სრულებითაც არა. სალათ მო-აზროვნე ტომაელი სამართლიანათ ფიქრობდა, რომ სანამ ეს ორი სამეფო რომის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცევა, მანამდი რომის პო-ლიტიკა აზიაში ფეხშებორკვილი იქნება. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ პომპეისაც კარგათ ესმოდა კავკასიის კარგის მნიშვნელობა. გარდა ამისა იბერიელები და ალბანელები მითრადატეს მოკავშირე-ნი იყვნენ.

იბერთ მეფე არტაგი ხედავდა რომაელის წადილს და ემარაგე-ბოდა მასზე მოულოდნელათ თავდასასხმელათ. მტრის თვალის ასახვე-ჭათ მან მოციქულები გაუგზავნა მას, რომელთაც შეგობრული გან-შულბილება უნდა გაემტკიცებიათ ქართველთ და რომბელთ შორის. პომპეი მიუხვთა არტაგს ხრიკს და თვით შეიკრა ახალციხით იბე-რიაში და ანაზღეულათ მიადგა აქროპოლს, (მცხეთას?) რომელიც ხე-ჭის ყელში მდებარეობდა გზის დასაცავათ. არტაგისათვის ეს თავ-ზასხმა ისე მოულოდნელი იყო, რომ მან ციხის დასაცავათ თადარი-

სოპოტამიიდან: ფრაატე იძულებული შეიქნა გადაეყლაპა ეს შეურაცყოფა. 64 წელს მან სამაგიეროთ ტიგრანზე იყარა ჯავრი: დაესხა მას თავს და დამარცხა იგი. უკანასკნელშა პომპეის შიბართა. მას ტიგრანის ბედი არ აწუხებდა, მაგრამ ფრაატესთვის მისი სახელიც საშიშარი იყო ჯერ-ჯერობით. ამიტომ ფრაატემაც პომპეის მიანდო მისსა და ტიგრანის შეუ დავის გადაჭრა. 67 წელს ფრაატე თავის შვილების ოროდეს და მითრადატეს მსხვერპლი შეიქმნა. ტახტი ოროდემ დაიყვა. მითრადატეს კი მედია შისცა. ეს ორგამგეობა სახეიროს არას წარმოადგენდა პართელთ სამეფოსთვის. მითრადატემალე ვამოა-ძევს თავის კვეშევრულმებმა მედიიდან. ამის შემდეგ მან თვით პართიის ტახტის დაკავება მოისურვა და ომიაელ გაბინისაც (სირიის პროკონსულს) კი შესთხოვა დახმარება. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ჩაიგდო ხელში ბაბილონი, შემდეგ სელევკია თავის ნებით გადავიდა მის მხარეზე. ოროდეს საქმე ძალიან ცუდათ იყო, მაგრამ სარდალშა სურენამ, რომელსაც უზარმა-გიც კი ვერ გასწია. მან საჩქაროთ მიატოვა იქაურობა, გადიარა მდი-ნარე და დააქცია ხიდი. მეციხოენე ჯარმა სცადა გამოხტომოდა მტერს, მაგრამ ომაელებმა დიდი ზიანი მიაყენეს მას და შერევეს უკან, რის შემდეგ იგი მაღე დანებდა პომპეის. უკანასკნელშა ჩააყენა შიგ თავისი გარნიზონი და შემდეგ მდინარის მთელი გადმოლმა მხა-რე იგდო ხელთ.

არტაგმა ხელახლა გაუგზავნა მოციქულები პ-ს, აღუთევა. შას ხიდის აღდგენა და სურსათი. პომპეიმ არ უგდო ყური ამას და გადა-ვიდა მდინარეს. არტაგმა მდინარე პელორისაკენ (იორი?) დაიხია. პომპეი დაეწია მას და დაესხა თავს. კასსის სიტყვით თავ დასხმა ისე სწრაფათ მოხთა, რომ ქართველ ჯილოსნებს თავის ხელოვნების გამოჩენაც კი არ დასცალდათ. პლუტარხის აღწერით კი ბრძოლა მწვა-ვე უნდა ყოფილიყოს, რადგინ მისი სიტყვით 9. ათასი იბერიელი იმ-სხვერპლა მან ასე თუ ისე არტაგი დამარცხდა და იორს (?). გადაღმა უშველა თავს. აქედან მან ხელახლა გაუგზავნა პ-ს მოციქულები და საჩუქრები. პომპეიმ მხევლებათ შვილები მოსთხოვა არტაგს. უკანას-კნელი იძულებული იყო დათანხმებულიყო ამას, რის შემდეგ მოპირ-დიპირეთა შორის ზავი იქმნა შეკრული.

ზარი სახელი ჰქონდა მთელს სამეფოში, იხსნა იგი გაჰკივრებისგან. უკანასკნელმა არა თუ დაიბრუნა უკან ბაბილონი და სელევკია, არამედ თვით მითრადატე იგდო, როგორცა სჩანს, ხელში.

ამასთაბაში პროკონსულ გაბინის ადგილი სირიაში კრასსმა დაიკირა. დიდებული ტრიუმფირი მეტათ მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე მეტათ ხარბიც. გარდა ამისა თავის მოკავშირეების (ცეზარის და პომპეის) სახელიც არ აძლევდა მას მოსკვენებას. ამიტომ გადასწყვიტა მან პართელებზე გაენადირებია, თუმცა უკანასკნელებს არ მიუკიათ მისთვის საბაბი. მომზენის აზრი, თითქოს ეს ომი იმის პასუხი იყო, რომ წინათ ფრაატე სომხეთს დაეცა თავს, შეუწყნარებელია. ლაშქრობის წინ კრასსი თვითონ ტრაბახობდა, რომ იგი ინტოეთამდის გასწევდა რომის სამფლობელოს საზღვრებს. კრასსმა ომის გამოუტადებლათ გადალახა საზღვარი. შეიჭრა მესოპოტამიაში და დაიპყრო აქ რამდენიმე ქალაქი. ადგილობრივი მცხოვრები ბერძნები სიხარულით ეგებებოდენ მას. დაპყრობილი ადგილების დასაცავათ კრასსმა 8 ათასი კაცი დასტოვა, თვითონ კი სირიაში და-

იბერიაში პომპეიმ შეიტყო, რომ აქედან კოლხიდაში გადასვლა ძნელი არ იყო. მან გადასწყვიტა ესარგებლა ამით და კოლხიდიდან (იმერეთიდან) მიხტომოდა მითრადატეს ბოსფორში. რომაელი სარდალი მართლაც გადავიდა იმერეთს (სურამის გადასავლით ა. ს.), მაგრამ აქ ვაიგო მან, რომ სიძნელეს წარმოადგენდა მისგან გამიზნული გზა და თავი მიანება თავის წინანდელ აზრს და სომხეთს დაბრუნდა. აქედან იგი ალბანელების წინააღმდეგ გაემგზავრა, დაამარცხა ესენიც და ქართველებივით დაიზავა შემდეგ. ასე მოიდგეს პირველათ რომაელებმა ფეხი ამიერ კავკასიაში. ამის შემდეგ რომის დიპლომატიას თვალი აღარ მოუშორებია იბერიისთვის. იგი ძალით, თუ ხერხით მუდამ ცდილობდა საუკუნეოა განმავლობაში თავის პოლიტიკურ ზეგავლენის ქვეშ ჰყოლოდა ქართველები.

ქართველები ვერ შეეგუენ ვასსალობას და მოქალაქეთა ომების დროს ჩამოსცილდნენ რომს, მაგრამ მეფე ფარნავაზის დროს ანტონის სარდალი კანიდი კრასსი ხელახლა შეიჭრა იბერიაში (136 წ.ქ.წ.) დაიმორჩილა იბერიია და შემდეგ მისი დამშარებით ალბანიაც.

პრუნდა. შესაფერ დოსტი იგი ხელახლა ფიქრობდა, რასაკვირ-
ვლია, ლაშქრობის განვრმობას. ოროდმა ელჩები ვაუგზავნა
მას და დაეკითხა: რისთვის და ვის სახელით დაიწყო ვან ომი?
კრასსმა თავხედურათ ვანაცხალა პასუხს სელევკიაში მიიღებ-
თო. სომხეთის შეფე არტავასდმა (ტიგრანის შეიღმა), რომელიც
რომაელებისკენ იყო, ურჩია კრასს სამხრეთიდან შესერდა პარ-
თიას, მაგრამ კრასს, ოოგორტ დავინახეთ მთელი გარნიზონი
ჰყავდა შესობოტამიაში დატოვებული, ამიტომ მან ყური არ
ათხვა ამ რჩევის. ჩვე წელს ვაზაფხულზე კრასსი დაიძრა 7
ლეგიონით და 4 ათასი მხედრით და ვადალახა ეფრატი ზე-
ქმასთან.

პართელებმა, ოოგორტა სჩანს, კარგათ იცოდნენ სას ეპი-
რებოზა კრასსი, რადგან უკანასკნელის მოკავშირე აბგარი
(ადესსის მეფე) მათი ჩუმი მეგობარი იყო. ისინი კარგა გამოწ-
ყობილნი დახვდნენ ამიტომ კრასს. ოროდე თავის ჯარით
სომხეთში შეიკრა. მას სურდა ერთის მხრივ დაესაჯა არტა-
ვასდი, მეორე მხრივ კი ხელი შეეშალა მისთვის, რომ რომაე-
ლებს ამ მიწხმარებოდა იგი. კრასსის წინააღმდეგ ზემო ნახ-
სენები სურენა გაგზავნა მან ცხენოსანი ჯარით. კრასსის რაზ-
მები პირველაზ კარრპესა და იხნეს შეა წააწყდენ პართე-
ლებს. კრასს ეგონა შეს მხოლოთ ავანგარდთანა ჰქონდა საქ-
მე და იერიშის მიტანა უბრძანა თავის რაზმებს, მავრამ საქმე
სულ სხვანაირად. იყო.. პართელების მთავარი ჯარი იქვე ახ-
ლოს იყო ჩასაფრთული და მალე მიეშველა წინა რაზმებს და
ისე შეავიწროვა თავსდამსხმელნი; რომ უკან დახევა მათთვის
შეუძლებელი გიხდა: კრასსი იძულებული შეიქნა ახალი რაზ-
მები მიეშველებია წინანდელებისთვის. მათ შისი შვილი პუბ-
ლი წინამძღვრობდა. რომაელები ვაზედულათ ეძღვრენ მტერს.
პართელებმა ჩვეულებისმებრ იბრუნეს პირი და გაიქცენ,
მაგრამ როგორ დაატყვეს, რომ საკმაოთ შორს გაიტყუეს მტე-
რი, ისინი შობრუნდენ, შემოერტყენ მას გარს და სრულიათ
მოსწუვიტეს იგი მთავარ ჯარს. თავის თავათ ცხადია ავ რაზ-

მებიღან ცოტალა გადარჩა ცოცხალი. საბრალო პუბლის მოქ-
რილი თავი მაღვ იხილეს რომაველებმა. სარჩე წამოცმული
სიცხით, წყურვილით და სხვა უძელურებით შეწუხებული ჯა-
რისთვის ეს ამბავი თავზარდამცემი აღმოჩნდა. დალუპულების
გარდა უკვე დაჭრიულთა რიცხვი უდრიდა 4 ათასს. დაღამდა
თუ არა, კრასი საჩქაროთ დაიძრა და კარჩეს მიაშურა. მისდა
საბეღნიეროდ გზაზე მეციხოვნე ჯარი გამოევება მას და მიაცი-
ლა ციხემდე. რატომ არ დარჩა იქ თუნდაც ცოტა ხნით კრას-
სი, რათ მოისურვა მან მაინც და მაინც სირიამდე მისულიყო
ძნელი სათქმელია. შესაძლებელია კარჩეში ცოტა სურსათი
იყო, მაგრამ აოც პართელები იყვნენ საიმისოთ გამოწყობილ-
ნი, რომ იღეთ შემოერტყათ ციხისთვის. პართელებს თვითუნ
ვერ წარმოედგინათ, რომ კრასი ამ უაზრობას ჩაიდენდა და
ძალიან გაფირვებულნი დარჩენ, როცა შეიტყვეს, რომ კრას-
მა მიატოვა ციხე და სირიის გზას დაადგა. მათაც ეს უნდო-
დათ სწორეთ. რასაკვირველია ესენი წამდაუწუმ თავს ესხმო-
დენ მათ და მოსვენებას არ აძლევდენ. რომაველებს. დაბო-
ლოს იმდენი ქნეს პართელებმა, რომ ცალ-ცალკე რაზმებათ
დაფანტეს ჯარი, რომელთაგანაც ზოგი აქეთ გარბოდა და
ზოგი იქით. სხვათა შორის ერთი ისეთი რაზმის მეოთხრი
კასი არ ენდო გზის მაჩვენებლებს, დაბრუნდა უკან კარჩეში
და მით მთელი რაზმი გადაარჩინა დალუპვას. კრასი ცოტა
მანძილი-და დარჩა ცომხეთის მთებამდე. როდესაც მეტათ შე-
წუხებული ჯარის დაჟინებით მან მოლაპარაკება გამართა პარ-
თელებთან, უკანასკნელთ დაჭერა მოუნდომეს. მას მოლაპა-
რაკების დროს, კასმა იარაღით სცადა თავდაცვის მაგრამ
მოკლულ იქმნა.

მისი ჯარიდან მხოლოდ 10 ათასი კაცი გადარჩა, 10. ათასი ტყვეთ ჩაუვარდა ხელში პართელებს, 20 ათასი კი გზაზე დაიღუპა. ზოგის სიტყვით მისი ჯარი თავდაპირველათ 80 ათასი კაცისგან შესდგებოდა, მაგრამ პირველი რიცხვი უფრო სარწმუნოა.

ოროდმა მით გადაუხადა ნალვაწი სურენას, რომ თავი მოჰკვეთა მას. ისეთ სახელმწიფო ში, საღაც მეფე განუსაზღრელი ბატონია, ქვეშევრდომისთვის დიდი სახელი „თავმომჭრელია“.

ოროდე რომ რაიმეთი ჰგვანებოდა პონტელ მითრადატეს იგი ისარგებლებდა ამ სამაგალითო გამარჯვებით და მოიწადინებდა რომაელების აზიდან გამოდენას, ან სირიის დაპყრობას მაინც. რომაელებისთვის ამ დროს ძალიან ძნელი იყო ასეთი დიდი ჯარის დაგროება და ამ შორეულ პროვინციაში გადაგზვნა. მან კი ამის მაგიერ რამდენიმე რაზმი შეუსია მხოლოთ სირიას, რომელნიც კასიმ ადვილათ მოიგერია. მხოლოთ 52 წელს გადიარა პართელების საკმაოთ დიდმა ჯარმა ხელახლეფრატი. რომაელებს ჯერაც კი ორ ჰყავდათ საკმაო ძალები მტრის მოსაგერიებლათ. გარდა ამისა ადგილობრივი მცხოვრებლებიც გვერდზე უყურებდენ მათ. პართელებმა ანტიოქიამდე მიაღწიეს, მაგრამ ვერ აიღეს ეს ქალაქი და ხელცარიელი დაბრუნდენ უკან. ანტიგონიის ახლო დაბრუნებულებს კასი დაესხა თავს და დიდი მარცხი მიაყენა მათ. 51 წელს პართელები ხელახლა გამოეწყვენ სალაშქროთ; მაგრამ კონსულმა ბიბულმა მოისყიდა მესოპოტომიის სატრაპი რდნოდაპანტე და არეულობა ჩამოავდებია მას ჯარში, რის გამოც ოროდემ უკან გაიწვია მთელი ჯარი.

ეს უღირსი მეფე იმ იღბალსაც შეესწრო, როდესაც მამამისის დამჩაგვრელი პომპეი შევლასა სთხოვდა მას ცეზარის წინააღმდეგ. ოროდემ სირია სთხოვა მას ფასათ. პომპეიმ ვერ აღუთქა მას ის პროვინცია, რომელიც თვეოთონ მან შესძინა რომს და მოლაპარაკება შესწყდა.

პომპეიზე გამარჯვების შემდეგ ცეზარს გადაწყვეტილი ჰქონდა პართელების წინააღმდეგ გაელაშქრებია, მაგრამ სიკვდილის გამო აღარ დასცალდა მას ამ აზრის სისრულეში მოყვანა. ცეზარის სიკვდილის შემდეგ ატენილ მოქალაქეთა ომის დროს პართელები სცდილობდენ სუსტი მხარესთვის დაეჭირათ მუდაშ მხარი. 43 წელს მათ პატარა რაზმი გაუგზვნეს კასისის, რომ-

ლითაც მან ვერ ისარგებლა, რადგან იგი მიისწრაფოდა ბრუტს შეერთებოდა. შემდეგ ბრუტმა და კასსიმ უქიმოს ყოფილი ლეგატი ლაბიენი გაუგზავნეს ოროდეს მოციქულათ და უფრო თვალსაჩინო დახმარება შესთხოვეს მას. ოროდემ ყოყმანობა იწყო. ამასობაში ოკტავიანმა და ანტონიმ დაამარცხეს კასსი და ბრუტი.

ამის შემდეგ ანტონიმ გამორჩეა სირიიდან ის პატარა შთავრები, რომელნიც პართელების წყალობით არსებობდენ აქ. ეს პირდაპირი შეურაცყოფა იყო პართელებისა. რაკი ამასთანავე ლაბიენიც ურჩევდა მათ ომის დაწყებას, პართელებმა დააგროვეს ჯარი და შეესინ სირიას. აქ მდგომი ჯარები უმთავრესათ კასსის ყოფილი ჯარისკაცებისგან შესდგებოდენ. ესენი კარგათ იცნობდენ ლაბიენს და მაშინვე მის მხარეს გადავიდენ. ანტონის ლეგატი საქაა დამარცხებულ იქმნა და ჩუმათ გიპარა აპარეალან, რადგან მას თავისივე ჯარების ეშინოდა. აბახე და შემდეგ ანტიოქია უმაღლე დანებდენ პართელებს. შემდეგ ესენი დაუყვენ ზღვის ნაპირს და ტირის გარდა ჟველა ფინიკიური ჭალაქები დაიპყრეს. იუდეას ამ დროს პირგანის სახელით იღუშეელები იროდი და ფაზაელი განაგებდენ, რომელნიც ებრაელ პატრიოტებს გულით და სულით სძაგდათ. პართელების მთახლოებისას ესენიც აჯანყდენ. პართელებმა ჩამოაგდეს პირგანი და მისი მაიორულომი იროდე და ანტიგონეს (მაკაბელს) ჩააბარეს შეართვებობა. უკანასკნელს ათასი ტალანტი უნდა ეძლია ხარკათ პართელებისთვის. (შემდეგში იროდე რომაელების შემწეობით ხელახლა დაბრუნდა იუდეაში, ჩამოაგდო ანტიგონე და თვით იწყო ქვეყნის მართვა. იგი 4 წელს გარდაიცვალა ქრ. წინ). პართელების მმართველობა დაპყრობილ აღვილებში გაცილებით უფრო აღამიანური იყო რომაელებისაზე.

ამასობაში ლაბიენი მცირე აზიაში ახალ-ახალ ჯარებს აგროვებდა და აფართოებდა თვითს ძალას. მიუხედავათ ამისა პართელების საქმე მაინც სხვანაირათ უატრიალდა. ესენი ვერ იყვნენ საიმისოთ მოწყობილნი, რომ ხანგრძლივი თავდასხმით

ომში ულელი გაესწორებიათ რომისთვის. 39 წელს ანტონის
სარდალი ვენტიდი ბასისი შეიქრა მცირე აზიაში და უბრძოლ-
ველათ დააცლევია ლაბიენს დაპყრობილი აღგილები. პართვ-
ლები გაეშურენ ლაბიენის საშველათ, მაგრამ ვერ მოახერხეს
შეერთებოდენ მას და იძულებული შეიქმნენ ცალკე შებრძო-
ლებოდენ. ეს შეჯახება მათის დამარცხებით გათავდა. შემდევ
ბასის ლაბიენსაც დაესხა თავს, დაამჯრუხა იგი და გაჰფანტა მისი
ჯარი. რამდენიმე ხნის შემდევ პართელებმა ხელახლი სცადეს
ბედი, მაგრამ ხელახლა დამარცხდენ. ამ ბრძოლაში სხვათაშო-
რის მათი საუკეთესო სარდალი ფარნაპატეც მოიკლა. დამარ-
ცხების შედეგი სირიის დაცლა იყო პართელების მიერ. უკა-
ნასკნელი ვერ შეუტიგდენ ამ მარცხს და რამდენიმე ხნის
შემდევ ხელახლა შეესიენ მოულოდნელათ სირიის. ჯარს პა-
კორ-ბატონიშვილი უძღლდა წინ. ვენტიდი ბასსმა დიდის სი-
ჭრაფით მოუყარა საჭირო ძალებს თავი და გინდამის ახლო სა-
სტიკათ დაამარცხა პართელები. ბრძოლის დროს ბატონიშვი-
ლიც მოიკლა. იუსტინეს სიტყვით ამ ამბავმა თითქმის ჭკუაზე
შეშალა მოხუცი მეფე. რამდენიმე დღის განმავლობაში მას ენა
წევრთვა, შემდევ როცა მას ლაპარაკის უნარი ხელახლა მიეცა
იგი წამდიანწუმ მოკლული შეიღოს სახელს იმეორებდა.

რომაელებისთვის ამ გამარჯვების შემდევ სულ ადვილი
შეიქმნა ჩამოცილებული პროვინციების უკან დაბრუნება მხო-
ლოთ იუდეაშ, (რომელიც იროდეს დაბრუნების უფრთხოდა)
გაუწია მათ სასტიკი წინააღმდეგობა.
მოკლული პაკორის (ბაკურის) მაგირ აროდემ თავისი უკა-
ნონ შვილი ფრაატე (IV) დანიშნა ტახტის მემკვიდრეთ. უკა-
ნასკნელი უფრთხოდა სხვა ძმების მეტოქეობას და მამის სი-
ცოცხლეშივე შეუდგა მათ საიქიოსკენ გამგზავრებას და როცა
ოროდე გამოექმავა თავის სისხლსა და ხორცს ამ უმგზავსომ
ისიც გააყოლა უკან თავის ძმებს. მიუხედავათ ყველა იმ მარ-
ცხებისა, რომელიც პართელთ სამეფომ იხილა როდეს დროს,
მისი მეფობა მაინც ძლიერებას ხანით უნდა ჩაითვალოს.

ფრაატემ მიატოვა ოღმოსავლეთი დღა შეტეზიფონი არჩია
სატახტო ქალაქათ.

მამის სიკვდილის შემდეგ ფრაატემ კიდევ უფრო თავისუ-
ფლათ განაგრძო ძმებზე ნაღირობა, მაღვ 30 კაცისაგან თით-
ქმის აღარავინ არ გადაურჩა მას უკუხალი, ეს ამბები დიდ
უკმაყოფილებას იწვევდა სამეფოში:

ანტონი, ომელიაც, ოქტავიანთან მორიგებით, ომის
იმპერიის ოღმოსავლეთი ნაწილი ერგო, ამასობაში უფრო და
უფრო აფართოებდა, თავის ძალას. სარდალმა კანიდი კრასსმა
როგორც ვსთქვით დაუმორჩილა მას იბერების მეფე ფარნაგაზი
და ოლბანელებისა ზობერი. მეორე სარდალმა სოჩიმუკანასკე-
ლი ფინიკიური ქალაქი არადიც გამოჰლიჯა პართელებს ხე-
ლოდან, მის ხელქვეშ იყო აგრეთვე იუდეაც. მის გამუმაჩლათ
თავმოკერძობას არც ეს აქმაყოფილებდა. მის ოცნებას ღმო-
სავლეთში მისგან დამოკიდებული დიდი სამეფოს შექმნა შეად-
გენდა. მისთვის პართიის ან მისი ნაწილის დაპყრობა იყო
რასაკვირველია საჭირო და ანტონის მართლაც გადაწყვეტილი
ჰქონდა, ეს, კიგი სიამოვნებით უყურებდა ფრაატეს. სისასტრიკით
ვამოწვეულ არეულობას, და იჩქაროდა ესარგებლა შემთხვევით.
ანტონის არ სურდა კრასსის შეცდომა გამეორებია. და
მესოპოტამის შაგიერ სომხეთიდან შესევა არჩია პართიაში. ამას-
თ ურჩევდა მას სომხეთის მეფე არტავასდიც. 36 წელს იგი
მართლაც შეიკრა აღირბეიგანში და ალყა შემოარტყა ფრაასპას.
მისი ჯარი 60 თუ 80 ათასი ქვეითი ჯარისკაცისაგან და 10
ათას ცხენოსნისაგან შესდგებოდა. ცხენოსანი ჯარი იბერების
და კელტებისგან შესდგებოდა. გარდა ამისა სომხებიც შეპპირ-
დენ მას 6 ათას ცხენოსანს და 7 ათას ქვეითა ჯარისკაცს. ან-
ტონის სურდა აქედან შიგ შუაგულ სამეფოში (ეკბატანამდის?)
შექრილიყო, ფრაატე სარეულიათ არ მოულოდა მტერს ამ მხრი-
დან, მაგრამ აღირბეებულები თავგამომეტებულნი იცავდნენ თა-
ვის სატახთო ქალაქს. (იგი ურმის, ტბის სამხრით მდებარეობ-
და) და მშესაბამი კი დრო გადიოდა და ფრაატესაც საშუალე-

ბა ეძლეოდა აქეთკენ შემოეკრიბა თავისი ძალები. ფრაასპა ჯერ კიდევ მაგრათ იდგა, როდესაც ფრაატე 50 ათასი ცხენოსნით დაიძრა მის საშველათ. გზაზე პართელებს ბეღმა გაუღიმა. ესენი წააწყდენ თავს იმ რაზეს, რომელსაც საალყო მანქანები და ხაბაკი მიჰქონდა ანტონის ჯარისფის. პართელები დაესხენ მას თავს და სავსებით მოსპეს იგი (7,500 კაცი). მხოლოდ პონტოელი პოლემანი გადარჩა. რაზმის დაკარგვა იმდენათ სავალილო არ იყო რამდენათ მანქანებისა. ამის გაგებაზე გზაში მყოფმა სომხეთის შეფე არტავასდმაც იბრუნა პირი თავის 13 ათასი კაცით და დაბრუნდა სომხეთს. კასი ამბობს, მას შეეძლო გადატჩინა რაზმი, მაგრამ არ ისურვაო. ეს ძალიან საეჭვოა.

პართელები დაბანაკდენ რომაელების-ახლო და მოსვენებას არ აძლევდენ. განსაკუთრებით საძნელო საკვების ძებნა შეიქნა. ამასობაში ზამთარიც ახლოვდებოდა. ალყიდან კი უმანქანებოთ არა გამოდიოდა რა. ანტონიმ ამიტომ მოლაპარაკება იწყო ფრაატესთან. უკანასკნელმა განუცხადა ანტონის; თუ ალყაზე ხელს აიდებ ეხლავე, უკან დაბრუნების გროს არ შეგაწუხეფო. ანტონი დათანხმდა ამაზე; ზიანება ფრაასპას თავი და დაბრუნდა უკან, მაგრამ გზაზე მას და მის ჯარს კრასსის ბეღი დაადგათ თითქმის. პართელებმა გასტეხეს სიტყვა და წამდაუწუმ თავს ესხმოდენ რომაელებს. საბეღიეროთ ერთმა პართელმა დიდებულმა წინდაწინე შეატყობის ანტონის ფრაატე გატყუილებსო, თორემ ზიანი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. დიდი სამსახური გაუწია ანტონის კრასსის უოფილმა ჯარის კაცმა, რომელმაც ძალიან კარგათ იცოდა გზა. მიუხედავათ ყველა ამისა ჯარის მდგომარეობა მეტათ შევიწროებული იყო. ანტონის თვითონაც აღარა ჰქონდა გადატჩინის იმედი და ნაბრძანები ჰქონდა მოსამსახურისთვის ცოცხალი არ ჩამაგდო პართელების ხელშით. იღბლათ რომ ჯარმა როვორც იქნა სომხეთს მიაღწია, თორემ ნახევრის მაგიერ მთელი ჯარი გასწყდებოდა გზაში ან მტრის ხელით, ან შიმშილით, ან წყურვილით და ან ავადმყოფობით. მარტო ერთი

(18 თაგან) შეჯახების დროს რომაელებს 3 ათასი კაცი მოუკვდათ და 5 ათასი დაეჭრათ. თავის უბედურობა ანტონიმ სომხეთის მეფეს არტავაზდს მოახვია თავზე და მასზე იყარა ჯავრი¹⁾). სტრაბონი ამართლებდა თავის დროაზე მის საქციელს. სხვათა შორის შპიგელიც მის აზრს ემხრობა. მოშენი კი პირიქით ამტკიცებს, რომ არტავასდი უდანაშაულოთ დასაჯა ანტონიმ. გართლაც და ძნელი სათქმელია რით უნდა შეეცვალა ანტონის დიდი ჯარის ბედილბალი სომხების პატარა რაზმს. სომხეთის მეფის გარდა კაპადოკიელ არიარათესაც მოხვდა ანტონის სუსხი (ღმერთმა იცის რისთვის).

არც აღირბევანელ არტავაზდეს წასვლია კარგათ საქმე შიუხედავათ იმისა, რომ მან ფრაასპის სამაგალითო დაცვით უზარმაზარი სამსახური გაუწია ფრაატეს. უკანასკნელმა არ დაუფისა მას ეს და ნადავლის გაყოფის დროს ნაკლები ყურადღება მიაქცია მას. ამით გაბრაზებულმა არტავაზდემ ზურგი მიაქცია ფრაატეს და ანტონის დაუკავშირდა. კავშირი მოყვრიბით იქმნა განმტკიცებული. არტავაზდემ თავის ქალი შვილი იოტაპა მიათხოვა ანტონის შვილს (კლეოპატრასგან) — ალექსანდრეს. მოყვარეს და მოკავშირეს ანტონიმ სომხეთის ნაწილი დაუთმო და ამასთანავე ჯარის ნაწილიც მიახმარა, რომლის შემწეობითაც იგი აღვილათ იგერიებდა არტეშეს და მის დამხმარე პართელებს. მცირე სომხეთი ანტონიმ პონტოს მეფე პილემონს მისცა, რომელიც შუამავლის როლს თამაშობდა მისსა და არტავაზდეს შორის.

ოქტავიანეს და ანტონის შორის ომის დროს უკანასკნელი იძულებული შეიქნა უკანვე მოეთხოვა. თავისი ჯარი არტავაზდესაგან. პართელებმა ისარგებლეს ამით, შეესინ აღირბეჟანს,

1) მან ვერაგულათ დააჭერია იგი და ეგვიპტეს გაგზავნა ცოლ-შვილით. ტრიუმფის დასამშვენებლათ ამასთანავე მან მისი სამეფოც ივლო ხელთ და თავის შვილს ალექსანდრეს დაუმტკიცა. არტავაზდის შვილი არტეშესი იძულებული შეიქნა ფრაატესთვის შეეფარებია თავი.

დამარცხეს არტავაზდე და დაატყვევეს იგი. სომხეთის ტახტზე
მათ თავიანთი პროტეფე არტაშეს მეორე დასვეს (იგივე არ-
ტაქე II). ამგვარათ სომხეთი ხელახლა დაკარგეს რომაელებმა.

ამ გამარჯვებების შემდეგ ფრაატეს ივგულობა პირდაპირ
აუტანელი შეიქნა ქვეშვრდომებისთვის. 23 წელს უკანასკნელთ
აევსოთ მოთმინების ფიალა და საქმე იჯანყებით გათავდა, რო-
მელსაც თავდაპირველათ ვიღაც უცნობი წინამდვლრობდა, შემ-
დეგ კი ტირიდატე (II). ტირიდატე რამდენიმე წლის განმა-
ვლობაში ებრძოდა ფრაატეს, მაგრამ დაბოლოს დამარცხდა და
იძულებული შეიქნა სირთაში გახიზნულიყო¹⁾. როგორც სჩანს
მან არაბებს შეაფარა თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ მათის და-
ხმარებით იგი ხელახლა შეიქრა პართიაში მოულოდნელათ
ფრაატე იძულებული შეიქნა მიეტოვებია სამშობლო და სახ-
ლვარ გარეთ გაქცეულიყო (27 წელს). პართიაში მის მაგიერ
ტირიდატე გამეფუდა, მაგრამ დიდი ხანი არ დაცულია. მას ბა-
ტონობდა. 26 წელს ფრაატე დაბრუნდა უკან სკვითების ჯარის
თანხლებით. ტირიდატე ხელახლა შეიქნა იძულებული გაქცე-
ულიყო. ამ ეამათ რომაელებს შეაფარა მან თავი. ტირიდატემ
სხვათა შორის ფრაატეს შვილიც გაიტაცა ოჭნ, ფრაატემ მო-
ციქულები გაუგრძინა ავგუსტის და სოხოვა მას შვილიც დაეტ-
რუნები ამისთვის და მისი გამტაცებული ტირიდატეც; უმც წელს
ავგუსტიშა მართლაც დაუბრუნა ფრაატეს შვილი. ტირიდატეს
შესახებ კი შეატყობინა მას. რომ იგი არც მხარს დაუჭერდა
მას და არც ძალათ ჩაუგდებდა ხელში.

თუმცა ავგუსტის ხელში უზარმაზარი ძალა იყო მოგრიო-
ვილი, მაგრამ იგი მაინც დიდის სიფრთხილიდა აწარმოებდა გა-
რეშე პოლიტიკას. მას ძალიან კარგათ შეეძლო ესარგებლა
პართიაში არსებული არეულობით და შესეოდა მას. რომის

1) ამ არეულობების დროს სომხები შეურიგდენ, როგორც
სჩანს რომაელებს. 29 წელს ზავიც შეჰკრეს მათთან. სხვათა შორის
დატყვევებულმა არტავაზდემაც მოახერხა ამ დროს რომაელებოთ
გაქცევა.

გატეხილი სახელის აღსადგენათ, მაგრამ მან არ მოისურვა ეს.
უფრო გაუგებარია მის შხრივ ის, რომ იგი სომებს არ
იღებდა იპერიაში და სომხეთში რომის გავლენის სამუდამოთ
განსამტკწერებლათ. ის ჭ ლეგიონი, რომელიც სარიაში იდვენ
სრულიათ არ იყენებ ამისთვის საკმაო.

ავგუსტმა შესცვალა რამოდენიმეთ ანტონის განკარგულე-
ბანი და მცირე სომხეთი იდიპერებანს მიაუთვნა. პოლემონს
მან ბოსტორი დაუმტკიცა და კოლოდის მფლობელობა. ავგუ-
სტმა ისარგებლა იშ როლით, რომელიც ტირიდატეს საქმემ
დააკისრა მას და მოსთხოვა ფრაატეს, კრასის და ანტონის
ლაშქრობების დროს დატყვევებული ჯარის კაცები და ტრო-
ფები დაბრუნებია მისთვის. არტავაზდეს გარდაცვალების შეძ-
ლებ (ანტონის მიერ მოიკლა) ამ სამეფოს ტახტი არტაშეს-
არტაქსიას ერგო. მაგრამ სომხებმა ჩამოაგდეს ივი და შოპკლე-
მის ადგილის ავგუსტმა მისი ძმა ტიგრანი დასაჭ შეფერ¹⁾). პატ-
თიაში ამ დროს ჩვეულებრივი არეულობა სუფევდა. ფრაატეს
მდგომარეობა თან და თან კრიტიკული ხოებოდა. ამის და მი-
ხედვით მან ვერ გაბედა უარის თქმა, როდესაც ავგუსტმა კრას-
ის და ანტონის ლაშქრობების დროს დატყვევებული ჯარის
კაცებისა და ტოოფებების უკან დაბრუნება მოსთხოვა მას. არ-
ულობა ამ ხელათაც ფრაატეს გაძევებით გათავდა, მაგრამ მან-
ხელახლა მოახერხა დაბრუნება (10 და 9 წლებს შუა ქრ. წინ).

ფრაატეს ცოლებთაგან ყველაზე დიდი გავლენა მასზე მუ-
ხას ჰქონდა, რომელიც თავის დროს ავგუსტმა უძლვნა შეს. იმ
ქალის ზედგავლენით და აგრეთვე აჯანყების შიშით ფრაატემ
ყველა თავისი ვაჟები (ფრაატაკეს გარდა) რომში გაგზავნა.
(გაგზავნილი ბატონიშვილების სახელები შემდევია: ვონონე,
ერასპალინე, როდისპე და ფრაატე).

1) არც ეს დაუჯდათ ჭიუაში სომხეთის ფეოდალებს და ჩამო-
აგდეს. ესეთივე ბედი ეწია ავგუსტის შეორე დასმულსვე არტავაზდა.
დაბოლოს გაიოზ-ცვენარმა არიობარზან მე II. მისცა. ეპვს გარეშეა-
ვერც მას შეიგუებდენ დიდი ხნით სომხები, მაგრამ იგი მალე მოკვდა
რას შემდეგ ტახტი დედოფალ კრატოს ერგო.

შინ დატოვებული ფრაატაკე მუზასგან ჰყავდა ნაყოლი ფრაატეს და მისი უსაყვარლესი შვილი იყო. მაგრამ სწორეთ მან და დედა მისმა მოულეს ბოლო მის მზაკვრებით სავსე სიცოცხლეს. ამის შემდეგ ტახტი რასაკვირველია ფრაატაკემ (იგივე ფრაატე V) იგდო ხელში.

ავგუსტის მიერ დაყენებულ მეფის ტიფრანის გარდაცვალების შემდეგ, სომხებმა აღარ უგდეს ყური რომ და მისი შეილი აირჩიეს თვითონ მეცეთ. ავგუსტმა პრინცი ეს და თავის მხრივ არტავაზდე დასვა მეცეთ. ამაზე სომხები აჯანყდნენ მოჰკლეს. ტახტავაზდე და ტიფრანი (IV) ჩააბარეს ტახტი. ავგუსტმა ამაზე თავის შეილის შვილი გაიღზი გაპეზავნა ჯარით სომხეთში. სომხებმა პართელებს მიმართეს. ფრაატემ აღუთქვა მათ მხარის დაჭერა და ამასთანავე ძმების უკან დაბრუნებაც მოსთხოვა ავგუსტს. საქმე თითქოს ოშიოთ უნდა გათავებულოს, მაგრამ ორივე მხარე უფროთხოდა შას. აშიტოშ ისევ მორიგება არჩია ორთავე მხარემ. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ თვით ტახტანიც დაუზავდა რომაელებს¹⁾. ფრაატაკემ ხდილი აიღო სომხეთშე და თანხმობა განაცხადა თავის ძმები მძევლებათ დაეტოვებია რომში.

პართელ თავადაზნაურობის ძალიან არ მოსწონდა თავისი ახალი მეფე. 4 წელს (ქ. შ.) მან ჩამოაგდო იგი ტახტიტან და ოროდე II დასვა მის ადგილის. ორის წლის შემდეგ აღარც ეს მეფე მოეწონათ პართელებს და ისიც ჩამოაგდეს ტახტიდან.

ამის შემდეგ მათ რომაელებს მიმართეს ერთ-ერთი ბატონიშვილი გამოგვიგზავნეთ მეფეთო. ავგუსტმა მათ მართლაც გაუზავნა ვონონე. ვერც ამ კეთილის მოსურნე რომაულით აღზრდილმა კაცმა მოუყარა თავი პართელთ აწეწილ-დაწეწილ საქმეებს. მასაც გაუჩნდენ მალე მტრები, რომელთაც თავის

1) ტიფრანის სიკვდილის შემდეგ გაიამ არიიბარზანე II დასვა სომხეთის ტახტზე, მაგრამ ისიც მალე ზოკვდა. ამის შემდეგ ტიფრანის ცოლმა კრატომ მაისურგა ტახტის ხელში ჩაგდება, მაგრამ რომაელებმა ვონონეს აკუთვნეს იგი.

შხრივ არტაბანე მოიწყეის. ეს არტაბანე დელით იყი მხოლოდ არშაკუნიანი. მამით იგი, მომზენის აზრით, სკვითი (Daher) უნდა ყოფილიყო. მარკვარტი მას აღირბევანის სამეცო გვარეულობის წევრათ სთვლის. არტაბანი შემრიჭია პართიაში, მაგრამ ვონონებ სძლია მას და უკან აქნევია პირი. რამოდენიმე ხნის შემდეგ არტაბანმა ხელ ახლა სცადა ილბალი. ამ ხელათ მას მართლა გაუღიმა ბედმა. დამარცხებული ვონონე სირიაში გაიქცა (და შემდეგ სომხეთის ტახტზე იქმნა დასმული რომაელების მიერ). არტაბანს ძალიან არ მოეწონა ეს ამბავი. მან დაბეჯითებით მოსთხოვა რომაელებს მისი სომხეთიდან გამოძევება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მზა თიყო ომი დაეწყო მათთან. ავგუსტისაეფ ფრთხილს იმპერატორ ტიბერის აჩ სურლა ომი და ამიტომ მან მართლაც გამოაძევა ვონონე სომხეთიდან. შემდეგ არტაბანის მოთხოვნითვე იგი კილიკიაში დამშრუვდის. პართელებთან მოსალაპარაკებლათ გაგზავნილშა გერმანიკა პოლემონის შვილი ზენი დასვა. 18 წელს (?) სომხეთის ტახტზე არტაშესის სახელით. (იგივე არტაკსიასი) არტაბანმა დიდი გაჭირვება გამოიარა საანამ იგი მოიმაგრებდა ტახტზე ფეხს. დიდი უბრძოურების შემდეგ მან დაბოლოს მაინც მიაღწია სურვილს და აღადგინა მყუდროება სახელმწიფოში. პართიის შინაგანი სიმაგრე მაღლე მის გარეშე პოლიტიკასაც დაეტყო. ზენოს სიკვდილის შემდეგ სომხეთში არტაბანმა თავისი შვილი არშაკი გაამეფა 34 წელს (?) (ქრ შ.) არტაბანმა კარგათ იცოდა როგორ შეხედავდენ ამას რომში, მაგრამ მას იმედი. ჰქონდა, რომ მოხუცი განდევილი მეფე (ტიბერი) ვერ იკისრებდა ამის გულისთვის საძნელო ომს პართელებთან. არტაბანის ანგარიში ყალბი აღმოაჩინდა. ტიბერიმ გადასწყვიტა არას გზით არ დაეთმო სომხეთი პართელებისთვის, მან შეუთვალა თავის ვაძსალს იბერთ მეფე ფარსმანს¹⁾, რომ თავის ჯარით შესეოდა.

1) კასსი ამ ფარსმანს მეცე შითრადატეს შვილათ იხსენიებს (h. b. 58 § 26). საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით; რომ პეტრე პატრიცის ფრაგმენტი (იხ. F. N. G. IV 18) ამ დროს ფარსმანის

სომხეთს და თავისი ძმა მითრატატე გაემჟეფებინ იქ. ფარსმანი შეითქმადა დიდის შეკლის სარდალი და ფიპლოშატის იყო. მან მისცილდა ორშავ მეფის ახლომელნი და შოაკვლევინა მათი იგი. ამავე დროს იგი შეესია სომხეთს დიდი ჯარით (35 წელს ქრ. შ.) და თავის სატოხტო ქალაქიანა (არტაქსატა) იგული იგი ხელთ არტაბანშა მოაგრძოვა ხელახალი ჯარი, ჩატარს თუ თავის მეფის შეკლის თავის მეფორე შეიღის თავის მომელი და უბრძანა შეს თავის მმის სისხლი დელო, გამოერექა იბერები სომხეთშიან და თვითონ გამეფებულიყო იქ. ფარსმანი თავის მხრივ აღბანელებს დაუკავშირდა. ამასთანავე მან სარმატებიც მოიხმარა და გაეგება მტერს. სარმატების ნაშილი პართელებს შეკპირდა დახმარებას, მაგრამ ფარსმანმა ჩაუკეტი მათ დარიალის კარი და არ გააკარა ისინი პართელების საზღვრებს. ტარტებანდის კარით ამ წყალდიდობის გამო ვერ ისარგებლეს¹⁾). მაშინ ჰავერ მითრადატეს იხსენიებს იბერთ მეფეთ. იგი გვიყენდა, რომ ტიპიდატესთვის საჭმის გასააღვილებლად ტიბერის ბრძანებით ეს მითრადატე სომხეთს უნდა შესეოდა. მისივე სიტყვით ამ მითრადატეს მაგიერ კლავლის კოტი (Cohes) უნდა დაეყენებით იბერთ მეფეთ, რადგან მიორადატე გაუსორგულდა რომაელებს და თავის ძმის კოტის მიერ იქმნა დაბეჭდებული.

1) ოროდეს არა გზით არ სურდა ასეთ პირობებში გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება, მაგრამ ფარსმანი მიადგა მის ბანაკს და მოსევნებას არ აძლევდა პართელებს. დაბოლოს საკედის შოვნა რომ შეუძლებელი გახდა ოროდე იძულებული შეიქნა შებმოდა მტერს.

პართელების ძალის ცხენოსანი ჯარი წარმოადგენდა. ამ მხრივ იბერები სუსტინი იყვნენ, მაგრამ სამაგიეროთ ქვეითი ჯარი ჰყავდათ მათ კარგი. ბრძოლის წინ ფარსმანმა შეაგულიანა თავისიანები. „პართელთ ულელი არ გვდვმია და არც ეხლა დავიდგამთო“. ძარღვმაგარი ქართველები თამამათ ეკვეთენ მტერს. ესენი ავლებდენ ხელს ცხენზე მჯდომ. პართელებს და ჩამოათრევდენ ხილმე ძირს. ბრძოლის დროს მოპირდაპირე სარდლებმაც შოკერებს ერთმანეთს თვალი შეურა ორივესთვის სასურველი იყო. ამიტომ მათ მიაშურეს ერთმანეთს. ფარსმანმა მოასწრო იარაღი პართელ ბატონის შეიღის, გაუკვათ მას მუზარადი და დასკრი. დაკოდილი ოროდე დამფრთხალმა უცენმა გიატაცა, პართელებმა იფიქრეს ბელადი მიგვიკლეს, გული წაუხდათ. და მათ მიატოვეს ბრძოლის კვლი.

თავის არტაბანი დაიძრა თავის ჯარით სომხეთისკენ. იმერები შისაც კარგა დახვდენ, და სძლიერს. ამასთანავე სირიის პრო ქონსული ვიტელიც დაიძრა თავის ლეგიონებით ეფრატისკენ და პართიაში შეკრა დააპირა, თან მან დიპლომატიისაც მიჰმართა და ჯერ ფრატე. შემდეგ ტირიდატე (ფრატე IV-ის შვილი-შვილი) წამთაყენა არტაბანის წინააღმდევ ტახტის მოდავეთ. არტაბანის მდგომარეობა შეირყა. ყველისაგან მიტოვებული, იგი იძულებული შეიქნა უცხოეთში გახიზნულიყო. მის ადგილას პართიაში ტირიდატე გამეფდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ არტაბანი დაბრუნდა უკან სკვითების (დაჰების და საკების) მაშველი ჯარით. ტირიდატე იძულებული შეიქნა სირიაში გაქცეულიყო. ამის გავონებაზე სირიის პირკულნსულმა ვიტელიმ გამოაწყო თავისი ლეგიონები და გაეჭურა ეფრატისკენ პართიაში შესასევათ. არტაბანი გაეგება მას წინ და განუცხადა, რომ იგი ყოველ ნაირ პირობებზე და თანხმდება, ოღონდაც ტირიდატზე აიღონ ხელი რომაელებმა. არტაბანს გულით და სულით სძულდა რომაელები, მაგრამ გარემოება იმძულებდა მას მათ წინაშე ქედი მოეხარა. რომაელები დათანხმდნენ მის წინადაღებას: არტაბანმა დაუტოვა მათ მძევლათ თავისი შვილი. იცნა მითრადატე იძერიელი სომხეთის მეფეთ და თაყვანი სცა ტიბერის ხატს მორჩილების წიშნათ.

არტაბანი კიდევ გააძევეს პართელებმა, მაგრამ ადიაბენეს მეფის იზატეს წყალობით იგი ისევ დაუბრუნდა ტახტს. რომის იმპერატორი ტიბერი ამ დროს გარდაცვალებული იყო. მისი ქარიფშუტა მოადგილე ყველაფერს უკულმა ატრიილებდა. რაც ტიბერის დროს იყო მოწესრიგებული. მან გაიწვია მითრადატე რომში, ჯერ დატუსადა და შემდეგ ვააძევა იგი. პართელებსაც სწორეთ ეს უნდოდათ. მათ ისარვებლებს ამით და ხელ-ახლა იგდეს სომხეთი ხელთ.

არტაბანის (III) გარდაცვალების (40. წელს) შემდეგ ტახტი მის შეილს ვარდანს ერვო, მაგრამ იგი შემდეგ წელსვე ჩამოაფინ „სარს, ისტ.“.

გივის¹⁾ შეილშა გოტარჩემ (გოდერძიმ), რომელიც ნაშვილები ჰყავდა ორტაბანს და მის დროსვე თამაშობდა სახელმწიფო ში დიდ როლს. პართელებს არ მოეწონათ გოტარჩეს (გოდერძის). ავსულოვნობა ნათესავების და ქვეშევრდომების წინააღმდეგ და მაღალ ისევ ვარდანი მოიწვიეს მათ. უკანასკნელი მართლაც შემოიტრია პართიაში დაჲების და ჰირკანელების ჯარით. გოდერძი გაეგება მას. ბრძოლის წინ მოდავეებმა მოლაპარაკება გაძირთეს, რომელიც შემდეგის შეთანხმებით გათავდა: გოდერძი უთმობდა ვარდანს ტახტს, მავრამ სამაგიეროთ მას ჰირკანია და „სატრაპთა სატრაპის“ ლირსება ეძლეოდა**). ამ უთანხმოების დროს რომშიაც დიდი ცვლილება მოხდა. იმპერატორი გაიოზი (კალიგული) ნაადრევათ გამოეთხოვა წუთისოფელს და კლავდის დაუთმო აღგილი. უკანასკნელი ხელახლა შეუდგა გაიოზის მიერ აწეწილი საქმეების გამოსწორებას. მან გამოიწვია განდევნილი მითრალატე იბერიელი დაუბრუნა მას მეფის ლირსება და უეცადა სომხნაში მის ხელახლა გამეფებას. ფარსმან მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (ტაციტის სიტყვით მან 35-წლიდან 60 წლამ ე იმეფა იბერიაში). მან კარგათ იცოდა სომხეთის გზა. ვარდანის და გოტარჩეს შორის ომიც ხელს უწყობდა მას, ამიტომ ივი შეესია თავის ძლევამოსილი ჯარით სომხეთს და დაამარცხა სატრაპი დემონაკსი. რომაელთ ჯარი ციხეებს ეცა ამავე დროს. ამის შემდეგ სომხეთი დაპირისილდა მას (47 წელს). მითრალატე ხელახლა გამეფდა სომხეთში. ვარდანი გულმოკლული მისხერებოდა ამ ამბავს. მას არა გზით არ უნდოდა სომხეთის ხელიდან გაშვება. იგი თითქოს საომრათაც დაემზადა, მავრამ სამეფოს აწეწილი მდგომარეობა ნებას არ აძლევდა მას ქართველებთან და რომაელებთან ომი დაეწყო.

პართელების თავგასული თავადაზნაურობა მართლაც მა-

1) ეს გივი ფრაატე IV-ის შეილის-შეილი იყო.

2) ეს ჩავი როგორც სჩანს stattus quo-ზე შეთანხმებას წარმოადგენდა.

ლე აუჯანყდა მას და გოდერძი მოიწვია ისევ. ვარდანი გაეკება თავის მოპირდაპირებს. დაამარცხა იგი და გააძევა სახელმწიფოდან. ვარდანი დაბოლოს მაინც გამოათხოვეს მისმა მტრებმა წუთისოფელს. მეფედ მისი ძველი მოპირდაპირე გოდერძი გახთა.

თუ ვარდანისთვის ძნელი იყო ამ არეულ დროს სახელმწიფოს წინ გაძლოლოდა, გოდერძისთვის ეს სრულიათ შეუძლებელი იქნებოდა. მასაც ბევრი მტრები ჰყავდა სახელმწიფოს ში და გარდა ამისა იგი მოკლებული იყო ვარდანის ნიჭია და ენერგიას. მისმა მოპირდაპირებში მის ზურგს უკან რომაელებთან გამართეს მოლაპარაკება და ვონონეს შვილი მეპერდატე მოსთხოვეს მეფეთ. კლავდი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას და დახმარებაც აღუთქვა მეპერდატეს. 49 წელს უკანასკნელი სირიის პროკონსული კასსი, ლონგინის თანხლებით გამგზავრა პართიისკენ. ზევგმასთან თავისი მომხრეები და ედენისის მეფე აბგარი გამოევებენ მას. კასსი ისევე, როგორც თავადი კარენი, სწრაფათ მოქმედებას ურჩევდენ მას, მაგრამ მეპერდატმა ვერ იკისრა ეს. გოდერძიმ იმდენი ჰქნა, რომ ადიაბენელები და ოსრპოენელები ჩამოაშორა წინ და წინვე მეპერდატეს. შემდეგ დაეცა მას თავს, დაამარცხა, დაიჭირა, და ყურები დააჭრა მას. (მანინჯს არ შეეძლო მეფობა პართიაში). 51 წელს გოდერძი გარდაიცვალა და ტახტი ვონონე II-ს ერგო. ეს ვონონე არტაბან მესამის ძმა იყო. 46 წელს აქედან ადირბეჟანს განაგებდა იგი. ვ წლის შემდეგ ისიც გამოეთხოვა საწუთროს და თავის უფროს შვილს ვოლალაზ პირველს დაუტოვა ტახტი. ვოლალაზს ეშინოდა ძმები არ შემეცილონ ტახტს და ამიტომ პართიისგან დამოკიდებული სამეფოები დაურიგა მათ. ამ სამეფოთაგან ერთი აღმოსავლეთ ირანში მდებარეობდა, მეორე იმიერ კავკასიაში (მასხუთი), მესამეთ ადირბეჟანი ითვლებოდა, მეოთხეთ კი სომხეთი. აქ ბოლო დროს არეულობა მოხთა. ამით ისარგებლა ვოლალაზმა და თავის ძმა ტირიდატეს გამეფება მოიწადინა. სომხეთში არეულობის გამომწვევი ამ ხელათ მე-

ჟე ფარსმანი იყო. მას უნდოდა სომხეთი მაინც და შაინც თვეოთონ ჩაეგდო ხელში. მან გაჰვზავნა თავისი შვილი რადამისტე სომხეთში, რათა მომხრეები ეძებნა მას აქ¹⁾).

რადამისტე კომოუკხადდა ბიძას და განჯუხადა მას, რომ იგი მამა მისს გამოექცა იპერიიდან. თან იგი თავის საქმეებს აწყობდა, რასაკვირველია საიდუმლოთ. 52 წელს ფარსმან მეფე მიზეზათ მოდო ალბანელებს რათ აუტეხე—ომიო, შეიჭრა სომხეთში. ჯარი შეუსია და დაიპყრო იგი. მითრადატემ რომაელთა რაზმს შეაფარა თავი კორნეში. რადამისტემ ვერა გააწყო რა ციხის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ზედმეტი იყო. მან მოისყიდა, როგორც სჩანს რაზმის უფროსი პოლო და უკანასკნელმა თვითონ ჩაუგდო მითრადატე ხელში, რომელიც რადამისტემ მაშინვე გამოათხოვა წულის სოფელს. (51 წ-ს²⁾). მისი ოდეილი თვითონ რადამისტემ დაიკირა³⁾. საქმემ კაპაციუის გამგემდი მიიხტია, მაგრამ უკანასკნელმა იფიქრა გინდა ბიძას ჰქონია ტახტი გინდა მის წულს(?) განა ეს რომისთვის სულ ერთი არ არიო, და ყურრიც არ გააპარტყუნა. სწორეთ ამ არეულობით ისარგებლა კოლალაზმა შეესია სომხეთს და (58 წ-ს) გაუჭივრებლივ ჩაიგდო იგი ხელში. რადამისტე იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. შეორე წელს 53/54 პართელთ ჯარში გლოხა ზამთრის გამო კირი გაჩდა და კოლალაზმა მიატოვა სომხეთი. ამით ისარგებლა რადამისტემ და ხელახლა შემოვიდა სომხეთში. მაგრამ ამ ხელთ სომხები აუჯანყდნენ მას სიავის. გულისთვის და საჩქაროთ

1) რადამისტე გარეგნულათ უხვათ იყო შვენებით დაჯილდოებული. მისი თვალტანადობა და ვაჟაპობა ყველგან იყო ცნობილი. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ფარსმანზე უფრო სწუუროდა სომხეთის ტახტის ხელში ჩაგდება.

2) მოუხედავათ იმისა, რომ დანებებისას იგი ვითომდა დაუხვდა ბიძას და ერთგულობის ნიშნათ მისი ცერის სისხლიც მოწოვა, რაც ა მეტათ მტკიცე ფიცს წარმოადგენდა.

3) სიჩიის პეტორმა კვადრატში ყური არ ათხოვა ამ ამბავს.

შიატოვების აქაურობა¹⁾). (54 წ.-ს) სომხეთი ისევ პართელებს უვარდება ხელში.

თავისთავათ ცხადია რომაელებს სრულიათ არ ეჭაშნიკათ ეს ამბავი და სანამ იარაღს მიმართავდენ მოლაპარაკებას მიჰყევს ხელი. ესენი ხედავდენ, რომ მცხოვრებთა უმრავლესობის სიმპატიები სომხეთში პართელებისაკენ იყო. ამიტომ მათ თანხმობა განაცხადეს სომხეთის დათმობაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ტირიდატე რომაელების ნებართვით გახდებოდა სომხეთის მეფე და არა თავის ძმის ბრძანებით. პართელებმა მიიღეს ეს პირობა, მაგრამ შემდეგ არ შეასრულეს იგი. — ასე რომ საქმე იარაღს უნდა გადაეწყვიტა. რომაელობა საბეღნიეროთ ვოლალაზეს სწორეთ ამ დროს წაედავა ტახტს ვარდან მეფის შვილი, რომელიც სკვითთა ჯარით შემოიჭრა პართიაში. ბრძოლამ როგორც სჩანს დიდი ხანი გასტანა. მხოლოდ 58 წელს შესძლო ვოლალაზმა სომხეთისთვის ყურადღების მიქცევა, მაგრამ ახლა პირკანია გაუდგა სამეფოს და ვოლალაზეს აქ დასკირდა მოქმედება. ტირიდატე, რომელიც სულ მარტო დარჩა. ბრძოლის ველზე ვაჟეკაურათ იცავდა. თავს, მაგრამ მისი ძალა საკმარისი არ იყო მტრის მოსაგრებლათ, რაღაც კორბულოს გარდა ფარსმან მეფეც შეესია ჩრთილოეთიდან სომხეთს. თავისთავად ცხადია ასეთ პირობებში რომაელებმა და იბერებმა აღვილათ სძლიერ პართელებს. კორბულომ აიღო და დააჭურია სომხეთის სატახტო ქალაქი არტაქსატა. მას არ მოსწონდა რომ სომხები პართელებისაკენ იწევდენ და ამიტომ საოცარის

1) გაქცევის დროს რადამისტეს ფეხმძიმე ცოლი ახლდა თან. დედოფალმა ვერ აიტანა გზა და შეევედრა ქმარს მომქალი და მიმარტოვეთ. რადამისტეს არ უნდოდა მტერს ჩაგარდნოდა ხელში მისი ცოლი და მან დასცა. ხანჯალი დედოფალს და არაქსში გადააგდო იგი. ბედმა არ ინდომა საბრალო დედოფლის სიკედილი. გონება მიხთილი მაგრამ ისევ ცოცხალი ნაპირს გარიყა იგი არაქსში. აქ მწყვეტებმა იპოვეს იგი მომაკვდავი. მისმა გარეგნობამ ამცნო მათ, რომ იგი უბრალო მომაკვდავი არ იყო და ამიტომ ტირიდატეს მიჰვარეს მათ იგი, რომელმაც რაინდულათ მიიღო ბედკრული დედოფალი.

სისასტიკით ეპურობოდა მათ¹⁾. ამ მთიელების, წინააღმდეგ, რომელნიც ქველთაგანვე იყვნენ თავის მამაცობით ცნობილნი, კორბულომ ქართველები გაგზავნა მათ წინააღმდეგ, რომელთაც სასტიკათ აოხრეს მათი ქვეყანა.

სომხეთის ტახტზე კორბულიმ ერთი კაპპადოკიელი ბატონიშვილი დასვა ტიგრან მე V-ის სახელით. მან ჩამოაკრა სომხეთს კარგა მოზრდილი ნაწილი და თავის მოკავშირებს ფარსმანს, პოლემონს, არისტობულს (მცირე სომხეთის მეფე) და არქელას (კომაგენეს მეფე) დაუყო.

61 შეს ვოლაძაზმა დაასრულა როგორც იქნა პირკანელებთან ომი, მით, რომ მან დამოუკიდებლათ იცნო ეს ქვეყანა. ამის შემდეგ მისი საზრუნავი მხოლოდ სომხეთი იყო. იგი შეესია ამ ქვეყანას დიდის ჯარით, მიაღწია ტიგრან კერტამდე და ალყა შემოარტყა მას. ჭალაქს თვით ტიგრან V მეფე იცავდა. კორბულო იმ აზრისა იყო, რომ სომხეთისთვის ბევრი სისხლის დაღვრა ზედმეტი იყო, ამიტომ მან მოლაპარაკება გამართა ვოლაძაზთან და დაიყოლია ეს მეფე იმაზე, რომ ზავის პირობები რომში ყოფილიყვნენ ვანხილულნი. მოლაპარაკების დროს პართელებს ტიგრან-კერტისთვის თავი უნდა მიენებებიათ. ნერონმა და მისმა შახლობლებში დაპეტეს ზავის პირობები და ომის განგრძობა არჩიეს, მაგრამ კორბულოს მაგიერ მათ იგი ყოვლათ უნიჭო პეტს მიანდევს. ამ უკანასკნელმა შეიკრა წარბი და გასწია პართიისაკენ, მაგრამ პართელები გამოეგებენ მას, დაამარცხეს, შედენეს თავის ბანაკში და ალყა შემოარტყეს. აქ, კორბულო კარგათ ხედავდა ყველა ამას, მაგრამ ყურს არ აპარტყუნებდა თავის მეტოქეს საშველათ. ალყა შემორტყმული პეტი დაბოლოს შემდეგ სამარცხვინო პირობებზე დაუზავდა პართელებს. იგი უთმობდა სომხეთს პართელებს

¹⁾ მეორე მხრივ ფარსმანიც მათზე იყრიდა თავის უბედური შვილის ჯავრს, რომელიც თავის ხელითვე მოკლევის მას რომაულებმა. არსტაქასატას აღების შემდეგ კორბულიმ ტიგრან კერტისაკენ გასწია. გზაზე მას მარდები დაესხენ თავს.

და ამასთანავე ხიდს უშენებდა მათ, რომელიც მათვეის საჭიროც კი არ იყო. კორბულომ შეხედა რომ საქმე შორს მიღიოდა და ეფრატის გადაღმა სიმაგრეები ააგო პართელების წინააღმდეგ. ამათ იცოდენ რა კაცთან პენინდათ საქმე და მორუაპარაკება არჩიეს ბრძოლას. მოლაპარაკების შედევი ასეთი იყო: კორბულოს უნდა დაეჭირა სიმაგრეები. სამაგიეროთ პართელები სცლიდენ სომხეთს და იცლიდენ სანამ მათი ელჩები და იმპერატორი რომში არ გამოიმუშავებდენ საბოლოო პირობებს. საუბედუროთ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. რომში არ დასთანახმდენ პართელებისგან წამოყენებულ პირობებს და ოშის გაგრძელება არჩიეს. მთავარ სარდლიათ ამ ხელით ისევ კორპული იქმნა არჩეული. 63 წელს მან გადაიარა მელიტენესთან ეფრატი და შეესია სოფენეს. ტირიდატე გამოეგება კორბულოს წინ, ინახეული იგი პირადათ და თავისი ახალი პირობები წარუდგინა მას, რომელზედაც კორბულო დათანხმდა. ტირიდატე თანხმობას აცხადებდა ცეზარის ხატის წინ მოეხადა გვირს გვინი და შემდეგ მისთვის გამოეთხოვა იგი რომში. ყოველი შემთხვევისთვის კორბულომ მძევლები მოსითხოვა კოლადის და მიიღო კიდევაც. რამდენიმე წნის შემდეგ ტირიდატე ვაემგზავრა რომს ნერონისაგან გვირვვინის მისაღებათ. მისი ამაღა შე ათასი ცხენოსანისაგან შესღებოდა. მას ცოლი, შვილები და რამდენიმე ბატონიშვილიც ახლდა თან. მთავრობის ვანკარპულებით რომაელები ყველგან დიდის ამბით უხვდებოდა მას. გზაზე. მგზავრობას რამდენიმე თვეს მოუნდენ წვეულები. ნერონი მოწადინებული იყო თავის დიდება ეგრძნობინებინა უცხოელებისთვის. დაბოლოს მან დიდი ყოფით ჩაბარა ტირიდატეს გვირვვინი, დასასჩუქრა და გაისტუმრა იგი. სხვათა შორის მან სუბსიდიაც აღუთქვა შას დარუბანდის (და არა დარიალის, როგორც მარკეარტო ფიქრობს) გასამაგრებლათ. ეს მიტომ იყო საჭირო რომ სამხრეთ რუსეთში ბოლო დროს აღანგების უზირმაზარი სამეფო აღმოცენდა. აღანგების სახელს პირველათ 49 წელს ვხვდებით (ქრ. წ.). დასავლეთის მწერლობაში.

მანამდე მათ „*ახებია*“-ის (ორსებს) უწოდებდენ. ოფიციალურა სჩანს ესენი პირველ საუკუნეში (ქრ. წ.) შემოვიდენ სამხრეთ რუსეთში და მოსხეს აქ სარმატების ძლიერება, ომელი ნიც სკვითებს მოჰყვენ თავის დროს და, ომელთაც მაშასადამე ქიმერიელების დროს ვხვევებით დონის ნაჟირებზე და სამხრეთ რუსეთში საერთოთ. ამიანის მტკიცებით ოსები იგრვე მასაგეტებია. თუ ამ თეორიის მივიღებთ, მაშინ ჰეროდოტეს დროსვე ყოფილან ესენი დასახელებულ ადგილზე. ორსებს ანუ/ალანებს უზარმაზარი ტერრიტორია ეჭირათ, ომელიც დონიდან¹⁾ არალის ზღვამდე უწევდა. ჩინეთის ისტორიული სეირი იცნობენ ამ ერს, ომელსაც ისინი ხან ა-ლან-ნას, ხან ანტსეს უწოდებენ. მათის სიტკით ალანებს 2011 ათასი უხენოსანი შეეძლოთ გამოეყვანათ ბრძოლის ველზე, რაც ამ დროისთვის უზარმაზარ ძალის წარმოადგენდა. მიუხედავათ ამისა ჰუნებრივ უზარმაზარშა ტალღამ მაინც წალეკა ეს ძლიერი ერი და გერმანულ ტომებთან ერთათ პორტუგალია და სამხრეთ აფრიკამდე გადასტორუხნა მისი ნაშთები. კასპის ზღვის აღმოსავლით მაინც შერჩა ოფიციალურა სჩანს ამ ერის ნაწილი. ამათ უწოდებს ალანთ გეოგრაფიულ პროლემე აზარიერის-ის. შერჩენ ესენი კავკასიასაც მათს სახელს ატარებს დღემდის დარიალი, რაც „დარიალან“-ს ალანთ კარს აღნიშნავს სპარსულათ. პროლემევე გვაჩვენებს, ომისების ნაგლეჯები მეორე საუკუნეში აღმოსავლეთსაც შერჩენ. აქ იხსენიებს ის სწორეთ ალანების მოებს. ჩინური და ომაული წყაროები ერთნაირათ აგვიწერენ ძველ ოსებს. ესენი ტანით მაღალნი არიან. აქვთ ლურჯი თვალები და ქერა თმები და ლამაზი სახეები. ოფიციალურა ნამაღები ასები მუდამ ცხენს ატარებდენ დროს. ფეხით სიარული სირცხვილათ ითვლებოდა. ძალიან უყვარდათ ნაღირობა და ომი. სახლში სიკვდილი უმეტერებათ სთვლებოდა მათში, ომში კი ბედნიერებათ. ვაუკაცათ

1) დონი ოსური სიტკაა და წყალს ნიშნავს. შეაღარე აგრეთვე არღონი—არა-ღონ (გიურ წყალი).

ის ითვლებოდა, ვისაც მტერი ჰყავდა მოკლული. ბატონყმობა არ არსებობდა მათში. ყველანი თავისუფალნი იყვნენ.

ყველა მიხვთება, რომ პტოლემეს „*Αστροι*“ (აორსები); ანუ ოლანგები იგივე ოსებია. სხვათა შორის პსევდო ხორენელიც (სომებთ გეოგრაფი) ამბობს: „ტაგაურები (დიგორელები) — ოლანგებია“-ო¹).

72 წელს ჰირკანელებმა²) გაუღის ოსებს კარი. ესენი შეესიენ სომხეთს, მედიას, ააოხრეს ეს ქვეყნები და სასტიკათ შეავიწროეს საერთოთ პართელთ სამეფო. ვოლალაზი; რომელსაც ტირიდატეს რომში ყოფნის შემდეგ ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა რომაელებთან, შეეხვეწა შველას იმპერატორ ვესპასიანეს, მაგრამ უკანასკნელმა უარი განუცხადა აშა-ზე და ამან სრულიად მოსპო აქნამდე არსებული მეგობრული ვანწყობილება ამ ორ ღიდ სამეფოთა შორის.

გუტ შმიდი ფიქრობს, რომ მცხეთის ციხის აგება სწორეთ ამ შემოსევით იყო გამოწვეული. აქ ნახული (მცხეთაში) წარწერიდან სხანს ციხე იმპერატორმა ვესპასიანემ აუშენა ქართველთ მეფეს მითრადატეს (ფარსმან მეფის შვილს) 73 წელს.

ღიდ ხანს არ ვაუკლია ამ შემოსევის შემდეგ, რომ ვოლალაზი გარდაიცვალა. მას ჯერ ვოლალაზ მე-II-ე და შემდეგ პაკორ (ბაკურ) მე-II-ე მოჰყვნენ. პლინი გვაუწყებს უკანასკნელის შესახებ, რომ მას მეგობრული განწყობილება ჰქონდა და დაკიელებთან (რომაელების მტრებთან). ბაკურ მეფეს 110 წელს მისი ძმა ოსრო (ხოსრო) მოჰყვა. ხახელმწიფოს მდგომარეობა ამ დროს ძალიან არყოფნი იყო, ეს კარგათ იკოდა რომის იმპერატორმა ტრაიანემ. იგი ხარბის თვალით მისჩერებოდა პართელთ სამეფოს და ელოდა საბაბს, ომი გამოეცხადე-

1) ოსები ისევე, როგორც ევროპიელები არიელები არიან. ესენი დღესაც ირონს ე. ი. არიანას არიელთ ქვეყანას უძაბიან თავის სამშობლოს, თავის თავს კი „ირ“-ს.

2) ბარკვარტი სამართლიანათ ფიქრობს, რომ ვრკანელებზე ე. ი. ქართველებზე უნდა იყოს ლაპარაკი აქ.

ბია მისთვის. ნერონთან დადებული ხელშეკრულების ძალით სომხეთის მეფების რომის იმპერატორისგან უნდა მიეღოთ გვირვენი. მაგრამ ტირიდატეს შემდეგ პართელებმა აღარ დაუდიეს ამას და თავის ნებით დასვეს მეფეთ ვილაც ეკსედარე. რომაელებს ამაზე როგორცაც სჩანს. ღიღი ამბავი არ დაუწევიათ. ამის შემდეგ პართელები აღმართ თავის საკუთრებათ სთვლიდენ ყოველმხრივ სომხეთს. ფაქტიურათ ეს ასეც იყო. მიუხედავათ ამისა ტრაიანემ დიდათ იწყინა, რომ ხოსრომ ეკსედარეს მაგიერ პარტამაზიროს მისუა სომხეთის ტანტი მის დაუკითხავთ და ომი გამოუტადა პართელებს. ხოსრო ყოველ ლონისძიებას ჩამართდა ომის თავიდან ასაცდენათ, მაგრამ ამათ. ძალა ძელულ ტრაიანეს ცველაფერი ფეხებზე ეკიდა. 114 წელს მან თავისი ჯარით გადაიარა ეფრატი, აილო არსამოსატა და ელევენიამდე მიაღწია (აზრუმის ახლო). სომხეთის შეფე პარტამაზირი გაეგება ტრაიანეს, დაემხო მის წინაშე მუხლებზე, მოიხადა სამეფო გვირგვინი და გადასუა ტრაიანეს. მას ეგონა იმპერატორი ამით დაკავილებილდება. და უკან დამიბრუნებს გვირგვინსაო, მავრამ საბრალო მეფე ძალიან სკდებოდა. ძლიერისთვის არც კანონი არსებობს და არც ხამართალი და არც არამიანობა. ტრაიანემ ჩამოართვა მას გვირგვინი შემდეგ დააჭერია იგი და უბრძანა თავის მხლებლებს მისი ბანაკიდან გაგდება. შეურაცხყოფილ მეფეს სიბრაზით დაავიწყდა, რომ იგი რომაელების ბანაკში იყო და ძალით მოისურვა თავი გაენთავისუფლებია. ტრაიანემ ამაზე სიკვდილით დასაჯა იგი. იმპერატორის ბრძანებით სომხეთი ამიერიდან რომის პროვინცია უნდა ყოფილიყო. ტრაიანეს რისხვამ სომხეთის მეზობლებიც დააჭროთ. იბერები, კოლხები; აპსილები (აფხაზები), ლაზები და ჰენიონები საჩართ მიიკრენ და მორჩილება გამოუცხადეს. ტრაიანეს. ხოსრო ამ დროს კარლუელებს ებრძოდა, რომელთაც სომხეთის ნაწილი წართვეს მის. ტრაიანეს მარტო ადიაბენ მეფე შებარისპე უწევდა წინააღმდეგობას. შესი ძალა სრულიათ არ იყო რასაკვირველია საქმაო რომაელების შესაკავებლით.

ამიტომ ტრაიანემ გაუკირვებლივ აიღო ნიზიბისი, დაიმორჩილა
მარქიმელები, კარდვენელები, და დაბრუნდა ინტიოჭიას. მესო-
პოტამია სომხეთისაეფ პროვინციათ აქცია მან. 116 წელს
ტრაიანეს ჯარმა გადალახა ტივრი, შეესია აღიაბენეს და დაი-
კურო იგი. აქედან ტრაიანე ბაბილონს დაეშვა. ფლოტი, რო-
მელიც ეფრატით მისდევდა ჯარს, შემდეგ ხმელის გზით იქნა-
ტიგრში გადატანილი. პართელები ამ დროს ერთიერთმანერთ-
თან ბრძოლაში ლევდენ უკანასკნელ დალას. ასე რომ მათ
კტეზიფონის დაპყრობაც კი ვერ დაუშალეს რომაელებს. კარ-
ზე მოზღვაებულმა უბედურებამ დაბოლოს ეს პოლიტიკურ-
ნიქს მოკლებული ერიც ვამოაფხიზლა. იმ დროს, როდესაც
ტრაიანე სულ წინ წინ მიიწევდა სამხრეთისკენ, მის ზურგს
უკან მესოპოტამიაში პართელებმა აჯანყება მოახთინეს, დაესხენ
თავს რომაელთ რაზებს და გასწყვიტეს ისინი. ამბოხების ბე-
ლიადი მეცერდატი ჰალე მოიკლა პრძოლაში; მაგრამ მისმა შეიღ-
მა სანატრუქში ლირსეულათ განაგრძო მისგან დატოვებული
საქმე. ამასობაში ხოსრომაც მოაგვარა ჩრდილოეთში საქმე და
თავის შვილის პარტამასპატეს წინამძღოლობით მაშველი ჯარი
გაუგზავნა სანატრუქს. ამ ორი სარგლის შეერთებულმა ჯარმა
სასტრიკათ დაამარტხა ტრაიანეს სარდალი მაქსიმე. მეორე სარ-
დალი ლუზი მიხვთა, რომ იგი ძალით ვეღარას გახთებოდა და
შემდეგ დიპლომატიას მიმართა. მან გვირგვინი აღუთქა პარ-
ტამასპატეს თუ იგი სანატრუქს თავს დაანებებდა და მას შეუ-
კავშირდებოდა. პარტამასპატე ადვილათ მოჰყვა ამ ინკესს და
პართლა მიატოვა სანატრუქი, რომელიც ამის შემდეგ დამარ-
ტებდა რასაკვირველია. ტრაიანეს მეტიღურობაც მოლბა. ამ ამ-
ბების შემდეგ მანაც დაინახა, რომ ძალით იმის შენარჩუნება,
რაც მან დაიპყრო შეუძლებელი იყო. ამიტომ მან მართლა
გადასცა გვირგვინი პარტამასპატეს. ამის შემდეგ ატრალა დარჩა
გამდგარი, რომელიც მესოპოტამიას უდაბნოში მდებარეობდა.
იმპერატორი თვით გაემართა მის წინააღმდეგ და ჯერ იერიშით,
შემდეგ აღყით სცადა აეღო იგი, მაგრამ არც ერთმა საშუალე-

ბამ არ არგო მას, რადგან ვაჟკაცობის გარდა აქაურებს ის გარემოებაც შეველოდა, რომ ქალაქის გარშემო არც წყალი მოპოვებოდა, არც საზრდო და არც საკვები. ამას გარდა იმპერატორიც ჯვათ გახთა და იძულებული შეიქნა მიეტოვებია. აქაურობა და რომეს დაბრუნებულიყო. გზაზე იგი უფრო დასუსტდა და სელინუსში (კილიკიაში) სრულიათ გამოეხოვა საწყობოს, მისმა მოადგილემ აღრიანებ გონიერათ განსაჯა, რომ მესაპოტამიის, აღიაბენებს და სომხეთის დასამაგრებლათ უზარმაზარი მულმივი ჯარი იყო საჭირო, რომლის ამ ქვეყნებში ყოლა ძალიან საძნელო იყო რომისთვის. ამიტომ მან დაუბრუნა პართელებს ეს ქვეყნები და ძველი საზღვრებით დაკმაყოფილდა. ამ უბედურობის შემდეგ პართელები ხელახლა შეუდგნენ ურთიერთ შორის კინ კლაობის. ოსრიემ სძლიი თავის შეიღს პარტამასპატს და აიძულა იგი რომაელებს შეპკედლებოდა. ჯავრის მოსაქარვებლათ აღრიანებ თრპოენებს მეფობა ვისცა მას. აღრიანე მეტათ შშვილობიან პოლიტიკას აწარმოებდა და პართელების წინააღმდეგ. ღიღის ყურადღებით ექცეოდა თავის მოკავშირეებსაც, განსაკუთრებით იბერთ მეფეს ფარსმან მე-II-ს, რომელსაც იგი, სპარტიანის სიტყვით, ძლვენით ავსებდა და თურმე.

ოსროს სიკვდილის შემდეგ პართიას ტახტი ვოლაბაზ II-ს ერგო. ფარსმან იბერიელმა გაულო მის დროს დარიალის კარი ასებს და შეუშვა ისინი ერანში. ოსებშა ააოხრეს სომხეთი, მედია და როგორც ამბობენ კაპპადიკიამდე მიაღწიეს. ამ ქვეყნის მმართველი ცნობილი მწერალი არიანე იძულებული შეიქნა სერიოზული ზომები მიეღო მათ წინააღმდეგ¹⁾). ვოლაბაზი ძალით რომ ვერაფერს გახდა, საჩუქრებით სცდილობდა მათი თავიდან მოკილებას. თავის თავათ ცხადია მჟელი ქვეყანა ფარსმან მეფის სახელსა სწყევლიდა. ვოლაბაზმა და,

1) ევსევიმ ასწერა ეს შემოსევა ერთ წიგნში, რომელიც აღნებს შეეხებოდა სპეციალურიათ, მაგრამ ამ წიგნიდან ერთი პაწია ფრაგმენტის გარდა არაფერი შეგვრჩენია.

როგორცა სჩინს, არიანებ რომის იმპერატორთან უჩივლეს შას..
ამაზე ადრიანებ რომში დაიბარა ფარსმანი, მაგრამ სტაციანის
სიტყვით მან აინუზში არ ჩივდო ეს მოპატიუება (ejus invitationem super he neglexerit): განაწყენებულმა იმპერატორ-
მა ამაზე ფარსმანისაგან ნაბოძები ხალათები იმ ავაზაკებს ჩაი-
ვა, რომელიც ცირკში უნდა გამოეყვანათ რომაელებს ხალ-
ხის გასართობათ. შემდეგში ფარსმანი შაინც ეწვია ადრიანეს
რომში თავის ცოლშვილით და დიდის იმაღლით. ადრიანებ დი-
დის ყოფით ზიიღო ივი. მისცა მას ნება კაპიტოლში მსხვერპ-
ლის შეწირვისა, გაუფართოვა მას საპრძანებლო და სხვა. ქარ-
თველებმა განცვიფრებაში მოიყვანეს რომაელები სხვადასხვა-
საომარი ვარჯიშობებით, რომლებშიაც მეფე და ბატონი-
შვილებიც იღებდენ მონაწილეობას. შემდევ ცხენზედ მჯდომი-
ფარსმან მეფის ძეგლი იდრიანეს ბრძანებით ბელლონას ტი-
ქარში იქმნა აღმართული. სხვათა შორის კოლხიდა და მისი
მეზობელი ქვეყნები რომაელების პროვინციების წარმოადგენ-
დენ ამ დროს, რომელიც ზემოხსენებულ არიანეს გამგეო-
ბის. ქვეშ იმყოფებოდენ. ვალადაზ მეორეს პართიაში ცოლა-
ლაზ მესამე მოჰყვა. ამ შეფეს გადაწყერილი პქნდა სომხეთი-
მაინც და შაინც ლეან დაებრუნებია და გაფაციცებით ეწყობო-
და რომაელებთან სომხათ. 162 წელს რომის იმპერატორმა,
ანტონინე პოუსმა, რომელიც კარგათ ხედავდა მის წადილს
პირადათ ინახულ და როგორც იქნა დაშოშინა იგი. მაგ-
რამ ანტონინეს სიკვდილის შემდეგ ვალადაზმა აღარაფერს
უგდო უური და შეესია სომხეთს. (162 წელს). მან ჩამოაგდო
ტახტიდან რომაელთაგან დაყენებული ზოჰემი და მის ადგილას
ჰაյორი (ბაյური) გაამეფა (ტიგრანის სახელით). კაპპადოკიის
ლეგატი ელი სევერიანე მაშინვე გაეშურა სომხეთისკენ თავის
ჯარით, მაგრამ ელემენის ახლო (სწორეთ იქ, სადაც თავებედმა-
ტრაიანებ ტყულ-უბრალოთ მოუსპო სიცოცხლე მეფე პარტა-
შიზირის) პართელებმა ჩაიმწყვდის შისი ჯარი და სულ ერ-
თგანამ გასწუვიტეს. სასოწარკვეთილმა საჩდალმა ცერ აიტანა-

სირცხვილი და უბედურება და თავისივე ხმლით განივრინა გული. გზა გახსნილ პაროელები შეესიენ სირიას და კაპპა-დოკიას და საშინლათ ღაარბიეს ორივე ქვეყანა. შეშფოთებულმა რომაელებმა ლუცი ვერს მიანდევს ომის წინამძღოლობა. უკანასკნელი ღიღ განძს არ წარმოაღვენდა, როგორც სარდალი, მაგრამ სამაგიეროთ მისი ხელქვეითი სარდლები სტაციპრისკო და ავაზიკასი იყვნენ დიღი სტრატეგიული ნიჭის მექონენი. სხვათა შორის ვერის ჯარიც სეუკეთესო ლეგიონებისგან შესდგებოდა. მიუხედათ უკელა ამისა ვერი თავდაპირელათ მორიგების ვზიას დაღვა. აზრ და კარგულმა ვოლადაზმა უარპყო მისი წინადადება. 163 წელს სტაციპრისკო შეიქრა სომხეთში, აიღო არტაკსატა, ჩამოაგდო ტახტილან ბაკური და ისევ ზოქემი გაამეცა სომხეთში. ამავე დროს ავიდეკასი თვით ვოლადაზის წინააღმდეგ მიიწვევდა. ზევგმას ახლო მან სასტიკათ დაამარცა. მისი ჯარი, დაირეკა იგი წინ და თვითონაც გამოედევნა უკან ედესსის და ნიზობისის აღბის შემდეგ. ქვეშევრდომმა მეფეებმა ზურგი იქციეს მეფეთ მეფეს. შევიწროებული ვოლადაზი ტიგრს ამოეფარა. კასი მაინც, გაპყვა მის უკან, მიადგა სელევკიას და აიღო იგი. ამ დროს ამ ქალაქში, როგორც ამბობდნ, 400 ათასამდე მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ესენი უმთავრესად ბერძენ ან გაბერძნებულ მოქალაქებს წარმოადგენდენ. თავის თავათ ცხადია ესენი დიღის სიხარულით შეხედენ რომაელებს, მაგრამ აღვირწახსნილ „სოლდატესკა“ მტერსა და მოყვარეს აღარ დაგიდევდა რაკი ძალა მის ხელში იყო. მათ ჯერ გაცარცვეს მთელი ქალაქი და შემდეგ ცეცხლს მისცეს იგი. სელევკიას შემდეგ რომაელება კტეზიფონს მიადგნენ, აიღეს იგი და ისე გაანადგურეს, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. 165 წელს ძლევამოსილი ჯარი დაბრუნდა, უკან სირიაში. ოთხი წლის ომის შედეგი ის იყო, რომ შესობოტამია რომის იმპერიას შეუერთდა. სხვათა შორის დაბრუნებულმა ჯარმა რაღაც საშინელი სენი (შავი ჭირი) შეიტანა აზიიდან, როგორიც

შემდეგ გალილეამდე გავრცელდა და ძალიან ბევრი იმსხვერპლა. ხალხი ამბობდა სელეკციას ცოდვამ გვიწია და მიტომ მოგვევლინა ეს სენიო.

ვოლალაზ მესამე 191 წელს გარდაიცვალა. მისი ადგილი უოლალაზში მეოთხემ დაიჭირა. მისი 42 წლის მეფობა ბევრ აურზაურს შეესწრო რომში. თვით პართელები განზე იღებენ ამ არეულობების დროს, მაგრამ აღიაბენ და ორპოენელებმა ისარგებლეს შემთხვევით და ჩამოაჭრეს ნაწილები მესოპოტამიას. ამის საპასუხოთ სეპტიმი სევერი შეესია აღიაბენ ეს 196 წელს და დაიპყრო იგი. პართელებმა ვერც ეხლა გატელეს ჩარეოდენ საქმეში, ესენი მხოლოთ მას შემდეგ დაიძრენ, რაც სევერს აღბინთან აუტყდა ომი. პართელთა ძლიერი ჯარი შეესია მესოპოტამიას აიძულა აქაური გამგე ლაეტი ნიზიბისში შეხიზნულიყო და ალყა შემთარტყა მას აქ. 197 წელს სევერმა მოიცალა როგორც იქნა აღმოსავლეთისთვის და გაემართა იქითკენ. პართელებმა მაშინვე მიატოვეს მესოპოტამია და დაიხიეს უკან. სევერმა შეავსო ჯარები, მოემზადა კიდევ უკეთ და 199 წელს შეიჭრა პართიაში. ფლოტი ეფრატით მისურუდა ჯარს. შემდეგ იგი ახლათ აღდგენილი კანალით იქმნა ტიგრისში გადაყვანილი. რომაელებმა აიღეს ჯერ სელევკია. შემდეგ კტეზიფონი და საშინელი დღე დაიყენეს ორივე ქალაქს მეტადრე კტეზიფონს, რომელსაც ამ უბედური დღის შემდეგ 100 ათასამდე მცხოვრები მოაკლდა. (ან გაწყდენ ან ტყვეთ იქმნენ წაყვანილნი). უკან დაბრუნებისას სევერმაც სცადა ატრას იღება, მაგრამ მასც ტრაიანეს ბედი ეწვია, ე. ი. მანაც ტყვილა უბრალოთ მიაწყვიტა მას ჯარი და აღებით კი ვერ აიღო.

ვოლალაზ მეოთხეს ადგილის, რომელიც 209 წელს გარდაიცვალა, მისი შეისარგებლი ვოლალაზ შეხუთე გამეფდა. სპარსელთა მოძრაობა, რომელმაც შემდეგში ბოლო მოუღლო პართელების სამეფოს, მის დროს დატყუო როგორც სჩანს, ამასთანავე მას თავის ძმა არტაბანთანაც უხთებოდა ბრძოლა რომელიც ტანტს ედავებოდა ვოლალაზს. ამ უბედურებას რომთან ომიც დაემატა.

კარაკალლას მოკლუ ტვინში გაღაწყვეტილი იყო, რომ
რომი და პართია ერთ სკიპტირას ქვეშ უნდა მოქცეულიყო.
ამიტომ მოსთხოვა მან არტაბანს ქალიშვილი ცოლათ. არტაბანს
ამ დროს თავის მირონცხებულ ძმაზე დიდი ძალა ეპყრა ხელში.
რადგან ბაბილონის გარდა უკანასკნელს აღარსად აღარ ედგა
ფეხი. არტაბანმა კარგათ იცოდა რა აწუხებდა რომის თავცარიელ
იმპერატორს და ციცი უარი შეუთვალი მას. კარაკალლამ მოიდ-
ვა ეს საბაბათ და ომი გამოუცხადა მას. (ომი ჯერ დაწყებუ-
ლი არ იყო როცა მან სრულიათ უაზროთ ჩამოავდო ტახტი-
ჟან აბგარი (ედესაში) და ვოლალაზი (სომხეთში). პართელე-
ბი არ მოელოდენ ამას და მოუმზადებელნი დახვთენ მას. რო-
მაელებმა არბელიმდე მიაღწიეს და შემდეგ მესოპოტამიაში დაბ-
რუნდენ გადასაზამთრევათ. გაზაფხულზე კარაკალლა ხელახლა
ფიქრობდა პართიაში შესევას, მაგრამ მას აღარ დასცალდა ეს,
რადგან იგი მოკლულ იქნა (217 წელს). არტაბანმა ამასობა-
ში მოუყარა საქმიან ძალას თავი და თვით შეესია მესოპოტა-
მიას. კარაკალლას მოადგილემ მაკრინმა სცადა მორიგებოდა
არტაბანს, მაგრამ უკანასკნელმა არ ისურვა ეს, მან კარგათ
იცოდა აღბათ, როგორ მოუწყობელი იყო რომაული ჯარი და
როგორ უფულოთ უყურებდა იგი ომს. ნიზიბისის ახლო რო-
მაელები დამარცხდენ. მაკრინი იძულებული შეიქნა უკან დაე-
ხია. მისი საქმე ამის შემდეგ სულ უკან და უკან მიდიოდა.
ამიტომ მან ხელახლა იწყო მოლაპარაკება არტაბანთან, პართე-
ლები არას დროს არ იყვნენ მოწყობილნი ხანგრძლივი ლაშ-
ქრობისთვის. ამიტომ არტაბანმა უკანი აღარ სთქვა შერიგება-
ზე. მაკრინს და რომაელებს ეს ზავი ჩს მიღლიონი დენარი
დაუჯდა. საზღვრები როგორც სჩანს დიდათ არაფრათ შეუც-
ვლია ამ ზავს.

არმაკუნიანთ სამეფოს ბედმა სწორეთ სამარის წინ გაუ-
ლიმა. ამ გამარჯვების შემდეგ დიდ ხანს არ გაუარია. რომ სპარ-
სელმა არდაშირმა საუკუნოთ მოულო ბრლო ბრძოლის ველზე
(227 წელს) არტაბანსაც და არმაკუნიანთ სამეფოსაც.

სომხეთში მაკრინმა ტირილატი დასვა თავის დრომზე მფლეოდ. მისი სიკვდილის შემდეგ (222) არტაბანმა მის მშას არ-ზექს (იგივე ხოსროს) მისცა გვირგვინი. ამიერილან არწყუ-ნიანგბი განუწყვეტლივ მეფობდენ სომხეთში.

❖ პ ა რ მ ი ბ ი:

- 1) Cassius Dio (Lib 49, 58, 60, 69, 54, 55, 80).
 - 2) Tacitus Annalen მე-2 გამოც. Müllern-ის.
 - 3) ფრაგმენტები Petrus Patricius-ის ი. Fr. H. Gr.
 - 4) Droysen Geschichte des Hellenismus 3 B-de.
 - 5) F. Iusti Herrschaft der Parther.
 - 6) A. Gutschmid Geschichte Irans.
 - 7) Jh. Momsen Römische Geschichte B-dv
 - 8) Marquart Eranvsar.
 - 9) Fr. Spiegel Eranische Alterthumskunde 3 B-de.
-

III

სასანიანების ხანა.

შინაარსი: სპასერის განცალებებია. სასანიანი შაბავი. არდაშირი. მისი ბრძოლა მეზოდლებთან, არტაბასთან და კამარჯვება. ტაბარის და დ. ქასისის ცნობები. ბრძოლა სომხებთან. არდშირი და რამავლები. შაშურ I განაგრძობს ბრძოლას. ფალიშეს ზავი. ვალუანის მარცხი. კაფისთვ და ოდენატი. მანი და მისი მცნება. ჭრშიზიზდი. ბაჟრამი I. ბაჟრამ შეორუ და მრრბი. სასეკე და ბაჟრამ მესმე. ამი რომთან. სპასერთი ხელს იღებს სომხეთზე და იძერიაზე ტირიდატე და ქრისტიანთა შემოღება სომხეთში. სომხებს არ შეეძლოთ სხვებზე წინათ გამოეცხადებით ქრისტიანთა სასელმწიფე დელიგიათ. ქრისტიანთა საქართველოში. სირიეფი მისითანხერების როდი. ჭრშიზდი II ადანასეჭე. შაშურ შეორუ. არივე მხარე ემზადება სამრაო. შაშურის და კასტრის ბრძოლა. ხითნიტები თასარისტანში. ზავი რომთან და ბრძოლა ხითნიტებთან. ზავი ხითნიტების. ბრძოლა რომთან. სისტო II სომხეთში. კარბის იძერიაში. ბრუნდება იძერების წელითთ. მასაგეტების შემთხვევა. კასტრანცი, არმავი და შერიბანე. იმშერატრი იულიანე. მისი დაშქრობა სპასერთში. რომაელები აღწევენ პტეზიფონს. უკან დახევა. ბრძოლა მართვასთან და დაზების წინამდგრადის სიგვდილი. იულიანეს დაჭრა და სიგვდილი. იოვანეს ზავი. სპასერების მოქმედება სომხეთში და საქართველოში. საურმაგი და ასიგაგური. ვალენსი ასმარებს ჯარებს შპს სომხეთში და საურმაგს იძერიაში. ასტაგური ბაჟრუ შეივის მოადგილე იულ. რო ნაწილათ დაუთვა იძერიას. ჩაშის მოველა. ვარზადატი. შაშურის შდანები. არმავ IV. კავკასიონის კარის მნიშვნელობა. არდაშირ II. შაშურ III. სომხეთის დაუორა. იძერია იძენის გოგა-

რენეს, გლარჯეთს, ტაშინს და რამდენიმე სეობას. ბაჭყალ შე IV.
ხელახლი დაუღვა სომხეთისა. სოსრო აერთებს ღრივე საწილს.
ჰუნების შემოსევა. იეზდიგერდი. სოსროს განთავისუფლება. სოსრო
თას ქრისტიანები. ბაჭყალ V. ომი რომითა. 422 წლის ზავი. სუბ-
სილია გაგვასიონის კარის დასაცავათ. არეულობა სომხეთში. მეფიბის
მისპობა. პატრიარქი სააკი და მესროპი. ასბანის შემოღება. ეპლესიის
საციონალიზაცია. ფასტანი და ჰუნები. იეზდიგერდ II.. ჰესტალი-
ტიბი. აჯანყება სომხეთში. იეზდიგერდის ზომები. ვარდასი ყდგება
სათავეში აჯანყებას. მისი ბოლო. ახალი ბოლოიტია სომხეთში და იბ-
რიაში. ვასქენის მოქმედება. ომი კიდარიტებთან. ლაზია მეტე გო-
ბაზი. მისი განწყობილება მეზობლებთან. მოგზაურობა კახესტანტი-
ნეპოლის. ჰორმიზდი და ფეროზი. მეტე ვაჩეს აჯანყება. მდგრმარეობა
სომხეთში და იმერაში. ვახტანგი და ქრისტიანთა შატრია. ვასქენის
ჩემოგდება ტახტიდან. აჯანყება თრივე ქვეყანაში. ვაჭანი და სააკ
რატუნი—მეთაურები. სოსრეულების მთავარი ძალები ესევის იერიას.
ვახტანგი იძარებს ვაჭანს. კანგარის ბოლოდა. დამარცხება. ვახტანგი
და ვაჭანი განბიან. ფეროზის დამარცხება და ვახტანგის დამრუნება.
მარაგურების შემოსევა.

წინა ნაწილში დავინახეთ უკვე, როგორ სცილდებოდენ არმავრნიანთ სამეფოს ცალკე ნაწილები და როგორ იქმნებოდენ მათგან დამოუკიდებელი სამეფონი. უკანასკნელ ხანებში სპარსეთიც ერთ ასეთ სამეფოს წარმოადგენდა. ადგილობრივი ფულები გვისახელებენ ზოგიერთი აქაური მეფის სახელს. ერთი ასეთი მეფეთაგანი იყო სხვათა შორის გოციქრიც, რომელიც შემდეგ სასანის პომდგამბა თავაღმა პაბაკმა ჩამოავლო ტახტიდან და თვითონ გამეფდა მის ადგილას. პაბაკის სამშობლოთ ხაპტრს ასახელებენ, რომელიც დღევანდველ შირაზში მდებარეობდა. პაბაკს მისი შვილი შაპური უნდა მოჰყოლილია, მაგრამ მეორე შვილმა ორდაშირმა ძალით მოიცილა იგრ თავიდან და თვითონ ვამეფდა (211—12 წელს). აქედან იწყება სწორეთ სასანიანთ ხანი.

არდაშირმა თავიდანვე კეთილ პორტშუნე ზორითასგრიანათ გამოაცხადა თავი. ამასთანავე იგი დაუღლალავი მცველი და მფარველი იყო ყველაფრის, რაც კი ეროვნული სპარსულის სახელს ატარებდა. ამით მან დიდი სახელი დაიმსახურა ხალხში, განსაკუთრებით კი სამღვდელოებაში. ამ შინაგანშა მთლიანობაშ დიდი ძალა მიინიჭა მის სამეფოს, რაიცა ძალიან საკირო აღმოჩნდა ამ პრძოლის დროს, რომელსაც იგრ იწყებს პართელების წინააღმდეგ.

პირდაპირ მეფეთ-მეფესთან შეჯახება თავდაპირველათ ნააღრევი იყო არდაშირისოვის. ამიტომ იგი ჯერ მის ვასალების მდინარეს ლუკიმათ. იგი იპყრობს ჯერ ქირმანს, შემდეგ სუზიანას, ტიგრის ჩასართავს და სხვ. მუჯმილის სიტყვით არდაშირი ამ გზით 17-დე დამოუკიდებელ სამთავროს დაეპატრონა. თავის თავათ ცხადია პართელები. მალე მიხვდენ რა შედეგი უნდა ჰქონოდა ამ ონავრობას მათი სამეფოსთვის და ამიტომ ისენი ვამოეწყვენ მის ბოლოს მოსალებათ. მაგრამ შათი განხრწინილი სამეფო უძლური აღმოჩნდა იმ ახალგაზდა ძალის წინააღმდეგ,

რომელიც ეროვნულ ერთობას ემყარებოდა. დ. კასასის სიტყვით უკანასკნელმა ორშაკუნიანმა (არტაბანმა) სამჯერ სცადა ბედი ბრძოლის ველზე, მაგრამ სამივეჯერ დამარცხებულ იქნა. ორდაშირის უკანასკნელ სამკედრო—სასიცოცხლო ბრძოლაში არტაბანი თვითაც იქნა მოკლული (როგორც ამბობენ არდა-შირის ხელით). პართელთ სამეფო ისევე აღარ არსებობდა ამ პრძოლის შემდეგ, როგორც ახემენიანთ სამეფო გავგამელას აქეთ.

ამ გამარჯვების შემდეგ არდაშირმა მეფეთ-მეფედ ირქვა თავი. იგი დაუყონებლივ შეუდგა მოელი არშაკუნიანთ სამეფოს ხელში ჩაგდებას. ტაბარის სიტყვით მან აღვილათ ჩაიგდო ხელში ეკბატანა, შემდეგ აღირბეჟანი, სომხეთი, აღიაბენე (მოსსული), სურისტანი (ბაბილონია), შემდეგ საკასტანი, გურგანი, ბალხი და სხვ. ეკვს გარეშე ეს ცნობები გადაჭარბებულნი არიან. ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ პირველათ სასანიანი პორშიზდი უწოდებს თავს ერანის და ანერანის (არა-ერანის) მეფეს. აქედან ცხადია, რომ ოქსუსის გადალმა მხარე მხოლოთ მის დროს ჩავარდნილა სასანიანთ ხელში. ტაბარიზე უფრო სარწმუნო რომაელი ისტორიელი დ. კასასის ცნობებია. მისი სიტყვით არტაბანის დამარცხების შემდეგ არდაშირმა ჰეტრის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ რაც ტრაიანეს და სევერის ჯარებში ვერ შესძლეს, მას ვერც მისი ჯარები შესძლებდენ; ამიტომ იგიც ხელცარიელი დაბრუნდა აქედან.

კასასის გადმოცემით არდაშირი ამის შემდეგ შეუდგა მედიის და სომხეთის დაპყრობას. სომხეთის მეფემ ხოსრომ, რომელიც როგორც ვიცით არშაკუნიანი იყო, დიდი წინააღმდევობა გაუწია არდაშირს¹⁾). ამ უდროვოთ გარდაცვალებულ მოპირდაპი-

1) აღათანგელის სიტყვით მან მოიხმარა (არტაბანის სიკვდილის მე 2 წელს) ქართველები, ალანები, ჰუნები და კტეზიონის კარებამდე ააოხრა არდაშირის სამულობელო. შემდეგ წელს მან დესპანები დაუგზავნა სხვა არშაკუნიანებს და ერთათ მოქმედება ურჩია მათ არდაშირის წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელნი უკვე შეეგუნ ახალ ძალას და ყური არ ათხოვეს მის წინააღმდებას. მაშინ ხოსრომ საკუთარის ჯარით გაილაშქრა ხელიხლა. არდაშირი შეეგება მას,

რეების შვილებმა (გადმოცემით) განსაკუთრებული როლი ითა-
მაშეს სომხეთის ისტორიაში. ხოსროს შვილია ის ტრდატი,
რომელმაც ქრისტიანობა შემოიღო სომხეთში. მისი მამის
შკვლელის ანაკის კი გრიგოლ განმანათლებელი.

230 წელს ორდაშირი იმდენათ ძლიერათ გრძნობს თავს,
რომ იგი რომაელებს უცხადებს ომს. ომის წინ მან განუცხა-
და რომაელებს. მთელი თქვენი აზიური სამფლობელო უნდა
დამითმოთო. რომაელებმა ეს თავსედობათ ჩამოარტვეს რასა-
კვირველია მას. საერთოთ უნდა აღინიშნოს, რომ სასანიანები
სრულიათ მოკლებულნი არიან იმ სიფრთხილეს და თავაზიანობას,
რომლითაც არ შაკუნიანები ეპყრობოდენ რომს. ორდაშირი ძლი-
ერის ჯარით შეიქრა მესოპოტამიაში. ალექსანდრე სევერმა რა-
მოდენიმე ნაწილათ დაპყო თავისი ჯარი და ისე გაეგება სპარ-
სელებს. ამით მას სურდა სპარსთა ძალები დაექსაქსა. მაგრამ
ეს ზომა საზარალო აღმოჩდა რომაელებისთვის. სპარსელებმა
ნიზიბიამდე მიაღწიეს და ალყა შემოარტყეს მას.

მიუხედავათ ამისა რომაელებმა მაინც შესძლეს მათი შე-
კავება და შეინარჩუნეს მესოპოტამია. უნდა ვიფიქროთ,
რომ სპარსელები ნაკლებ იყვნენ ზანგრძლივ ლაშქრობათა-
თვის განმზადებულნი და მიტომ ვერ შესძლეს ალბათ მათ
ამ ომის თავის სასარგებლოთ დათავება. ალექსანდრე სე-
ვერის ნაძალადევ სიკვდილს დიდი არეულობა მოჰყვა რომში,
რომელმაც მთელი იმპერია შეარყია. ორდაშირმა ისარგებლა

მაგრამ დამარცხდა თითქოს. გამშარებული არდაშირი აღათანგელის
სიტყვით თავის მახლობლებს შიმართავს, ვინ ამოიყრის ხოსროს
ჯავრსო. ეს არ შაკუნიანმა ანაგმა იკისრა და მართლაც მოჰკვდ-
ხოსრო. სომხებმა მთელი შისი ნათესაობა გასწყვიტეს. მხოლოთ მცი-
რე-წლოვანიგრიგოლი და სურენი გადარჩენ.

ხოსროს შვილი ტრდატი ჯერ კიდევ მცირე წლოვანი იყო-
ამ გარემოებით ისარგებლა თითქოს არდაშირმა და დაიპყრო
სომხეთი. ტრდატი ბიზანტიას გაიქცა. ეს შეცდომა უნდა იყოს.
სომხები როგორც სჩანს ხოსროს შემდეგაც კარგათ იცავდენ თავს
არდაშირისაგან.

ამით და ხელახლა შეესჩია მესოპოტამიას. რომში ამ დროს ძალი პატრონს ვეღარ სცნობდა, ამიტომ არდაშირს ვერავინ გასცემდა ჯეროვან პასუხს. მხოლოდ მას შემდევ რაც გორდიანე მესამემ საფუძვლიანათ მოიკიდა ფეხი ტახტზე, რომაელებმა ღამიადეს დიდი ჯარი და გაეშურენ სპარსელების წინააღმდეგ.

არდაშირი ამ დროს ვარდაცვალებული იყო. მის აღვილას მისი შვილი შაბურ პირველი (242-72) მეფობდა. შაპური არტაბან მეფის ქალისაგან ჰყავდა ორდაშირს ნაყოლი. ამ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული ის პოეტური თქმულება, რომელსაც შახნამე გადმოგვცემს. არდაშირმა შეიტყო, რომ დედოფალი მოწამლვის უპირებდა მას და სიკვდილით დასჯავადაუწყვიტა მას. სანამ ბრძანებას შეისრულებდა მხლებელმა შენიშნა, რომ დედოფალი ორსულიათ იყო. მან ღამილვია მეფის ბრძანება და დაბილი დედოფალი. შემდეგში, როცა გამოირკვა, რომ მეფე უშვილოთ და უძიროთ უნდა მომკვდარიყო, მან მოპგვარა მას მისგან გადარჩენილი შაპური და აუქსინა როგორც იყო საქმე. იმ დროს როდესაც გორდიანეს ჯარი ბრძოლის ველს მიეშურებოდა, შაპური გაცილებული იყო მესოპოტამიას და ანტიოქიისაკენ მიიწვედა. რომაელების ფაკტიური წინამძღოლი გორდიანეს სიმამრი ტიმესითე იყო. პირველი შეჯახების შემდეგ სპარსელები იძულებული შეიქნენ რეზანამდე დაეხიათ უკან. აქვე მომხთარ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომაელებმა დაამარცხეს სპარსელები და დააცლევინეს მთელი მესოპოტამია. ტიმესითე არ დაგმაყოფილდა ამ გამარჯვებით და გადასწყვიტა თვით კტეზიფონზე მიეტანა იერაში. რომაელთ საუბედუროთ ტიმესითე გზიზე გარდაიცვალა (თუ მოკლეს?) და მისი აღვილი ფილიპე არაბმა დაიჭირა. მას სპარსელებზე უფრო ის აწუხებდა, ტახტი როგორ ჩავიგდო ხელშით და მართლაც მალე გამოათხოვა წუთისოფელს უმწეო გორდიანე. სპარსელებთან კი მან ზავის შეკვრა არჩია და გაუთმო მათ როგორც მესოპოტამია, ისე სომხეთი.

შაპურს, შას შემდეგ რაც მან და მისმა ჯარმი მესოპოტა-
მიაში გამოსკადა, აზრათაც არ მოსდომდა, რომ მისი ბეჭი
ასე წალმა დატრიალდებოდა. რომაელებისაგან მოსვენებულმა
მან ამის შემდეგ ატრის მიმართ და მოტყუებით იგდო, იგი
ხელში. როგორც ამბობენ ამ დროსვე უნდა ჩავარიდნილიყოს.
მის ხელში აღირდებენიც. ფილიპე არაბის ხელშეკრულობამ ისე
აღაშფოთა რომაელები, რომ იმპერატორი იძულებული შეი-
ქმნა დარღვეულათ აღიარებია იგი.

252 წელს შაპური შეესია სომხეთს და დაიფლო იკი.
შეუე ტრდატი¹⁾ იძულებული შეიქნა რომაელებს შეხიზნოდა.
(სომხეთი ისტორიკოსნი აქ ხმაროს ასახელებენ, მაგრამ ეს შე-
ცდომა უნდა იყოს. შეცდომაა ავრეთვე მათი მხრივ ის მტკი-
ცხა თითქოს არდაშირის დროიდან ბარაშ მეორემდე სომხეთი
სპარსელების ხელში ყოფილიყოს). რომში ისე აწეწილ დაწე-
წილი იყო სახელმწიფოს მდგომარეობა, რომ მის გამო-
ბრუნებას აღარავინ ელოდა. მოსაზღვრე ერებმა ისარგებლეს
ამით და გადალიხს ძველი საზღვრები. სხვათა შორის შაპურ-
მაც ისარგებლა დროთი. მისი ჯარები შეესიენ მესოპოტამიის
და სირიის და დაუსჯელათ სწვავდენ და სლაგავდენ აქაურო-
ბას. ბოლოს როგორც იქნა იმპერატორმა ვალერიანმა მოი-
მაგრა მმართველობის სათავეში ფეხი და გაეშურა შაპურის
წინააღმდეგ. საუბედუროთ ჯარში გაჩენილმა ჭირმა სამწილათ
შეიძუსტა მისი რაზმები. ისედაც გაუბრედავი მეფე ამის შემდეგ
სრულიათ ვეღარ ბედავდა რიგიანათ შეპყროდა სპარსელებს.
მაგრამ ალყა შემორტყმული ედესის უბედურება ცამდის უწევ-
და. ამიტომ მეტი გზა არ დარჩა, იმპერატორი უნდა შებმოდა
სპარსელებს. ედესის ახლო მოხდა ის კატასტროფა, რომელ-
მაც თავზარი დასცა მთელს იმპერიას. სპარსელებმა არათუ
დაამარცხეს ვალერიანის ჯარი, არამედ თვით იმპერატორიც
იგდეს ხელთ ტყვეთ. ამ უბედურობის მიზეზს სხვა და სხვა-

1) რომელიც აღათანგის სტეფანი იმპერატორის წყალობით და-
ბრუნდა უკან (?) ზემოთ ნახსენები ვახიზნების შემდეგ.

ნაირათ ასიხელებენ. ზოგი ამბობს სპარსელებმა ხელში მოი-
შეყვდიეს რომაელები და ვალერიანი მიტომ მოჰყვა ტუკოთო-
ზოგი ამბობს იმპერატორს მოღაპარაკების დროს დაეცენ თავს
სპარსელები და დაატყვევესო. ზოგის მტკიცებით კი ვალერია-
ნი თვით ჩაუვარდა ხელში სპარსელებს, რადგან თავის უკმაყო-
ფილო ჯარების ეშინოდათ. სპარსელები როგორც ამბობენ
ძალიან ულირსათ ეპურობოდენ ვალერიანს. ნაკში რუსტემის
რელიეფიც გვიმტკიცებს, რომ სპარსელების ქცევა მაჩთლიაც
ყოველ რაინდობას მოკლებული უნდა ყოფილიყო. რელიეფი
ჰუხლმოღრუკილ ვალერიანს წარმოგვიდგენს, რომელიც ხელ-
ალპყრობილი მიმართავს ცხენზედ მჯდომ შაპურს. ზემოხსენე-
ბული კატასტროფის შემდეგ რომაელებს აღარ ჰქონდათ სა-
შუალება შეეკავებიათ შაპური. ამიტომ მაღლე ყველა აზიური
პროვინციები დაქარგული აღმოჩნდნენ მათთვის. ყველაზე სა-
ვალიალო ანტიოქიის, კესარიის, ტარსოსის და სხვა დიდი ქა-
ლაქების დაკარგვა იყო მათთვის.

სახელმწიფოსგან მიტოვებულებმა დაწილკებულმა შპხოვ-
რებლებმა თვითონ გამოიღეს ხელი და იწყეს თავდაცვა. რამ-
დენი დრო გადიოდა იმდენათ ილეოდა და იქსაქსებოდა შა-
პურის ძალა. მოწინაულმდევე ძალების რიცხვი კი დღემუდამ
მატულობდა. ამ თავისუფალი რაზმების უფროსთაგან ყველაზე
დიდი სახელი ვიღაც კალისტემ დაიმსახურა, რომელმაც ერთი
გამარჯვების შემდეგ შაპურის გარემიც იგდო ხელთ. დაბო-
ლოს შაპური იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო სპარ-
სეთში. გზაზე პალმირის მთავარ ოდენატემ სხვებზე უარესი
დღე დააყენა, სპარსელებს. მან წინათ მეგობრობა შესთავაზა
შაპურს, მაგრამ უკანასკნელმა მედიდურათ უარპყო წინადა-
ცება. უკან დაბრუნებისას ოდენატი დაესხა თავის ჯარით მას
თავზე და დიდი მარცხი მიაყენა. შემდეგ მან წაირთვა სპა-
რსელებს კარრპე (ჰარრანი), ნიზიბია, გადიოარა ტიგრი და
თვით კტეზიფონსაც კი შეშოარტყა ალყა.

ასე უხევიროთ დაათავა შაპურმა თავისი დიდებული ლა-

შქრობა, ამის მიზეზის გამოძებნა ძნელი არაა. წინათ აღვნიშნეთ უკვე, რომ სპარსელები არას დროს არ იყვნენ ხეირიანათ მოშუპბილნი ხანგრძლივი ლაშქრობისთვის. შაპურის დროს აღმოცენდა სპარსეთში მანის მოძღვრება (მანიხეიზმი). იგი ისე- ვე როგორც ზოროასტრიზმი სინათლის და სიბნელის წინააღმდეგობაზე. ამყარებს თავის მცნებებს, მაგრამ აქ ქალდეურის ქრისტიანულ და სხვა რელიგიათა ზედგავლენის ნაყოფებს ვხედავთ. მანის სურდა ამ სხვა და სხვა ელემენტებისაგან ერთი შსოფლიო რელიგია შეექნა, რომელიც უკელა ერებისათვის ყოფილიყოს გამოსადევი. (მანის საერთოო ცუდათ იცნობს ის- ტორია).

შაპურის სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი შვილი ჰორ- მიზდი ავიდა (272—3), მაგრამ მას დიდი ხანი არ უმეტესია. ვიუხედავათ ამისა სპარსულ გადმოცემაში იგი „გმირის“ სახე- ლითა აცნობილი. უნდა ვიფიქროთ, რომ მან რომაელებთან ბრძოლაში მოიპოვა ეს ხახელი. 274 წელს ჰორმიზდს ბაჰრამი ანუ იგივე ვარარიანი I მოჰყვა. მანის მცნებამ მის დროს დიდი სახელი მოიპოვა მთელს სახელმწიფოში და მით მეტათ საშა- ში შეიქმნა არსებული რელიგიისთვის. სამღვდელოება ამი- ტომ გამზარებულათ სდევნიდა მანის. დაბოლოს მან მიაღწია საწადელს და აწამა მანი.

არც ბაჰრამ მეორის (იგივე ვარარიან II) (279—294) შესა- ხებ მოგვებოება საუბედუროთ ცნობები. მასაც ჰქონდა როგორ- ცა სჩანს ომი რომაელებთან. იმპერატორი პრობისთვის ეს ომი ბელსაყრელი არ იქნებოდა! რადგან მას დასავლეთელი მესახლე- რეებისგანაც გაჭირვებული ჰქონდა საქმე. ამ მეფის დროს უნდა ეკუთვნოდეს როგორც ზემოთაც აღვნიშნეო. საკასტარის და- მორჩილება. პრობის მიმკოლმა. იმპერატორმა კარმა გადასწუ- კიტა რომაელების სასარგებლოთ საქმის მოვარება აღმოსავ- ლეთში და ომი გამოუცხადა სპარსელებს. სპარსეთში ამ დროს დიდი არეულობა სუფევდა, რადგან ბაჰრამს მისი ძმი ჰორმიზ- დი ედავებოდა ტახტს. სპარსელებმა წინადადება მისცეს კარს

მოვრიგდეთო, მაგრამ უკანასკნელი არ დათანხმდა ამაზე. იგი გაუჭირვებლივ შეიჭრა მესოპოტამიაში, მიაღწია სელევკიამდე და დაპყრო იგი. ესევე ბედი ეწია მაღე თვით სპარსელების სატახტო ქალაქს კტეზიფონსაც. კარი არც ამით ფიქრობდა და კმაყოფილებას, მაგრამ მაღე მოკვდა (თუ მოკლულ იქმნა).

ბაჰრამ მეორეს სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ტახტს ირი მოდავე ეცილებოდა ერთმანეთს — შაპურის შვილი ნარსეჰ და პორმიზდის შვილი ბაჰრამ მესამე. გამარჯვება ბაჰრამს ლარჩა, რომელსაც სპარსული გადმოცემა საგანშაჰის სახელით იცნობს. (წინათ იგი საკასტანს განიგებდა ოლბათ). მისი ხანმოკლე მეფეობის შემდეგ ტახტი მის მოპირდაპირეს ნარსეჰს ერგო. გარეშე პოლიტიკაში ეს მეფე შაპურის კვალს დაადგა და მესოპოტამიისა და სომხეთის დაცყრიბა მოისურვა. ეს, თავისთავათ ცხადია, რომაელებთან ომს მოასწავებდა, მაგრამ იგი სრულიათაც ურ უფრთხოდა მას. 296 წელს იგი შეესია მართლაც სომხეთს და იგლი-იგი ხელში. იმპერიატორმა დიოკლეტიანემ თავის თანაშემწეს გალერის მიანდო მასთან ომი, მაგრამ პირველი მისი შეყრა ნარსესთან კარრჰესა და ნიკეფორიონს შეუარსებელის დამირცხებით გათავდა (297 წელს?). დიოკლეტიანემ მისცა საშუალება გალერის ხელ-ახლა გამოუწყო ჯარი და განეხლებია ომი: ამ ხელით ბედი გალერის მხარეზე აღმოჩნდა. სომხეთში მამხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში მან სასტიკათ დააშარცხა სპარსელები. ნარსეჰ თვითაც დაიკრა ბრძოლის ღრმას. მთელი მისი ხაზინა, გარემი და ბანაკი რომაელებს ჩაუვარდათ ხელში. ამ დაშარცხების შემდეგ შეკრული (298 წელს) ზავის პირობები თავის თავათ ცხადია მეტად სასარგებლონი აღმოჩნდნენ რომაელებისათვის.

რომაელების ახალი საზღვარი ტიგრამდე უწევდა. აღვილები (ინგიდენე, სოფენე, არცენე, ზაბდიცენე და გორდენე) რომაელების ხელში გადადიოდა. მედიისა და სომხეთის საზღვარი ციხე ზინთა (Zinthra) უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა სპარსელები ხელს იღებდნენ სომხეთზე და იპერიაზე და რომის ვას-

სალებათ სცნობდენ მათ შეფეხბს. უკანასკნელი მათგან
იღებდნენ ინსიგნიებს და სასახლის შესანახ ზარჯებს. ამ დროს
აკუთვნებენ ჩვეულებრივ ტრდატეს ხელახლა გამეფეხბს
სომხეთში (თუმცა ეს ძნელი წარმოსალგენია, რაღაც ტრ-
დატე როგორც ვიცით ხოსროს შვილი იყო, რომელიც თავის
დროზე არდაშირმა გამოისალმა სიცოცხლეს). ტრდატე ის
შეფეხა, რომლის დროსაც ქრისტეს მცნება მოფურინა სომხეთს.
ეს მნიშვნელოვანი მოვლენა სენ-მარტინის მიხედვით, (რომე-
ლიც ევსების ცნობას ემყარება) 312 წელზე აღრე უნდა მომ-
ხდარიყოს. ამის მიხედვით ბევრი დღესაც იმ აზრისაა, რომ
სომხეთი პირველი სამეფო იყო, რომელმაც ქრისტეს მცნებას
სახელმწიფო ხასიათი მიანიჭა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჩვე-
ნის აზრით შეუძლებელია. შპიცელი სამართლიანათ ფიქრობს,
რომ სომხეთისთვის, როგორც დამოკიდებული სამეფოსთვის
შეუძლებელი იქნებოდა ქრისტიანობის გამეფეხბა, სანამ იგი
ნებადართულ რელიგიათ არ იქნებოდა აღიარებული რომში.
უფრო სამართლიანი იქნება მაშასადამე ვითიქროთ, რომ სომ-
ხეთი წაევე როგორც საქართველო რომაელებს ბაძვდენ, რო-
დესაც ისინი სახელმწიფო რელიგიათ აცხადებდენ ქრისტია-
ნობას¹⁾). გვეს გარეშე სირიელ და მცირე აზიელ მისსიონე-
რებს დიდ ხნიდანვე ექნებოდათ შემზადებული საამისოთ
ნიადაგი. ასეთ მისიონერათ უნდა ჩაითვალოს ქართველთ გან-
მანათლებელი ნუნეპ, (ნინოპ) თუმცა მას რუფინი, სოკრატი,
სოზომენი და სხვ. არ იცნობენ. როგორც შემდეგი დროის
მისსიონერები იგიც კულტურტრევერი იყო აღმათ. შესა-
ლოთ დოსტაქონბაძ მოუპოვა მას გზა სასახლეში სამოქმე-
დოთ. მაშინ არც მირიანეს ან მისი ცოლის მონათვლა იქნება
საკვირველი. (პეტრე იბერიელის ცხოვრების აღწერა ბაჟური
იხსენიებს საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეთ. მარკვარ-

1) საეჭვოთ მიგვაჩნია ჩვენ ის ცნობაც თითქოს სომხეთი პირ-
ველი სამეფო იყო, რომელსაც სარწმუნოებრივი ომი გადახდა მაქ-
სიმინის დროს.

ჭის აზრით მირიანე სწორებ ამ მაკურს უნდა უდრიდეს (Eren. 525¹).

ნარსეპის მემკვიდრის პორმიზდ II (303—310) შესახებ სხულით არ ვიცით რა. უკანასკნელის მიმღებნო მეფე აღმარნასებ ძალით ჩამოაგდო ტახტიდან აღყრიჩასნილმა თავად-აზნაურობამ. მან არც მისი მემბოაგანი ისურვა ვინმე მეფეთ და ჯაასახიჩრა ისინი²). ტახტზე ამის შემდეგ პორმიზდის მცირე-წლოვანი შეილი შაპურ მეორე იქმნა დასმული, ოომელიც მათის აზრით მხოლოდ სახელით უნდა ყოფილიყო მეფე. მაგრამ შაპურმა მაღვე გაუცრუვა მათ იმედები. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ოოდესაც მან მაგრათ ჩიცეირა სახელმწიფო ძალა ჰელში-მისი მაგარი ჩელი მაღვე გარეშე პოლიტიკისაც დაეტყო. შა-პურმა გადასწუვეთტა იღებოდა ის ზირცხი, ოომელიც რომელ-ლებმა მიიყენეს სპარსეთს მისი წინაპრების დროს და იწყო სამრაო მზადება³). რომის იმპერატორი კონსტანტინეც ემზა-დებოდა თავის მხრივ საომრათ, მაგრამ სიკედილმა აღარ და-აკალა გას საქმის ბოლომდის მიყვანა⁴).

1) პირველ ხანებში საეკულესით ენათ ახლოთ მოქცეულ ქვეყნებ-ში სირიული და ბერძნული იხმარებოდა. ამის და მიხედვით თვით-სამრთო წერილი და მისი სამღვდელოების უბრავლესობაც სირიული იყო (საქართველოს პირველი ეფისკოპოსი გადმოცემით, ქსტატე აზ-ტომელი იყო). სომხეთში ასეთმა მღვდომარეობამ ვრაშ-შაბუქის შეფო-ბაძლე გასტანა, ოოდესაც საპატ პატრიარქება და მისმა თანაშემწე-მესროპმა შეკემნეს სომხური ანბანი, სთარგმნეს სომხურათ სამრთო-წერილი, დასცვალეს სომხებზე უცხოელი შლვდლები და დაუდევე-სერთოთ საფუძველი სომხეთის სულიერ აღმრიძინებას. ეს მოვლენა მით აისწნება, რომ სპარსელები სლევნიდენ ბერძნულ ენას სომხეთში. შეიძლება ითქვას, რომ გათ აიძულიეს სომხები ნაკონალური შექრობა და ეკლესია შეექნათ.

შეამდის კი სენ-მარტინის აზრით ცეხარეია სულიერი ცენ-ტრი იყო სომხეთისა.

2) ერთი შათგანი გადმოცემით სომხეთის მეფეს ხოსრო მეორეს-თან (ტირიდატეს შეილთან) გაიქცა თითქოს და შემდეგ მისი შემ-წეობით კონსტანტინე დიდის შეატარა თავი.

3) დაბროლის მან ელჩი გაუგზავნა კონსტანტინეს და მოსთხოვა მას ის პროვინციები, ოომელიც ნარსეს წაართვეს ომაელებმა.

4) მის მაგიერ მის მოადგილეს კონსტანტის დაატყდა ეს ომი თავს.

338 წელს შაპური შეესია მესოპოტამიას. კონსტანტი და
შისი ჯარი მეტათ მოუხერხებლით იცავდენ საზღვრებს, მაგრამ
საბედნიეროთ ესენი კარგათ იყვნენ გამაგრებულნი დიოკლე-
ტიანეს და კონსტანტინეს მიერ. ამიტომ მოუხელავათ იმისა,
რომ შაპურმა რამდენიმეჯერ დამარცხა კონსტანტი, მან მაინც
ვერ მიაღწია თვალსაჩინო შედეგებს. ლვის წინაშე ეს იმითაც
აიხსნება, რომ მას აღმოსავლეთის საზღვარზედაც უხთებოდა
ბრძოლა. სპარსელების ახალი მტრები აქ ხიონიტები იყვნენ,
რომელთაც სწორეთ ამ დროს გამოსტაცეს მათ, როგორცა
სჩინს, თოხარისტანი. შაპურისთვის ძალიან ძნელი იყო ორ
ფრონტზე ომი. ამიტომ ვამ! წელს იგი დაუზავდა კონსტანტის
და ხიონიტების წინააღმდეგ მოიკრიბა მთავარი ძალა. ეს ომი
რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. დაბოლოს ვამ წელს მო-
პირდაპირენი დაზავდენ და დაკავშირდენ კიდეც. ამის შემდეგ
შაპურმა რომისკენა ქნა პირი. რომაელები არც ეხლა იყვნენ
საომრათ დამზადებულნი და ყოველი ლონისძიებით ცდილობ-
დენ იმის თვიდან აცილებას, მაგრამ ძალიმედეულმა შაპურმა
ისეთი მოთხოვნილებები წამოუყენა მათ, რომ მათი მიღება
ყოვლათ შეუძლებელი აღმოჩნდა (მესოპოტომია და სომხეთი
მოსთხოვა კონსტანტის). განახლებული ამი საუბედურო აღ-
მოჩნდა რომაელებისთვის. ხიონიტების (ჰუნების) და აღბანე-
ლების დახმარებით შაპურმა შემოარტყა დიარბეკირს ალყა და
73 დღეში აიღო იგი. ესეთივე ბედი ეწვია ძალე პანციტს,
სინგარის და ბეზაბდეს.

კონსტანტიმ გადასწყვიტა დაბოლოს ბეჭითათ გასძლო-
ლოდა საქმეს. იგი თვით დაუდგა ჯარს სათავეში, გაემართა მე-
სოპოტამიისკენ, შემოარტყა ალყა ბეზაბდეს. შაპური სპარ-
სეთში იყო ამ დროს, საე რომ იგი მალე ვერ მიეშველებოდა
მეციხლენე ჯარს, მაგრამ ეს საჭიროა არ აღმოჩნდა. გარნი-
ზიანი ისე მამაცურათ იცავდა თავს, რომ კონსტანტიმ ვერა
გააწყო რა და იძულებული შეიქნა ხელცარიელი დაბრუნებუ-
ლიყო უკან.

სომხეთში ადგილობრივი მწერლების მიხედვით ტირიდა-
ტეს ხოსრო II მოჰყვა, რომელიც რომაელებს უფრო სწყალო-
ბდა¹). მისი შვილი ტირანი კონსტანტის მიერ იქმნა დამტკი-
ცებული მეფეთ, თუმცა იგი სპარსელებსაც უხთიდა ხარკს.

უკანასკნელის უხასიათობაში ისეთი უკმაყოფილება გამოი-
წვიასახელმწიფოში, რომ იგი იძულებული შეიქნა იბერიაში გაქ-
ცეულიყო. იბერებმა მისცეს მას მაშველი ჯარი, რომლის წყა-
ლობითაც იგი ხელახლა გამეფდა სომხეთში²). სპარსელების
წინააღმდეგ გალაშქრებისას კონსტანტიშ ინახულია არშაკი და
ემუდარა მას არ ედალატნა მისთვის, რაიცა უკანასკნელმა აღუ-
თვა კიდევაც მას. მიუხედავათ ამისა იგი ორჭოფ პოლიტიკას
აწარმოებდა.

კონსტანტინეს რელიგიურმა რეფორმამ ერთის მხრივ და
სომხეთის გაქრისტიანებამ მეორე მხრივ ძალიან დაუახლოვა ეს
ორი. ქვეყანა ერთმანეთს დიდი გავლენა იქონია ზემოხსენებუ-

1) ხოსრო მეორის დროს იხსენიებს ფაუსტი ჩრდილოელთ მა-
საგეტების და სხვა ერების შემოსევის სანესანის მეთაურობით. ეს
სანესანი იგივე მოსეს სანატრუქი უნდა იყოს. ფაუსტის სიტყვით სო-
მხები ვაჩეს მეთაურობით თვით გაუსწორდენ მას. მოსე კი მოგვი-
თხრობს, რომ ხოსრომ ბიზანტიელებს შესთხოვა შეელა, რომელთაც
მას ანტიოქე გაუგზავნეს. უკანასკნელმა მიიშველია სომხების გარდა
გუგარქის პატიახში, მიპრან იბერიელი და გააძევა სანატრუქი სომ-
ხეთიდან.

2) რაც მისი სიმპატიებიც რომისაკენ იყო შაპურმა გაიწვია
(თუ გაიტუუ) იგი სპარსეთში და დაატყვევა. ფაუსტი ფისაკოს III
ვერაგობას მიაწერს ტირანის დატყვევებას, რომელიც მისი სიტყვით
სომხეთში მოხთა (ვერაგულათ). ფისაჭმა გადაპკიდა თითქოს ტირანი
აღირბევანელ ვარაზს, რომელსაც მისი ცხენი მოსწონდა, უკანასკნელმა
სპარსეთის მეფეს. სომხებმა ანტოფ სიუნიელის და არბავირ ვამსარა-
კანის პირით ბიზოებს შესთხოვეს თითქოს შეელა და მათის წყა-
ლობით დაამარცხეს კიდეც სპარსელები, რის შემდეგ სპარსელებმა
არშაკ III დასვეს მეფეთ. მოსე სხვანაირათ უფრო სწორეთ გადმოგვ-
ცებს მთელ ამბავს. სპარსეფის მეფეთ ნერსების მაგიერ იგი შაპურს
ასახელებს სამართლიანათ.

ლმა რეფორმის სპარსეთშედაც. მით მან ოომისენ ვადახახა
სპარსეთის ქრისტიანების ინტერესებიც. მაჟური იძულებული-
ყო ზომები მიეღო ამის წინააღმდეგ. საუბედუროთ ამ ზომებ-
მა დაბოლოოს ძალიან სასტიკი ხისითი მიიღეს.

363 წელმა სტულიათ შესცვალი როლები ამ თა სა-
მეფოს შორის. ახალგაზრდა იულიანებმ გადასწყვიტა თვით მიე-
ტანა იერიში სპარსელებზე¹⁾). მას არ სურდა დაქმიყოფილებუ-
ლიყო სახლვრებზე კინ კლაონით. მას უნდოდა ტრაიანესავით
შექრილიყო პუა სპარსეთში და აქ დაცუ ლახვარი მტრისთვის²⁾.
მარტში იულიანებმ გადაიარა თავის ჯარით ეფრატი და მიაღ-
წია ჰარანს. აქ მინ გამოჰყო 20 თუ 30 ათასი კაცი, ჩაბარა ისინი
პროკოპის და სევისტიანებს და უბრძანა მათ შეერთებოდენ სომ-
ხებს, გადაევლოთ გორდიენტ, მიხიენე, შედია და შემდეგ ტიგ-
რის გადაღმა უნდა შეერთებოდენ იულიანებს³⁾). თვით იულიანუ-
თავის ჯარით (სწორი კაცი) დაუცვა ეფრატს და მიაღწია
ფერობ-ზავურს. გზაზე რომაელები ყველაფერს სწვავდენ და
სდაგავდენ. ფერობ-ზავურიდან. რომელიც თა დღეში აიღეს

¹⁾ კონსტანტი კერ კიდევ მზადებაში იყო სპარსელებთან რომის
განსაახლებლით და ძლიერებით ავსებდა არშაქსა და მერიბანეს (პა-
რიანე?) (სომხეთის და იმერიის შეფერებს), როცა ტახტს მისმა ნიჭიერ-
და ძისწულმა იულიანებმ გაუტოდა ხელი. კონსტანტის სიკვდილის გამო-
უკანასკნელმა სწრაფათ მიაღწია წადილს და ზემოთ დასახელებულ
წელს რომის იპეტრატორათ შეიქმნა.

²⁾ ა) ქართველებში და სომხებში და სხვ. დახმარება შესთავაზეს
ოულიანებს. უკანს ქნელმა სომხებით დაქმიყოფილება არჩია და უბრძა-
ნა არშაქს დილი ჯარი დაეგროვებია და მისი პრძანებისთვის ეცადა,
არშაქმა რეშტუნელ ზურას უბრძანა ჯარის დაგროვება; მაგრამ უკა-
ნასკნელი აუჯანყდა მეფეს. ამან საქმე შეაფერხა. იულიანებმ ამაზე
თითქოს მეორე უცერო მეაური წერილი ვაუგზავნა არშაქს, რომელ-
შიაც. იგი სწერდა ზას მოელს შენს სამეფოს დავაქცევ თუ ბრძანება.
არ შეგისტულებიათ. შეშინებულმა არშაქმა მოაგვარა როგორც იქნა
საქმე და აუსტულა გამწყრალ იმპერატორს პრძანება.

³⁾ ამ კორპუსს დავალებული პერნდა, როგორც მარცვლინიდან
სხანს, სპარსეთის მდიდარი პროვინციების დარბევა.

რომაელებმა, იულიანემ კტეზიფონისაკენ ჰქნა პირი. მას ას ხურდა უკან გაეშვა ფლოტი. ამიტომ მან აღადგინა სპარსელებისგან გაუქმებული არხი ტიგრასა და ეფრატს შუა და ამ კუთ ფლოტიც გაიყოლია თან¹). სელევკია, რომელიც ტიგრის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა ვერ დაიცვეს სპარსელებმა. იგი გაუჭირვებლივ ივდეს ხელში რომაელებმა. გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩდა კტეზიფონზე იერიშის მიტანა, რაღაც მას ტიგრი აშორებდა რომაელებს, მდინარის გადარება მით უფრო მოუხერხებელი იყო, რომ იქითა, უფრო მაღალი ნაპირი სპარსელებს ეჭირათ²). ჯარმა ვერ იკისრია ასეთ პირობებში მოქმედება და უარი განაცხადა იქით მხარეს გადასვლის ცდაზე. მოუხედავათ ამისა იულიანემ მაინც უბრძანა ხუთ ხაომარ გემს სპარსელებზე იერიშის მიტანა და, როდესაც უკანასკნელთ ცეცხლი წაუკიდეს მათ, იმპერატორმა განუცხადა ჯარს ცეცხლი იმის ნიშანია, რომ ჩვენებმა ფეხი მოიკიდეს იქითა ნაპირზეო. დაიმედებული ჯარი გაბედულით ეკვეთა მტერს და ბოლოს არა თუ გადავიდა მეორე ნაპირის, არამედ ქალაქშიაც კი შეჰვევა გატცეულ მტერს. მაგრავ ჯარის უების სიხარბემ წაახდინა საქმე. ისინი უმაღვე ცარცუა-გლუჯის შეუფვნენ და მტერმა შესძლო მათი გამოძევება ქალაქიდან. კტეზიფონის აღება ამის შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასთანავე გამოირკვა, რომ იმ რაზმის ცდა, რომელიც სომხებთან ერთათ მეორე მხრივ უნდა მისდგომოდა კტეზიფონს, ტყუილი იყო³): იულიანემ უკან დახევა გადასწყვიტა. თავის

¹⁾ ასევე უნდოდა მოქცეულიყო თავის დროზე ტრაიანეც, მაგრამ დაარწმუნეს, რომ ეფრატის კალაპოტი მაღალია ტიგრისაზეო.

²⁾ რომელიც სამ რიგათ იყვნენ დარაზმულნი: პირველი ხაზი კავალერიას ეჭირა, მეორე ინფანტერიას, მესამეზე კი სპილოები იღვნენ.

³⁾ აოშავმა ააოხრა მედიის ნაწილი—ხილიოკომე და მით დაკმაყოფილდა. პროკოპი და სებასტიანე კი ერთმანერთის ქიშპობაში იუვნენ და მაინც და მაინც არ უჩქაროდენ მდინარის გადავლას; თუმცა იულიანე შიკრიკს შიკრიკზე უგზავნიდა მათ.

თავათ ცხადია ძველი გზით უკან დაბრუნება. შეუძლებელი იყო, რადგან რომაელთაგან გავლილი არემარე სრულიათ განადგურებული იყო. ამიტომ ჯარი ამ ხელათ ტიგრს აუყვა¹⁾. სპარსელები წამ და უწუმ თავს ესხმოდენ რომაელები²⁾, თუმცა ყოველი ასეთი შეჯახება რომაელების გამარჯვებით თავდებოდა, მაგრამ რომაელებს მაინც გამჭარებული ჰქონდათ სიცოცხლე. ერთი ასეთი შეჯახების დროს იმპერატორსაც ეწვია უბედურება და მძიმეთ დაიჭრა. გააფირებულმა ჯარმა მანამდი სდია სპარსელებს სანამ 50 სატრაპი (?) არ იგდო ხელში და სიცოცხლეს არ გამოასალმა. საუბედუროთ იულიანეს ამით არა ეშველა რა და იგი მაღვე გარდაიცვალა. იმპერატორათ მის აღვილს იოვიანე იქმნა არჩეული, რომელიც მაშინვე დასთანხმდა სპარსელებს მოლაპარაკებაზე. ამ მოლაპარაკების შედეგის იყო, რომ გალერის მიერ დაპყრობილი ადგილები მოხოენე, ზაბდიცენე, გორდუენე და სხვ. და მესოპოტამიის ნაწილი სპარსელებს შერჩათ ხელში. გარდა ამისა რომაელებმა ხელი აიღეს სომხეთზე (res nullius — იქმნა). ცნობილი სპარსელებისთვის მეტათ ხელსაყრელი იყო რასაკვირველია ეს ზავიკელაფერს რომ დავინებოთ თავი მარტო სომხეთზე ბიზანტიელების გეგმონიაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის. ეხლა კი მას ხელშეუშლელათ შეეძლო თვით ჩაეგდო იგი ხელში. შაპურმა ჯერ დიპლომატიას მიანდო სომხეთში მოქმედება. მან კარგათ იცოდა, რომ აქ ისევე, როგორც იბერიაში თავადაზნაურობის ნაწილი სპარსელებს უჭერდა მხარს. მან ჩაიტურილა სპარსეთში არშაკი და დაიწყების ციხეში

1) ფლოტი რომ მტერს არ ჩაგარდნოდა ხელში დაწვულ იქმნა ბევრი ამტყუნებს ამაში იმპერატორს, მაგრამ მისი თან გაყოლება შეუძლებელი იყო.

2) შარანგას ახლოს მაგალითათ მთელი დიდი ხელჩართული ბრძოლა გადაიხადეს რომაელებმა. ამ ბრძოლაში მოიკლა ლაზთა რაზმის უფროსი ვეტრანიონი. ლაზები ჩვეულებრივ თრაკიის მილიციის გამგეს ემორჩილებოდნენ. მათი მე-IX-ე კიბორტი ეგვიპტის საზღვარზე მსახურებდა.

ჩამწყვდია იგი. შეძლებ მან ჩამოაგდო ტახტიდან რომაელებისგან იჩერიაში დამტკიცებული საურმაგი და ასფაგურს მისცა გვირგვინი. შეძლებ მან გამოაწყო ჯარი, ჩააბარა იგი ორ მოღალატეს კილაცეს და ორტაბანეს და გაისტუმრა სომხეთში. სარდლებშია ორტავერასაზე (არტაქსატაზე) მიტანეს იერიში, საღაც დედოფალი ფარანამი (არშაკის ცოლი) და ტახტის მექვიდრე პაპი (ამმიანით პარა) იმყოფებოდენ. კილაცემ და ორტაბანშა გადასწყვიტეს დაერწმუნებიათ დედოფალი, რომ მის ურჩიბის აზრი არა ჰქონდა და მისი პირადათ ნახვა მოისურვეს. მოღაპარაკების დროს დედოფალმა თვით გადაიბირა თავის მხარეზე ორივე მოღალატე. ამის შედეგი ის იყო, რომ ღამით სომხები დაეცნენ თავს სპარსელებს და დიდი ზიანი მიაყენეს. მათ თავდასხმის დროს (?) პაპმაც მიატოვა ციხე და გაიქცა რომაელებთან. ვალენსიმა სარდალი ტერენტი მისცა მას ჯარით და გაისტუმრა იგი სომხეთს. განრისხებულმა შაპურმა თვით გაილაშქრა ამის შეძლებ სომხეთისკენ. რომაელებმა ვერ გაბედეს მხარი დაეჭირათ პაპისთვის და იგი იძულებული შეიქნა ლაზისტანში გაქცეულიყო, რომელიც ამ დროს ბიზანტიელების ხელში იყო. მან მოიცადა იქ რამდენიმე ხანი და მას შეძლებ რაც შაპური უკან დაბრუნდა, ხელახლა შევიდა სომხეთში. ამ ხელათ რომაელებიც უჭერდენ მას მხარს (370 წელს?), რადგან გოთებთან ომი უკვე გათავებული ჰქონდა ვალენსს. ბიზანტიიურ მაშველ რაზმს არინთ სარდლობდა. ამ უკანნსკელმა სარდალი მუშელის შემწეობით სძლია სპარსულებს და გაანთვისუფლა სომხეთი. შაპურმა პროტესტი განუცხადა რომაელებს, რათ ეხმარებით პაპს და რათ ორლევეთ ხელშეკრულებასათ, შეძლებ მან ისევ დიპლომატიას მიმართა, მოღაპარაკება იწყო რომაელებთან. საპასუხოთ რომაელებმა საურმავსაც მიაშველეს ჯარი (12 ლეგიონი) ტერენტის მეთაურობით. ასფაგურ¹⁾ მზათ იყო. თვითონაც

¹⁾ ეს ასფაგური ბიზანტიაში გაქცეული მეფის ბაკურის ადგილს იქმნა ხოსროს მიერ დადგენილი. უკანასკნელი იმპერატორ ვალენსთან

გადასულიყო რომაელების მხარეს; მაგრამ მისი შვილები ზა-
ჰურს ჰყავდა მძევლებათ. იგი შეეველრა ამიტომ საურმავს
ხაქმე მორიგებით გავათავოთო და უკანასკნელი ვალენსის-
ნებართვით მართლაც დათანხმდა ამაზე. საქართველო (იბერია)
ორ-ნაწილათ იქმნა დაყოფილი. ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწი-
ლი ასფაგურშა დაიტოვა სამხრეთ დასავლეთი კი საურმავს გა-
დასცა¹). შაპურმა მმის გამოცხადებით უპასუხა ამაზე რომაე-
ლებს, მაგრამ არივე მხარეს ზანტათ მიჰყავდა საქმე, ასე რომ
ომს არაუერი არ შეუცვლია არსებითათ. სპარსელებისაც
მოცლილი მუშელი ურჩი საერისთაოების დაპყრობას შეუდგა.
გოგარენეში, რომელიც იბერელებით იყო დასახლებული მან
სომებ-ისტორიკოსის სიტუვით სულ გასწყვიტა ფარნავაზიანები
ანუ ბაგრატიონები. პაპი, ივივე პარა, ოლარ იყო იმ დროს
ტახტზე. ტერენტის ინტრიგებმა ვასჭრეს. ვალენსი მას მოღა-
ლატეობას სწამებდა. გარდა ამისა მას სურდა თავის დამქაში
ცყოლოდა სომხეთის ტახტზე, პაპი კი არ ვარგოდა სამისოთ.
ვალენსმა გაიტუა მეფე და კილიკიაში დაამწყვდია. პაპი გაიქ-
ცა ქედან და ბევრ თავგადასავალის შემდეგ მივიდა სომხეთს,
პაგრამ მთავრობის დავალებრთ სარდალმა ტრაიანემ ვერაგუ-

გაიქცა და მის ჯარში მსახურებდა წარჩინებით. ის მონაწილეობას
ოლებდა გოთებთან ბრძოლაში ადრიანოპოლითან. ვალენსის დროს იგი
ჯერ პალესტინის ფრონტის უფროსი იყო. შემდეგ *domesticorum ex-
comes* ე. ი. სასახლის მინისტრი, ზოსიმე და რუფინი (რომელიც პირ-
დათ იცნობდა მას) აღტაცებით ისენიებენ მას. უკანასკნელი სწერს:
Bacurius vir, fide, pietate animi et corporis, insignis. Et
qui comes esse et socius Theodosii mereretur. განსაკუთრებით ისა-
ხელა მან თავი აკვილებისთან მომხთავ ბრძოლაში გოთებთან თეო-
დოსის დროს. „ის დაუწინაურდა რაზმს, გიყოლა თან გაბედულები
და ეკვეთა მტერს. ის მიანგრევდა ესკადრონებს და მიიწევდა წინ-
შიშველი თავით წინამძღვრისაკენ, რომელიც არიერგარდში იყო“.

¹⁾ ასე ადვილათ იისნება ის ორგამშეობა საქართველოში, რო-
მელიც ვერ გაეგო ბროსსეს. პეტრე იბერიელის ცხოვრება გვაჩვენებს
რომ იგი შემდეგშიაც არსებულა.

ლამთ მოჰქლა იგი. რაკი. შაპურიც უქმაყოფილო იყო სომხეთის, მან წინადაღება მისცა ვალენსს სრულიათ მოქსოოთ სომხეთი, მაგრამ ვალენსი არ დასთანხმდა არც ამას და არც იმას, რომ მთელი იბერია ასფაგურსა ჰქონოდა. მაშინ შაპურმა გამოაწყო ლაშქარი, ჩაბარა იგი სურენს და უბრძანა მას დაეკავებია სომხეთი და შეევიწროებია იბერიის მეფე საურმაგი. ამასობაში სომხეთში შემდეგი ცვლილება მოხდა: პაპის ადგილს ვალენსმა ვარაზდატი დასვა. ეს უკანასკნელი არშაკის უკანონო შეილი და პაპის ნახევარ-ძმა იყო. მოსე ხორენელის სიტყვით იგი ბიზანტიაში იყო აღზრდილი. ეძეს გარეშეა იგი მძევლათ იქნებოდა იქ. მუშელის ძმა მანველ მამიკონიანი აუჯანყდა მას, სძლია და ჩამოაგდო ტახტიდან. რაკი პაპის შვილები პატარები იყვნენ, მის ცოლს შესთავაზა მან რეგენტობა. ბიზანტიელებს არ სცალოდათ ამ დროს სომხეთისთვის, ამიტომ სპარსელებთან საქმის დაჭერა არჩია მან, მაგრამ მეგობრობაში დიდხანს არ გასტანა და სომხეთ-სპარსეთის შორის ისევ ომი გაჩაღდა. ფაუსტის სიტყვით მანველი ისევე კარგათ იგერიებდა მტერს, როგორც მუშელი. ბოლოს მან მიათხვა თავისი ქალი არშაკს და აიყვანა ტახტზე (არშაკ IV). სიკვდილის წინ მან თერდოსის შესთხოვა მიეღო სომხეთი თავის მფარველობის ქვეშ, რაიცა უკანასკნელმა შეასრულა კიდეც.

იბერიაში, ალბანიაში და სომხეთში გაბატონების შემდეგ სპარსელებმა საფუძვლიანათ გაიგეს რამდენად ძნელი და ამასთანავე ხაჭირო იყო მათთვის კავკასიის კარების გამაგრება. მეტადრე ამ დროს, როცა ალანების ადგილი მათზე უფრო ძლიერმა ჰუნებმა დაიჭირეს.

379 წელს შაპურმა მიატოვა საწუთრო. მისი ადგილი მისმა ძმამ არდაშირ II დაიჭირა. ქრისტიანთა დევნა, რომლის აზრი ის იყო, რომ საქართველო და სომხეთი ძველ სჯულს დაბრუნებოდენ, ცოტა არ იყოს შესწყდა.

არდაშირ მეორეს დიდი ხანი არ უმეფნია. სპარსელებმა მალე ჩამოაგდეს ის და შაპურის შეილი შაპურ მესამე დასვეს

ტახტზე. უკანასკნელი ხედავდა ოოგორი ორქოფი იყო მისი მდგომარეობა, ამიტომ ზავის შეკვრა არჩია მან რომაელებთან. ზავის შედეგი სომხეთის ორ ნაწილათ დაყოფა იყო¹⁾. ერთი ნაწილი ბიზანტიისა, მეორე ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ორივე ნაწილს საკუთარი მეფეები უნდა ჰყოლოდა. (ხოსრო III სპარსელების და არშაკ მე IV ბიზანტ. ნაწილს).

სანამ დაყოფა მოხდებოდა, სომხეთს ჩიმოაჭრეს ნაწილები და ზოგი თვით იყუთვნეს სპარსელებმა და რომაელებმა, ზოგი კი ალბანიას და იბერიას შეუერთეს. იბერებს სხვათა შორის შემდეგი პროვინციები ერგოთ: გუგარქი, კლარჯეთი, ტაშირი და ხეობანი ძოროფორი (Zoropor) კოლხაფორი და კობა-ფორი²⁾.

არც შაპურ მესამეს რგებია დიდი ხანი მეფობა იგი მაღა იქმნა მოკლული და მისი აღვილი ბაჰრამ მეფოხემ, სახელწოდებით ქირმანშაჰმ, იპყრო. რომაელების წინააღმდეგ ეს მეფეც მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა. სხვათა შორის ივი ქრისტიანებსაც ძალიან ლმობიერათ ეპყრობოდა. მის დროს (390 წელს) სომხეთი ხელახლა იქმნა დაყოფილი. დიდი ნაწილი ისევ სპარსეთს დარჩა, უფრო პატარა კი რომაელებს. ბაჰრამმა თავის ნაწილში ხოსრო დატოვა. ბიზანტიელების ნაწილს კი comes-ი განაგებდა. ერისთავები მეტათ უკმაყოფილონი იყვნენ. ამით, გადუდენ ბიზანტიელებს და მოიწვიეს ხოსრო.

1) ამას თვით სომხეთის მდგომარეობაც უწყობდა ხელს. ერისთავები აუჯანყდენ ახალგაზრდა არშაკს და აშკარად მიეკედლენ სპარსელებს. თეოდოსის დასავლეთშიაც გაჭირვებული ჰქონდა საქმე და აღმოსავლეთში ახალი ომი არ სურდა. ამიტომ დასთანხმდა ის სომხეთის მოსპობას.

2) ბიზანტიელების ნაწილი მეხუთედს წარმოადგენდა იმისას, რაც სპარსელებს ერგოთ. იგი კოლხიდიდან იწყებოდა და მეხობოტა-მიადე უწევდა, მაგრამ ძალიან ვიწრო იყო. არშაკი ვერ შეურიგდა თავის ბედს. აიღო იარაღი და შეებრძოლა ხოსროს, მაგრამ დამარცხდა და მაღა გარდაიცვალა. ბიზანტიელებს მის ადგილს მეფე ალარდაუსვამთ. ერისთავს ჩააბარეს გამგეობა.

ხოსრომ მართლაც შეიერთა თავის ხელში ორივე ნაწილი; ჩადგან თევზოსი. პირველს (თუ არკადის) არ სცალოდა მის-თვის. მაგრამ არც ბაჰრემმა მოუწონა ზას ქს, ჩამოაგდო იგი ტახტიდან და დავიწყების ციხეში ჩასვა. მის აღგილას მან ვრამ-შაპუში დასვა¹⁾.

399 წელს ბაჰრამი მოკლულ იქმნა. მის აღგილს შაპურის შვილი იეზდიგერდი გამეფდა.

სომხებმა სთხოვეს მას დატყვევებულს ხოსროს განთავი-სუფლება, რომელსაც ვარდაცვალებული ვრამშაპუშის აღგილი უნდა დაეჭირა. იეზდიგერდმა მართლაც გაანთავისუფლა ივი, მაგრამ რვა თვის მმართველობის შემცირ ხოსრო გარდაცვალა და მისი აღგილი იეზდიგერდის შვილმა შაპურმა დაიჭირა.

სპარსული გადმოცემა ცუდათ ისხენიებს იეზდიგერდს, მაგ-რამ სამავიეროთ ქრისტიანები იყვნენ თურმე მისი მადლიერნი. ბოლოს იეზდიგერდმა მაინც შეიცვალა აზრი და დევნა დაუწყო ქრისტიანებს. რამოდენიმეთ ქს თვით ქრისტიანების ბრძალიც წყო, რადგან ისინი მეტათ თავხედურათ იქცეოდენ ხანდახან.. ერთმა ეფისკოპოსმა მავალითათ დასწევა სპარსულთ ტაძარი და როდესაც იეზდიგერდმა მისი აღღენა ბრძანა, აღგილობრივმა ქრისტიანებმა ური განაცხადეს ამაზე.

ქრისტიანები მის დროს თითქმის ცალკე სახელმწიფოს

1) რომელიც ბიზანტიელების ნაწილსაც განაცემდა, მაგრამ ხარჯს უხდიდა უცაბასენერლთ. ბაჰრამის დროს მოხდა ერთი უსაშინე-ლების შემოსუვა ჰუნნებისა წინა აზიაში. ნეტიარ ხსენებული იერონი-მე ესე ივგიწერს ერთს წერილში ნეპოტიანისაღმი მიწერილში. Ecce tibi anno praeterito ex ultimis Caucasi rupibus immissi in nos, non jam Arabiae, sed septentrionis lupi, tantas brevi provincias per- currerant? Quo monasteria capta? quante fluviorum aquae humano cruore mutate sunt. Obsessa Antiochia, et urbes reliquae quas Halys, Cydnus, Orontes, Euphrates que praeterfluunt. Tracti gre- ges captivorum Arabia, Phoenice, Palestina, Aegiptus timore captivae.

წარმოადგენდნენ საშეფოში, რომელსაც სათავეში „კათალიკუსი“ ედგა.

რომელიც წინააღმდეგ იგი მშვიდობიან პოლიტიკის აწარმოებდა, რამაც შესაძლო ჰყო 488 წლის შეთანხმება. შეგნით სამეფოში იქმდიგერდი ცდილობდა მაგრა ჩაეჭირა ხელში მმართველობა. ეს არ მოსწონდა რასაკვირველია აღვირწახსნილ აღგილობრივ თავადაზნაურობას, რომელმაც მოუღო კიდევ ბოლო ამ ენერგიულ მეცნეს.

ამის გავებაზე სომხეთის მეფე შაპური უმალვე გაეშურა სპარსეთს, მაგრამ მკვლელები ამასაც მიესივენ და გამოასალმეს წუთი სოფელს. ტახტი შეთქმულებმა იქმდიგერდის ვიღაც ნათესავს ხოსროს უძღვნეს.

იქმდიგერდის ერთი შეილი ბაჰრამი (V) პირაში იყო გაზრდილი. მამის სიკვდილის შემდეგ მან მოიხმარა პირის მთავარი ალმანუნდორი, შევიდა ძლიერი არაბული ჯარის თანხლებით სპარსეთში და აიძულა აღგილობრივი მაგნატები მეფეთ ეცნათ იგი. თავის მხრივ ბაჰრამიც დათანხმდა ღვთის წინაშე აღგილობრივი თავადების ზოგიერთ მოთხოვნილებებს, რომელთაც ქრისტიანთა დევნა და რომაელებთან ომი გამოიწვიეს მალე. 421 წელს რომაელებმა დაამარცხეს სპარსელთა ჯარი, რომლის მთავარი ხელმძღვანელი მაგნატი მიჰჩნარსე იყო და შემოარტყეს ალყა ნიზიბიას. სპარსელები თავის მოკავშირე არაბებით მალე მიეშველენ ქალაქს და იხსნეს იგი. ამ ომში, რომლის შესახებ საუბედუროთ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპობა, ბაჰრამის მოკავშირე ალმანუნდორი დიდ როლს თამაშობდა. როგორც სჩანს დიდი რამ მისგან არც ერთ მხარეს მოუკიდა არც მეორეს, დაბოლოს ომი 422 წელს ზავით გათავდა. სპარსელებმა აღუთქვეს რომაელებს, რომ ისინი ოწმენის თავისუფლებას მიანიჭებდენ ქრისტიანებს. თავის მხრივ რომაელებმაც მისცეს ესეთივე აღაქმა ჩათ ზოროსტრის მიმდევართ შესახებ. გარდა ამისა რომაელებმა ვალათ იდვეს გადაწყვეტილი თანხებლივათ. სპარსელებისთვის კავკასიის კარების დასაცვათ.

სომხეთში შაპურის სიკვდილის შემდეგ არეფლობა მოხთა¹).

სომხებმა ამოსწყვიტეს სპარსული გარნიზონები და შეეცადენ აღედგინათ ძველი დამოუკიდებლობა. საუბედუროთ სპარსელების მომხრე პარტია ისეთივე ძლიერი იყო, როგორც მოწინამდებელები. ამიტომ საქმე ანარქიით გათავდა. ბაჰრამს არ სურდა საქმის გამწვავება, ამიტომ მან სმბათ ბაგრატუნისა და კათალიკოზის პირით ზავი შესთავაზა მათ. ამასთანავე მეფეთ მან ვრამ შაპურის შვილი არტაშესი (IV) დაუნიშნა მათ. მიუხედავათ ამისა სომხები მაინც არ დაწყნარდენ. სპარსელების მომხრეები ამბობდენ არ გვინდა არც დამოუკიდებლობა, არც მეფე, უმჯობესია სომხეთი სპარსეთის პროვინციათ იქცეს მარზაბანის გამგეობის ქვეშო. სპარსელებსაც სწორეთ ეს უნდოდათ. 429 წელს ესენი შევიღნენ თვით სომხების დახმარებით სომხეთში, ჩამოაგდეს ტახტიდან არტაშეს მეფობე და ჩააბარეს მთელი მართვა-გამგეობა მარზაბანს²). სხვათა შორის კათალიკოზ-პატრიიარქ საპატარიც წაერთვა ღირსება რადგან იგი წინააღმდეგი იყო ამ ზომე-

1) იგი თვით შაპურის მიერ იყო შემხადებული, რადგან იგი წმინდა სპარსულ პოლიტიკას აწარმოებდა აქ.

2) შინაგანი გამგეობა კი მთავარ ინტენდანტს სპარაპეტსა პირველი მარზბანი მიპრ-შაპური იყო. რომელ წელს მოხთა ეს ამბავი ან რომელ მეფის დროს (სპარსელი მეფის) ამის შესახებ სომეხთა მწერლებს შორის დიდი უთანნებოება არსებობს. მოსე ხორენელის სიტყვით ეს ამბავი ვრპამის (ბაჰრამის) დროს უნდა მომხთარიყო. ლაზარე ფარპელიც ვრპამის დროს მიაწერს ამ ამბავს. სებეოსის სიტყვით იგი იეზდივერდის დროს მოხთა. მისი აზრით სომეხთა სამეფომ 405. წ. იარსება. ასოლიკის აზრით კი 552 წელს. მხითარ ათ-რივანქელი 452 წელს დასდებს სამეფოს დაცემას. კირაკოზი ეთანნებული მოხეს და ლაზარეს. რომ სამეფოს დაცემა ვრამის დროს მოხთა, ხოლო მის არსებობის დროს 568 წლით განსაღწერავს. სამაგიეროთოანე კათალიკოზი და თომა არწრუნი სებეოსის აზრს იმეორებენ.

მე სენ-მარტენის აზრი მიმაჩნია დაახლოებით სწორათ, რომელიც სამეფოს დაცემას 428 წელს დასდებს, მის არსებობას კი 580 ამათგან 151 წელი ქრ. წ-ს) წლით განსაზღვრავს (ob. Brosset Coll. d. H. arm. I. VIII).

პისა, მის ადგილს სირიელი მღვდელი ბერქიშო დააყენეს, მიუხედავათ ამისა მან მარც განავრძო თვისი ნაყოფიერი ჰოქმედება, რომელიც დაუკიწყარი უნდა დარჩენილიყო სომხეთის ისტორიაში. მისი საუკეთესო თანამოღვაწვი, მესროპი იყო, რომელსაც სომხური მწერლობა სომხური და ქრისტიანობის გამოვლენის მიაწერს. მესროპამდე სომხები როგორც ამპობენ შემოკლებული სიტყვებით ანუ ნეგანებით სწერდენ. მესროპმა (და რუფინშა) აიღეს სირიელ ეფისკოპოსის დანიელის მიერ მოგონილი ანბანი (17 ასო), შეავსეს იგი ხმოვანი და ზოგი უხმო ასოებით და შეკმნეს დღემდისაც ხმარებული სომხური ანბანი. რამდენათ მართალია ის რომ ჩვენი ხუცური ანბანიც მესროპის მიერაა მოგონილი ამის შესახებ შემდეგი უნდა ვთქვათ.

ევროპიელი მეცნიერები მოსე ბორენცულის მიხედვით ჩვეულებრივ ფაქტათ დასდებენ ხოლმე აშ ამბავს. ჩემის ფიქრით კი იგი უაზრობას წირმოადგენს. რა კავშირი ჰქონდა სომხეთს საქართველოსთან, რომ სომხური ანბანის შემომღებელი მესროპს საქართველოშიაც მაშინვე გაევრცელებია იგი ან მისი გვარი ანბანი. გაცილებით უფრო სარწმუნო იქნებოდა მოსეს მოწმობა, რომ იგი სრულიათ არ იხსენიებდეს მესროპს და ამბობდეს რომ დროთა განმავლობაში მესროპის ანბანი ქართველებმაც გადაიღესო. ამის მაგიერ მე-7 საუკუნის დამლევს მცხოვრები მოსე (და არა მე-5 საუკუნეში) გვიყვება რომ მე-5 საუკუნის მცხოვრებმა მესროპმა თავის მოგონილი (?) ანბანი ქართველებსაც უფეშქეშია, და ეს საკმაო რომ ეკრაპიელმა მეცნიერებმაც ფაქტათ აღიარონ ეს ამბავი. რომ ქართველები (ისევე როგორც სომხები) წინათ ბერძნულ ანბანსა და ენას ხმარობდენ ეს უკეთობ იცის. რატომ დასჭირდათ პერძნულის მცირნე ქართველებს პერძნული ანბანი მიეტოვებიათ და მარც და მაინც სომხურით ეწყოთ წერა (ხომ არც ერთი არ იყო ნაციონალური) ეს გამოცანა მისთვის მიგვინდეთ, ვისც დღემდისაც სწამს მესროპის მისია ქართველებისადმი. გარდა

ამისა, მოსე ბაკურ მეფეს ასახელებს მესრობის თანამედროვეთ საქართველოში. ქართლის ცხოვრება კი ამ დროს არავითარ ბაკურს არ იცნობს.

სააკმა და მისმა თანაშემწევებმა პირველ ყოვლისა მიზნათ დაისახეს ნაციონალური ხასიათი მიენიჭებიათ სომხური ეკლესიისათვის. მათ გამოაძევეს ბერძნული და სირიული სომხური ეკლესიიდან და მით ზედმეტ ჰყვეს უცხოელი ლვდელ-მოქმედება სომხეთში.

საკუთარ ფეხზე დასაღვომათ სომხებისთვის აუცილებლით საჭირო იყო ბერძნული ენის და კულტურის ცნობა. ეს კარგათ ესმოდა სააკმა. ამიტომ მან გაპეზავნა მესრობის ორი მოწაფე აღექსანდრის ბერძნულის სასწავლით. ეს დაწყებულება მეტათ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გავჩავნილთა რიცხვი შემდეგში თანდათან იზრდებოდა. აღექსანდრის გარდა არც კონსტანტინეპოლის და ათენს ივიწყებდენ სომხები.

ამ გზით წარმოიშვა სომხეთში ის ორი ჯგუფი (მთარგმნელთა და კომმენტატორთა), რომელთა სახელები დღემდისაც უკლავნი არიან. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან პატრიარქი იოსებ ქოლოჭმი, ლევონი, პოვანე და სხვები.

მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვან ჯგუფში შედიან მოსე წორენელი (ნამდვილი მოსე), დავით ფილოსოფოსი, პატრიარქი კოუდი, ისტორიკოსნა ელიშე და ლაზარე ფარფეცი და სხვები.

ზემოთ დავინახეთ, რომ სპარსელებიც ბრძოლი შედარებით იაფათ დაუჯდათ რომაელებს. ეს სხვათა შორის იმით აისნება, რომ სპარსელებს ამ დროს აღმოსავლეთ მოსაზღვრებრანაც უხდებოდათ ბრძოლა, რომელთაც ჩვეულებრივ „თეთრი კანიან ჰუნებს“ უწოდებენ. სულ პირველათ ეს თეთრი ჰუნები პეტრე იბერიიელის ცხოვრებაში იხსენიებიან. აქ ნათქვამია, რომ იბერიის ტახტის მოდავემ ფარსმანმა შემოუშვა ისინი იმიერ კავკასიიდან და მათ გააოხრეს სირია მესოპოტამია. და სხვა ქვეყნები. მარკვარტის აზრით ეს თეთრი ჰუნები ნამდვილათ ხიონიტები უნდა იყვნენ, თუმცა შემდეგ ჰეპტალიტებსაც ამ სახელს უწოდებდენ.

ბარამმა ოოგორუა სჩანს რამდენიმე ჯერ დაამარცხა ხილ-
ნიტები და ძალიან შეისუსტა ისინი, მაგრამ ეს გარემოება უფრო
საზარელი აღმოჩნდა სპარსეთისთვის კიდრე სასარგებლო. ხილ-
ნიტებმა ვეღარ შეიკავეს ის ახალი მძლავრი ტომები, რომელ-
იც აღმოსავლეთიდან აწვებოდენ მათ. სწორეთ ამ დროს არე-
კეს და დაიფრინეს წინ ავარებმა საბირები, ინოგურები, სა-
რაგურები და დაბოლოს ხილნიტებსაც მოადგნენ.

ბაჰრამ V-ს სიკვდილის, შემდეგ სპარსეთის ტახტზე მისი
შვილი იეზილიგერდ მეორე ავიდა. ამას ძალიან სურდა რომა-
ელებთან ანგარიშის გასწორება და საქმე კინალამ მივიღა ომამ-
დე, მაგრამ ამ ხელათაც აღმოსავლეთმა შეუშალა ხელი სპარ-
სელებს. ხილნიტების მაგიერ ეხლა „ჰეპტალიტები“ ანუ იგივე
კიდარიტები უჭირვებდენ სპარსელებს საქმეს. მეტი გზა არ იყო
ამათ მორიგებით უნდა გაეთავებიათ რომაელებთან საქმე და
მთელი თავისი ძალები აღმოსავლეთისაკენ უნდა შემოეკრიბათ.
მიუხედავათ ამისა ჰეპტალიტებმა მაინც დაამარცხეს ესენი რამ-
დენიმეჯერ. კიდარიტებთან ბრძოლას სომხეთის აჯანყებაც
მიემატა, რომელიც სომხეთის მმართველის (მარზბანის) მიპრ-
ნარსეს უაზრო ზომებით იყო გამოწვეული. უკანასკნელმა გა-
დასწყვიტა ძალით დაეპრაქნებია სომხები ზოროასტრის მუნი-
კისთვის. ეღიშე გაღმოვვეუმს იმ მოხთენილ დაცინვას, რო-
მელსაც მისი განცხადება შეიცავდა ქრისტეს სჯულის შესახებ.
თავის-თავად ცხადია ხალხი არ დაჰყეა მის ნებას და აღელდა.
ამაზე იეზილიგერდმა გაიწვია სხვა და სხვა დიდებულები, რო-
მელთა შორის გუგარქის პატიახში აშუშაც¹⁾ იმყოფებოდა, და

¹⁾ ეს აშუშა ქვისლი იყო ფართან მამიკონიანის ძმის პაიაკისა.
გოგარენე ხან ქართველებს ეკუთვნოდა, ხან სომხებს, უფრო ხშირათ
ქართველებს, სანამ დაბოლოს სულ არ შეიჩათ მათ საბოლოოთ. ყვე-
ლაზე ხანგრძლივი საშუალო საუკუნეებში იყო აქ სომხების ბატონობა.
მეცხრე საუკუნიდან შეითერთმეტედე გასტანა მან. გეოგრაფიულათ
გოგარენე იმას უდრის რასაც ქართველები სომხითს უწილებდენ.

თავის თავათ ცხადია რელიგიური პოლიტიკა სპარსელებისა
ისეთივე იყო საქართველოში, როგორიც სომხეთში. ამიტომ ვხედავთ
ჩვენ სომხებთან ერთათ იმერიელ თავადებსაც. ვაწვეულთა შორის
თვით აღბანის შეფერ ვაჩეც იყო.

უბრძანი მათ ოჯულის გამოცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასტიკი სასჯელი მოელოდათ. ამათ გადასწყვიტეს სიტყვით დათანხმებოდენ მას, რომ მით თავისუფლება. მოეპოებით და შემდეგ ემოქმედათ.

ამის შემდეგ იქნდიგერლის ბრძანებით ჯარი იქნა. სომხეთს გაგზავნილი, რომელსაც მოგვებიც ახლოენ თან ხალხის მოსანათლათ. მთავრობის ბრძანებით ამიერიდან აღკრძალული იყო იმის ქმნა, რაც ზოროსტრის მცნებას ეწინააღმდეგებოდა. სხვათა შორის აღარც წივის დაწევა შეიძლებოდა, რადგან ეს ცეკველის გაუწმინდურებათ ითვლებოდა (ეს კი ძნელი ასარულებელი იყო სომხეთში).

აჯანყების სულის, ჩამდგმელი და შეთაური ვარდინი იყო. სოუნიერმა ვასაკმა კი ულალატი „სჯულს, სინდისს და მამულს“ და სპარსელებს მიემხრო. იგი მალე ჩაუკარდა ხელში აჯანყებულებს და მოინანია თავის საქციელი, ასე რომ აჯანყებულებშია რაზმის უფროსობაც კი მიანდევს მას, მაგრამ გულში იგი ისეჭ მოლალატე დარჩა. მან საიდუმლოთ მოიწვია. სპარსული რაზმი, რომელიც დარუბანდის კარს იცავდა.. მას იმდედი ჰქონდა, რომ სპარსელები უსათუოთ გაიმარჯვებდენ. ამიტომ იგი გაფაციურებით ურჩევდა თანამებამულებს გავეგებოთ სპარსელებს წითო. ვარდანი თავის ჯარით მართლაც გაეგება სპარსელებს, მაგრამ ვასაკის იმედები გაცრუვდენ. ვარდანმა დამბარცხა და თითქმის სავსებით მოსპონ სპარსელების ჯარი. შემდეგ იგი გაფართო დარუბანდისკენ, დაანგრია აქაური სიმაგრენი და შეიტო იმიერ-კავკასიელები და აღმანელები.

სპარსელებმა გამოაწყვეს დიდი ჯარი და ვაგზავნეს სომხეთში. ვასაკმა ამასობაში ჩამოიხადა ნილაბი და უწყო რბევა აჯანყებულ თანამომებების მამულებს. ამასთანავე იგი მოწყალებას ჰპირდებოდა უველის, ვინც თავის ნებით დამორჩილდებოდა სპარსელებს¹⁾). უველი იმის გაგებაზე ვარდანი საჩქაროთ

¹⁾ ვასაკის პროპაგანდა მეტათ ნაყოფიერი აღმოჩდა. სპარსეთის პრესტიჟი მეტათ დიდი იყო უველგან, ამიტომ არა თუ ვარეშე მო-

გამოეშურა სპარსელებისაკენ. ოფარაირის ველზე სომხეთის ლეონიდე გაეგება სპარსელთა სპეციალური სომხეთის გუნდი ძალიან პატარა იყო საიმისოთ, რომ სპარსელებს გამკლავებოდა: ერთ ადგილას სპარსელებმა შეარყის წინა რიგები და დასძრეს ისინი. ვარდანშა მიაშურა დაზიანებულ ადგილს და თავგამეტებით ეკვეთა მტერს. მან ვერ აპრონებია პირი მტრის ზედმეტ ძალის, მაგრამ არც მან იბრუნა პირი და გმირულათ მოჰკვდა ბრძოლის ველზე. ამის შემდეგ ომშა პარტიზანული ხასიათი მიიღო: მიუხედავათ ამისა სპარსელებმა მხოლოდ მაშინ დააცარეს სომხეთი, როდესაც სრული რწმენის თავისუფლებას შეპპირდენ¹⁾.

სომხებთან ერთათ სპარსელებს, როგორცა ვსოდებით კიდარიტებთანაც უხდებოდათ ბრძოლა. 453/4 წელს უკანასკნელებმა სასტიკათ დაამარცხეს სპარსელები. როგორცა სჩანს ეტლოგერდიც ამ ომში იმსხვერპლა²⁾.

კავშირებმა, როგორც ქართველებმა, ლაზებმა, ლეპონებმა და სხვებმა არჩიეს ჩამოშორება (თუმცა ქართველებს და მთიულებს უკვე მზათ ჰყავდათ მაშველი ჯარი), არამედ თვით სომხეთშიაც დააღვა ზოგი ვასაკის ნაჩვენებ გზას. გარდა ამისა ვასაკმა სამხედრო ზომებიც მიიღო საქმის მოსაწყობათ და კარები გაამაგრა სპარსელების შემწეობით სადაც საჭირო იყო.

1) და შემდეგ საესტითაც შესცვალეს თავისი, პოლიტიკა ქრისტიანულ სახელმწიფოებისადმი. ამას ამნისტიიაც მოჰკვა; რის შემდეგ აშუშამ შესძლო გაენთავისუფლებია ჰამაიკის შვილები ვასაკი, ვაჰანი. და არტაშესი, დაბრუნდნენ თავის სამფლობელოებში აგრეთვე აღმანისის მეფე ვაჩე და იბერიის მთავარი ვასქენი. თუმცა ორივე გაწარმართებული მაგრამ ვაჩე ისევ დაუბრუნდა თავის სჯულს. ვაქენმა არა თუ ულალატა ახალ რჯულს, არამედ თავის ცოლს შუშანიკაც (იგივე ვართანუპი) ატანდა ძალას განარმართებულიყო. როდესაც უკანასკნელმა არ ისურვა ეს, აწამა იგი. შუშანიკ ვართან მამიკონიანის ქალი იყო.

2) ამ ომის დროს ლაზების მთავარმა გობაზმა რამდენიმე შესევა მოახოთინა რომის სამფლობელოში და თანაც მეფეთ გამოაცხადა თავი, მარკიანმა სცადა იარალით დაეყოლიებია იგი ნებაზე, მაგრამ ვერ შესძლო. და რავი იეზდიგერდმაც არ უმხრო გობაზს ორივე მხარე დაზავდენ. შემდექში გობაზმა სამხედრო დახმარებაც მიიღო რო-

მის სიკვდილს ხელახალი უბედურება მოჰყენა. პორმიზდი
და ფორჩი შეედავენ ერთმანეთს ტახტს და დიდი აურზაური
გამოიწვიეს მთელს სახელმწიფოში. ჯერ პორმიზდმა სძლია ძმას
და დაისაკუთრა ტახტი, მაგრამ ფეროზმა კიდარიტებს მიმართა
და მათი შემწეობით ჩამოაგდო ძმა ტახტიდან. სხვათა შორის
არშაკუნიანმა მიპრანშაც ძალიან შეუწყო ძას ხელი. აღბანის მე-
ფე ვაჩემ ისარგებლა ამ არცულობით და გაუდგა სპარსელებს¹).
სპარსელები ვერას გახდენ მასთან და იმიერ კავკასიაში
მცხოვრები ხაილან-თურქები (ელიშე ასე უწოდებს მათ) მოიწ-
ვის მის წინააღმდევ. ამასთანავე იბერია და სომხეთშიაც ეძ-
ზადებოდენ ასაჯანყებლათ. სომხეთის მარზბანი იზადვე შნასპი
ისევე უაზროთ ავიწროებდა სომხებს, როგორც თავის დროს
მიპრანს. მას გარშემო მოღალაზეთა გუნდი ეხვია, რო-
მელთა თარეშობამ მოომინების ფიალა აღუვსო ხალხს. არც
იბერები იყვნენ კმაყოფილნი სპარსელებით. ამათი შმაროვე-
ლი ამ დროს ცეცხლის თაყვანის მცემი მთავარი ვასქენი იყო,
რომელიც სპარსელებს ემყარებოდა. ქრისტიანთა პარტია სამა-
გიეროთ ვახტანგს უჭერდა მხარს. მისი წყალობით უკანასკნელ-
მა სძლია ვასქენს და ჩამოაგდო იგი ტახტიდან. აჯანყების
ცეცხლი მალე სომხეთსაც მოედო. აქაური მარზბანი თავის
(უმთავრესათ სომხებისაგან შემდგარი) ჯარით აღბანიაში იყო
ამ დროს²). იგი სწრაფათ გაეშურა აქედან სომხეთში, მაგრამ
მაელებისაგან იბერიელების და სპარსელების წინააღმდევ. იმპერა-
ტორის ლეონის დროს გობაზი თვით ჩავიდა კონსტანტინოპოლის,
და კიდევ შესთხვეა რომაელებს შეელა სვანების წინააღმდევ. ლე-
ონი თუმცა განაწყენებული იყო მასზე, მაგრამ გობაზი ისეთი მოქ-
ნილი დიპლომატი და ფსიხოლოგი აღმოჩდა, რომ და ბოლოს მან
დაიყოლია ლეონი ყველაფერზე. გობაზმა შეიძირა იმპერატორი, რომ
იგი სომხეთში მყოფ ჯარებს მოახმარდა მას სვანების წინააღმდევ,
რომელთაც მეფე ვახტანგი და სპარსელები უჭერდენ მხარს.

1) მან შეაევშირა 11 სხვა და სხვა მთავარი იმიერ კავკასიისა
და დიდი ზიანი მიაყენა სპარსელებს.

2) ჰუნების წინააღმდევ საბრძოლველათ.

ჯარის იმ ნაწილში, რომელიც სომებთაგან შესდგებოდა უღალიარია. მას და იგი იძულებული შეიქმნა აღირბევანს გაქცეულიყო. აჯანყების სათავეში კოტა ყოფილის შემდეგ მამიკონიანი ვაჰანი მოექცა¹). იგი ვაჰანი მამით გმირი ვარდანის, ძმისწული იყო, დედით კი გუგარქის პატიახშის აშუ მასი.

სპარსელები ადვილათ მიხოთნ, რომ აჯანყების სათავე სომხეთი კი არა, იბერია იყო (და მართლაც ვაჰანი, როგორც საჩდალი ვახტანგს ემორჩილებოდა). მათ არ მიაქციეს ამიტომ ყურადღება იმას, რომ ვაჰანმა რამდენიმე ჯერ უკუაგდო სპარსელთა პატიახა რაზები, მოუყარეს ჯარს თავი და მიაშურეს ვახტანგს²). უკანასკნელმა საჩქაროთ მოუწოდა ვაჰანს და იგი მართლაც შეუერთდა მას. დამარცხებულთა საქმე ძალიან ცუდათ იქნებოდა, მაგრამ არც სპარსელებს მისდიოდათ საქმე კარგათ აღმოსავლეთში. ამიტომ ფერობი იძულებული შეიქნა მიპრანი და მისი ჯარი აღმოსავლეთში გაეწვია. ამან კოტა არ იყოს შეაძლებული დამარცხებულთა მდგომარეობა³). კიდარიტები როგორც წინათა ვთქვით ერთდროს ფერობის მუარველები იყვნენ. ჩაზე ვაუწყრენ ესენი ფერობს არ ვიკით. ომი ხანგრძლივი. და მწვავე აღმოჩნდა.

1) რომელიც მთავარ სარდლეთ იქმნა არჩეული: მარზბანობას მის გვერდით სააკადემიუნი ეწეოდა.

2) მიპრანის შეთაურობით. სპარსელები მოედვნენ ინერიას. ვახტანგი იძულებული შეიქმნა სომხეთის საზღვრებისაკენ დახხიდა.. აქედან მან საჩქაროთ მოუწოდა ვაჰანს შეერთებოდა მას. სომხები და ქართველები მართლაც შეერთდნენ კანგარუში (გოგარენში იყო) დაუწყეს ცდა ჰუნების მაშველ რაზმს, მაგრამ ამათ. ბოლოს ქართველ-სომხები მაინც შეებნენ სპარსელებს, მაგრამ დამარცხდენ. ვაჰანი და ვახტანგი იძულებულნი შეიქმნენ გაქცეულიყვნენ.

3) სპარსელები მაინც არ ივიწყებდენ ზემოთს.. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ზარმიპრი გამოგზავნეს აქეთკენ. მას ნაბრძანები ჰქონდა ან დაეჭირა, ან მოეკლა ვახტანგი: უკანასკნელმა კოლხიდას შეაფარა თავი. ფერობის სიკედილის და დამარცხების შემდეგ ის დაბრუნდა იბერიას და ისევ დაეპატრონა ქართლს.

ხან ერთი მხარე იყო მოგებული, ხან მეორე. ამასთანავე სპარ-
სელებს ჩრდილოეთიდან ახალი მტერი გაუჩნდა. ავარების
მიერ აყრილებმა სარაგურებმა და მათმა მეზობლებმა გაიარეს
დარუბანდის კარი, მოედვენ ხაქართველოს, სომხეთს, (4ჩხ
წელი) და დაბოლოს სპარსელებსაც ეწვიენ. ყოველი ასეთი
შემთხვევის დროს სპარსელები რომაელებს მიმართავდნენ ხოლ-
მე და უსაყველურებდნენ რათ არ გვაძლევთ ფულებს, „შირი-
პარაზის“ ანუ „იუროიპავის“ კარის გასამარტინებლათო.

ამ კარებს ზოგი დარიალის აღრის, მაგრამ შპიველი და
მარჯვიარტი სამართლიანათ იღნიშნავენ, რომ აქ დარუბანდის
კარზე უნდა იყოს ლაპარაკი, თუმცა არც ის უნდა დავივიწ-
ყოთ, რომ სარაგურები მიტომ შემოვადენ დარიალოთ, რომ
დარუბანდი სპარსელებს ეკირა (იხ. Prys. Panites). ფეროზი
როგორც სჩანს გაუსწორდა დაბოლოს კიდარიტებს, მაგრამ
მათი ადგილი ჰეპტალიტებმა დაიკირეს, რომელნიც გაცილე-
ბით უფრო საშიშარნი აღმოჩნდნენ სპარსელებისთვის. მათ
რამდენიმეჯერ დაამარტეს ფეროზი და იძულეს იგი ხელ-
საყრელი ზავი (ჰეპტალიტებისთვის) შეეკა მათთან. ფეროზი
არ სურდა შეცვეუბოდა ასეთ მდგომარეობას და ახლათ და
ახლათ არღვევდა ზავს. დაბოლოს იგი ტყვეთ ჩაეუარდა ხელში
ჰეპტალიტებს. რამდენიმე ზნის შემდევ რომის იმპერატორმა
ზენიმ გამოისყიდა იგი ტყვეობიდან. ფეროზმა ხელახლა
გროვა დიდი ჯარი და ვალასწყვიტა კიდევ ეცადა ბედი, მაგ-
რამ ჰეპტალიტებმა ხელახლა დაამარტეს იგი. თვით ფეროზიც
მოიკლა იმ ბრძოლაში. ჰეპტალიტები მოედვენ უპატრონოთ
დარჩენილ ჰევენას და საშინელი დღე დაიყენეს. სპარსეთი
რამდენიმე ხანი უმეტო დარჩა, სანამ ზარმიპრი არ დაბრუნდა
იბერიიდან და ბალაში არ დასვა ტახტზე. დამარტებული
სპარსეთი იძულებული შეიქნა მეტათ სამარტევინო ზავი შეეკ-
რა ჰეპტალიტებთან. იგი რამდენიმე პროვინციებს უთმობდა
და ამასთანავე ხარუსა ჰპირდებოდა მათ. ასეთ მდგომარეობაში
შეინფერა სპარსეთმა ველარც საქართველოს და სომხეთის წინა-

აღმდეგ შესძლო ძველი მკაცრი პოლიტიკის წარმოება და მორიგება არჩია მათთან. ვაჰანს და ალბად ვახტანგსაც ამნისტიი უბოძა ბალაშმა¹). სახელმწიფო ოფიციალური რეკორდი ქვეყანაში ქრისტიანობა იქმნა დადგებული. გარდა ამისა თვით ზოროასტრიზმიც გამოდევნილ იქმნა ორივ ამ ქვეყნიდან, როგორც ხალხისთვის არასასურველი რწმენა. შემდეგში ვაჰანი მოეხმარა ბალაშმა, როდესაც მას თავის შვილი ზარეჭი აუჯანყდა. სომხეთის ისტორიკოსი, არას ამბობს ამაზე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგიც იღებდა მონაწილეობას ამ ლაშქრობაში. შესაძლოა ეს ფაქტი დაედო სარჩულათ ქართლის ცხოვრების იმ გადმოცემას, რომელიც ვახტანგის ინდოეთს ლაშქრობას იხსენიებს. ამ ლაშქრობის შემდეგ ვაჰანს ბალაშმა სომხეთის სპარაპეტობა და პატიათშობა უბოძა. სამღვდელობას ძალიან არ მოსწონდა ბალაშის პოლიტიკა და მტრულის თვალით უყურებდა მას. არც მაგნატები სწყალობდნენ მას მაინც და მაინც: ამიტომ 489 წელს იგი დააბრმავეს და ჩამოაგდეს ტახტიდან.

მის ადგილს კამარილიამ ფეროზის შვილი კავადი I დასვა. მაგრამ ვერც ის შეეწყო მათ გემოვნებას. ამით აისხნება ალბათ ის მოვლენა, რომ იგი მხარს უჭერდა და მფარველობდა მაზრაյის სოციალისტურ მოძღვრებას, რომელიც ყოველი უბედურების დასაბამათ საკუთრებას აღიარებდა და მის მოსპობას ჰქალაგებდა. კავადმა შემდეგში პრაქტიკულათაც მოისურვა ამ მუნების განხორციელება და შეუდგა საკუთრების ექსპროპრიაციას. თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ საშინელი ალიაქოთი ასტეხეს. მათ მალე ჩამოაბრძანეს ტახტიდან „სოციალისტი“ მეფე და დავიწყების ციხეში ჩასვეს იგი²). ტახტი მის მაგიერ (496 წელს) ჯამასპმა დაიჭირა, მაგრამ მას დიდი ხანი

1) პირველი მარტბანთ იქნა დანიშნილი მეორე კი. დამტკიცებული მეფეთ.

2) კავადის დროს ნესტორიანების მცნება ძალიან გავრცელდა სომხეთში... სომხეთის პატრიარქმა ბაბკენმა შეჰყარა ვალარშაბათში კრებული, რომელსაც იბერიის პატრიარქი გაბრიელიც დაესწრო და დასწუევლა ეს მცნება.

არ უმეფნია. კავალმა მოახერხა დავიწყების ციხიდან გაქცევა. ამბობენ, რომ მისმა ცოლმა მოხიბლა თავის სილამაზით ციხის უფროსი და ინახულია კავალი. უკანასკნელმა ჩაიცა მისი ტანისამოსი და გაიპარა. გაქცეულმა ჰეპტალიტებს შეაფარა თავი, შეირთო აქაური შეფის ქალი და მიიღო მისგან შეწევნა. ჰეპტალიტების შემწეობით მან ადგილათ ჩამოაგდო ტახტიდან ჯამასპი და თვით ივლო ხელახლა ტახტი ხელში. კავალმა ორკეცათ მიუზღლო თავის მტრებს წინაადელი წვალება, მაგრამ მაზღავის მცნებას მაინც მიაქცია ზურვი.

სპარსეთსა და რომს შორის განწყობილება ბოლო დროს ძალიან ცუდი იყო. 442 წელს ხელშეკრულების ძალით რომაელები მოვალენი იყვნენ ყოველწლივ გადაწყვეტილი თანხა ექლიათ სპარსელებისთვის კავკასიონის კარების გასამაგრებლათ. ბოლო დროს რომაელებმა მოსპეს ფულის ძლევა. ბალაში და შემდეგ კავალი არა ერთხელ შეეკითხენ მათ რა მიზეზია, რომ პირობაზე ხელს იღებთო. მაგრამ რომაელები ყურსაც არ ათხოვებდენ.

მოიმაგრა თუ არა კავალმა სპარსეთში ზურვი მან იმი გამოუკხადა რომაელებს. ამ ღმში სხვათა შორის ჰეპტალიტები, და სომხებიც იღებდენ მონაწილეობას¹⁾.

სპარსელებს თავიდანვე კარგათ წაუვიდათ საქმე. მათ მოისყიდეს კარინის (იგივე თეოდოსიოპოლი, იგივე ერჩერუმი) ციხის უფროსი და სისხლის დაუღვრელათ იგდეს ციხე ხელში. 503 წელს ზამთარში მათ ამიდს (იგივე დიარბეჯირი) შემოარტყეს აღყა. მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქი სრულიათ მოუწყობელი იყო საამისოთ. იგი მაინც გმირულათ იცავდა თავს. სპარსელები ვერას გახთენ მის წინააღმდეგ, სანამ მათ ხვრელი არ აღმოაჩინეს შემთხვევითა რომელიც ქალაქში შედიოდა.

1) რომაელების მხრივ ჯარის დიდი ნაწილი თრაკიელებისაგან შესდგებოდა (გოთები და ბესსები). ეჭვს გარეშე აქ ლაზებიც იღებდენ მონაწილეობას, რადგან ცხობილ სარდალთა შორის ლაზი ფარსმანიც იხსენიება, რომელსაც თეოფანე ვილაც ზუნას მამათ იხსენიებს;

ამივე დროს შორეული არაბებიც შეესინ, სპარსელთაგან წაქე-
ზებულნი, მესოპოტამიის და საშინლათ ათობრეს ივი.

რომაელებს ყოვლით უაზროთ მიჰყავდათ საქმე. ჯარის წი-
ნამძღოლობა რამოდენიმდე სარდალს ეპარი, რომელთა შორის
მუდმივი შულლი არსებობდა. ორი მათგანი 40 ათასი კაცით
ამიღს მიაღვნენ და თლია შემოარტყეს მას. მესამე კი არეო-
ბინდო 12 ათასი კაცით კავას უნდა გავტებებოდა. არეობინდო
მაღა მიხვთა, რომ მისი ერთი მუქა ჯარი სრულიათ არ იყო
ხაქმათ კავადის შესაკავებლით და დაბამარება სთხოვა თავის
კულეგებს, მაგრამ მათ ყურიც არ ათხოვეს. არეობინდომა ძლიერ
დააღწია თავი სპარსელებს. მისი უკან დაცვის შემდევ ამიღ-
თან მყოფი ჯარის უფროსსებმა გადასწუვიტეს გავტებებოდენ
კავადს და თვით მოეხვეჭათ სახელი, მაგრამ სპარსელებმა დაა-
მარცხეს ისინი და აძლევეს უკან დაეხიათ¹⁾). რომაელთა სა-
ბეღნიეროთ 504 წელს კავადს ოღონისავლეთშიაც აგშალნენ
შტრები და იგი იძულებული შეიქნა ჯარის ნაწილი იქეთკენ.
გაესტუმრებია. ამან ძალიან შეუშუბუქი საქმე რომაელებს, რო-
მელთაც ამასთან ავე უნიჭი პიპატოს მაგიერ ცელერს მიანდვეს
ჯარის უფროსსება. ამიდის აღებამ და სპარსეთის სანაწილო
სომხეთში შეკრამ ცოტა არ იყოს გამოაგვარა რომაელების საქ-
მე, მაგრამ მეტი ვერც მათ შესძლეს და მამ გაჭიანურდა. 506
წელს, დაბოლოს ორივე მხარემ მორიგებით გადასწუვიტა საქმის
გათავება. ამ ზავს ტერიტორიალურათ არაფერი არ შეუცვლია.
ამის შემდევ კავადს არ სურდა ომის დაწყება. იგი სცდილობდა
მეგობრული განწყობილება ჰქონდა რომის იმპერიატორთან, რომ
მისი სიკედილის შემდევ იგი მაინც ჰყოლოდა მფარველათ მის
შვილს ხოსროს. მან წინადაღებაც კი მისცა იუსტინეს ხოსრო
იშვილებ, მაგრამ რომის ამდროულმა ღრმა-აზროვანმა დიპლო-
მატიამ სხვანაირათ განსაჯა კითხვა. მისი აზრით კავადი მი-

¹⁾ თუმცა ფარსიმანმა და თევდორემ დიდი ვაკეუცობა გამოიჩი-
ნეს პირველ შეჯახებაში. (შემდევგში იგი ედესის გარნიშონის უფრო-
სათ იქმნა დანიშნული).

ზებს ეძებდა, რომ შემდეგში ჩომის იმპერატორთა გვირგვინი-
სათვის გაეწოდა ხელი. ამის და მიხედვით კავალით გაის-
ტუმრეს რომიდან (526 თუ 525 წელს). ამ უაზრო უარით გაბ-
რაზებულმა კავალმა ლაზებზე და მათ შეზობლებზე მოინდობა
ჯავრის ყრი¹⁾). ლაზიეს დასაბორჯათ იბერიის მაგრათ ხელში
ჩაქერა იყო საჭირო, მაგრამ სანამ იყი ქრისტიანობას მისდევდა
სპარსელები მუდამ უცხონი იქნებოდენ მისთვის. კავალმა გა-
დასწყვიტა ამიტომ ძალით გადაერჯულებია იბერები. მან უბრ-
ძანა იბერების მეფეს ცეცხლს ეცი თაყვანი, აღარ დამარხო
კვდრები, არამედ ფრინველთ მიეცი ის საჭმელათო. მეფე გურ-
ვენმა ვაშინვე იუსტინე I-ლს შიმართა და შველა სთხოვა
მას. იუსტინემ რაკი თვით არ გააჩნდა საშუალება პუნქტის
დაჭირავება სცადა²⁾. მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. მარტო
დარჩენილი გურვენი იძულებული შეიქნა დიდებულებითურთ
გაქცეულიყო. სპარსელებმა გაუჭირვებლივ ჩაიგდეს ხელში რო-
გორც იბერია ისე ლაზიკა³⁾.

¹⁾ ლაზები შემდეგიმიზეზით აიძულა კავალმა. ანასტასის დროს
მან მოსთხოვა ლაზებს, რომ მისგან მიეღოთ ინვესტიტურა (ამაში
გამოიხატებოდა მხოლოთ ლაზიკას დამოკიდებულება რომისაგან), ანას-
ტასიმ ყური არ ათხოვა ამაზე. შემდეგ კავალმა მართლაც დააგვირ-
ვინა წინათ ნახსენები გობაზის შვილის-შვილი (?) დამნაზი. მაგრამ
მისი შვილი წათე ისევ რომაელებს მიეკედლა და მოინათლა კონსტან-
ტიინებოლს. შეხრთო აქ პატრიცი ნემის ქალი ვალერიანა და საჩუქ-
რებით აესილი დაბრუნდა უკან.

²⁾ მან გამოვხავნა ანასტასის ძმისწული. პრობი ფულით, რომ-
ლითაც მას პუნქტი უნდა ექირავებინა.

³⁾ გურვენი თავის შვილი ფირანით და მახლობლებით. რამდე-
ნიმე ხანი ლაზეთის საზღვრებზე იყო, მაგრამ უსურსათობის გამო მან
ვერ შეინახა ჯარი და ბიზანტიას წავიდა. შემდეგ ბიზანტიელებმა
თავის სარდალს პეტრეს დაავალეს გადასავლის დაცვა, მაგრამ იმავე
მიზეზის გამო ვერც მათ შესძლეს ეს.

გურვენის შვილს ფირანს შემდეგშიაც ვტვილებით ისტორიაში
იგი უახლოესი თანამშრომელი იყო ველიზარისა, სიცილიის დაპყრო-
პის დროს.

რომაელები ეცალნენ სხვა აღგილას გამოეკეთებიათ ჩვენში წამხდარი საქმე. მათი ჯარი სიტას და ველიზარის მეთაურობით შეესია სომხეთს, აიკლო იგი და დიდის დავლით დაბრუნდა უკან. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამავე ჯარმა ხელახლა სკიდა სომხეთის აკლება, მაგრამ სომხებმა ხელი გამოიღეს და პირი აბრუნების მას. მეორე ნაწილი ჯარისა ნიჩიბიას აღებას შეეცადა, მაგრამ ეს ცდა უნაყოფო აღმოჩნდა. სამაგიეროთ ვერც სპარსელები გახდენ რამეს რომაელთა წინააღმდეგ. ომი გაჭიანურდა. ორივე მხარეს დაღლილობა დაეტყო, ამიტომ ორივე მხრივ ზავის შესახებ იწყეს ლაპარაკი. დაბოლოს ელჩებიც კი გაემგზავრენ მოლაპარაკების გასამართავათ, მაგრამ სწორეთ ამ დროს მიიტანეს სპარსელებმა 40 ათასი კაცით ველიზარის ჯარზე იერიში, მაგრამ დამარცხდენ. დამარცხებული იქმნა აგრეთვე სომხეთში მომქმედი სპარსელების სარდალი მერმეროესი. წიუსტინეს მაგიერ აღმოსავლეთ რომის იმპერიას იუსტინიანე დიდი განაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ომის სასწორი მისკენ იყო გადახრილი, იგი მაინც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა სპარსელებს დაზავებოდა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მის ჯარებს სხვაგანაც ბევრი საქმე ჰქონდათ. საუბელუროთ მისმა ელჩმა რუფინმა ვერა გააწყო რა სპარსელებთან და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

529 წელს პირას მთავარი მუნდირი სპარსელებისგან წაქენებული შეიკრა თავის ჯარით სირიაში, გაიარა მთელი გზა ანტიოქიამდე და საშინლათ ააონრა იქაურობა. დაბრუნებისას მან ათასობით წაასხა ტყვეთ მცხოვრებლები. 531 წელს სპარსელები მისის გამორჩევით შეიკრენ სირიაში და აუყვენ აქედან მაღლა, მაგრამ ველიზარმა თავისი პატარა ჯარით უკან აქნევია მათ დაბოლოს პირი. რაკეთი ახლო წინდახედულმა სარდალმა ვეღარ შეიკავა ჯარი და ხელჩართული ბრძოლი ვამართა სპარსელებთან, რომელიც უკანასკნელთა სასარგებლოთ გათავდა. მიუხედავათ იმისა სპარსელებმა მაინც განაგრძეს გზაკავადი ძალიან უკმაყოფილო დარჩა ლაშქრობის ასეთი შედე-

ვით. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ხელახლა გამოაწყო ჯარი და შეუსია იგი მესოპოტამიის. ამ ჯარშა კარგათ იწყო მოქმედება, გავრამ ამასობაში კავალი გარდაიცვალა (531 წ.) და სპარსელებმა ომს დროებით დაზავება არჩიეს.

სიკვდილის წინ კავალმა სასტიკი დევნი აუტეხა მაზდაკის მიმდევრებს. სასიკვდილოთ განმზადებულმა მან თავისი შვილი ხოსრო აკურთხებია მეფეთ.

ეს არჩევანი მეტათ კურთხეული აღმოჩნდა სპარსეთისათვის. ხოსრო არაფრით არ დაუვარდებოდა თავის დიდებულ თანამედროვეს უსტინიანეს და ზოგ რამეზი ბევრათაც აღმატებოდა მას. ტახტზე ასვლისთანავე მან მოლიაპარაკება გამართა იუსტინიანესთან და 532 წელს ე. წ. „საუკუნო ზავი“ შეკრა მასთან. ხოსრომ დაუთმო ბიზანტიელებს რამდენიმე გამაგრებული აღილი ლაზისტანში (იმერეთში), სამაგიეროთ ბიზანტიელებმა თერთმეტი ათასი გირვანქა უქრო აღუთქვეს მას წლიურათ. ბიზანტიელებთან ზავი სხვა საზღვრების გასამაგრებლათ იყო ხოსროს თვის საკირო. ამ ზავის დროს მიაწერენ სხვათაშორის დარუბანდის კარის გამაგრებასაც, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ემ საქმეს ხოსროს წინა მეფეებიც დიდის ყურადღებით უკიდებოდენ. როგორც ამბობენ ხოსროს მიერ აქ გაშენებული კედელი შვიდი ფარსანგი იყო სიგრძით და მაშისადაც კარგა შორეს შედიოდა მოებში. ყოველ ფარსანგზე კედელი რეინის კარებით თავდებოდა, რომელსაც ვანგებ აქ დასახლებული ჯარის კაცები იცავდენ. კედელი, გადმოცემით, იმდენად ფართო იყო, რომ აც ცხენოსანს შეეძლო მასზე ერთად გავლა. დარუბანდთან კედელი კარგა შორს შედიოდა ზღვაში. მას აქ მეორე კედელიც მისდევდა. ამ აუ კედელთა შორის აღგილი ნავთსაყუდს წარმოადგენდა, რომელიც სიჭიროებისას ვრცელი ჯაჭვით იკეტებოდა. მას შემდეგ აც ხოსრომ სხვა ფრონტებზე უველვან მოაგვარა საქმე, მან ბიზანტიელებიან საომრით იწყო მზადება¹⁾.

¹⁾ იუსტინიანეც ხელავდა ამას, ამით აიხსნება ალბათ ის რომ

განდალთა და გოტების სამეფოთა დამხობამ შეტათ გაა-
ქმიერა ბიზანტია. ხოსრო სწორეთ ამას უფრთხოდა. გარდა
ამისა სომხები და გოტებიც აქვთებდენ მას საომრათ. საბაბის
გამოძებნა ასეთ პირობებში ძნელი არ იყო. სპარსელებმა ბრა-
ლი დასდევს ბიზანტიელებს, რომ მათ აღმუნდორის თავის
მხარეზე გადაყვანა მოისურვეს და ომი გამოუცხადეს მათ. 540
წელს ხოსრო თავის ჯარით შეიკრა სირიაში. ბიზანტიელები
სრულიათ მოუმხადებელნი აღმოჩნდენ, თუმცა მათ უნდა სცო-
ლნოდათ, რომ ომი მაღა დაიწყებოდა. ამის და მიხედვით მთავ-
რობისგან მიტოვებული ქალაქები ისე მოქმედებდენ, როგორც
ლმერთი მოაფიქრებინებდა მათ. პირველმა ქალაქ სირიაში სცადა
თავდაცვა, მაგრამ მაღა გამოირკვა, რომ აქედან არა გამოვიდოდა
რა და მოქალაქეები ამიტომ ისევ მორიგების ვზას დაადგენ და
თავიანთი ეფისკოპოსი გაგზავნეს ხოსროსთან მოსალაპარაკე-
ბლათ. ხოსრომ დაიმედა უკანასკნელი და ისე გაისტუმრა
უკან. თან მან დარაჯებიც გააყოლა ეფისკოპოსი, თითქოს და-
საცავათ, მაგრამ როცა მოქალაქეებმა კარები გააღეს სპარსე-
ლებმა შეცვივდენ შიგ. მაღა მათ სხვებიც მიეშველენ და
ამგვარათ მოელი ქალაქი სპარსელების ხელში მოჰყვა. უკა-
ნისკნელთ არ დაინდეს და თავიდან ბოლომდე გაატიალეს იგი.
შეცვირებლებს ჯერ ტყვეთ წაყვანა გადაუწყვიტეს, მაგრამ
ხოსრომ შეიცვიდა ისინი დაბოლოს და ნება მისცა მათს ეფი-
სკოპოსს 200 გირვანქა ოქროთ გამოესყიდნა ისინი. როდესაც
ეს შეუძლებელი აღმოჩნდა უსახსრობის ვამო იგი უბრალო
დაჭირებით (ეფისკოპოსის მხრივ) დაკმაყოფილდა. ასეთვე ვზას
აღეცხოდენ სხვა ქალაქებიც. პირაპოლისს 2 ათასს გირვანქათ
გამოასყიდვია თავი ბოსრომ მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდა;
რომ ამ კარგათ გამაგრებული ქალაქის აღება ძნელი გახთებო-
მან ასე კარგათ მიიღო იმერიის მეფე ზამანარსე. ამ მეფეს იხსენიე-
ბენ კედრენი, მაღალა და თეოფანე. მიუხედავათ ამისა მისი არსებო-
ბა მაინც საეჭვოა, რადგან გურგენის ვაძევების შემდეგ იბერია სპარ-
სელების ხელში იყო.

და მისთვის. სხვათა შორის ანტიოქიელებმაც გამართეს მასთან მოლაპარაკება, მაგრამ ადგილობრივი მოხელეები წინააღმდეგნ ამას და მოლაპარაკებამ ტყუილათ ჩაიარა. ქალაქ ბერების ხოსრომ ჭ ათასი გირვანქა ოქრო მოსთხოვა, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ადგილათ აიღებდა მას. შემინებული მოქალაქეები დასთანხმდენ ამაზე, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ასეთი პატარა ქალაქი ვერ შეაგროვებდა ამოდენა თანხსა. თავზარდაცემული მცხოვრებლები სიმავრეში (მურგში) შეიჩინენ. საბედნიეროთ ხოსრომ ისმინა მათი ვეღრება და 2 ათას გირვანქის თასთანხმდა.

ანტიოქიელებს როგორც დავინახეთ მთავრობამ არ მისცა ნება თავის გამოსყიდვისა. ეჭვს გარეშეა მან დააიმედა მცხოვრებლები, რომ იგი საკმაო ჯარს გაგზავნიდა თავის დროზე ქალაქის დასაცევლათ, მაგრამ ეს იმედი ტყუილი აღმოჩნდა. ის ეჭვსი ათასი ჯარი რომელთაც ძლიერ შეასწრეს ხოსროს აღყვას ქალაქში, სრულიათ არ იყვნენ საკმაო მის დასაცავათ. ხოსრომ გაუჭირვებლივ აიღო იგი და საშინელი დღე დააყენა მას:

მხოლოთ ამის შემდეგ მოისურვა მან მოლაპარაკების გამართვა. იუსტინიანემ გადაუხადა მას 5 ათასი გირვანქა ოქრო და ამასთანევ აღუთქვა ყოველ წლივ 500 გირვანქის ძლევა და პირდაპირენი დაზვდენ. მიუხედავათ ამისა ხოსრო სრულიათაც არ ფიქრობდა მესოპოტამიის დაცლას. იგი გადადიოდა ერთ ქალაქიდან მეორეში და კონტრიბუციას ადებდა მათ. მან გაიარა ამ გზით სამხრეთი სირია, მესოპოტამია და ბოლოს გამოსარუნდა კრეზიფონს. ხოსრომ ათიათასობით გაიყოლა თან დატყვევებული ბიზანტიელი მოქალაქენი. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოეგო მათი გული სხვა და სხვა პრივილეგიებით და შემდეგ ფიქრობდა კულტურის მატარებლებათ ეხმარა. ისინი სპარსეთში. თავის თავით ცხადია იუსტინიანემ უარჲყო ხოსროს ასეთი ქცევის შემდეგ ზავის პირობები და ომი ისევ გააგრძელა. შემდეგი წლისთვის საომარ ასპარეზათ სპარსელებმა ლა-

ზიქა (იმერეთი) აირჩიეს. ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ, როგორ დაუმევობრდა იქაური მეფე წათე ბიზანტიელებს; როგორ შემოუშვა ისინი თავის სამეფოში. ბიზანტიელებმა მაშინვე იწყეს მოქმედება და გააშენეს ზღვის ნაპირას შერჩეულ ადგილს ციხე პეტრა. მოიმაგრეს რა ამ გვარათ ფეხი ბიზანტიელებმა წაიძვრეს ლაგაძი და იწყეს თარეშობა იმერეთში. მთელი ვაჭრობა მათ იგდეს ხელში¹⁾). გარდა ამისა მათ გადასახადებიც დაადვეს მცხოვრებლებს, რომელნიც სხვათა შორის მეტათ შემავიწროვებელნი აღმოჩნდნენ. იმერლები მეტათ გააბიროტა ბიზანტიელების ასეთმა ქცევამ. მათმა შეფეხ გუბაზემ (წათეს შვილმა²⁾) მოციქულები გაუგზავნა ხოსროს და შესთხოვა მას შეენდო იმერლებისთვის მათი წინანდელი საქციელი და ხელახლა მიეღო ისინი ქვეშევრდომებათ. ხოსრო კმაყოფილი დარჩა რასაკვირველია ამ მოციქულობით. მან ხმა გააფრცელა ჰუნების წინააღმდეგ მივილაშქრებო, მოულოდნელიათ შეიქრა იმერეთში, აიღო ჰეტრა და გამოდენა ლაზიკადან ბიზანტიელები. ბიზანტიელებმა დაბოლოს ვადასწუვიტეს ენერგიულათ წაეყვანათ საქმე, მაგრამ არც ეხლა იყვნენ ისინი საამისოთ მოწყობილი. ახლათ დანიშნულს ჯარის უფროსს ველიზარს ისე ცოტა ჯარი ჰყავდა, რომ მან არათუ სპარსეთში შექრა, ნიზიბიაზე იერიშის მიტანაც კი ვერ იკისრა. მან გამოიტყუილა გარეთ ამ ციხის გარნიზონი, დაამარცხა იგი და შემდეგ პატარა სიმაგრე სისაურანონი აიღო. მეტი არც მოეთხოვებოდა მას.

სამაგიეროთ ხოსრო არ ცხრებოდა. 542 წელს მან გა-

¹⁾ ყველა ეს უმთავრესად ერთი უსვინიდისო სპეციულიანტის ციბუსის საქმე იყო. ლაზები პონტის იჭითა მხარიდან ეზიდებოდნენ ჰურს და ბევრს სხვა საჭირო რამეს. ციბუსში ისე მოაწყო საქმე, რომ მთელი ვაჭრობა მის ხელში მოჰყვა. თვით კი მამა სისხლად ჰყიდდა რასაკვირველია უველაფერს.

²⁾ წათეს შეფეხ მისი ძმა ოფსიტე მოჰყვა, მხოლოთ მისი სიკვდილის შემდეგ ერვო ტახტი გუბაზეს.

დაიძრა ეფრატი და პალესტინისკენ დაეჭრა, ჰაგრამ გზაზე შეიტყო, რომ ველიზარის ჯარი ახლო იყო და მოცდა არ-ჩია, სანამარ გაიგებდა თუ რა ძალები იღენ შის წინააღმდეგ. კითხვის გამოსარკვევათ მან კაცი გაგზავნა ველიზართან ვი-თომც მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ველიზარი კარგა მიუხვდა მას ხრის და ისე მოაწყო საქმე, რომ თვისი პაწია ჯარი ერთი სამათ მოაჩვენა ხოსროს ელჩს, ასე რომ უკანასკნელმა საჩქაროთ უკან დახვევა ურჩია თავის მბრძანებელს. 543 წელს ხოსრო სომხეთიდან აპირებდა გალავქრებას, მაგრამ ჯარში გაჩენილმა ავაღმყოფობამ შეუშალა მას ხელი. ბიზანტიელებმა ისარგებლეს ამით და თვით მიიტანეს იერიში სპარსელებზე, მაგ-რამ ვერას გახდნენ. ამ ხელათ მათ საკმაო ჯარი პყავდათ, პაგრამ არც ამით ეშველი რა საჭმეს.

544 წელს ხოსრო ხელისხლა დაიძრა ჯარით და ედესის შე-მოარტყა ალყა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფულით მო-სურვეს თავის გამოსყიდვა, მაგრამ ხოსრომ აუტანელი პირო-ბები დაუთქვა მათ და მოლაპარაკება ჩაითუშა. საბერნიეროთ მან ვერ შესძლო მაინც ქალაქის აღება და დაბოლოს 500 გირ-ვანქა ოქროს დაყაბულდა. ამ მარტბმა ცოტა არ იყოს დააფიქ-რო ხოსრო და მან თანხმობა გამოაცხადა ზავზე. ბიზანტიე-ლებმა გაღუხადეს მას 2 ათასი გირვანქა ოქრო და მართლაც დაუზავდენ მას ხუთის წლით. ზავის პირობები ლაშისტანს არ შეეხებოდა, ასე რომ აქ ომი ძველებურათ გრძელდებოდა..

ბიზანტიელებისგან შეწუხებულმა იმერლებმა, როგორც დავინახეთ, ისევ სპარსელებისკენ იბრუნეს პირი, მაგრამ „ვას“ გაყრილნი ესენი „უის“ შეეყარენ. სპარსელები ბიზანტიელებზე უარესნი აღმოჩნდენ. მეტი ვზა არ იყო, ამათ ისევ ბიზანტიე-ლებს მიაპყრეს თვალი. ხოსრომ რომელიც კარგათ ხედავდა ამას გადასწყვიტა არას გზით არ გაეშვა ხელიდან ლაშისტანი. აქედან მას ეკალვით შეეძლო შესობოდა ბიზანტიელებს. გარდა ამისა იბერიის ხელში დასაკერათაც ძალიან საჭირო იყო მის-თვის იმერეთი. რაკი იმერლები დაბოლოს მაინც ბიზანტიისკენ

მიიღოდენ მუდამ, მან გადასწყიტა იეყარა ქსენი აქედან და სხვაგან გადაესახლებია საღმე. საქმე მით უნდა დაწყებულიყო, რომ ერთ იბერელ დიდებულს გუბაზე უნდა მოვკლა. (სპარსელების დავალებით რასაკვირველია). მაგრამ უკანასკნელმა ვერ გასტეხა სინიდისი და ყველაფერი გაუმშილა მეფეს. გუბაზე შეეველრა იუსტინიანეს, მაპატიე რაც შეგცოდე და მიშველე რამეო.

იუსტინიანესთვის არა ნაკლებ იყო საჭირო ლაშისტანი, ვიდრე სპარსელებისთვის. ამიტომ მან დაგისთვ მიაშველა მეფე გუბაზეს 8 ათასი კაცით. გუბაზემაც მოუყარა თავი მთელს თავის ჯარს და გარდა ამისა ჰუნნები და ილანებიც დაიქირავა, მაგრამ დროზე ვერ გადაუხადა მათ ჯილდო, რომელიც ბიზანტიელებს უნდა მიეცათ მისთვის და ველარ მიიღო მათგან დაბმარება.

იმერლები და ბიზანტიელები უმაღვე პეტრას იღებას შეეცადენ და ოლყა-შემთარტყეს მას.

ზემოხსენებული ამბების გაგებაზე ხოსრომ დააგრძევა 30 ათასი კაცი და გაგზავნა იმერეთისკენ. გუბაზემ სამართლიანათ ვანსაჯა, რომ ამ ჯარის შეკავება ყველაზე უკეთ გადასავალებში შეიძლებოდა და მთელი თავისი ჯარით გაემგზავრა მათ გია-მაგრებლათ. ესევე ურჩია მან დაგისთვესაც, მაგრამ უკანასკნელმა არ მიაქცია ამ რჩევას ჯეროვანი ყურადღება და მხოლოთ 100 კაცი გაგზავნა ერთი გადასავლის დასაცავათ, დანარჩენი ჯარი კი ძველებულათ განაგრძობდა პეტრას ოლყას. ამ პატარი ციხეს მხოლოთ ათას ხუთასი სპარსელი იცავდა. დაგისთვესთვის მაშა-სადამე მისი იღება დიდი სიძნელეს. არ წარმოადგენდა, მაგრამ იგი ძალით აჭიანურებდა საქმეს რომ წასაქეზებლიათ რაც შეიძლება დიდი ჯილდო მიეღო იმპერატორისგან.

სპარსელთ ჯარმა ამასობაში გასრისა ბიზანტიელთა გუნდი და დაეშვა იმერეთს. თავის თავათ ცხადია მერმერი. (სპარსელთ სარდალი) პეტრასკენ მიისწრაფოდა. დაგისთვ იძულებული შეიქმნა მიეტოვებია პეტრი და თავშესაფარი ადგილი

შოეძებნა. მერმერიმ გაამაგრა უკეთ პეტრა, ჩააყენა შივ 1500-ის
მაგიერ 3000 კაცი, დასტოვა აგრეთვე სხვა ხუთი ათასი კაცი
იმერეთში სამოქმედოთ და თვითონ დანარჩენის ჯარით სომხეთს.
გაემგზავრა. იმერლებმა და ბიზანტიელებმა ისარგებლეს ამით,
დაესხენ თავს სპარსელების ჯარს და გასწუყიტეს იგი. შემდეგ
ისინი იმერიაშიც შეიჭრენ და იქაც დაამარტეს ერთი რაზმი.
ხოსრომ ახალი ჯარი გაგზავნა იმერეთს, რომელსაც ნაშორაგანი
უძღოდა წინ. ეს ჯარი უმთავრესათ ალანებისაგან შესდგებო-
და. იბერლები და რომაელები გაევებნ მათ წინ და მუხური-
სის (Muchereisis) ახლო ცხრა ბრძოლის შემდეგ დაამარ-
ტეს იგი. რის შემდეგ მათ ისევ პეტრას მიმართეს.

იმერლები სასტიკათ აუქივლდენ თავის დროზე დაგისთვეს
მისგან ჩადენილი უგნურების გამო. იუსტინიანემ ისმინა მათი
ხევწნა და უკან გაიწვია იგი. მის ადვილის მან ვიღაც ბესსა
დანიშნა. პეტრას ალყა ძნელი აღმოჩნდა. შეციხევნე ჯარი-
ძალიან ვაჟეაცურათ იცავდა ციხეს. დაბოლოს პეტრა მაინც
აიღეს იმერლ-ბიზანტიელებმა.

სამაგიეროთ არც ბესსამ მიიკუია ყურადღება კარგბის გამა-
ვრებას და მერმერი ხელახლა შემოიჭრა ჯარით იმერეთში და აღყა-
შემოარტყა არხეოპოლის. იმერლებს და ბიზანტიელებს ძალი არ
შესწევდათ უღლილი გაესწორებიათ სპარსელებისთვის გაშლილ
ბრძოლაში და ამიტომ მოებჭი გაიხიზნენ. მერმერიმ აღარ მოი-
სურვა ამ ხელათ საზამთროთ იმერეთის მიტოვება და კუ-
ტატისიუმის (ქუთაისის) ახლო დაბანაკუდა. იქედან მან არა-
თუ იმერეთზე და სვანეთზე, სკიმნიაზეც კი მოიპოვა ზედგავ-
ლენა. სხვათა შორის უხეიმერის ციხეც მაღლე მოექცა მის ხელში.

ა52 წელს ხოსრომ მაშველი ჯარი გამოუგზავნა მას, რო-
მელიც პუნქტის და ალანებისაგან შესდგებოდა. მიუხედავათ
ამისა ბიზანტიელების იმერეთიდან გამოდევნის საქმე წინ არ
მიიწევდა. ამიტომ მერმერიმ შემდეგ ბერხს მიშმართა. მან ხვა-
გავრცელებია თითქოს იგი გარდაცვლილიყოს, რაც ადვილი
დასაჯერებელი იყო, რადგან იგი ძალიან მოხუცი და ამასთა-

ნაცე დამბლა დეცემბრი იყო. ბიზანტიულებმა დაიჯერეს ეს და
თავი მიანებეს სიფრთხილეებს. მერმერიმ ისარეგებლა ამით, დაცა
მათ მოულოდნელათ თავს და გამოდენა ისინი ტელეფილან. ბიზანტიულები იძულებულნი გახდენ ფაზის (რიონის) და დო-
კონის შედა არსებულ კუნძულზე შეხიჩნულიყვნენ. მერმერიმ გა-
გაბკეთა ხიდი რიონზე, გადაიარა იგი, გაამავრა ონოგური (Ono-
guris) და ხელახლა მიიტანა იქრიში არსეოპოლისზე (ნაქალა-
ჭვზე), მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქმნა იბე-
რიაში წასულიყო, სადაც იგი მაღა გარდაიცვალა.

გუბაზე და მისი ქვეშევრდომნი ძალიან უკმაყოფილონი
იყვნენ მით რომ ბესსას დაუდევრობამ ამდენი უბედურება გა-
მოიწვია იმერეთში (სპარსელების შემოსევა). ამათ ხელახლა შეს-
ჩივლეს იუსტინიანეს. უკანასკნელმა ხელახლა ისმინა მათი სა-
ჩივარი და გაიწვია ბესსა. მისი ადგილი მან მარტინეს და რუს-
ტიკს ჩააბარა, მაგრამ ვერც ამათ შეეწყო გუბაზ. ბიზანტიულმა
სარდლებმა იფიქრეს ჩვენ გვიჩივლებს გუბაზე იმპერატორთან
და თვითონ დააბეჭდეს იგი იუსტინიანესთან (დალატს გიპი-
რებსო). იუსტინიანემ დაიჯერა ეს და მიუწერა მათ აქ ვამომიგ-
ზავნეთ გუბაზე და თუ არ წამოვიდეს მოჰკალითო. მარტინემ
და რუსტიკმა ისარგებლეს ამით და მართლაც მოჰკლეს მეფე.
იმერლები ძალიან აღაშფოთა ამ ამბავმა, მაგრამ ბიზანტიულე-
ბის იქით მათ სხვა გზა აღარ ჰქონდათ. მათ გადასწყიტეს არ
ჩამოშორებოდენ ბიზანტიულებს და მხოლოთ დამნაშავეთა დასჯა-
მოეთხოვთ იმპერატორისთვის. მოკლული გუბაზის მაგიერ
მათ მისი ძმა წათე ითხოვეს მეფეთ¹).

ხოსრომ ამასობაში მერმერის ადგილის ნახორავანი დანი-
შნა. 555 წ. უკანასკნელი შემოესია იმერეთს 60 ათასი კაცით.
იმერლები და ბიზანტიულები ზემოთ ნახსენებ კუნძულზე გა-
მავრდენ ისევ. არსეოპოლისის დასაცავათ მით საბარებისგან
შემდგარი რაზმი დასტოვეს (2 ათასი კაცი). ნახორავანმა გა-

1) შემდეგში იუსტინიანემ მართლაც ლაზების თვალ წინ დაასჯე-
ვინა რუსტიკი სიკვდილით.

მოჰყოთ თავის ჯარიდან. 3 ათასი დეილემელი, რომელნიც მაშინ
და შემდეგშიაც საუცეთესო მებრძოლებათ ითვლებოდენ და
უბრძანა მათ მოულოდნელათ დასხმოდენ თვეს საბირებს, მაგ-
რამ გზის მაჩვენებელი ლაში გაეპარა მათ და უკელაფერი შეატ-
ყობინა საბირებს. უკინასკნელებმა დასკალეს ბანიკი და ჩაუ-
საფრდენ მათ. ცარიელ ბანიკე თავდასხმისას საბირები გარს
შემოერტყენ მათ და თითქმის სრულიათ გასწყვიტეს ისინი.
შემდეგ ნახორაგანმა სკადა რიონის მარცხენა მხარეს მდებარე
ფაზისი აეღო მაგრამ ბიზანტიიელებმა ხმელის გზით შეასწრეს
მათ ქალაქში (კუნძულით.) და გაამაგრეს იფი. ამასთან ავე
მათ ხმა დაყარეს შაშველი ჯარი მოღის ჩვენთან შესაერთებ-
ლათო. ჯარის ნაწილით ამავე დროს მათ იერიში შიიტანეს
სპარსელებზე. ნახორაგანმა იფიქრა ეს ნამდვილათ შაშველი ჯა-
რიათ და უკან დახევა ორჩია, რაც მას ძვირათ დაუჯდა. ვაბ-
რაზებულმა ხოსრომ თავი მოჰკვეთა მას. დაბოლოს ხოსრო დარ-
წმუნდა, რომ იმერეთი თვით არ ღირდა ამდენ წვალებათ; 556
წელს იგი შეუთანხმდა ბიზანტიიელებს, რომ ლაზიკაშიაც შეე-
წყვიტა ბიზანტიიელებთან. ბრძოლა.

562 წელს მოპირდაპირეებმა ელჩები გაგზაუნეს. მკვიდრი
ზავის ჩიმოსაგდებათ. ბიზანტიიელთ წარმომადგენელი პეტრე
პატრიცი იყო, სპარსელთა კი იეზდეგუშნასპი. ბევრი ლაპა-
რაკის შემდეგ გამოირკვა, რომ სპარსელებს დიდი ხნით დაზა-
ვება (და ფული), ბიზანტიიელებს კი მოკლე ხნით დაზავება სურ-
დათ, დაბოლოს მთავარი კითხვები გადაწყვეტილ იქნენ. ლა-
ზიკა ბიზანტიიელებს დარჩათ, მხოლოდ სამაგიეროთ ესენი
წლიურ ხარქს შეპირდენ სპარსელებს. ზავის პირველი მუხ-
ლი მოითხოვდა სხვათა შორის, რომ სპარსელები დარიალის
და კასპის კარით ჰუნებსა და ალანებს არ შემოუშეებდენ.
მოლიპარაკების დროს საკითხი სხვათა შორის სვანეთსაც შე-
ეხო, რადგან იგი ლაზებს ეკუთვნოდა. სპარსელი არას გზით
არ დასთანხმდა დაეთმო ეს ქვეყანა ბიზანტიიელებისათვის. პეტრე
უმტკიციებდა სვანები ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ და ზავის

პირობებით ჩვენ გვეკუთვნიან. სპარსელი კი ამბობდა შუალ-
suis legibus sunt usi neque unquam colchiorum imperio-
paruerunt. დაბოლოს პეტრემ დაასკვნა თვით ხოსროს მოღა-
პარაკებოდა. უკანასკნელს მან წარუდგინა ისტორიული საბუ-
თები, რომელთვიცანაც გამოძინარებოდა, რომ სვანები ძველ-
თავანვე იმერეთის მეფის ქვეშვრდობის იყვნენ და უკანასკნელ-
ნი აღვენდენ ამ ქვეყანაში მოვრებს. ხოსრო მაინც არ და-
სთანხმდა ამის ტა კითხვა ისევ იმაზე ტრიალებდა ჩითვლება.
თუ არა სვანეთი იმერეთის ნაწილია. დაბოლოს პეტრემ აჩვენა-
ხოსროს სამუთი, რომელშიაც ჩითვლების იუ თეოდოსის
დროიდან ლეონამდე, როგორც იმერეთის მეფები, ისე მათ-
შიერ დაყენებული ვთავრები. (ვისაც არ სჯერა რომ ქართველები
უძველეს დროსევ პეტრი მწერლობა მას ურჩევთ ამ ფაქტს
მიაქციოს ყურადღება). არც ამით ეშველა რა საქმეს და კითხვა-
სევ გადაუჭრელი დარჩა.

ზავის სხვა მუხლებიდან მოსახსენებელნი არიან აწმენი-
თავისუფლება ქრისტიანთათვის და უცხოელ ვაკართა მფარვე-
ლობა ორივე სახელმწიფოსავან. ამ დროს (146—60) აკუთ-
ხებენ ჩვეულებრივ თურქთა ძლიერ სამეფოს აღმოცენებას
აღმოსავლეთში. ეს სამეფო იძღვნათ ძლიერი იუ, რომ მისი-
ძალა თურქინიდან ხაზარებზე, ბოლგარებზე და აღანებზედაც
უწევდა. ამ ახალმა საშეფომ დასცა, როგორც სჩანს პეტრალი-
ტების ძლიერება. ამით ისარკებლა ხოსრომ, დაეცა მათ შეკ-
წელს და სრულიათ გაანადგურა ეს ხალხი. მათი ტერრიტო-
რია ხოსრომ და თურქთა ზაკანში სინჯიბუმ გაიყვეს (ოქსუსის-
მარჯვენა მხარე სინჯიბუს ერვო, მარცხენა კი ხოსროს). სიკ-
ვდილის წინ ხოსროს კიდევ ერთხელ ერვო პიზანტიელებ-
თან შეჯახება. ამ ხელათ თვით პიზანტიელები მიისწოდოდენ
ომისაკენ. მათ პირი შეკრეს თურქებთან, დაარღვიეს მათის იმე-
ტით ზავი და აღარ გადაუხადეს ხოსროს ზვაში აღთქმული ხა-
რუკი. იუსტიიანე დიდის იმედით უყურებდა მომავალს. მისი აზ-
რით აღმოსავლეთიდან თურქები დასავლეთიდან პიზანტიელები

ცუდ დღეს დაიყენებდენ სპარსეთს. გარდა ამისა იბერია და სომხეთიც აჯანყდა და შველას შესთხოვდენ იმპერატორს¹⁾. იუსტინე დარწმუნებული იყო, რომ ეს ქვეყნები მას დარჩებოდა დათვის მფარველობის ქვეშ მყოფათ გამოაცხადა ორივე. საუბედუროთ ბიზანტიიელები სიტყვით იყვნენ უფრო მაბაცნი ვიდრე საქმით. რომდენიმე ყაჩაღური თვედასხმის შემდეგ ზოგიერთ სპარსულ პროვინციებზე მათ აღყა შემოარტყეს ნიზიპიას და დარჩენ ასე არაფრის მომქმედნი.

ხოსრო 562 წელს ჩვეულებრივი სიბეჯითით შეუდგა საქმეს. იგი შემოერტყა თვის ჯარით ლარას და აიღო ეს ციხე ექვსი თვის აღყის შემდეგ. ამავე დროს სპარსელების მეორე რაზმი სირიაში შეიკრა და ძველებურს გეგმაზე იწყო მოქმედება. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ჯარმა ანტიოქიაშე მიაღწია და აიღო ეს მნიშვნელოვანი ქალაქი. ყურ-ჩამოყრილმა ბიზანტიიელებმა სრულიათ დაპარაგეს იმედი. და ზავზე იწყეს ლაპარაკი. დაბოლოს მათ გადაუხადეს სპარსელებს 30 ათასი გირვანქა ოქრო და დაუზავდენ მათ სამის წლით, თუმცა ფაქტიურად იმი ისევ სწარმოებდა. 575 წელს ხოსრომ გაიარა თავის ჯარით სომხეთი და კარგა ლრპათ შეიკრა კაპპადოკიაში. ბიზანტიიელებმა გამოიღეს ხელი და უკუ იგდეს იგი, რის შემდეგ ისინი უკან გაჰყვენ მას და თვით შეიკრენ სპარსელთ სანაშიოლო სომხეთში, მაგრამ აქ მათ იგივე დღე დაადგათ, რაც კაპპადოკიაში სპარსელებს. სპარსელმა სარდალმა თამაზხოსრომ დაამარცხა ბიზანტიიელთ ჯარის უფროსი იუსტინიანე და გამოდენა იგი თავის ჯარიანა სომხეთიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები ღმერთს უმაღლიდენ ბიზანტიიელების გარეյას, რადგან ისინი ბარბაროსულათ ეპყრობოდნენ თავის ერთმორწმუნე „შებეს“. ომის დროს ორივე მხარე ცდილობდა მოღაპარაკება

1) ამ აჯანყებას თეოფანე ბიზანტიიელი აგვიწერს, რომელიც სხვათა შორის უკვე იხსენიებს თბილისს იბერიის დედა ქალაქათ. აჯანყებულ სომხების სარდალს ითანეს ზოგჯერ კოლხები, აფხაზები და ალბანელებიც უდგნენ გვერდს.

აღეძრა ზაფის შესახებ. განსაკუთრებით ბიზანტიელები იყვნენ მოწადინებულნი, რომ ომი რაც შეიძლება მალე დაებოლობიათ. ისინი უარს ამბობდენ იქერიაზეც და სომხეთზეც, მხოლოდ ლარა არ უნდოდათ ხელიდან გაეშოთ. ხოსრო როგორც სჩანს დასთანხმდებოდა ამ პირობებს, მაგრამ 579 წელს იგი გარდაიცვალა და მისი ადგილი ჰორმიზდ IV დაიჭირა (579—590), რომელმაც არ მიიღო მათი პირობები.

სპარსული გადმოცემა გვაჩვენებს, რომ ეს მეცე თავმოყვარე და მელიდური აღამიანი იყო. იგი ლმობიერი იყო უბრალო ხალხის მიმართ, თავად აზნაურობას კი იგი ძალიან ხასტიკათ ეპყრობოდა. ბიზანტიელებთან ომშა მის დროს მეტათ გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ხან ერთი მხარე იყო მოგებული ხან მეორე, მაგრამ თვალსაჩინო სარგებელი არც ერთ მხარეს არ რვებია. ეს ერთის მხრივ შეიძლება მით აიხსნებოდეს, რომ სპარსელებს ამავე დროს თურქებთანაც უხთებოდათ ბრძოლა. (მაზეკიტებთან?). მათ წინააღმდეგ გამზადებულ ჯარის უფროსათ ჰორმიზდმა ბაჰრამ ჩიბინი დანიშნა, რომელიც მიჰრანის გვარიდან ჩამომავლობდა. ბაჰრამმა დაამარცხა მტერი და ხარკიც კი დააკისრა მას, რამაც მას დიდი სახელი მოუპოვა სპარსეთში.

589 წელს ბაჰრამ ჩიბინი იმერეთის იქმნა გაგზავნილი¹⁾. არაქსის ნაპირას რომანოზმა სასტიკათ დაამარცხა იგი. გაბრაზებულმა ჰორმიზდმა დაცინვით ქალის ტანისამოსი გაუგზვნა მას და თან ლიტსებაც ახადა. ბაჰრამმა როგორც ამბობდენ ჩატცვა ეს ტანისამოსი, ეჩვენა ჯარს და თან აუხსნა მათ რაშიაც იყო საქმე. ამ გზით მან ადვილათ მოიშერო მთელი ჯარი,

¹⁾ ეს ქვეყანა ამ დროს უმეცოთ იყო როგორცა სჩანს და სპარსელებს იმედი ჰქონდათ ადვილათ გამოექვებიათ იქიდან რომაელები. მაგრავიმ გამოცდილი სარდალი რომანოზი დანიშნა მის წინააღმდეგ. უკანასკნელმა მოუწოდა ადგილობრივი სამღვდელობის უმაღლეს წარმომადგენლებს და შემდეგ მიიღო ადგილობრივ ძალთაგან დახმარება. ბარამმა ამასობაში განჯას მიაღწია, მაგრამ გაიგო თუ არა რომაელების ამხელრება, მათი სპარსეთში ჩატყუშილება მოინდომა. რომანოზს არ სურდა ბრძოლა, მაგრამ ჯარმა ისურვა ეს.

რომლის შაგალითს მალე მესოპოტამიელმა ჯარშაც წახედა; რაღან იგიც მოელოდა მეფის წყრომას. წაგებული ბრძოლისათვის. ბაჰრამი გაემგზავრა სატახტო ქალაქისაკენ თავის ჯარით. ჰორმიზდმა სხვა ჯარი გააგება მას, მაგრამ მანაც უდალატა მცს და მის მაგიერ მისი შვილი ხოსრო დაასახელო მეფეთ. ამის გაგებაზე მოქალაქენიც აღსდგენ და ჰორმიზდი იძულებული შეიქნა მედიაში გაქცეულიყო. მოქალაქეებშიც ხოსრო დაასახელეს მეფეთ (590). უკანასკნელი შეეცადა მორიგებოდა ბაჰრამს მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რაღან ბაჰრამს თვითონ უნდოდა, ბატონობა ერთი მცირეწლოვანი ბატონიშვილის სახელით. მეტი გზა არ იყო, კითხვა იარაღით უნდა გადაჭრილიყო. ხოსრომ მართლაც გაგზავნა ჯარი ბაჰრამის წინააღმდეგ, მაგრამ იგი გადუდგა მას და ბაჰრამს მიეჩხო. ნიადაგ გამოცულილი ხოსრო ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორ მავრიკის შესთხოვა შველა. მავრიკი იმდენათ კმაყოფილი დარჩა მით, რომ ბედმა მას სასანიანის მფარველობა. არგუნა, რომ მან დიდი მოთხოვნილებებიც კი არ წარუდგინა ხოსროს. უკანასკნელმა მაინც აღუთქვა მას იბერიის (თბილისამდე) და სომხეთის ნაწილების, ისევე როგორც ლარას და მარტოროპოლის უკან დაბრუნება.

ბაჰრამმა ამასობაში მეფეთ გამოაცხადა თავი, მაგრამ ხალხი უკმაყოფილო იყო ამით და მას ხშირათ უხთებოდა. მეამბოხეებთან ბრძოლა. 591 წელს მავრიკიმ გაისტუმრა. ხოსრო სპარსეთს და თან თავის ჯარი გააყოლა მას. ნიზიბიას ახლო მდგომი სპარსელი ჯარი მაშინვე მიემხრო მას. სომხებმაც, რომელნიც თავიდანვე მისი მომხრენი იყვნენ, შეაგროვეს ჯარი და შეუერთდენ მას. მათ ცნობილი სარდალი მუშელი წინამდღილობდა. მალე კტეზიფონი და სელევკიაც ჩაუვარდა ხოსროს ხელში. სელევკიელ ებრაელებს სასტიკი დღე დაადგა ამის შემდეგ ბაჰრამის მომხრეობისთვის. წლის დამლევს ბაჰრამი გამოევება ხოსროს ზაბთან, მაგრამ დამარცხდა და თურქისტანს გაიქცა. ხოსრო დაუყოვნებლივ ავიდა ტახტზე და იწყო მმართველობა.

თავის ფუნქცია მან პირწმინდათ შეასრულა ის პირობები, რომელნიც მან მავრიკის მისცა. გარდა ამისა ალარკი ჩვეულებრივ ხარჯს უხთიდენ ბიზანტიელები სპარსელებს.

საინტერესოა ორივ ამ სამეფოს ზომები სომხეთის წინა-აღმდევებ. ხოსრომ ხორასანს და პირკანის გაგზავნა სომხეთა ჯარი სმბათ ბაგრატუნის წინამძღოლობით, საღაც ვაჟკაცობაში დიდი სახელი მოუპოვა მათ¹). ამავე დროს ბიზანტიელებმა თავიანთ სანაწილოდან ბოლგარების და სლავიანების წინააღმდევებ გაგზავნეს სომხები.

ხოსრო იმდენათ სუსტათ გრძნობდა თავს თავის სატახტო ქაფუქში, რომ თავიდან არ იშორებდა პიზანტიურ რაზმს. ამასთანავე იგი საიქიოსკენ ამგზავრებდა ყველა იმას, კინც კი რამე საფრთხეს წარმოადგენდა მისთვის.

ქრისტიანებს ივი შეტათ ლომაბიერათ ეპყრობოდა, ეს იმითაც აიხსნება, რომ მისი საყვარელი ცოლი შირინი (სარა) ქრისტიანი იყო²). დიდი გავლენა ჰქონდა მასზე აგრეთვე სასახლის ექიმს გაბრიელს. მათის გავლენით აიხსნება, რომ ხოსრო ნესტორიანთა და მონოფიზიტთა დავაშიც კი ერეოდა. ხოსროს მფარველ მავრიკის სასახლის რევოლიუციის მოუღო ბოლო, რომელმაც მის აღვილს ფორა წამოაყენა. ხოსრომ იწყო მზადება, რომ ამი გამოეცხადებია ფოკასთვის

1) სმბათს ბაქრამ ჩიბინჩე გამარჯვების შემდევ სომხეთის მარზბანობა უბოძა ხოსრომ იმ დახმარებასთვის, რომელიც მან გაუწია მას სენ-მარტინის აზრით. მისგან ჩამომავლობენ, როგორც სომხეთის ისე საქართველოს ბაგრატიონები.

სმბათი 601 წელს მოკვდა სპარსეთში.

2) ხოსროს და შირინის სიყვარული დაუშრეტელი წყარო იყო საუკუნეთა განმავლობაში სპარსულ რომანულ პოეტისათვის, სპარსული მგოსნების და ისტორიკოსების გადმოცემით სირა (შირინი) ქართველი ქალი იყო. მომხიბვლელმა სილამაზემ დიდათ შეუწყის აღბათ ხელი მისს სახელს და სილამაზის იღეალათ, თუ უფრო სწორეთ იდეალურ ქალათ აქცია იგი სპარსელების თვალში (იხ. Hammer G. d. Osman. Reiches II4 82).

და მით შური ეძიებია. სხვათა შორის სარდილში ნარსემაც მიღწვია იგი ბიზანტიის შინაგან საქმეებში ჩარჩოდა. ასე დაიწყო 604 წელს ის ომი, რომელმაც ბიზანტია მეტის მეტათ დაისუსტა, სპარსეთს კი სამუდამოთ მოუღო ბოლო. მიგნიდან დასუსტებულმა ბიზანტიაშ ველარ შესძლო სპარსელების შეკავება მით უფრო, რომ ავარები, ბოლგარები და სხვა ბარბაროსებიც აწუხებდენ მას. ხოსრომ აღვილად ვარალახა მის წინააღმდეგ წარმოყენებული სუსტი ძალები, მოკრო სირიას, მესოპოტამიას, კაპიადოკიას, პაფლაგონიას და სამინლათ ააოხრა ისინი.

610 წელს ირაკლიმ ჩამოაგდო ტახტიდან ფოკა და რამდენიმეჯერ შესთხოვა ხოსროს დავზავდეთო, მაგრამ უკანასკნელმა არ მოისურვა ეს. შურისძიება, მისთვის საბაბი იყო, მხოლოთ რასაკვირველია, ნამდვილათ კი მას სულ სხვა რამ სურჩა. 613 წელს სპარსელებმა აიღეს დამასკი და დაეშვენ ქვეით. მალე ერუსალიმის აღებამ და „ცხოველ მყოფელი ჯვარის“ გატაცებამ თავზარი დასცა მთელს ქრისტიანობას. სპარსელებისგან წაქეზებული ებრაელები საშინლად აწიოკებდენ იუდეაში აღგილობრივ ქრისტიანებს. შემდევ ეგიპტეც სპარსელების ხელში მოექცა. მკირე აზიაში ამავე დროს მათ ხალკედონს მიაღწიეს და აიღეს კიდევ იგი.

ბიზანტიის იმპერია საშინელს განსაცდელში იყო. კონსტანტინოპოლის მეტი მას თითქმის აღარა გააჩნდა რა და იმასც ერთის მხრივ სპარსელები, მეორე მხრივ ავარები ავიწროებდენ. ერეკლემ ხელახლა სცადა მოლაპარაკება გაემართა ხოსროსთან და მოციქულები გაუგზავნა მას დიდის ძლვნით. ხოსრომ, რომლის თავხედობას ამ დროს საზღვარი აღიარებული მიღვისა მოციქულები კი საპყრობელებში ჩაყარა. ბიზანტიელებს მაინც შეატყობინა მან, რომ მინამ ვერ ეღირსებიან ზავს, სანამ ქრისტიანობაზე არ იტყვიან უარს. იმედ დაკარგული ერეკლე კართავოს დაემზადა გასაჭურვათ თავის ხაზინით. ხალხმა შეუტყო ეს, შემოერტყა სასახლეს და ემუდარა იმპერია-

ტორს არ მიეტოვებია იგი. ერეკლემ შეჭირა ხალხს, რომ არ გაიქცეოდა და იარალს მოჰკიდებდა ხელს. სამლელოებამ მთელი საეკლესიო ქონება შესთავაზა მას სამშობლოს სასარგებლოთ.

622 წელს მან გადაასხა თავისი პატარა ჯარი შეირე აზიაში და იწყო აქ მოქმედება, რომელიც უფრო ჯარის ვარჯიშობას წარმოადგენდა. შემდეგ იგი გადავიდა სომხეთში, სადაც მისი ჯარი პირველათ შეეჯახა სპარსელებს. შეჯახება საბენიეროთ მის სასარგებლოთ გათავდა, ასე რომ მან ადგილი გადინაცვლა და თვით სპარსეთის სანაწილო სომხეთს შეესია. სპარსელთა სარდალი შაპრვარაზი ამის საპასუხოთ კილიკიაში შეიჭრა. ამით მას სურდა თვით ირაკლი გაეწვია აქეთ, მაგრამ როცა იმედი არ გაუმართლდა მან ისევ ირაკლის მიაშურა. რაკი მას დიდი ბრძოლისათვის საკმარის ჯარი არ ჰყავდა იგი პაწია შეჯახებებით ცდილობდა მტრის მოტეხის, მაგრამ ეს შეჯახებები მუდაში ირაკლის სასარგებლოთ თავდებოდენ და მალიან აგულიანებდენ მის ჯარს. ამით დაიმედებულმა ირაკლიმ თვითონ მიიტანა იერიში სპარსელებზე და სასტიკათ დაამარცხა ისინი.

ზამთარი ერეკლემ და მისმა ჯარმა სომხეთში გაატარეს. გაზიაფხულისას იგი დაიძრა 5 ათასი კაცით და შევიდა ლაზისტანს. აქ მან დააგროვა და შეიერთა ლაზების, შეგრელების და აფხაზების რაზმები და მათთან ერთათ გაემგზავრა იბერიის (ქართლს), სადაც იგი ხაზარებს შეუერთდა.

ხაზარებს პირველათ 585 წელს ვხედავთ იმიერ-კავკასიაში. აქ ისინი ამარცხებენ სპარსელებს და ხელთ იგდებენ როგორც სჩანს კავკასიის კარებს.

ამ რიგათ ერეკლემ 120 ათასამდე კაცი დააგროვა. ამ ძალებით მან გადასწყვიტა თვით მიეტანა იერიში სპარსეთზე და გაუდგა კიდეც გზას 15/III 623 წელს. გაიგო თუ არა ეს ხოსრომ უმალვე მისწერა შაპრვარაზს შეერთებოდა შაპენს და მასთან ერთათ გამოშურებულიყო მისკენ. ეს ბრძანება ერეკლემ ჩაიგდო, გადააკეთა. როგორც უნდოდა და ისე გაუგზავნა პატრონს. ბიზანტიელებმა შეუვიწროებლივ გაიარეს მთელი ადირ-

პეტრი და საშინლით აათხრეს იგი. ხოსრო ამისობაში ვაზაკიანით იდგა თავის ჯარით და ელოდებოდა თავის სარდლებს. რაკი იქცედან არა გამოვიდა რა მან მიატოვა ქალაქი და დასხია უკან. ერეკლე^ედა მისი ჯარი დაეპატრონენ ქალაქს და ცუდი დღე დააყენეს მას. აქ იმყოფებოდა სხვათა შორის სპარსელების განთქმული სალოცავი, რომელსაც ბიზანტიელებმა ცეცხლი წაუკიდეს ქალაქის აღების დროს.

ერეკლემ არ ჩასთვალა საჭიროთ უკან - გამოჰკიდებოდა ხოსროს და დასაზამთრებლით უკან დაბრუნდა აღმანიაში.

გაზაფხულისათვის ხოსრომ სამი ლაშქარი დაამზადა. პირველ მათგანს, რომელსაც სარბლაგაზი უძლოდა წინ ერეკლეს წინააღმდევ უნდა ემოქმედა. ამიტომ იგი ოვით გაემართა აღმანისკენ. ერეკლემ აუქცია მას გვერდი და ისევ გასწია სპარსეთისკენ. სარბლაგაზმა შეატყობინა ეს ამბავი მეორე ლაშქრის წინამძღოლს. შაპრვარაზს და მოიხმო იგი დასახმარებლათ, მაგრამ მის მოსვლამდის ერეკლემ ცუდი დღე დააყენა მის ჯარს. დაბოლოს ორივე ჯარმა მოიყარა თავი, ამავე დროს სარბლაგაზმა და შაპრვარაზმა გაიგეს რომ მესამე სპარსული ჯარიც მათკენ მიისწრაფოდა (ამ ჯარს შაპენი. უძლოდა წინ) და გადასწყვიტეს მის მოსვლამდის გაემართათ ერეკლესთან ბრძოლა და მოესპოთ მისი ჯარი. ისინი მიტომ უფრო იყვნენ გულადათ, რომ სწორეთ ამ დროს მოისურვეს ლაზებმა, მეგრელებმა და აფხაზებმა შინ დაბრუნდა და მიატოვეს ერეკლეს ჯარი.

ერეკლე გაუსხლტა ხელიდან. მოთათბირე სარდლებს და ისევ სომხეთში დაბრუნდა. უურებ ჩამოყრილმა სპარსელებმა გადასწყიტეს, რომ იმ წლისთვის ყველაფერი გათავებული იყო და დაითხოვეს სომხების და სხვა რაზები. ერეკლემ გაიგო ეს ამბავი და გადასწყვიტა ესარგებლა შემთხვევით. იგი ჩუმათ მიეპარა შაპრვარაზის ბანაქს და დაესხა მას თავს. დამით და თითქმის მოელი ჯარი მოსპო, ისე რომ თვითონ არაფერი არ დაცკლებია. გაზაფხულზე ერეკლემ ხელისხლა დასძრა თავისი რაზები დასავლეთისკენ და მიაღწია ამიდს. შაპრვარაზი კვალ და

კვალ მისურევდა მას და მოსვენების არ აძლევდა. ერეკლეს არ სურდა ჯარის შესუსტება და ამიტომ ყოველი ღონისძიებით ცდილობდა თავიდან აეცილებია გაშლილი ბრძოლა მასთან.

შავრვარაზმა მარც გაიყვანა თავისი. ვითომდა უკან გაჭირებით მან შეიტყუილი საფარში ერეკლეს ჯარის ნაწილი და მეტათ შეავიწროებ იგი. მეტი გზა არ იყო, ერეკლე უნდა მიშველებოდა საფრთხეში მყოფ რაზმებს. ხანში შესულმა იმპერატორმა განსაცვიფრებელი ვაჟკაცობა გამოიჩინა ამ ბრძოლის დროს, რომელიც დაბოლოს ბიზანტიიელების სასარვებლოთ გათავდა.

626 წლისათვის ხოსრომ მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და სამი ლაშქარი დაამზადა, რომელთაც მისი აზრით უნდა დაემხოოთ ბიზანტია. და დაებოლოებით ბრძოლა. პირველ ლაშქარს შავენი უძლოდა წინ, მეორეს კი რიზატე. უკანასკნელთ მიზანი იყო საზღვრები დაეცვა ბიზანტიიელების შემოსევათაგან. დაბოლოს შავრვარაზი მესამე ლაშქრით ხალკედონისკენ უნდა გამგზავრებულიყო და ავარებთან ერთათ, რომელიც ევროპიული მხრიდან აწვებოდენ კონსტანტინოპოლის, ცდილიყო აელო ეს ქალები. ეს / ქალები მართლაც ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავიდა, საბერნიეროთ ფლოტის უქონლობის გამო სპარსელებმა შეინც ვერ აიღეს იგი.

ერეკლემ ამასობაში თავის სანაწილო ჯარით (მანაც სამ ნაწილით დაკყო ჯარი) გაიარა ლაზისტანი და გაემართა იმერიისკენ. თბილისის ახლო მან ინახული ხაზართ ბატონიშვილი ზიბელი, რომელმაც ზეპირა შეცკრა მასთან და 40 ათასი კაციც მიახმარა მას.

ერეკლეს ძმა ოედორე ამასობაში შავენის წინააღმდეგ მოწინევდა. ეფრატის ახლო იგი წაეწია მას და სასტიკათ დაამარცხა იგი. ვერც შავრვარაზმა მოახერხა როგორც დავინახეთ ბოსფორის გადასვლა და ავარებთან შეერთება ასე რომ ამ ფრონტებზე ყველგან კარგაო წაუკიდათ საქმე პიზანტიიელებს. ამან ძალიან გაუადვილა საქმე თვით ერეკლესაც, რომელსაც განზრა-

ხული ჰქონდა რაც შეიძლება ღრმათ შეკრისებულიყო სპარსეთში და აქ დაეცა ლიხვარი ამ სამეფოსთვის. ოზატე უკან მისდევდა მას თავის ჯარით, მაგრამ შებმას ვერ ბედივდა, სანამ დამფრთხელმა ხოსრომ არ უბრძანა მას ეს. სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ძეველ ნინევის ახლო მოხთა. სპარსელებში კარგათ იცოდნენ რაც მოელოდათ მათ და ამიტომ გამწარებულით იბრძოდნენ. მიუხედავათ ამისა ისინი სასტიკათ დამარცხდენ. თვით ოზატე ბრძოლის ველზე მოკვდა, იბერების წინამძღვალი ბარსამისე კი ცოცხალი ჩაუვარდათ მათ ხელში. (გურჯანის შემდეგ საქართველოს მეფე აღარ ჰყოლია და მას ალბათ მარჩბანები განაგებდენ).

628 წელს ერეკლე მიადგა ხოსროს სამყოფ ქალაქს დასტაგერდს, რომელიც მხოლოთ სამი დღის სავალზე იყო კტეზიფონიდან. ხოსრომ ველარ გაბედა აქ დარჩენა და ჩუმათ გათვარი ქალაქიდან. ერეკლემ ვერ გაბედა კარგათ გამაგრებულ სატახტო ქალაქზე იერიშის მიტანა და ისევ განჯაუში დაბრუნდა უკან. ხოსროს სიფრთხილებ დიდი უქმაყოფილება გამოიწვია კტეზიფონში. მაგრამ არც სხვაგან მიღიოდა კარგად ამ თავხედი მეფის საქმე. მან იცოდა, რომ ოოგორუ ხალხში, ისე ჯარში დიდი უქმაყოფილება არსებობდა მის წინააღმდეგ. მეტადრე შაპერგარაზის უყურებდა იგი უნდოს თვალით. სწორეთ ეხლა გადასწყვიტა მან მისი თავიდან მოშორება. მან მიუწერა ჩუმათ. შაპერგარაზის ერთ თანაშემწე სარდალს მოეკლა იგი და მისი ადგილი თვით დაეჭირა. ხოსროს საუბედუროთ ეს წერილი ბიზანტიელებს ჩაუვარდათ ხელში, რომელთაც მაშინვე აჩვენეს იგი შაპერგარაზის. აღშფოთებულმა სარდალმა ტახტიდან ჩამოგდებულიათ აღიარა ხოსრო და მოურიგდა ერეკლეს. კტეზიფონ-შიც შეაქციეს ამასობაში ზურგი ხოსროს, გაანთვისუფლეს შორინის წყალობით დატყვევებული ხოსროს შეიღი კავალი და მეჭეთ დასვეს იგი.

27/VI 628 წელს ყველასაგან პიტოვებული ხოსრო ახალმა მთავრობამ დაიჭირა და აწამა. კავალმა მაშინვე მოლაპარა-

კება გამართა ერეკლესთან, მაგრამ უკანასკნელი მაინც და მაინც არ უჩქაროდა დაზივების, რადგან დრო მისკენ იყო. იგი მხოლოდ დროებითი ომის შეწყვეტაზე იყო თანახმა თუ სპარსელები დაუბრუნებდენ მას, რაც/მავრიკის დაუთმოხოსრომ. სპარსელები დათანხმდენ რასაცირველია ამ პირობებს და ომი შეწყდა. (იძერის დიდი ნაწილი მაშესადამე ერეკლეს ხელში მოექცა, რომელმაც პატრიკს ჩააბარა როგორცა სჩანს. ამ ქვეყნის მმართველობა).

ერეკლემ ამასობაში მოაწესრიგა საქმეები მესოპოტამიაში და შემდეგ სირიაში გადავიდა. აյ პან შეიტყო კავალის გარდაცვალება, რომელიც შევი ჭირის მსხვერპლი გახდა. მის აღვილის სპარსელებმა არდაშირ მესამე გამოაცხადეს მეფედ, რომელიც ამ დროს შეიძიო თვისა იყო მხოლოდ. ამ ბავშვის მეფობის დროს შინაურმა არეულობამ უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია. ცენტრალურ ძალას სრულიათ აღარავითარი გავლენა აღარ ჰქონდა სამეფოში. ამას სხვა უბედურებაც მოჰყვა. სამხრეთიათან შემოსეული არაბები დაუსჯელათ დათარეშობდნენ სპარსელთ პროვინციებში და საშინლათ აოხრებდნენ მათ. სპარსელები ყოველ ღონისძიებით ცდილობდენ ერეკლესთან მაინც ჰქონიათ კარგი განწყობილება. მათ გაუგზავნეს უკანასკნელს წინათ იერუსალიმიდან გატაცებული „ცხოველმყოფელი ჯვარი“, რომელიც ერეკლემ 14/IX 629 წელს აღმართა ერუსალიმს. საერთო არეულობის დროს სპარსეთში ხორასანშა ჰორმიზდე მე-IV-ის შვილი-შვილმა მეფეთ გამოაცხადა თვეი. ასევე მოიქცა ერეკლეს ნებართვით სარდალი შაპრევარაზიც. მან აიღო კტეზიფონი, მოკლა უსინიდისოდ საბრალო ძუძუმწოვარი მეფე და თვით იპყრო ტახტი, მაგრამ აჩც მას გაუხარის დიდი ხანი. რამოდენიმე თვის შემდეგ ისიც გამოისალმეს წუთის-სოფელს. ტახტზე ამის შემდეგ ხოსროს ქალიშვილი შორანი ივიდა. მის დროს დაუზავდა ერეკლეს როგორცა სჩანს საბოლოოთ სპარსელებს. ზავის პირობების შესახებ დაახლოებით არა უიციო რა საუბედუროთ. შორანის მეფობამ 631 წლამ-

დის გასტანა, შემდეგ მას ხოსროს მეორე ქალიშვილი აზარმი-
ლუხტი მოჰყვა, მაგრამ ნიზიბიაში მყოფმა ჯარებმა არ ისურ-
ვეს მისი შეფეთ ცნობა და პორმიზდ მე-V-ე (ხოსრო მე-II-ის
შვილი-შვილი) დაასახელებს თავის მხრივ. საბოლოოთ აზარმი-
ლუხტი ხრამისნის სპასალარმა ჩამოაგდო ტახტიდან. ამის შემ-
დეგ ზოგმა ხოსროს შვილიშვილი თეზდეგერდ III დაასახელა,
ზოგმა კი ხოსროს შვილი ხოსრო. იეზდეგერდი სხვებზე ძლიერი
აღმოჩნდა. მან მალე მოიკიდა ფეხი სახელმწიფოში, რომელმაც
თითქოს ხელახლა გამოიბრუნა პირი. სასიცოცხლოთ, მაგრამ
კვიანლა იყო. არაბები კარს აღგენ უკვე სპარსეთს. და მოს-
პობას უქადდენ მას.

შინაური მიმოსილება.

შედელთა და სპარსელთა მეფეები წინათ უფრო ბელადებს წაგავდენ ვიდრე მეფეებს. მართლაც, თავდაპირველათ ესენი გაბატონებული ტომის წინამძღვრები იყვნენ მხოლოთ.

მას შემდეგ რაც ერანელთ სამეფო ძლიერ ძალათ იქცა, მეფეის მნიშვნელობაც უნდა შეცვლილიყო. ჰეროდოტე ვკიყვება, რომ უკვე დეიოკემ გასწყვიტა პატრიარქალური კავშირი ხალხთან და აღარ ერგვნებოდა მას. შემდეგი შეფენი კიდევ უფრო შორს მიდიან. ესენი ციურ ჩამომავლობას იჩემდება¹⁾ სახელმწიფოში ამათი სწორი რასაკირველია აღარავინ მოიპოვება. ეს უკანასკნელი მათს საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც ისანი თავის სურვილისამებრ განაგებენ. სამეფო ტიტულის ცვალებადობა ამგვარათ გვიხატას მთელს პროცესს. კირისი მეფეს და ახემენიანს უწოდებს თავს. დარიოზი დიდ მეფეს, ქვეყანათა მეფეს და სხვა. ხოსრო ფარვეზს აღარც ეს აკმაყოფილებს. მისი ტიტული ესეთია: ხოსრო, მეფეთ მეფე, მბრძანებელთა ბმრძანებელი, ხალხთა უფალი (Herr d'Völker), მშვიდობის მოყვარე, კაცთა წუგეში, ძლევამოსილი, მზესთან ერთათ აღმამავალი, რომელსაც აზონები²⁾ (კეთილშობილნი) ემსახურებიან... და სხვა და სხვა.

მეფეს ჩვეულებრივ რამოდენიმე სასახლე აქვს, რომელნიც სხვა და სხვა პროვინციებში მდებარებენ, და განსაკუიფრებელის სიმდიდრით არიან მორთულნი. მის უახლოეს წრეს მისი გარემი (საღაც ხანდახან 1200-მდე ქალია მოთავსებული) და

1) სასანიანები ალექსანდრეს მიხედვით ღმერთობას ჩემულობენ და ძელებურათ „ბაგ“-ს უწოდებენ თავს, თუმცა ღმერთს ამ ღროს იაზღანს (ქართული წყაროების ზაღენი ?) უწოდებდენ.

2) აქედანაა წარმომდგარი ქართული გამოთქმა — აზნაური.

მისი ნათესავები წარმოადგენენ. უკანასკნელთა რიცხვიც მეტაზ დიდია (რამოდენიმე ათასი). მეფის გარდა ამ წრესვე ეკუთვნიან მისი მოსამსახურენი, რომელთა შორის დოკტორი, მზარეული მერიქიცე და სხვ. დიდს როლს თამაშობდენ.

მეფე დროს ჩვეულებრივ ლხინში ატარებს; რომელშიაც მუდამ ურიცხვი წვეულები იღებენ მონაწილეობას. დასხვო- მისას ესენი გარჩევით იჭერენ თავიანთ აღვილს, უფრო წარ- ჩინებული უფრო ახლო უზის მეფეს.

საჭმელთა მზადებას დიდს ყურადღებას აქცევდენ, სურსათს სხვა და სხვა ქვეყნებიდან ეზიდებოდენ. ყოველი პროვინცია მოვალე იყო თავისი საუკუთხესო ნაყოფი შეეწირა მეფის სუფ- რისათვის.

დიდს პატივსა სცემდენ მუფეები აგრეთვე ნადირობასაც; რომელშიაც ჩვეულებრივ ათასობით კაცი იღებდა მონაწილეო- ბას. ძალებთან ერთათ მიმინებიც საპატიო როლს თამაშობ- დენ ნადირობაში.

მეფის ხილვა ჩვეულებრივი მომაკვდავისთვის შეუძლებელი იყო. თუ ვისმე ელირსებოდა ეს პატივი, მას ბეღნიერათ უნდა ჩაერაცხა თავი. მეფის დანახვისას მხილველი შორიდანვე ერთხ- მევოდა მიწაზე და უსურვებდა მას დღვევრძელობას. მეფე მა- ლალ ტიარის ატარებდა. მისი ტანისამოსი ოქროთ მოქარებული- ძოშისაგანაა შეკერილი. დიდი დარბაზობისას მეფე ტახტზე მჯდომი და გვირგვინით და ხელოვნური ოქროს წვერით შემ- კული ეჩვენება ხალხს. გვირგვინი ოქროსი იყო. იგი მდიდრათ იყო თვალმარგალიტებით შემკული. იგი იმ სიმძიმე იყო, რომ თავით მისი ტარება შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვეულებრივ ჯაჭვით იყო იატაჭზე მიმაგრებული. ტახტს ფარდა აშორებდა დანარჩენ დარბაზს. მეფე ჯერ ტახტზე დაბრძანდებოდა შეჰყოფ- და თავს გვირგვინში, და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიშლებოდა ფარდა და მეფე მთელი თავისი ბრწყინვალებით მოვალინებოდა ქვეშევრდომთ. მისი მახლობელნი ასე იყვნენ დალაგებულნი: ათი პწყრთის მოშორებით დგანან პირველი ხარისხის დიდებულები-

(ბატონიშვილები), შემდეგ შეორე ხერისხისა (მარზბანები) და შემდეგ შესამისანი (შეფის პირადი მსახურნი).

შეფევ ბატონია თავის სამეფოში, მაგრამ მასაც აძევს მოვალეობანი. პირველ ყოვლისა ივი სახელმწიფო ძალთა წინამძღვრლია. ძველათ მეფენი მართლაც თვითონ წინამძღვრობდენ ჯარს.

შეფევ აბარია აგრეთვე უმაღლესი საეკლესიო ფუნქციები. მეფე ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე და შინაგან მყუდროებაზე. იგია აგრეთვე მთავარი მოსამართლე. და კანონმდებელი (კანონი სპარსულათ დად, საიდანაც ქართული ადათი წარმოსდგება¹). ზემოთ ონიშნული ფუნქციების ასასრულებლათ საჭიროა ხარჯი, რომელსაც ჩვეულებრივ გადასახადი (სპარსულათ ბაჟი) ფარავს. გადასახადებს ხან ფულით, ხან მოსავლით იხდიდა ხალხი. რაც ხარჯს გადაურჩებოდა ის შეფის საკუთრებას შეადგენდა და ხაზინაში (ძვ. სპ. ლაზნა=Qhazna) გადაღიოდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ერანელთ სამეფო მაინც და მაინც ცენტრალისტურათ მოწყობილი ყოფილიყოს. წინათ ხშირათ გვქონდა შემთხვევა დაგვენახა, რომ ამ სამეფოში სამეფონიც არსებობდენ. ასეთი იყვნენ საქართველოს და სომხეთის გარდა აღიაბენ, ჰირკანია და სხვ. გარდა ამისა ზოგიერთი პროცენტიც გამგენი, მეტადრე არშაუნიანთ დროს, ფაქტიურათ მეფეებს წარმოადგენდენ თავიანთ უზარმაზარ სამფლობელოებში. ესენი ისევე როგორც ზემოთ დასახელებული მეფეები პირადათ იყვნენ დამოკიდებულნი მეფეთ მეფისაგან. ამაში გამოიხატე-

1) თავის თავათ ცხადია აქ ერანული აბსოლუტიზმის თეორეტიულ მხარეზეა ლაპარაკი. პრაქტიკულათ ეს ქვეყნიური ღმერთები ჩვეულებრივ თავად-აზნაურობის და სამლევლოების ხელში იყენენ. მათ ხელშივე იყო სახელმწიფოს მართვა გამგეობა. ვაი იმ სასანიანს ან არშაუნიანს, რომელიც ამ ორი წოდების უქმაყოფილებას დაიმსახურებდა. კავადი, როგორც ზემოთ დავინახეთ სოციალისტურ მოძრაობას დაუკავშირდა ამ „ოპეკით“ თავმობეზრებული, მაგრამ ცდა არ განაყოფიერდა და სასანიანთ მეფეები ისევ თავად-აზნაურთ და სამღვდელოების იარალათ დარჩნენ.

ბოდა მხოლოდ ის კავშარი, ომელიც მათ სამფლობელოს დანარჩენ სამეფოსთან იერთებდა სასსაბიანთ დროს¹⁾.

უპირველესი ადგილი ამ თავადთა შორის ომელიცა ცსთქვით მირიანის ვარს, უნდა დაეთმოს. თავის თავათ ცხადია დღე როლს თამაშობდენ აგრეთვე სურენიანთ და კარენიანთ გვარები, უფრო ნაკლებს გოდერძისა. დანარჩენ პროვინციებს, ომელიც ვიცით სატრაპები (შემდეგში მარზბანები) განაგებულენ. ესენი ისევე, ომელიც სხვა და სხვა უწყებათა გამვენი უმაღლესი თავადებისაგან ირჩეოდენ და შვილით შვილზე გადასცემდენ ხშირათ თავიანთ თანამდებობას. ერთ გვარშივე ტრიალებდა სპასპეტის, ერანსპაპეტის, გვირგვინის მდგმელის, უწყების გამგის და სხვათა თანამდებობა.

სხვა დიდებულთაგან იხსენებიან დიდი ვეზირი (დესტური) პაღვოსპანი²⁾ (სახელმწ. 1/4-ის გამგე) მთავარი მდივანი ერანდაპირპატი (სპარს. დივან კანცელარიას უდრის), ხაზინადარი, სურსათის და საცმელის გამვენი. დიდ როლს თამაშობდა სახელმწიფოში სოფლური თავად-აზნაურობაც (დიჭყანები), ოდგან მათ ხელში იყო, ომელიცა სჩანს, ადგილობრივი მართვა-

1) უზარმაზარ როლს თამაშობდენ ერანში უპირველესი თავადებიც, ომელთაც ერანელები შვიდ სახლობას აკუთნებდენ. ყველა ამათი სახელები არ ვიცით საუბედუროთ. ტაბარი მხოლოდ სამი სახლობის სახელს იხსენიებს (ამ 7-თაგან) კარენს, სურენს და სპენდიარს; თეოფილაკტეს სიტყვით მიპრანის გვარიც ერთი ამ სახლის შვილთაგანი უნდა იყოს. არმაჟუნიანთ დროს პირველი ორი გვარი თამაშობდა განსაკუთრებულ როლს, სასსანიანებებსას კი მიპრანი. ამ გვარის წევრებს ჩვენშიაც ხშირათ ვხვთებით. სხვათა შორის ერთმა მათგანმა საქართველოს და არანის გამგემ (պამესტიკ) ქრისტიანობაც მიიღო და 538—39 წელს წამებულ იქმნა.

2) პაღვოსპანის შესახებ უნდა შევნიშნოთ, ომელიცა სჩანს ზოგჯერ ომდენიშე პროვინცია ერთ მოხელეს (პატკისპანს) ებარა. ხშირათ მთელი სამეფო 4 საპატკისპანოთ იყოფოდა. ეჭვს გარეშე პატკისპანი ამასთანავე მარზბანიც იქნებოდა. პროვინცია (სამარზბანო) შაპრებათ იყოფოდა, ომელთაც სათავეში შაპროლნი უდგნენ.

ვამგეობა. თვით არაბების დროსაც კი შეინარჩუნეს მათ ერთხანს თავიანთი მნიშვნელობა¹⁾.

სახელმწიფოს ძალა ჯარზე იყო დამყარებული. უკანასკნელი თან ნაწილით იყოფოდა. ქვეით და ცხენოსან ჯარით. ჯარის ასეულებათ, ათასეულებათ და ათიათასეულებათ ნაწილდებოდა. ყოველ ამ რაზმთაგანს თავისი გამგე ჰყავდა. ბრძოლის ველზე ჯარი სამ ჯგუფათ იყოფოდა: შუა გული, მემარჯვენე და მევარცხენე. მეფე ჩვეულებრივ შუაგულში იყო ხოლო. მას გარშემო ნათესავები ეხვინ ჯერ, შემდეგ ათასი რჩეული ცხენოსანი და ბოლოს 10 ათასი კაცისაგან შემდგარი უკვდავთა ჯვუფი. ერანელებისთვის ბრძოლა ერთ მასსიურ მოქმედებას არ წარმოადგენდა. პირიქით იგი მითოვის პირად შეგმათა გროვას წარმოადგენდა. ამით აიხსნება, რომ ომის შინ, როგორც ფერევანები (წინამძღვანი), ისე უბრალო მომაჯვდავნი მოედანზე გამოდიოდენ და საპირდაპიროთ იწვევდნენ მსურველთ. ასეთ გამოწვევას ჩვეულებრივ უსაზღვრო ტრაბახი ახლდა ხოლმე თან. სარდლები ომის დროსაც ცდილობდენ შეკურთხდენ თავიანთ სწორთ. ხშირათ ჯარის უფროსის სიკვდილი მთელი ომის ბეჭ-ილბალია სწყვეტდა.

ერანელები არც ვაუკონით ჩამოუვარდებოდენ დასაცლეთელებს, არც ჯან-ლონით. თუ მიუხედავათ ამისა მათი ჯარი მუდამ დაბლა იდგა დასავლეთისაზე ეს, სხვათა-შორის, მითაც აიხსნება, რომ იგი არას დროს არ წარმოადგენდა ორგანიულ ერთეულს და ჯოხით თავშეყრილ გროვას უფრო წაგავდა. ჯა-

1) მასუდის სიტყვით ძველ სპარსეთში თავად აზნაურთა 5 ხარისხი განირჩეოდა. ეპეს გარეშემაშია მაშასაღამე, რომ თავად აზნაურობა აქ მეტათ მრავალ რიცხოვანი უნდა ყოფილიყო. საფიქრელია, რომ ძველ სპარსეთშიაც არსებობდენ (ისე როგორც ჩვენში, უნგრეთში და პოლონეთში) აზნაურთაგან დასახლებული სოფლები, სადაც ესენი გლეხთაგან მნელათ განირჩეოდენ. სპარსული ისტორია სდომს იმის შესახებ თუ როგორი იყო მცირე აზნაურთა დამოკიდებულება დიდ თავად-აზნაურებთან; მაგრამ ქართველი სოვის ეს ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

რის კაცებს მესამე წოდება იძლეოდა. იგი მოკლებული იყო ყოველ უფლებებს. მას ეკუთვნოდენ მიწის მუშები, მწყემსები და ხელოსნები. უკანასკნელთა რიცხვი დიდი არ ყოფილი, რადგან ერანი ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა დასაცლეთთან შედარებით.

შესახედავათ სპარსელები ახოვანი და ლამაზი ხალხი იყო. ტანსაცმელათ ისინი ხმარობდენ გრძელ სახელოებიან ახალუხს, რომელსაც ჩვენში შეცდომით კაბას უწოდებდნ. სპარსელები კაბას იმ მოკლე შემოსუსხულს და ხშირ ნაოჭიან ახალუხს უწოდებდენ, რომელსაც დღესაც ხშირათ ატარებენ ჩვენში მოქალაქეები.

სახლებათ სპარსელები მიწურებსა ხმარობდენ, რომელთაც დღესაც ხშირათ შეხვდებით ქართლში. (იმერეთში ხმარებული იდები, თათრული ჩამამავლობისა უნდა იყვნენ, რაღაც თვით სიტყვაც თათრულია). მიწური სახლის ხმარება სპარსეთში უშეშობით აიხსნება. შიგნიდანაც ძალიან მოგვაგონებს ძველი სპარსული სახლი ქართულს. სკამებს და მაგიდებს აქ ვერ ნახვდით. როგორც საჯდომათ, ისე საწოლათ ესენი მუთაქებს და ბალიშებს (სპარსულათ ბალეშ ძე. სპ. =barezi) ხმარობდენ. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სახლში როგორც სჩანს ტახტი (სპარსულათ — „ტახტი“). კარების მაგიერობას ხშირათ ხალიჩები ასრულებდენ.

სპარსელის ოჯახი ხშირათ ერთი მამაკაცისა და რამდენიმე დედაკაცისაგან შესდგებოდა (მრავალ ცოლიანობა). დედაკაცის როლი (გავლენა) ოჯახში ძალიან შეზღუდული იყო. ვაჟკაცისთვის უკადრისად ითვლებოდა მათ საზოგადოებაში ტრიალი. ამიტომ დედაკაცები ჩვეულებრივ ცალკე კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდენ ბავშვებთან ერთათ. ბავშვების ყოლი ბედნიერებათ ითვლებოდა, მხოლოთ თუ ბიჭები იყვნენ ესენი, გოგოებს კი სპარსელები არაუერ ფასს არა სდებდენ. თუ ბავშვს რამე ორგანიული ნაკლი ჰქონდა, მისი გადაგდება ცოდვათ არ ითვლებოდა, ისევე როგორც დავრდომილების უპატ-სპარს. ისტ.

հոնոր մուռազեծա. Եսուս վլամդյ ծավացո կը լոյս կը թիւ գրուա-
լութիւ, զցորատ եցազար թամա. ծավացո զածարցեծ (ալսան-
քըլուատ) և եղա ոչաեցի մալուն մոլցիւլո ոյս. Տէարսելո
ալթրուն վլացեծո մալուն թագազեն յարուլու. Յորչըլո մոտ-
եցնուլցեծա պատրունուն ձարուսիւս բարմուացենքա. Առօ պա-
րագութիւն պարագութիւն տացանանատ, նրգուլուն ճա և սամո պա-
ցակըզա. Պարչըլունուս Տէարսելուն տացանանատ պալցնուցեն
յութիւննետ սալում. տանանիւնուն լույցիւն կյունուցեն յութիւն-
նետ. պատանանիւնուն յո ան մայելու յամացունու, ան յունա պա-
րագութիւն յամացունու Տէարսելուն և պալցունու, հոմ մուս կը պա-
սասամունու պատրունու սեցեծուտցու. Կիարյ լուսարայո, եմա-
թալլո և ուլուն, դամույուցեցելու տացքերա պանցըլունատ ու-
ցուցենու. Համա-եմանու տացքակյերունունաւ նրգուլունատ ուցուց-
ենու. Նրգուլուն մոտեռունու օգրուոց պատրունուն վոնանց օլ-
ցումա, պարագուն համատրումա ճա և եկա. մալուն և լոյնուցեն
Տէարսելուն սուրույց, մարամ ոց ուսցա, հոգուն գրուածաւ
սայցըլուրուտ մալուն զարկըլունուլո ոյս յուննու. Տէարսելուն-
ծուն յարց տաւուցեատ պանց համատցալու թատո զուլութեամա ճա
եցուցամունունատ. յունու ծյունենտ ուստուրուցուն (տպանուցեն)
սուրպուտ յլ յնո մուգամ. արհեցաց զայցա համյ, զուլու ուլուտ.

Տէարսելուն պատրուն մարամ օլցուլուտ զասացեծ նայլո
ուս ոյս, հոմ թատ տնտիմուն առ մոյքուցենուտ նոյնու յութուննու-
սա. Սաեցլունիցու թատուցու սամշունդու յո առա Շաքին-Շաքուն սայց-
տույն ոյս. ռմնու Տէարսելուն սամշունդու ճասակարատ ան մուս
զանսագուցեցենուտ յո առ ուցեցնու մոնախունունատ, արամյու, յու-
տուն մերու ոմուրու; հոմ թաս մալուն պարագուն ճա մյուրյ մերու
ոմուրու, հոմ թաս ոմուրու կյուննու. համյ թացըլուչա մտրուստցուն
հացաւու. Սեցագուն մուտցու սոյլ յունու, ոյս թագացենու
ույ մոոցեցնու սաեցլունիցու ռմն, հաջոան ճուռու ոյնցենուտ ույ
յարարա սաեցլունիցու պարմուալու թաս սոյլ յունու առա յուց-
ենուտ ճա մուցան.

ძველი სპარსელების სჯულ მდებელი, ზოროასტრია იყო. რა დროს ცხოვრობდა იგი. დანამდვილებით არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ საყურადღებოა, რომ პირველი ახე-მენიანთ მეფეები ზოროასტრის მიმდევარნი იყვნენ. უკვე.

ზოროასტრის მცნება ავესტაშია მოთავსებული, რომელიც დღეს ზენდ-ავესტას სახელსაც ატარებს, რაღაც, მას კომენტარები აქვს თან დართული, რომელნიც ზენდურ ენაზე არიან დაწერილნი. თვით ავესტა კი ძველ ფარსულ ენაზე დაწერილი, თავდაპირველით ავესტა 21 წიგნისაგან შესდგებოდა. ამ წიგნებთაგან ბევრი სასანიანთა დროსაც აღარ მოიპოვოდა. არდეშირ პირველმა (ზოგიერთის სიტყვით კი მაპურმა) ხელახლა მოუყარა თავი რაც კი მოიძებნებოდა ავესტასაგან, მაგრამ მავმხდიანთა დევნაშ ხელახლა დაგვიკარგა ავესტას დიდი ნაწილი.

დღევანდელი ავესტა ორ ნაწილით იყოფა: საკუთრივ ავესტათ და პატირა ავესტათ. პატირა ავესტა იმ ლოცვებს შეი-ცავს, რომელთა კითხვა უველის შეუძლია. საკუთრივ ავესტა შემდეგ 4 ნაწილს შეიცავს: 1) ვენდიდას 2) იასნას 3) გათას და 4) ვისპერადს. ვენდიდადი სჯულდებათა წიგნია. იგი აღ-ნუსხავს მაზღარაზნთა მოვალეობათ. გათა ასე ვსთქვათ ზო-როასტრიული ფსალმუნია. იასნა და ვისპერადი კი იმ ლო-ცვებს შეიცავენ, რომელნიც მსხვერპლის შეწირვის დროს იხ-მარებოდენ.

ზოროასტრის რელიგია ძველი ერანული რელიგიის გა-დამუშავებაა. მასში არა თუ ძველ ერანულს, არამედ ძველ არიულ ლმერთებსაც ხშირათ ვხვდებით. ზოროასტრმა სისტემის ხასიათი მისცა ძველ რელიგიის და სახე შეუცვალა ზოგ წარ-მოდგენას.

ამ სისტემაში სახიერ ლმერთებთან ერთათ უსახო ლმერ-თებსაც (ძალებსაც) ვხვდებით. ასეთნი არიან უსაზღვრო დრო, უსაზღვრო სივრცე, უსაზღვრო სინათლე და უსაზღვრო სი-ბნელე. ამ უსახო ძალების დამოკიდებულება აჭურამაზდასთან ძალიან მოგვაგონებს იუპიტერის და ფატუმის შორის არსებულ დამოკიდებულებას.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზოროსტრიას სისტემაში სინათლეს. იგი აჰერამაზდას (არმაზის) სამყოფია და იმასთანავე ყოველი კეთილის სინონიმი. სიბრელე კი პირიქით ანგრომანიუს (აპრიმანის) საბრძანებელია და იმასთანავე ყოველი ბოროტების სიმბოლო.

აჰერამაზდა (არმაზი) — უმაღლესი ღმერთია. იგი ისევე სახიერია, როგორც იაჰვე ან ზევეს. მისგანაა შექმნილი ყოველი ხილული და არა ხილული. არმაზის გვერდით არსებობენ სხვა ღმერთებიც, მაგრამ ესენი ხარისხით დაბალნი არიან მასზე. მათ დაახლოებით ისეთივე ადგილები უჭირავთ მასთან, როგორიც ვეზირებს შეფესთან. ამათ სპარსელები „ამეშა-სპენტა-ებს“ უწოდებდენ. რიცხვით ესენი არმაზითურთ 7-ნი არიან. ყოველ მათგანს განსაკუთრებული ფუნქცია აბარია. არსებობენ აგრეთვე სხვა და სხვა ხარისხის კეთილი სულები, რომელნიც არმაზსა და მის ვეზირებს ახვევიან გარს.

ნათელი სამეფოს გვერდით არსებობდა, როგორც ვიცით ბნელეთის სამეფოც. თუ პირველი არმაზის და სხვა ნათელი ღმერთების სამეფოს წარმოადგენდა, მეორე სამაგიეროთ ბნელი ძალების საბრძანებელი იყო. ამათ აპრიმანი უდგა სათავეში.

აპრიმანი სარული წინააღმდეგობაა არმაზისა, რასაც იგი აქეთებს აპრიმანი ცდილობს წაახთინოს, რასაც იგი აშენებს იგი სცდილობს დაანგრიოს, რასაც იგი ჰქმნის იგი ცდილობს მოსპოს. აპრიმანი ისევე დაუსაბამია, როგორც არმაზი. ისეთივე განუსაზღვრელი ბრძანებელია თავის ბნელეთში, როგორც არმაზი სინათლის სამეფოში. თუ არმაზს ჰყავს ექვსი „ამეშა-სპენტა“ ამასაც ჰყავს ექვსი უმაღლესი დევი. ერთი მათგანი ჩვენთვის კარგა ნაცნობ სახელს ატარებს („ეშმა“ — ეშმაკი).

თუ არმაზს კეთილ სულთა კრებული ახვევია, ამას ბოროტ სულთა გუნდები ჰყავს, რომელნიც, როგორც პირველნი. სხვა და სხვა ხარისხოვანი არიან.

არმაზის და აპრიმანის შორის ბრძოლა „უწინარეს ყოველთა უამთა“ დაიწყო, იხილა თუ არა აპრიმანში სინათლე იგი მაშინვე

შეეცადა მის მოსპობის, მაგრამ ვერ შესძლო. საზაფიროთ ვერც
არმაზბა სძლია მის. იგი მიხვთა, რომ მხოლოთ 9 ათასი წლის
შემდეგ შესძლებდა იგი აპრიმანის ძლევას და ამიტომ დაუზა-
და მას ამ ვადით. აპრიმანი შემდეგ მიხვთა. თავის შეცლომას,
მაგრამ გვიანდა იყო. ამ გარემოებამ ასე დააღონა იგი, რომ
მან მოქმედების უნარი დაკარგა. ამით ისარგებლა არმაზმა და
შეუზგა ქვეყნის შექმნას. ჯერ მან თავისი უახლოესი წრე და
სხვა კეთილი სულები შეჰქმნა, შემდეგ კი 365 დღეში მთელი
ხილული ქვეყანა აღამიანირთურთ. ეჭვი ათასი წლის ჯავრო,
ბის შემდეგ აპრიმანი გამოფხიზულდა და მანაც შეჰქმნა ზემო-
აღწერილი ბნელი ძალები. ბუნება და მისი მოვლენანი აშე-
რაოთ გამოხატავენ ამ ბრძოლას. არმაზი ცდილობს გაანაურევი-
როს და აამწვანოს მინდვრები.—აპრიმანი სულ წინააღმდეგს
ეძებს. უღაბნონი და გატიალებული აღგილები მისი ნაქნარინი
არიან. არმაზი ჰქმნის სასარგებლო მცენარეებს და ცხოველებს;
—აპრიმანი კი მავნეთ და ონავართ. ყველაზე დიდ ყურადღე-
ბას ორივე მხარე აღამიანს აქცევს. რაც კი ჩამ კეთილი მოი-
პოება მასში—არმაზის წყალობაა, ბოროტი კი—აპრიმანისა.
იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარე დასძლევს, ადამიანი ან
არმაზის შერჩება, ან აპრიმანის შესვერპლი შეიქნება. სიკვდილი
ზოროასტრას ჩრდებით სულის განმორებაა მხოლოთ ხორცი-
საგან. უკვდავი სული სამი დღის განმავლობაში დასტრიილებს
თავს უსიცოცხლო გვამს. მეოთხე დღეს განთიადისას იგი მიემ-
გზავრება სამსჯავროს წინაშე წარსაღვომათ. გზაზე მას ბოროტ
სულებთან ერთათ კეთილი სულებიც მისდევენ. ეშმა (ეშმაკი)
და სხვა რამდენიმე ბოროტი სული ბრალმდებლების როლს
ასრულებენ, მითრა და სხვები დამცველებისას. ბოლოს სასწორ-
ზე სწორიან აღამიანის ნამოქმედარს, ერთ ჯამზე კეთილ საქ-
მეებს აწყობენ, მეორეზე კი ბოროტებს. თუ კეთილმა საქმეებმა
დასძალეს სული სამოთხეში წავა, თუ ბოროტებმა—ჯოჯოხეთში.
ზოგიერთ ცოდვილს სხვის კეთილ საქმეებს (გადანარჩენს) მო-
უწონიან ხოლმე მსაჯულები და მით იხსნიან მას. მსჯავრის დე-

ბის შემდეგ სულებმა ბერვის ხიდი (სინვატის ხიდი) უნდა ვა-
ღარიარონ. იგი ძალიან ვიწროა, მაგრამ მართალი კაცის სული
იგი ძალიან ფართო ეჩვენება და იგი ადვილათ გადადის მაზე,
ბოროტი კი უფსკრულში ვარდება. ხიდის გადაღმა სუნნელო-
ვანი ქარი და ერთი მშვენიერი სახის ქალწული ეგებებიან მას
და მიაცილებენ სამოთხეში. აქ მას მართალთა სულები. ეხვე-
ვიან და გულმტკივნეულათ გამოჰკითხავენ მას თუ როგორ
იმგზავრა მან და რა გასაჭირი გამოიარა გზაზე. შემდეგ არმა-
ზის ბრძანებით ესენი სუფრას უშლიან და ციური საჭმელებით
უმასპინძლდებიან მას.

ცოდვილ სულის ხიდის შემდეგ ავი ქარი ეგებება წინ.
ჯოჯოხეთში წყევლა კრულვით და დაცინვით ეგებებიან მას
სხვა დასჯილთა სულები. საჭმელათ მას ესენი საწამლავს მიარ-
თევენ. სხვაფრივაც ათას გვარ ტანჯვას განიცდიან აქ ცოდ-
ვილები. მათ წვერებას მხოლოთ „მეორეთ მოსვლის“ დროს
მოედება ბოლო. მოვა დრო როდესაც ქალწული ზესთაბუნებ;
რივი გზით ჰშობს წინასწარმეტყველს ზარათუშტრას გვარიდან.
იგი აღადგენს მკვდრებს, არმაზი მისცემს მათ ყველას 40 წლის
ჰასაკს და მიანიჭებს მათ უკვდავებას. უინც პატარაობისას მოკ-
ვდა ის 15 წლისათ აღდგება. საჭმელ-სასმელი აღარ იქნება
საჭირო. ტანისამოსი იმნაირი მასალისაგან იქნება გაკეთებულია
რომ იგი არც დაიხევა და არც დაძველდება. სიყვარული ქალ-
თა და კაცთა შორის დარჩება, მხოლოთ იგი ნაყოფს აღარ
გამოიღებს. მეორეთ-მოსვლის დროსვე მოხთება უკანასკნელი
შეჯახება არმაზისა და აპრიშანის შორის. არმაზი სძლევს აპრიშანს
და საუკუნოთ დასთრგუნავს მას.

დასახელებული ღმერთების გარდა სპარსელები თაყვანსა
სცემდენ აგრეთვე მზეს, მთვარეს, ვარსკლავებს (მეტადრე 4-ს),
დედამიწას, ჰაერს, წყალს და განსაკუთრებით ცეცხლს. ეს ად-
ვილი გასავებია. რაღვან ჩვენ უკვე ვიცით რა როლს თამაშობ-
და მათ რელიგიაში სინათლე. ცეცხლს ავესტა ზოგჯერ არმა-
ზის ძეს უწოდებს.

როგორც ვიცით ზოგან (მაგალითად ბაქოს ახლო) ბუნებრივი ცეცხლი არსებობს. სპარსელები ფიქრობდენ, რომ ასეთი ცეცხლი ციური ჩამომავლობისა იყო და დიდის, მოწიწებით ეპურობოდენ მას.

ყველამ იცის, რომ რელიგია აღმოსავლეთში მუდამ განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. თავისთვის ცხადია, რომ აქ შის გარეჯან გამოხატულებას უფრო დიდი ყურადღება ჰქონდა მიკცეული ვიდრე სპეციალისტის.

როგორი იყო სპარსეთში დაწვრილებით საეკლესიო წესრიგი, ან როგორ იყო აქ მოწყობილი იერარქია, არ ვიცით.

სამღვდელოება სპარსეთში ისევე როგორც ინდოეთში წარჩინებულ წოდებათ ითვლებოდა. შესაძლოა, რომ მას თავდაპირველათ უპირველესი ადგილიც ეჭირა, ზოროასტრის ჭურების მიხედვით როგორც ზეცაში არმაზია განუსაზღვრელი, ბატონი, ისე ცედამიწაზე ზარათუშტრა. ამ უკანასკნელის მოადგილეთ კი ღვდელ-მომქმედი ითვლებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ისევე, როგორც ინდოეთში დიდიხნის განმავლობაში ეცილებოდენ ერთმანეთს პირველობის სამღვდელოება და მეომართ წოდება. ჩვენი ძველი მწერლობა მოვცებს უწოდებს ერანელ მღვდელ-მოქმედებს. ვესტა სრულიათ არ იხსენიებს ამ სახელს და მის მაგიერ ათარანსა ხმარობს (სასანიანთ დროს მობედი იხმარება). როგორცა სჩანს ამ ორ სახელთ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ათარანი აღმოსავლეთ ერანში იხმარებოდა, მოგვი „მაგუ“ „მოგ“ კი დასავლეთში. მოვცები არა თუ წოდებით და იერარქიით, არამედ ჩამომავლობითაც კი იყვნენ შეკავშირებულნი. ესენი ებრაელთ ლევიტებივით განსაკუთრებულ ტომს ეკუთვნოდენ და შვრლით შვილზე გადასცემდენ წოდებას. ესენი ერთ მღვდელ-მთავარ მობედან-მობედს (მობედთ-მობედს) ექვემდებარებოდენ, რომელიც რაგაში (მედიაში) სუფერდა. რა საფეხურები არსებობდა კიდევ საეკლესიო იერარქიაში არ ვიცით.

სამღვდელოების დანიშნულება ციურ ძალთა და ადამიანთ

შორის შეუძლებომლობა იყო, პრაქტიკულით ეს შეუძლებომლობაა სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედებაში გამოიხატებოდა (მსხვერპლის შეწირვა, სამღოთ-წერილის კითხვა, წირვა-ლოცვა და სხვა). მოგვის მთავარ მოვალეობას ცეცხლის მსახურება შეადგენდა. მას უნდა ეჩრუნა, რომ ცეცხლი არ ჩამქრალიყო ან არ გაუწმინდურებულიყო და სხვა. გარდა ამისა მოგვები სხვა სასარგებლო საქმეებსაც ეწეოდნენ, როგორც მაგალითთ მკურნალობას და მასწავლებლობას. ამის გამო მოგვს ხშირათ სამყოფიც კი არ მოეძველებოდა და იგი სოფლიდან სოფელს გადასვლაში ატარებდა სიცოცხლეს.

არსებობდენ აგრეთვე ურიცხვი შემთხვევანი, რომელთა შემდეგ განსაკუთრებული მღვდელ-მოქმედება იყო საჭირო. ასეთი შემთხვევები ხშირათ იმ როლისაგან არიან დამოკიდებულნი, რომელსაც აღმოსავლეთში წმინდა და უწმიდური თამშობლა. ცეცხლი მაგალითად გაუწმინდურებულით ითვლებოდა თუ მას წყალი გადაესხა, სახლი გაუწმინდურებულით თუ ჰიგ ვინმე მოკვდა. გაუწმინდურებულით ითვლებოდა დედა-კაციც მშობიარეობის შემდეგ, აღამიანი ცოდვის ჩადენის შემდეგ და სხვა. ყოველი ასეთი შემთხვევა განსაკუთრებულ მღვდელ-მოქმედებას მოითხოვს. განსაწმენდ საშუალებათ სხვათა შორის ნაკლრთხი წყალი იხმარებოდა, შემდეგ საქონლის შარლიც.

თავის თავათ ცხადია, რომ მოგვს როგორც ხალხის სულიერ წინამძლოლს, სამაგალითოთ უნდა შეესრულებია მაზდიაზნის მოვალეობანი. პირველი ადგილი ამ მოვალეობაში ცოდვებს უნდა დაუთმოთ, რომელნიც სხვა და სხვა შემთხვევისთვის სხვა და სხვანი არიან. ლოცვა მოგვს შუალამიდან უნდა დაწყო, შემდეგ მას ისევე როგორც ყოველ მორწმუნებს დაბანის წინ, ჩატანის წინ, და ძილის წინაც უნდა ელოცა. აუცილებლით ითვლებოდა აგრეთვე ოთხჯერ ლოცვა მზეზე და ორჯერ ლოცვა ცეცხლზე. ეს ლოცვები ყოველ დღიურნი არიან. მორწმუნეთ მოეთხოვებოდათ გარდა ამისა

განსაკუთრებული ლოცვა წარმოეთქვათ შეყალთან დახმოცემისას, მოვარის ამოსვლისას, ტამოქნარებისას, კარში გასვლისას, სანთლის ანთების და აგრეთვე გაპარსვის შემდეგ, ფრჩხილების დაკვეთის შემდეგ, მანლილოსანთან განცხრობის შემდეგ და სხვა.

ზოროსტრის მორალი მოყვასთა სიყვარულსაც მოითხოვდა, მაგრამ მოყვასთა მხოლოთ თანამორწმუნე ითვლებოდა, ურწმუნოთა წინააღმდეგ კი პირიქით მტრული განწყობილება ითვლებოდა მოვალეობათ. ზოროსტრის რწმენა წინათ საქართველოშიც იყო გავრცელებული, სანამ ქრისტიანობამ არ დაიჭირა მისი ადგილი ჩვენში.

Վ Զ Ա Խ Թ Ց Ց Ո :

- 1) Th. Nöldeke. Geschichte des Reichs der Sasaniden.
- 2) F. Justi. Herrschaft der Sasaniden.
- 3) Th. Momsen. Römische Geschichte Band V.
- 4) Fr. Spiegel. Das Reich der Sasaniden.
- 5) Horn. Geschichte der persischen Literatur.
- 6) Agathange. Histoire du regne de Tiridat.
- 7) Faustus de Byzance. Bibliothek historique.
- 8) Moise de Khorene. Histoire de l'Armenie.
- 9) Ammianus Marcellinus. Opera.
- 10) Marquart Eransar.
- 11) ფრაგმენტები Theoph. Byzantius, Priscus Panites, და Menander Protector-ისა. მოთავსებულნია Müller-ის გემოცემაში Fragmenta historiorum graecorum.
- 12) M. Saint-Martin ad Lebeau. Histoire du bas-empire.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვერდი.

წინახითუვაობა.	III
I. ახემენიანების ხანა	1
II. არშაკუნიანების ხანა	25
1) სელევკიანების სამეფო და პართელები	25
2) ოლექსანდრეს ლაშქრობა და სამეფოს დაფუძნება საქართველოში.	28
3) სელევკიანთ სამეფო და პართელები	37
III. ხასანიანების ხანა.	82'
შინაური პიმოხილვა	140

- Выпуск 4. Книжка политической грамоты П. Ковиленко.
- Выпуск 5. На пути к освобождению.
- Выпуск 6. Программа и устав Российской Комм. парт. (больш.)
- Выпуск 7. XI-й съезд Российской Коммунистической партии (стенограф. отчет.).
- Выпуск 8. Рубль. Кто такие меньшевики?
- Выпуск 9. Пощадное потребление к беседам по "Петроп. земли и человека".
- Выпуск 10. Устав Российской Коммунистической партии (большевиков), секции Коммунистического Интернационала.
- Выпуск 11. Вторая партийная Конференция Коммунистических организаций Закавказья.
- IV серия. Советское строительство.
- Выпуск 1. Доклады Ленина и Троцкого на IX съезде Советов.
- Выпуск 2. Таков, покупайте хлебный наем!
- V серия. Национальный вопрос.
- Выпуск 1. Н. Н. Менин. Сборник статей, тезисов, по ладов и пр. по национальному вопросу.
- Выпуск 2. И. Сталып (Коба-Джугашвили). Сборник статей по национальному вопросу.
- Выпуск 3. Каутский. Сборник статей по национальному вопросу.
- Выпуск 4. б. յունდաբար յոյց յուլո յոտ յուլո սեյսի յոյց յոյց.

ՀԱՅԻ ԾՐԱՅՈՒԹՅՈՒՆ:

- Проект Союзного Договора Закавк. Соц. Сов. Республик.
- Положение о Высшем Экономическом Совете.
- Речь Ленина на съезде металлистов.
- Речь Троцкого на торжественном заседании Московского Собрания
12 марта 1922 года.

950

b 451

ଅଭ୍ୟାସକ

ଶ୍ରୀ ପ୍ରମନ ପ୍ରମନ, ପାଦ: ମ୍ୟ-4-୧. ୩୩୯୦୨୦-୫୦୭୫. ପର୍ମିମିଂଦା
18-22